

ავტორის ხელით დაცულია

იგ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

არჩილ იაკობაშვილი

მონეტარული სტაბილიზაცია  
სავალუტო სუბსტიტუციის პირობებში

დისერტაცია

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

რევაზ გველესიანი  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი  
თსუ სრული პროფესორი

2011



თბილისის  
უნივერსიტეტის  
გამოაცემობა

<b>თავი 1.</b>	<b>დოლარიზაცია საქართველოში, როგორც სავალუტო სუბსტიტუციის გამოვლენის ფორმა და მისი განვითარების ეპონომიკურ-პოლიტიკური ეტაპები</b>	<b>13</b>
1-1.	მონეტარული რეფორმის შედეგები (1992-1998)	13
1-2.	სტაგფლაციის ტრანსმისია (1991-1998)	20
1-3.	(n-1) პრობლემიდან დოლარიზაციამდე	27
1-4.	დოლარიზაციის ტესტი და სავალუტო სუბსტიტუციის ფუნქცია	33
<b>თავი 2.</b>	<b>სავალუტო სუბსტიტუციასა და მონეტარულ სტაბილიზაციას შორის ურთიერთკავშირის თეორიული საფუძვლები</b>	<b>42</b>
2-1.	უპირატესი ვალუტის მოდელი (ჯოვანინი)	42
2-2.	ლიკვიდობის მოდელი (ტურტელბომი)	49
2-3.	ეკონომიკური მოდელი (კალვო)	57
2-4.	ფინანსური მოდელი (გირგონი)	66
2-5.	საინვესტიციო მოდელი (კუდინგორინი)	73
2-6.	პოლიტიკური მოდელი (მაილსი)	80
<b>თავი 3.</b>	<b>მონეტარული სტაბილიზაციის ეკონომიკურ-პოლიტიკური ინდიკატორების განსაზღვრა სავალუტო სუბსტიტუციის მონეტარული და მაკროეკონომიკური ასპექტების მიხედვით</b>	<b>88</b>
3-1.	სავალუტო სუბსტიტუციის მონეტარულ-ემპირიული ასპექტები	88
3-2.	სარგებლის განაკვეთების განსხვავებით გამოწვეული ვალუტათშორისი სპეკულაციები, როგორც სავალუტო სუბსტიტუციის 1. მონეტარული მიზეზი	94
3-3.	გაცვლითი კურსის რისკი, როგორც სავალუტო სუბსტიტუციის 2. მონეტარული მიზეზი	102
3-4.	მოხმარების უსაფრთხოების უზრუნველყოფით გამოწვეული ინფლაციის რისკი, როგორც სავალუტო სუბსტიტუციის 3. მონეტარული მიზეზი	110

3-5. საგადამხდელო ბალანსი : მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, როგორც სავალუტო სუბსტიტუციის მაკროეკონომიკური მიზეზი	117
--	-----

<b>თავი 4. დოლარიზაციით გამოწვეული მიზანთა კონფლიქტი მონეტარული სტაბილიზაციის პროცესში და მათი გადაჭრის ეკონომიკურ-პოლიტიკური შესაძლებლობები</b>	136
--	-----

4-1. ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკური ასპექტები	136
4-2. ეროვნული ვალუტის მიწოდება დოლარიზაციის პირობებში	147
4-3. ლიკვიდობის მართვა ვალუტათშორისი კონკურენციის პირობებში	159
4-4. ფისკალური პოლიტიკის მიზნების კოორდინაცია სავალუტო სუბსტიტუციის პირობებში	168
4-5. სავალუტო პოლიტიკის გამოწვევა	174

<b>დასკვნები და რეკომენდაციები</b>	180
------------------------------------	-----

---

<b>გამოყენებული ლიტერატურა A</b>	190
----------------------------------	-----

(საერთაშორისო სტატიები, ეროვნული ბანკის ანგარიშები)

<b>გამოყენებული ლიტერატურა B</b>	196
----------------------------------	-----

(წიგნები, სახელმძღვანელოები)

<b>დანართი</b>	198
----------------	-----

(მონეტარული და საგადამხდელო ბალანსის სტატისტიკა)

**დანართი** (მონეტარული და საგადამხდელო ბალანსის სტატისტიკა)

**ცხრილი 1-4-1:** დოლარიზაციის კოეფიციენტი ფართო ფულის  $M3$  მიხედვით

**ცხრილი 1-4-2:** დოლარიზაციის კოეფიციენტი ანაბრების პორტფელის მიხედვით

**ცხრილი 1-4-3:** დოლარიზაციის კოეფიციენტი საკრედიტო პორტფელის მიხედვით

---

**ცხრილი 3-1-1:** მონეტარული წონასწორობის დეტერმინანტები

**ცხრილი 3-2-1:** სარგებლის განაკვეთები და დოლარიზაცია

**ცხრილი 3-3-1:** გაცელითი კურსი და დოლარიზაცია

**ცხრილი 3-4-1:** ინფლაცია და დოლარიზაცია

**ცხრილი 3-5-1:** მიმდინარე ანგარიში და დოლარიზაცია

**ცხრილი 3-5-2:** კაპიტალის ანგარიში და დოლარიზაცია

**ცხრილი 3-5-3:** ცალმხრივი ტრანსფერები და დოლარიზაცია

**ცხრილი 3-5-4:** ერთჯერადი ტრანსფერები და დოლარიზაცია

---

**ცხრილი 4-1-1:** ინფლაციის კომპონენტები

**ცხრილი 4-2-1 :** ფულადი მასა  $M2$

**ცხრილი 4-3-1:** ოფიცილაური რეფინანსირების განაკვეთი და საბაზო განაკვეთი

**ცხრილი 4-4-1:** საბიუჯეტო შემოსავლები

# შესავალი

თემის აქტუალურობა განპირობებულია მსოფლიო ეკონომიკაში არსებული მონეტარული პრობლემებით, რაც დაკავშირებულია ერთის მხრივ რეგიონალური სავალუტო ზონების (ევრო-ზონა, დოლარის ბლოკი) განვითარებასთან, ხოლო მეორე მხრივ - განვითარებად ეკონომიკებში, მონეტარული სუპერენიტეტის მიუხედავად, - მრავალვალუტიანი სავალუტო პორტფელების ფორმირებასთან და ამ გზით უცხოური ვალუტის მიერ ეროვნული ვალუტის სრულად ან ნაწილობრივ ჩანაცვლებასთან.

სავალუტო სუბსტიტუცია წარმოადგენს 1970-იან წლებში მსოფლიო ეკონომიკის თავისუფლად ცვალებადი სავალუტო კურსის რეჟიმზე გადასვლის შედეგს და გულისხმობს ეროვნულ ეკონომიკებში ეროვნული ვალუტისათვის კონკურენტული გარემოს წარმოქმნას უცხოური ვალუტის (ძირითადში აშშ დოლარის) მონაწილეობით.

1971 წლის 15 აგვისტო მნიშვნელოვან თარიღს წარმოადგენს საერთაშორისო მონეტარული ეკონომიკისთვის. კერძოდ, ამ დღეს აშშ-ს მთავრობამ<sup>B11</sup> მიიღო გადაწყვეტილება 1973 წლიდან ბრეტონ-ვუდსის ხელშეკრულების შეჩერების შესახებ, ხოლო ამერიკის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ გააუქმა ოქროს პარიტეტი (1 უნცია = 35 აშშ დოლარი).

ბრეტონ-ვუდსის<sup>B22</sup> მიხედვით, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარდა, საერთაშორისო სავალუტო სისტემა ექვემდებარებოდა ფიქსირებული სავალუტო კურსის რეჟიმს და აშშ დოლარი წამყვანი ვალუტის (*Vehicle Currency*) როლს ასრულებდა, რომელზეც მიბმული იყო ხელშეკრულების მონაწილე ცალკეული ქვეყნის ეროვნული ვალუტა იმ ვალდებულებით, რომ მათ შორის ორმხრივი გაცვლითი კურსი მხოლოდ აშშ დოლართან პარიტეტის მიხედვით განისაზღვრებოდა. დოლარის პარიტეტის გადახედვა მხოლოდ წელიწადში ერთხელ იყო შესაძლებელი.

ჯერ კიდევ 1959 წელს, ე.ი. ბრეტონ-ვუდსის შექმნიდან სულ რაღაც 15 წელიწადში, ე.წ. ტრიფინის დილემა<sup>B22</sup> (რობერტ ტრიფინი – ეკონომიკის პროფესორი, ანტვერპენის უნივერსიტეტი, ბელგია) მიუთითებდა იმის შესახებ, რომ ომის შემდგომი ეკონომიკური რეკონსტრუქცია და ბუმი გამოიწვევდა მსოფლიო ეკონომიკაში ახალი მსხვილი რეგიონალური ცენტრების წარმოშობას

(ევროპა, აზია, ავსტრალია), რომლებიც აშშ-ს წამყვანი ეკონომიკისათვის დირსეფული კონკურენციის გაწევას შეძლებდნენ.

ტრიფინის პროგნოზით<sup>B9</sup>, ყოველივე ეს საფუძველს დაუდებდა აშშ-ს ტრანსფორმაციას ნეტო-ექსპორტიორიდან ნეტო-იმპორტიორ ეკონომიკად, რის შედეგადაც აშშ-ს მიმდინარე ბალანსში ქრონიკული დეფიციტი ჯერ თავად აშშ-ს, ხოლო შემდეგ საერთაშორისო სავალუტო კრიზისში გადაიზრდებოდა.

1971 წლის 15 აგვისტოს აშშ' პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა შემდეგი სიტყვებით გააცნო მსოფლიოს მისი მთავრობის გადაწყვეტილება<sup>B11</sup>: “უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში საშუალოდ ერთი სავალუტო კრიზისის გადატანა მოუხდა მსოფლიო ეკონომიკას. ვინ სარგებლობს ამ კრიზისით? არა - მომხმარებელი, არა - მწარმოებელი ფირმები, არა - ინვესტორები, არა - სახელმწიფოები... ამის გამო მივიღეთ გადაწყვეტილება, უარი ვთქვათ “ოქროს პარიტეტის” ხანგრძლივად შენარჩუნებაზე... მსოფლიო ეკონომიკის სხვა მონაწილეებს შეუძლიათ, ჩვენი ეროვნული ვალუტის - აშშ დოლარისგან - დამოუკიდებლად თავად განსაზღვრონ ეროვნული მონეტარული სისტემის კონტურები...”

დოლარიზაცია<sup>B2</sup> წარმოადგენს სავალუტო სუბსტიტუციის ყველაზე გავრცელებულ ფორმას, რომელიც ბრეტონ-ვუდსის შემდეგ მრავალ განვითარებად ეკონომიკას შეეხო ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში, აღმოსავლეთ აზიაში და აფრიკის კონტინენტზე.

შედარებით მოგვიანებით, აღმოსავლეთ ევროპაში და მათ შორის, საქართველოშიც, დოლარიზაცია 1990-იანი წლებიდან გავრცელდა, რაც უკავშირდებოდა პოსტკომუნისტურ ქავენებში ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციას<sup>B1,B33</sup> და მონეტარული რეფორმების<sup>B30</sup> განხორციელებას.

1990-იან წლებში სავალუტო კრიზისების მეორე ტალღა (არგენტინა - 1991; ქორეა - 1992; ჩინეთი - 1993; მექსიკა - 1994; თურქეთი - 1995; ინდოეთი - 1996; ინდონეზია - 1997; რუსეთი 1998; ბრაზილია - 1999), რომელიც მსოფლიო ეკონომიკას შეეხო, ნათელი დასტურია იმისა, რომ, სავალუტო სუბსტიტუცია<sup>B11</sup> შეიძლება იქცეს ქრონიკულ ავადმყოფობად ეროვნული ეკონომიკებისათვის, რომლითაც შესაძლებელია, ცალკეული ეკონომიკური სუბიექტები სარგებლობენ, მაგრამ წარმოშვას ისეთი მაკროეკონომიკური პრობლემები, როგორებიცაა

საგადამხდელო ბალანსის კრიზისი, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, გამოიწვიოს ინფლაციური პროცესები ან ეროვნული ვალუტის დევალვაცია.

აღნიშნულის საპირისპირო, აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ მცირე ეკონომიკაში <sup>230</sup> (უნგრეთი, ხორვატია, სლოვაკია, სლოვენია) ტრანსფორმაციის თანმდევი სავალუტო სუბსტიტუციის გამოცდილება ადასტურებს, რომ ის განსხვავებულ გარემოებებში ინტერესთა ჯგუფებს შორის პოლიტიკური დაპირისპირების ობიექტსაც წარმოადგენდა, თუმცა დადებითი ეფექტებით ეკონომიკური კეთილდღეობისა და მოხმარების გაზრდისათვის.

“დოლარიზაცია – არის სარკომა ? არის ავთვისებიანი ტუმორი ? არის კეთილშობილი სიმსივნი ? “- აღნიშნავდა <sup>231</sup> მილტონ ფრიდმანი თავის ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში მექსიკაში 1994’ სავალუტო კრიზისის განხილვისას.

\* \* \*

### პელეგის მიზნები:

- 1) სავალუტო სუბსტიტუციასთან დაკავშირებული პრობლემატიკის წარმოსაჩენად, ნებისმიერი ეკონომიკისთვის და, მათ შორის, საქართველოსთვის, შესაძლებელია განხილულ იქნას მონეტარული სისტემის მხოლოდ ორი ალტერნატივა: სავალუტო კავშირი სხვა რომელიმე ქვეყანასთან/ქვეყნებთან ერთად, ან დამოუკიდებელი მონეტარული სისტემა ეროვნული ვალუტით. აღნიშნულთან დაკავშირებით, უპირველესად, კვლევაში ხაზი უნდა გაესვას იმ ეკონომიკურ-პოლიტიკურ ეტაპებს, რომლებიც ცხადყოფენ, რომ 1991-1998 ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესმა წარმოშვა სერიოზული არგუმენტები ეროვნულ საზღვრებს გარეთ მონეტარული ინტეგრაციის საწინააღმდეგოდ. ამის გამო ეროვნული სავალუტო სისტემა შეიძლება განხილულ იქნას როგორც ერთადერთი ეკონომიკურ-პოლიტიკური შესაძლებლობა. (იხ. თავი 1, გვ. 13 – 41).
- 2) წამყვანი საერთაშორისო მეცნიერული შრომებისა და მოდელების (ლიტერატურა A) ქართულ ენაზე წარმოდგენა-განხილვა, რომლებიც საფუძვლად უდევს სავალუტო სუბსტიტუციის ფენომენს საერთაშორისო მონეტარული ეკონომიკის თეორიებში, მათ შორის საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებების სისტემატიზაცია ეკონომიკური დროისა და ეკონომიკური სივრცის მიხედვით (იხ. თავი 2, გვ. 42 – 87).
- 3) ძირითადი თავისებურებების გამოვლენა, რომლებიც ახასიათებს დოლარიზაციის პროცესს საქართველოს მონეტარულ სისტემაში და

შესაბამისად იმის განსაზღვრა, თუ რამდენად თანხვედრაშია ეს თავისებურებები სავალუტო სუბსტიტუციის თეორიულ დეტალებთან სავალუტო სუბსტიტუციის მონეტარული და მაკროეკონომიკური მიზეზების მიხედვით (იხ. თავი 3, გვ. 88-135).

- 4) სავალუტო სუბსტიტუციის ეკონომიკურ-პოლიტიკური ასპექტების განსაზღვრა: რამდენადაც მონეტარული სტაბილიზაცია, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულება, ითვალისწინებს სავალუტო კურსის პროგნოზირებად დინამიკას როგორც ექსპორტზე ორიენტირებული, ასევე იმპორტზე დამოკიდებული ეკონომიკებისათვის. შესაბამისად, კვლევის მიზანია იმის ჩვენება, თუ რამდენად თავსებადია ეროვნული სავალუტო სისტემის ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნები სავალუტო სუბსტიტუციის რეალობასთან, რომელსაც ადგილი აქვს საქართველოს ეკონომიკაში (იხ. თავი 4.1, გვ. 136-146).
- 5) მონეტარული სტაბილიზაციის შესაძლებლობების გამოვლენა რაოდენობრივი მონეტარული პოლიტიკის (ფრიდმანი) <sup>816</sup> ფონზე, რომელიც ეფუძნება ეროვნული ვალუტის მიწოდების მართვას და ბაზრის ოპერაციებით ეროვნული შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლის, მიზნობრივი ინფლაციისა და საგარეო-ეკონომიკურ წონასწორობაზე ორიენტირებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. რაოდენობრივი მონეტარული პოლიტიკა სწორედაც რომ ყველაზე მოხერხებული ინსტრუმენტია თუნდაც სავალუტო სუბსტიტუციის პირობებში, მაგრამ მოითხოვს კაპიტალის ბაზრის განვითარების მაღალ დონეს, როგორც აუცილებელ წინაპირობას, და ეროვნული ბანკის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტურობას, როგორც საკმარის წინაპირობას მონეტარული სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის (იხ. თავი 4.2, გვ. 147-159).
- 6) მონეტარული სტაბილიზაციის შესაძლებლობების გამოვლენა ციკლური მონეტარული პოლიტიკის (კეინსიანიზმი) <sup>810</sup> ფონზე, რომელიც ეფუძნება ეროვნული ბანკის მიერ ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის რეგულირებას რეფინანსირების განაკვეთის საშუალებით. აღნიშნული ოფიციალური განაკვეთი, ლიკვიდობის მართვის მიზნით, საფუძვლად უდევს განაკვეთების მრადს ეროვნულ ვალუტაში და სავალუტო სუბსტიტუციის გამო გავლენას ახდენს განაკვეთების სტრუქტურაზე უცხოურ ვალუტაშიც. სავალუტო სუბსტიტუციასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ეფექტურია რეფინანსირების განაკვეთი, როგორც მონეტარული

პოლიტიკის ინსტრუმენტი, ვალუტათშორისი კონკურენციის პირობებში. “აქვს კი ეროვნულ ბანკს საკმარისი ინსტიტუციონალური ძალა, რომ სავალუტო სუბსტიტუციის მიუხედავად შეძლოს თავისი უმთავრესი მისიის – მონეტარული სტაბილურობის უზრუნველყოფა?!”<sup>B12</sup> (იხ. თავი 4.3, გვ. 160-168).

- 7) ფისკალური პოლიტიკის მიზნების დუალური ხასიათის წარმოჩენა მონეტარულ სტაბილიზაციასთან მიმართებაში, რომელიც გამოწვეულია სავალუტო სუბსტიტუციის რეალური შედეგებით ერთის მხრივ მონეტარული სიდიდეების (ფასების დონე, სარგებლის განაკვეთი, სავალუტო კურსი) არასტაბილურ დინამიკაზე, მეორე მხრივ კი კ.წ. “ინფლაციური გადასახადის” ზრდაზე. შესაძლებელია თუ არა მასთან მიმართებაში სავალუტო სუბსტიტუციის ოპტიმალური დონის განსაზღვრა? (იხ. თავი 4.4, გვ. 169-174).
- 8) კვლევის უმთავრესი მიზანია იმის ჩვენება, რომ ვალუტათშორისი კონკურენცია არ ნიშნავს მონეტარული სუვერენიტეტის დაკარგვას, თუმცა მის პირობებშიც მონეტარული სუვერენიტეტი, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ერთადერთი ალტერნატივა, და მონეტარული სტაბილიზაცია, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის უპირველესი მიზანი, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ოფიციალურად დაშვებული სავალუტო რეჟიმის ეფექტურობაზე (იხ. თავი 4.4, გვ. 174-179). ოფიციალური შეზღუდვის მიუხედავად, სავალუტო სუბსტიტუცია წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის, მისი მონეტარული და ფინანსური სისტემების რეალობას. ადნიშნულის გამო, ვალუტათშორისი კონკურენციის შედეგებთან ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის პრინციპების თავსებადობის განსაზღვრა (კ.წ. რუშონის <sup>B26,B29</sup> სამკუთხედი: ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა, სავალუტო სუბსტიტუცია, თავისუფლად ცვალებადი სავალუტო კურსების რეჟიმი) წარმოადგენს კვლევის მიზანს მის ხელთ არსებული მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გათვალისწინებით.

\* \* \*

**კვლევის საგანი და ობიექტი:** სავალუტო სუბსტიტუციის პირობებში მონეტარული პოლიტიკის განხორციელება უპირველესად ითვალისწინებს დოლარიზაციის <sup>B26,B28</sup> შესწავლას, და შესაბამისად მისი გავლენის შეფასებას მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის სიდიდეებზე, რომლებიც იმავდროულად ეკონომიკური პოლიტიკის ინდიკატორებს წარმოადგენენ:

- გაცვლითი კურსის დინამიკაზე, როგორც საგარეო-ეკონომიკური წონასწორობის მთავარ ინდიკატორზე;

- ეროვნულ ვალუტაში სარგებლის განაკვეთზე, როგორც მონეტარული წონასწორობის მთავარ ფაქტორზე;
- ფასების დინამიკაზე – როგორც რეალურ სექტორში მაკროწონასწორობის მთავარ დეტერმინანტზე;
- ე.წ. ინფლაციურ გადასახადზე (Inflation Tax), როგორც საბიუჯეტო შემოსავლების მთავარ არაკონგრენციონალურ სიდიდეზე;

ამგვარად დასმული შეკითხვები გამოხატავს პრობლემების კატალოგს, რომელსაც შეუძლია კონკურირებადი უცხოური ვალუტის მოქმედება აღწეროს ნებისმიერ ეკონომიკაში, სადაც სავალუტო სუბსტიტუციას აქვს ადგილი. აღნიშნული პრობლემები იმდენად მრავალმხრივი და რთულად ურთიერთთავსებადია, რომ შეუძლებელია სავალუტო სუბსტიტუციის ფენომენის ერთმნიშვნელოვნად შეფასება. ამის გამო სავალუტო სუბსტიტუციასთან მიმართებაში მონეტარული ეკონომიკის კვლევის ობიექტია ეროვნულ ეკონომიკებში მონეტარული სისტემის სტაბილურობის ძირითადი პრინციპები და სტაბილურობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ეკონომიკურ-პოლიტიკური შესაძლებლობები.

\* \* \*

**თეორიული ასპექტები და მეთოდოლოგიური საფუძვლები:** დოლარიზაციის გავრცელების პარალელურად შესაბამისი განვითარება პპოვა ეკონომიკურმა მეცინერებამაც. ჯერ კიდევ 1970-იან წლებში წარმოიშვა პირველი მნიშვნელოვანი ლიტერატურა და სამეცნიერო შრომები მონეტარულ ეკონომიკაში, რომლებიც სავალუტო სუბსტიტუციის ფენომენს ეძღვნება. სტრუქტურული თავისებურებების მიუხედავად, ყველა მოდელის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი მდგრმარეობს<sup>29</sup>:

1) სავალუტო სუბსტიტუციის მიზეზების სისტემატიზაციაში;

2) სავალუტო სუბსტიტუციის პირობებში სავალუტო კურსის განსაზღვრის სპეციფიურ მიღვომაში ტრადიციულ სავალუტო თეორიებთან (მანდელ-ფლემინგი; ფრიდმანი; ბრანსონი; დორნბუში) შედარებით, რომლებიც კონკურენტული სავალუტო გარემოს შესახებ დაშვებას არ ითვალისწინებენ.

სავალუტო სუბსტიტუციის მოდელების უფრო მეტი სიახლოვე სავალუტო ბაზრის რეალობასთან გამოიხატება სწორედ იმაში, რომ ძირითადი სავალუტო თეორიებისათვის სავალუტო პორტფელში უცხოური ვალუტის გამორიცხვა ემსახურება მოდელების გამარტივებას გაცვლით კურსის განსაზღვრისას ძირითადი პრინციპების დასადგენად.

ერთვალუტიანი სავალუტო პორტფელი ნიშნავს, რომ ეკონომიკური სუბიექტი მხოლოდ ეროვნული ვალუტით აფინანსებს სამომხმარებლო კალათას, რომელიც სხვადასხვა ვადიანობის პროდუქტებისგან შედგება; ნიშნავს, რომ ტურისტული მოგზაურობისას მიმღებ ქვეყანაში შეუზღუდავად სარგებლობს ეროვნული ვალუტით; ნიშნავს, რომ მისი ქონება შეიცავს მხოლოდ ისეთ აქტივებს (უძრავი ქონება; ფასიანი ქაღალდები), რომლებიც მხოლოდ ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, რაც პირველ რიგში საერთაშორისო ფინანსური ბაზების ინტეგრაციაში გამოიხატება, დაუშვებელია იმის არგათვალისწინება, რომ კაპიტალური აქტივებისთვის (ფასიანი ქაღალდები, უძრავი ქონება) თითქმის აღარ არსებობს ნაციონალური ბარიერები. მაგალითად, ეკონომიკური სუბიექტები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ქვეყნის აქციები და ბონდები შეიძინონ, რომელ ქვეყანაში სურთ უძრავი ქონება, რომელზეც მიღებული პერმანენტული შემოსავლები სწორედ იმავე ქვეყნის ვალუტაში და არა ეროვნულ ვალუტაში იქნება დენომინირებული.

3) სავალუტო სუბსტიტუციის მონეტარულ და მაკროეკონომიკურ მიზეზებს, მათ საფუძველზე - მაკროეკონომიკურ და პოლიტიკურ შედეგებს - შორის მოსალოდნელი კავშირების განსაზღვრაში.

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ემპირიული მონაცემების სისტემატიზაცია, მათი ვერბალური განხილვა, მიღებული შედეგებისა და ზოგადი კანონზომიერებების, სიდიდეებს შორის ურთიერთკავშირის ფორმალურად და გრაფიკულად აღწერა, პოლიტიკური მოდელების გამოსახვა რეგრესიული ანალიზის გზით.

\* \* \*

მეცნიერული სიახლე დაკავშირებულია კვლევის დროს მიღებული შედეგების ემპირიულად დადასტურებასთან და ურთიერთკავშირების იდენტიფიკაციასთან იმ ძირითად მეცნიერულ პრინციპებთან და კატეგორიებთან მიმართებაში, რომლებიც საერთაშორისო მონეტარულ ეკონომიკაში სავალუტო სუბსტიტუციის შესახებ მანამდე ჩატარებულ კვლევებში იქნა გამოვლენილი.

1) დოლარიზაციის ტესტი, რომელსაც ქრონოლოგიური მიმოხილვის საფუძველზე, ცენტრალური როლი ენიჭება უცხოური ვალუტის წილის რაოდენობრივად შეფასებისათვის ეროვნული ეკონომიკის მონეტარულ სისტემაში. საქართველოს ეროვნული ბანკის ხელთ არსებული მონეტარული

სტატისტიკა განახევავებს დოლარიზაციის კოეფიციენტის სამ ძირითად განხომილებას, როგორც უცხოური ვალუტების წილს ერთის მხრივ ფართო ფულში, მეორე მხრივ ანაბრების პორტფელში და მესამე მხრივ საკრედიტო პორტფელში. დოლარიზაციის ტესტის მიზანია, მოახდინოს განსხვავებული მეთოდოლოგიების სისტემატიზაცია, რათა გამოვლინდეს საერთო ტრენდი დოლარიზაციის სამივე დასახელებულ განხომილებას შორის (იხ. თავი 1, გვ. 13 – 41 ).

- 2) **მიზეზების ორი ძირითადი ჯგუფი, რომლებიც, სავალუტო სუბსტიტუციის თეორიული მოდელების საფუძველზე გამოვლინდა და ეროვნულ ეკონომიკებში უცხოური ვალუტის „შემოჭრას“ განაპირობებენ:**
- მონეტარული მიზეზები (ინფლაცია; სავალუტო რყევები, სარგებლის განაკვეთების ვალუტათშორისი განსხვავებანი);
  - მაკროეკონომიკური მიზეზები (დეფიციტი საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშში, რომლის დაბალანსების წყაროებია კაპიტალის იმპორტი, ცალმხრივი ტრანსფერები და ერთჯერადი ტრანსფერები) (იხ. თავი 2, გვ. 42 – 87 ).
- 3) **დოლარიზაციის ძირითადი მონეტარული მოდელი, რომელიც წარმოადგენს გამოვლენილი მიზეზების სისტემატიზაციას და ხაზს უსვამს სავალუტო სუბსტიტუციას როგორც უპირველესად მონეტარულ მოვლენას. მართლაც, ეკონომიკური სუბიექტები ხელმძღვანელობენ განსხვავებული ინტერესებით, როდესაც ისინი სავალუტო პორტფელში ეროვნული ვალუტის გვერდით უცხოურ ვალუტასაც ფლობენ. ფირმების, მომხმარებლებისა და აგრეთვე სახელმწიფოს მოტივაცია უცხოური ვალუტის გამოყენებასთან გამომდინარეობს ფულადი სარგებლის არაურაყოფითი მოლოდინიდან, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნეს სწორედ სავალუტო პორტფელის დივერსიფიკაციით (იხ. თავი 3.1 - 3.4 , გვ. 88 – 116 ).**
- 4) **მაკროეკონომიკური კუთხით სავალუტო სუბსტიტუცია დაკავშირებულია პირველ რიგში საინვესტიციო გადაწყვეტილებებთან, როგორც ფირმების, ისე მომხმარებლების მხრიდან ქონებისა და მასზე შემოსავლიანობის გაზრდის მიზნით. უცხოურ ვალუტაში სარგებლის მოლოდინის გაზრდის შემთხვევაში მოსალოდნელია ეროვნული ვალუტის ჩანაცვლება უცხოური ვალუტით. ინვესტორებისთვის იზრდება უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა საბაზრო რისკების განეიტრალების მიზნით, ან თუნდაც საინვესტიციო პორტფელის**

მაქსიმალურად დიგერსიფიკაციის მიზნით, განსაკუთრებით, როცა კაპიტალის აქტივებზე შემოსავლების ნაკლები კორელაციაა ეროვნულ და უცხოურ ვალუტებს შორის (იხ. თავი 3.5, გვ. 117 – 135 ).

5) **მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების შემუშავება, რომელთა გამოყენება უზრუნველყოფს დოლარიზაციის მონეტარული და მაკროეკონომიკური მიზეზებით მოსალოდნელი მონეტარული დესტაბილიზაციის თავიდან აცილებას. ანტიინფლაციური პროგრამის ფარგლებში ამ დროს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ეროვნული ვალუტის მიწოდების კონტროლს, ლიკვიდობის მართვას, ფისკალური პოლიტიკის ფარგლებში ბიუჯეტის ვალუტიზაციისათვის დასაშვები დონის განსაზღვრას და სავალუტო სუბსტიტუციის პროგნოზირებას თავისუფლად ცვალებადი ან მართვადი სავალუტო კურსების რეჟიმის შენარჩუნების პირობებში (იხ. თავი 4, გვ. 136 – 180 ).**

სავალუტო სუბსტიტუციის ეკონომიკურ-პოლიტიკურ ასპექტებში მონეტარული სტაბილიზაციის ცალკეულ მიმართულებებთან დაკავშირებით კონკრეტული მოდელების შემოთავაზება ამ ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს.

\* \* \*

**პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს გლობალურ ეკონომიკაში დოლარიზაციის როლისა და საქართველოს ეკონომიკაზე ზემოქმედების მასშტაბების შეფასებაში.**

კვლევის შედეგები და რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ფირმებისა და მომხმარებლებისათვის მათ მფლობელობაში არსებულ სავალუტო პორტფელთან დაკავშირებით კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებაში, ასევე მონეტარულ პოლიტიკაზე პასუხისმგებელი დაწესებულებებისათვის ცალკეული პრობლემების გადასჭრელად.

აკადემიური კუთხით მიზანშეწონილია განხილული საკითხებისა და კვლევის შედეგების გამოყენება „მაკროეკონომიკური პოლიტიკის,“ „მონეტარული ეკონომიკისა“ და „საერთაშორისო ეკონომიკის“ სწავლების პროცესში.

\* \* \*

**პუბლიკაციები - კვლევის ზოგიერთი ელემენტი გამოქვეყნებულია სტატიებში:**

- 1) „მონეტარული სტაბილიზაციის პროგრამა (გუდიოტის მოდელი),“ ქურნალი „ახალი ეკონომისტი“, დეკემბერი-2009, გვ. 60-72.
- 2) „გაცვლითი კურსის განსაზღვრა სავალუტო სუბსტიტუციის პირობებში (კალვოს მოდელი),“ თსუ სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, თებერვალი-2010, გვ. 113-122.
- 3) „გაცვლითი კურსის განსაზღვრა სავალუტო სუბსტიტუციის პირობებში (გირგონის მოდელი),“ ქურნალი „ახალი ეკონომისტი“, მარტი-2010, გვ. 49-53.
- 4) „ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკური ასპექტები სავალუტო სუბსტიტუციის პირობებში,“ თსუ სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, აპრილი-2011, გვ. 59-72.

\* \* \*

**სტრუქტურა და მოცულობა:** ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, ოცი პარაგრაფის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან,

ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ **190** გვერდს ( ფურცლის ზომა - A4; შრიფტის სახეობა – AcadNusx (12); სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5; გვერდის საზღვრები: მარცხნიდან 3 სმ., მარჯვნიდან – 1 სმ., ზემოდან – 2,5 სმ., ქვემოდან – 2,5 სმ ).

ნაშრომის დანართი მოიცავს ლიტერატურულ წყაროებს როგორც საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებიდან (**ლიტერატურა A**), ისე მაკროეკონომიკური პოლიტიკისა და მონეტარული ეკონომიკის წამყვანი სახელმძღვანელოებიდან (**ლიტერატურა B**), აგრეთვე მონეტარული და საგადამხდელო ბალანსის სტატისტიკას ცხრილების სახით.

## თავი 1.

დოლარიზაცია საქართველოში, როგორც სავალუტო სუბსტიტუციის გამოვლენის ფორმა და მისი განვითარების ეკონომიკურ-პოლიტიკური ეტაპები

---

### 1-1. მონეტარული რეფორმის შედეგები 1992-1998

1992 საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა კოლაფსმა საფუძველი დაუდო ეკონომიკური დეზინტეგრაციის პროცესს. ათწლეულების მანძილზე საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის დაქვეითების გამო „საბჭოთა შრომის დანაწილების“ რდგევამ, რომელიც მანამდე, როგორც სავალუტო-ეკონომიკური კავშირი, ინტეგრაციის უმაღლეს დონედ ითვლებოდა, შესაძლებლობა მისცა ახლადწარმოქმნილ ქვეყნებს, განეხორციელებიათ ეკონომიკური სისტემების რეორგანიზაცია, საგარეო-ეკონომიკური კავშირების რეორიენტაცია და წარემართათ დამოუკიდებელი მაკროეკონომიკური პოლიტიკა.

ეკონომიკის ტრანსფორმაცია<sup>21</sup> გულისხმობდა რეფორმების განხორციელებას, რომლებიც ორიენტირებული იქნებოდა ახალი მაკრობაზრების (პროდუქტებისა და მომსახურების ბაზარი; შრომის ბაზარი; კაპიტალის ბაზარი; ფულის ბაზარი; სავალუტო ბაზარი) განვითარებაზე ეკონომიკური პოლიტიკის შემდეგი მიმართულებებით:

**-სამართლებრივი რეფორმები:** ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნა (მაგალითად, ახალი სამოქალაქო სამართალი; ახალი სამეწარმეო სამართალი) შესაბამისი საბაზრო რეფორმების გატარების მიზნით (მაგალითად, პრივატიზაცია).

**-მაკროეკონომიკური რეფორმები:** ეკონომიკურ პროცესში სახელმწიფოს ჩარევის მექანიზმის (ფისკალური, მონეტარული და სავალუტო) ახლებურად გააზრება და შესაბამისი ინსტრუმენტებით მაკრობაზრების სტაბილიზაციის უზრუნველყოფას.

**-სტრუქტურული რეფორმები:** ინვესტიციების დაცვასა და ხელშეწყობას, დარგებისა და რეგიონების დონეზე ეკონომიკური სტრუქტურების წარმოქმნას, შერწყმასა ან შთანთქმას საბაზრო მექანიზმის საფუძველზე.

**-საგარეო-ეკონომიკური რეფორმები:** საგარეო ვაჭრობაში სახელმწიფო მონოპოლიის გაუქმებას, კერძო ექსპორტისა და იმპორტის ხელშეწყობას, საგარეო ვაჭრობის დაფინანსების ახალი ინსტრუმენტების განვითარებასა და გადახდისუნარიანობის ამაღლებას.

სხვა წინაპირობებთან ერთად ეკონომიკური ტრანსფორმაციის განხორციელება მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული მაკროეკონომიკური რეფორმების საშუალებით მონეტარული სტაბილურობის უზრუნველყოფაზე, რასაც ხელი უნდა შეეწყო ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებებისთვის და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციისათვის.

იმის დოგიკური დაშვებით, რომ საქართველო როგორც „მცირე“ და რუსეთი, საბჭოთა ეკონომიკის ყველაზე დიდი მემკივდრე, – როგორც „დიდი“ ეკონომიკა განიხილებოდნენ, ამასთან განსხვავებული სტრუქტურებით როგორც დარგობრივ, ისე რეგიონალურ დონეზე, შესაბამისად განსხვავებული იყო ეკონომიკური ტრანსფორმაციის არამხოლოდ წინაპირობები, არამედ განზომილებანი და მიზნები.

განსაკუთრებით ნიშანდობლივი იყო ეს განსხვავება მონეტარულ სექტორში, რამდენადაც საქართველოს ფაქტიურად ნულიდან უწევდა რეფორმის დაწყება, მაშინ როცა რუსეთს, როგორც საბჭოთა კავშირის სამართლებრივ მემკიდრეს ინსტიტუციონალურ დონეზე მაინც გარკვეული წინაპირობები გააჩნდა მონეტარული რეფორმების განსახორციელებლად (რუბლი გამოცხადდა რუსეთის ეროვნულ ვალუტად; საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკი – რუსეთის ცენტრალურ ბანკად; აგრეთვე საბჭოთა კავშირის საგარეო აქტივები და პასივები, სავალუტო რეზერვები და ოქროს რეზერვები – რუსეთის საკუთრებად).

რაც ყველაზე მთავარი იყო, რუსეთს გააჩნდა კონტროლის მექანიზმები საგადასახადო და ანგარიშსწორების სისტემებზე, და მონოპოლია ფულის მიწოდების პროცესზე (მაგალითად, ნადდი ფულით უზრუნველყოფა), რის გამოც მას პოლიტიკური მოტივით ნებისმიერ დროს შეეძლო, ხელი შეეშალა მონეტარული და საერთოდ ნებისმიერი მაკროეკონომიკური რეფორმისთვის ყველა სხვა დანარჩენ პოსტ-საბჭოთა ქვეყანაში.

**რეფორმები მონეტარულ სექტორში<sup>830</sup> მოიცავდა შემდეგ აუცილებელ ნაბიჯებს:**

1) ეროვნული ბანკის დაფუძნება, მისი დამოუკიდებლობის (პოლიტიკური; ინსტიტუციონალური; ფუნქციონალური და პროფესიული) უზრუნველყოფა და მონეტარული პოლიტიკის შესაბამისი ინსტრუმენტების დანერგვა.

2) ეროვნული ვალუტის შემოღება და ეროვნულ ბაზრებზე მისი კონვერტირების უზრუნველყოფა;

3) საერთაშორისო ლიკვიდობის (ე.ი. უცხოური ვალუტის რეზერვებით) უზრუნველყოფა, მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და სხვა საერთაშორისო დონორებთან თანამშრომლობის დაწყებით;

4) საბანკო სექტორის პრივატიზაცია, ახალი კერძო ბანკების და უცხოური ბანკების დაშვება ქვეყნის ფინანსურ ბაზრებზე;

5) საერთაშორისო საგადასახადო და ანგარიშსწორების სისტემებში (SWIFT; IBAN) ჩართვა და სარგებლობა.

აღნიშნული ნაბიჯები ასახავს ex post იდეალურ წარმოდგენებს, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო მონეტარული რეფორმა, მაგრამ შორს არის 1992-1998 განვითარებული რეალური მოვლენებიდან; უფრო სწორად, გვეხმარება მხოლოდ იმ განსხვავების აღსაქმელად, თუ თეორიულად „როგორ უნდა გაკეთებულიყო“ და სინამდვილეში „როგორ გაკეთდა.“

აღნიშნული პერიოდის რეალობას წარმოადგენს ღრმა ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი. კრიზისის სისტემურობა აისახა პიპერინფლაციის პარალელურად წარმოების დაცემასა და მასობრივ უმუშევრობაში, რომელთა გამოც ეკონომიკური პოლიტიკის ნებისმიერი დონისძიება სახელმწიფოს მხრიდან თავიდანვე განწირული იყო წარუმატებლობისკენ, რადგან მათ რეფორმის ნაცვლად მხოლოდ პრევენციული დანიშნულება გააჩნდათ. აღნიშნულის გამო, აღგილი პქონდა ეროვნული ბანკის საქმიანობაში მთავრობის პირდაპირ ჩარევას, რის შედეგადაც მიმოქვევაში არსებული ფულის მასა მხოლოდ 1993 წლის განმავლობაში 150-ჯერ გაიზარდა.<sup>A76</sup>

დღევანდელი გადასახედიდან ცხადია, რომ საქართველოსთვის 1992-1998 განხორციელებული მაკროეკონომიკური „რეფორმები“ მეტწილად არა მონეტარული სექტორის ახლებურად გააზრების მცდელობას წარმოადგენდა, არამედ უფრო საგანგებო დონისძიებების პაკეტს და ეს საკმაოდ ობიექტური მიზეზებით, რამდენადაც ისინი მიმართული იყო პოსტსაბჭოური დეზინტეგრაციით, კერძოდ რუბლის ზონის გაუქმებასთან ერთად მოსალოდნელი

უარყოფითი შედეგების გასანეიტრალებლად (მაგალითად, ნაღდი ფულის სიმწირე; სავალუტო რეზერვების არარსებობა; საკრედიტო რესურსების შეზღუდული შესაძლებლობები).

რამდენადაც რუსეთის ცენტრალური ბანკი ნაღდი ფულის ემისიის ექსპლუზიურ უფლებას ინარჩუნებდა, ამასთან სრულად აკონტროლებდა საგადასახადო და ანგარიშების სისტემებს, ის ამით დე ფაქტო პრეტენზიას გამოთქვამდა თანამონაწილეობაზე ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში მიმდინარე მონეტარული რეფორმების პროცესში.<sup>833</sup>

სხვა ქვეყნების ეროვნულ ბანკებს შეეძლოთ მხოლოდ უნაღდო ფულის ემისია, რაზეც რუსეთის ცენტრალური ბანკის რეაქციას <sup>833</sup> წარმოადგენდა 1992 წლის ოქტომბრიდან ეტაპობრივად ნაღდი ფულის შემცირება სხვა ქვეყნებში მოსალოდნელი საკრედიტო ექსპანსიის გამო. 1993 წლის ბოლოსთვის ნაღდი ფულის მიწოდება უკვე საერთოდ შეუწყდათ იმ ქვეყნებს, რომლებმაც უარი თქვეს რუბლის ზონაში დარჩენაზე. 1993 წლის ივლისში ნაღდი ფულის გადაცვლის აქცია დღევანდელი გადასახედიდან წარმოადგენდა სადამსჯელო დონისძიებას და არა ბანკოტების რეფორმას, თუმცა ამ ნაბიჯს რუსეთის ცენტრალური ბანკი ხსნიდა ანტიინფლაციური დონისძიებით თავის ქვეყანაში. <sup>830</sup> მანამდე, ჯერ კიდევ 1993 წლის მარტში გამოაცხადა საკმაოდ მკაცრი მოთხოვნები ე.წ. რუბლის ზონაში დარჩენის მსურველთათვის. აღნიშნულ „შემოთავაზებაზე“ დამოუკიდებელი ქვეყნების რეაქციები განსხვავებული იყო.

საქართველოს შემთხვევაში, მან თავად დაიწყო სუროგატების ემისია (ე.წ. კუპონი), როგორც წინამორბედი დღევანდელი ქართული ლარისა (GL). ამით ფაქტიურად საფუძველი დაედო ეროვნულ სავალუტო სისტემას. სუროგატების სრული არაკონვერტირებადობის გამო ეკონომიკურ სუბიექტებს კვლავაც გააჩნდათ მოთხოვნა რუბლის მიმართ. განსაკუთრებით ტრანსაქციის მოტივით ყოველდღიურ მომხმარებაში და საგარეო ვაჭრობის დაფინანსებისათვის, მაშინ როცა ქონების მოტივით რუბლს უკვე უცხოური ვალუტები, უპირველესად კი აშშ დოლარი (US) უწევდა კონკურენციას. სწორედ ეს ფაქტი, პარალელური ვალუტებისა, წარმოადგენს სავალუტო სუბსტიტუციის საბაბს ქართულ ეკონომიკაში.

ე.წ. კუპონის მასის დიდი მასშტაბით ზრდას ხელს უწყობდა ეროვნული ბანკის მიერ მთავრობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი დაკრედიტება. “სახელმწიფო

მეთაურის 1993 წლის განკარგულებით, ეროვნულ ბანკს დაუვალა მთავრობისთვის 720 მილიარდი კუპონის მოცულობის სესხის გამოყოფა, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა იმ დროისთვის ეკონომიკაში არსებული ფულზე მოთხოვნის მოცულობას. ამგვარმა არასწორმა პოლიტიკამ შესაბამისი შედეგი გამოიღო და წლიურმა ინფლაციამ 1993-1994 წლებში, შესაბამისად 7500 და 6500 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული პიპერინფლაციური პროცესების შედეგად მთლიანად გაუფასურდა მოსახლეობის დანაზოგები.”<sup>A76</sup>

პიპერინფლაციასთან ერთად რუბლზე მოთხოვნის შენარჩუნება განპირობებული იყო აგრეთვე საგარეო ვაჭრობის მოტივით სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც, რადგან ერთმანეთზე მოდიოდა საქონელგაცვლის 80%. ასე რომ პარალელური ვალუტების პირობებში შეიქმნა ე.წ. სავალუტო კურსის სისტემა<sup>B30</sup> (შემდგომში: *UU - ზონა*), რომელშიც რუსული რუბლი (შემდგომში: *RU – Russian Rubl*) ე.წ. „ანკესის“ როლს ასრულებდა, რომლის საშუალებითაც განისაზღვრებოდა ჯვარედინი გაცვლითი კურსები იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ერთმანეთთან საგარეო ვაჭრობას ეწეოდნენ. ე.ი. რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა<sup>B30</sup> ვერ შეძლო რუბლის ზონის შენარჩუნება მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, მაგრამ *UU - ზონაში* სწორედ რუსულ რუბლს (*RU*) დაეკისრა მედიატორის როლი.

1992-1995 საქართველო ამ *UU - ზონის* უნგბური მონაწილე იყო, რომლის არსებობას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ რუსეთის ცენტრალური ბანკის გარდა სხვა არცერთ ეროვნულ ბანკს არ გააჩნდა სავალუტო რეზერვები, რომელიც უზრუნველყოფდა აქტივების შევსებას.

კერძო პირებისა და ფირმების დანაზოგების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან რუბლებში იყო დენომინირებული, და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი აშშ დოლარში. 1992 წლის მონაცემებით <sup>A76</sup> საქართველოს მოსახლეობის დანაზოგები შეადგენდა 950-მლნ რუსულ რუბლს და 21 მლნ აშშ დოლარს.

1992-1998 ამ *UU - ზონის* მთავარი თავისებურება<sup>B30</sup> მდოგმარეობდა იმაში, რომ ის, როგორც სავალუტო კურსების სისტემა, წარმოადგენდა სტიქიურ საბაზრო წარმონაქმნეს, რომელშიც არმონაწილეობა გამოიწვევდა ქვეყნის ეკონომიკურ იზოლაციას, ხოლო მონაწილეობა მთავარ დაბრკოლებას ეროვნული სავალუტო სისტემის განვითარებისათვის. ამასთან არ არსებობდა რაიმე სახელმწიფოთმოქმნილი ქვეყნების

ეროვნულ ბანკებს შეეძლოთ ერთობლივი მექანიზმები შეექმნათ მონეტარული სტაბილიზაციის უზრუნველყოფისათვის თავიანთ ქვეყნებში.

ფაქტიურად, რუსეთის ცენტრალური ბანკი<sup>830</sup> სხვა ქვეყნებს სთავაზობდა არჩევანს *RU*-ზონაში შესვლასა და *UU*-ზონას შორის. *RU*-ზონა ნიშნავდა მონეტარულ სუვერენიტეტზე უარის თქმას, ხოლო *UU*-ზონა კი ეროვნული გალუტის მიუხედავად თანხმობას იმაზე, რომ რუსული რუბლი (*RU*) შეასრულებდა მედიატორის როლს სხვა ვალუტებთან მიმართებაში იმის გათვალისწინებით, რომ რუსული რუბლი (*RU*) ცალმხრივად იქნებოდა მიბმული აშშ დოლართან (*US*) და მისი დინამიკა ცალმხრივად რუსეთის ცენტრალური ბანკის პოლიტიკაზე იქნებოდა დამოკიდებული.

ამ პოლიტიკის ფარგლებში ყველაზე ცნობილი მოვლენაა<sup>830</sup> რუსეთის ცენტრალური ბანკის მიერ რუსული რუბლის (*RU*) ხელოგნური დევალვაცია 25%-თ ერთი დღის განმავლობაში 1994 წლის 11 ოქტომბერს. ეროვნულ ბანკებს შორის ისედაც მწირი მონეტარული ინსტრუმენტების არაკორდინირებულობის პირობებში ეროვნული ბანკის ერთადერთი ამოცანას წარმოადგენდა პრევენციული დონისძიებების გატარება, რის გამოც ზედმეტია საუბარი მონეტარული რეფორმების ხარისხზე და მონეტარული სტაბილიზაციის მიზანმიმართულ უზრუნველყოფაზე.

1992-1998 საქართველოში სავალუტო რეფორმისთვის დამახასიათებელი იყო შეუთავსებლობა<sup>830</sup> ერთის მხრივ, *UU*-ზონაში სავალუტო კურსის სისტემის შედეგად ფულის ნომინალური მიწოდების ენდოგენიზაციასა და მეორე მხრივ, მონეტარული პოლიტიკის ნაკლებ კოორდინაციას შორის (იმ ქვეყნებთან მაინც, რომლებიც იმ პერიოდში საქართველოს საფაჭრო პარტნიორებს წარმოადგენდნენ), რის გამოც ავტომატურად ხდებოდა მონეტარული რეფორმის უმთავრესი მიზნის - მონეტარული დამოუკიდებლობის - უგულებელყოფა.

მონეტარული სტაბილიზაციის პროცესში, რომელიც ეკონომიკური ტრანსფორმაციის აუცილებელ წინაპირობად ითვლებოდა, შესაძლებელია წარმოქმნილი პრობლემების ორ ძირითად ჯგუფად დაყოფა:<sup>833</sup>

- 1) *RU*-ზონაზე უარის მიუხედავად მაინც შენარჩუნდა მონეტარული ურთიერთდამოკიდებულება ახლად წარმოქმნილ ქვეყნებს შორის, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ეროვნული ბანკების პოლიტიკა ექვემდებარებოდა თვითწარმოქმნილი სავალუტო კურსის სისტემას. ამასთან, თითქმის ყველა

ქვეყანაში ფულის მიწოდებაზე შეინიშნებოდა ფისკალური ზეგავლენაც. მწირი საგადასახადო შემოსავლების პირობებში ეროვნული ბანკები იძულებული იყვნენ მთავრობებზე გაეცათ მოკლევადიანი სესხები მიმდინარე საბიუჯეტო ვალდებულებების დაფინანსების მიზნით. ასეთ პირობებში მონეტარული დამოუკიდებლობის პრინციპი უტოპიად იქცა. რუსეთის ცენტრალური ბანკი ხელს უშლიდა სხვა ეროვნულ ბანკებს, მისგან დამოუკიდებლად მოეხდინათ მონეტარული პოლიტიკების კოორდინაცია.

2) უნდობლობის ზრდა *UU*-ზონაში სავალუტო კურსის სისტემის მიმართ მისი მედიატორის – რუსული რუბლის (*RU*) ინფლაციური ხასიათის გამო. ეროვნული ვალუტების არაკონვერტირებადობამ გამოიწვია სერიოზული ჩავარდნები როგორც ანგარიშსწორების პროცესში, ისე საგარეო ვაჭრობაში; ე.წ. გადახდისუნარიანობის პრობლემებით. გადახდისუნარიანობის დაქვეითების გამო ქვეყნები, რომელთაც დეფიციტი ჰქონდათ მიმდინარე ანგარიშში, აღმოჩნდნენ საგადამხდელო ბალანსის კრიზისის წინაშე. ეროვნული ვალუტების არაკონვერტირებადობის გამო საგარეო ვაჭრობის ჩაშლა ან უკიდურეს შემთხვევებში ბარტერული გარიგებების განხორციელება მოასწავებდა დაბალ ლიკივდობაზე, რაც განაპირობებდა მოთხოვნას მყარი ვალუტის, უპირველეასდ აშშ დოლარის (*US*) მიმართ.

დეზინტეგრაციის პარალელურად ახალი ბაზრების არარსებობამ ხელი შეუწყო რეალურ სექტორში წარმოების დაცემას (1992-1995: -68%, საშუალო წლიური) და საქართველოც აღმოჩნდა სტაგფლაციაში <sup>476</sup>, რომელიც მაკროეკონომიკური თეორიის მიხედვით გულისხმობს მონეტარული დესტაბილიზაციის (პიპერინფლაცია: 1992-1995: 720% - საშუალო წლიური) პარალელურად ეკონომიკის შემცირებას დროის მრავალი პერიოდის განმავლობაში..

„ტრანსფორმაციის ნაცვლად სტაგფლაცია,“ - ასეთ პირობებში დოლარიზაციის პროცესი წარმოადგენდა გარდაუგალ მოვლენას ქართულ ეკონომიკაში. დოლარიზაცია შეიძლება მივიჩნიოთ არა მხოლოდ როგორც პრევენციული დანიშნულების მოვლენა, არამედ როგორც ობიექტური რეალობით გამოწვეული ერთადერთი საშუალება სტაგფლაციიდან თავის დაღწევისა და განვითარების მიზნით.

## 1-2 სტაგფლაციის ტრანსმისია (1991-1995)

განვიხილოთ რესეფთი უცხოური ეკონომიკის როლში, ხოლო საქართველოს ეროვნული ეკონომიკა როგორც პატარა დია ეკონომიკა (*SMOPEC*). ამასთან მათ ვალუტებს შორის გაცვლითი კურსი მხოლოდ მოკლევადიან ეკონომიკურ პერიოდში (*short run*) წარმოადგენს მონეტარულ ფენომენს, და ეფუძნება მსყიდველობითუნარიანობის პიპოთეზას მხოლოდ გრძელვადიან ეკონომიკურ პერიოდში (*long run*), რომლის დროსაც ეკონომიკურის რეალურ სექტორში ფასები სრულად ცვლადია.

$$(1.1) \quad p_t^{GL} = p_t^{RU} + s_t, \text{ სადაც}$$

$p_t^{GL} = \ln P_t^{GL}$ , – ფასების დონე საქართველოში (*GL – Georgian Lari*);

$P_t^{RU} = \ln P_t^{RU}$ , – ფასების დონე რესეფთში (*RU – Russian Rubl*);

$s_t = \ln S_t$ , – ნომინალური სავალუტო პურსი.

ეროვნული ვალუტის ბაზარზე წონასწორობის ( $LM_t^{GL} - \text{Curve}$ ):

$$(2.1) \quad m_t^{GL} - p_t^{GL} = c_1 y_t^{GL} + c_2 R_t^{GL}, \text{ სადაც:}$$

$$c_1 = \frac{(m_t^{GL} - p_t^{GL})}{y_t^{GL}} > 0 ; \quad c_2 = \frac{(m_t^{GL} - p_t^{GL})}{R_t^{GL}} < 0.$$

$m_t^{GL} = \ln M_t$  – ეროვნული ვალუტის ნომინალური მიწოდება;

$R_t^{GL}$  – ეროვნული ვალუტაში სარგებლის ნომინალური განაკვეთი;

სრული მოლოდინის (ე.ო. the perfect Forecast:  $s_{t+1} - s_t = \Delta s_{t+1} = \Delta s_{t+1}^e$ ), აგრეთვე ბაზრის მონაწილეების მხრიდან რისკის ნეიტრალურობის შემთხვევაში რესეფთისა და საქართველოს მონეტარულ სექტორებს შორის ურთიერთკავშირის გამოხატვა შესაძლებელია სარგებლის განაკვეთების პარიტეტის საშუალებით:

$$(3.1) \quad R_t^{GL} = R_t^{RU} + \Delta s_{t+1}.$$

სარგებლის განაკვეთების პარიტეტის (3.1) გათვალისწინებით შესაძლებელია ეროვნული ვალუტის ბაზარზე წონასწორობის (3.2) შემდეგნაირად გამოსახვა:

$$(4.1) \quad p_t^{GL} = m_t^{GL} - c_1 y_t^{GL} - c_2 R_t^{RU} - c_2 \Delta s_t,$$

(1.1) და (4.1) ურთიერთდაკავშირებით მივიღებთ  $s_t$  - ნომინალურ სავალუტო კურსს. სავალუტო კურსის უცვლელობის ( $\Delta s_{t+1} = 0$ ) პირობებში მისი

დაფიქსირება არამხოლოდ ეროვნულ პარამეტრებზე ( $y_t^{GL}$ ), არამედ უცხოეთის – ამ შემთხვევაში რუსეთის პარამეტრებზე ( $R_t^{RU}, p_t^{RU}$ ) არის დამოკიდებული.

$$(5.1) \quad \bar{s} = m_t^{GL} - c_1 y_t^{GL} - c_2 R_t^{RU} - p_t^{RU}.$$

ეროვნული ვალუტის ბაზარზე ნომინალური მიწოდება ( $m_t^{GL}$ ) ეროვნული პარამეტრების ( $R_t^{GL}, y_t^{GL}$ ) გვერდით სავალუტო კურსის ფიქსირებულ სიდიდეზე  $\bar{s}$  ხდება დამოკიდებული.

$$(6.1) \quad m_t^{GL} = \bar{s} + c_1 y_t^{GL} + c_2 R_t^{RU} + p_t^{RU}.$$

რეალური სავალუტო კურსი ( $e_t = \ln E_t$ ) ასახავს საგარეო გაჭრობაში ექსპორტ-იმპორტის ქვოტის ინვერსულ სიდიდეს (*TOT – the Inverse Term of Trade*) და გამოხატავს სავაჭრო პროდუქტების რაოდენობრივ კავშირს ეროვნულ და უცხოეთის ბაზრებს შორის.

$$(7.1) \quad e_t = s_t + p_t^{RU} - p_t^{GL}.$$

რეალური სავალუტო კურსი ( $e_t$ ) გამოხატავს აგრეთვე მიმდინარე ანგარიშის (*CA<sub>t</sub> – the Current Accounts*) გავლენას გვონიმიკის რეალურ სექტორზე და ეროვნული შემოსავლის ნომინალური დონე ( $y_t^{GL} = \ln Y_t^{GL}$ ) რეალური სექტორის წონასწორობის (*IS<sub>t</sub><sup>GL</sup> – Curve*) პირობებში უცხოეთის მთლიან შიდა პროდუქტზე ( $y_t^{RU} = \ln Y_t^{RU}$ ) არის დამოკიდებული:

$$(8.1) \quad y_t^{GL} = a_1 r_t^{GL} + a_2 e_t + a_3 g_t^{GL} + a_4 y_t^{RU},$$

სადაც:

$r_t^{GL}$  – რეალური სარგებელი ეროვნულ ვალუტაში;


$g_t^{GL} = \ln G_t^{GL}$ , – ეროვნული ბიუჯეტი;

$$a_1 < 0, \quad a_2 > 0, \quad a_3 > 0, \quad a_4 > 0.$$

გ.ი. (8.1)-ის მიხედვით უცხოეთის ეროვნული შემოსავალი ( $y_t^{RU}$ ) წარმოადგენს *IS<sub>t</sub><sup>GL</sup>*-მრუდის განლაგების პარამეტრს. ყველა სხვა დანარჩენი განლაგების პარამეტრის ( $\Delta g_t^{GL} = g_t^{GL} - g_{t-1}^{GL} = 0; \Delta r_t^{GL} = r_t^{GL} - r_{t-1}^{GL} = 0; \Delta e_t = e_t - e_{t-1} = 0$ ) უცვლელობის პირობებში (*c.p.-წესი*) მოკლევადიან ეკონომიკურ პერიოდში ( $\Delta p_t^{GL} = 0$ ) უცხოეთის ეროვნული შემოსავლის შემცირება ( $\Delta y_t^{RU} < 0$ ) გამოიწვევს ეროვნულ

ეკონომიკაშიც ეროვნული შემოსავლის შემცირებას ( $\Delta y_t^{GL} < 0$ ), რამდენადაც შესაბამისი კოეფიციენტი არის დადგბითი  $a_4 > 0$ . გრაფიკულად (იხილეთ სურათი 1) ეროვნული შემოსავლის ტრანსმისიის მოვლენა აისახება  $IS_t^{GL}(r_t^{GL}, e_t, g_t^{GL}, y_t^{RU})$  – მრუდის მარცხნივ გადაადგილებაში. აქ იგულისხმება ე.წ. კონიუნქტურის ტრანსმისია, როცა საგარეო მოთხოვნის შემცირება იწვევს ეროვნული წარმოების შემცირებას. მრუდის განლაგების შეცვლა იწვევს მაკრო-უწონასწორობას ეროვნულ ეკონომიკის რეალურ სექტორში დროის  $t$ . მომენტისათვის.

**სურათი 1-2-1:** სტაგფლაციის ტრანსმისია



იმისთვის, რომ გამოვსახოთ მონეტარული სექტორის რეაქცია, საჭიროა დროის შემდგომი პერიოდისთვის  $[t-1; t]$  განვსაზღვროთ ეროვნული ვალუტის მიწოდების რეალური განზომილება ( $m_t^{GL} - p_t^{GL}$ ), რისთვისაც აუცილებელია მოკლევადიანიდან გადასვლას გრძელვადიან  $[t-1; t+1]$  ანალიზზე. დროის ამ პერიოდში ფასები უკვე იცვლება და ეს ცვლილება დამოკიდებულია ეროვნული შემოსავლის გადახრაზე მისი წონასწორობის დონიდან.

$$(9.1) \quad \Delta p_t^{GL} = \varphi(\bar{y}_t^{GL} - y_t^{GL}), \text{ სადაც } \Delta p_t^{GL} = p_t - p_{t-1} \text{ და } \varphi < 0.$$

მონეტარული ტრანსმისის პირობებში  $[t+1]$ -მომენტისათვის მოსალოდნელი ფასების დონე დამოკიდებულია რეალური სავალუტო კურსის ( $e_{t+1}$ ) ცვლილებაზე, რაც გამოწვეულია ეროვნული შემოსავლის შემცირებით:

$$(10.1) \quad p_{t+1} = \bar{s} + p_{t+1}^{RU} + \frac{a_1 r_{t+1}^{GL} + a_3 g_{t-1}^{GL} + a_4 y_{t+1}^{RR} - y_{t+1}^{GL}}{c_2},$$

სადაც რეალური სარგებელი ეროვნულ ეკონომიკაში უცხოეთიდან განისაზღვრება უცხოეთთან ნომინალური სარგებლის პარიტეტის გამო:

$$(11.1) \quad r_{t+1}^{GL} = R_{t+1}^{GL} - \Delta p_{t+1}^{GL} = R_{t+1}^{RU} - \Delta p_{t+1}^{GL}.$$

(10.1)-ის გათვალისწინებით (11.1)-ში მივიღებთ:

$$(12.1) \quad p_{t+1}^{GL} = \bar{s} + p_{t+1}^{RU} + \frac{a_1 R_{t+1}^{GL} + a_3 g_{t-1}^{GL} + a_4 y_{t+1}^{RU} - \frac{y_{t+1}^{GL} + a_1 \Delta p_{t+1}^{GL}}{c_2}}{c_2}.$$

(9.1)-ის გათვალისწინებით (12.1)-ში მივიღებთ:

$$(13.1) \quad p_{t+1}^{GL} = \bar{s} + p_{t+1}^{RU} + \underbrace{\frac{a_1 R_{t+1}^{GL} + a_3 g_{t-1}^{GL} + a_4 y_{t+1}^{RU}}{c_2}}_{c.p. \text{ constant}} - \frac{y_t^{GL}(1-a_1\varphi) + a_1\varphi y_t^{GL}}{c_2}.$$

$RU$  – ზონიდან  $UU$  – ზონაზე გადასვლის მიუხედავად, ნომინალურმა სავალუტო კურსმა  $(\bar{s})$  გამოიწვია (13.1)-ის მიხედვით ფასების ურთიერთდაკავშირება ( $\Delta p_{t+1}^{GL} = \Delta p_{t+1}^{RU}$ ) უცხოეთსა და ეროვნულ ეკონომიკას შორის, ხოლო მათი ცვლილება ეროვნული შემოსავლების ცვლილებაზეა დამოკიდებული:

$$(14.1) \quad \Delta p_{t+1}^{RU} = \varphi(y_t^{RU} - y_{t+1}^{RU}), \quad \text{სადაც} \quad \varphi > 0.$$

ე.ო. სტაგნაციის ტრანსმისია უცხოეთიდან ეროვნულ ეკონომიკაში გრძელვადიან პერიოდში ინფლაციის ტრანსმისიასაც იწვევს. გ.წ. სტაგფლაცია.

$$(15.1) \quad \text{უცხოეთი: } y_t^{RU} - y_{t+1}^{RU} > 0 \Rightarrow \Delta p_{t+1}^{RU} > 0; \text{ i.e. } p_{t+1}^{RU} > p_t^{RU}.$$

$$(15.2) \quad \text{ეროვნული: } y_t^{GL} - y_{t+1}^{GL} > 0 \Rightarrow \Delta p_{t+1}^{GL} > 0; \text{ i.e. } p_{t+1}^{GL} > p_t^{GL}.$$

ეროვნული შემოსავლის  $(\Delta y_{t+1}^{GL} = y_{t+1}^{GL} - y_t^{GL} < 0)$  შემცირების გამო (2.1)-ის თანახმად  $\left( c_1 = \frac{\Delta(m_t^{GL} - p_t^{GL})}{\Delta y_t^{GL}} > 0 \right)$  ბიურდება ეროვნულ გალუტაზე მოთხოვნის


რეალური განზომილება. მონეტარული უწონასწორობის აღმოსაფხვრელად (15.1) და (15.2)-ის თანახმად უცხოეთის ინფლაცია სავალუტო კურსის სისტემის პირობებში იწვევს  $UU$ -ზონის ინფლაციის ტრანსმისიას ეროვნულ ეკონომიკებს შოირს, რის გამოც მცირდება ეროვნული გალუტის მიწოდების რეალური დონე  $\left(\overline{m^{GL}} - p_{t+1}^{GL}\right) > \left(\overline{m^{GL}} - p_{t-1}^{GL}\right)$  და გრაფიკულად ხდება  $LM_t^{GL}(y_t^{GL}, R_t^{GL}) -$  მრუდის მარცხნივ გადაადგილება.

აქმდე განვიხილავდით უცხოეთიდან სტაგფლაციის ტრანსმისიას ეროვნულ ეკონომიკაში, რაც გამოწვეული იყო რუბლის ზონიდან სავალუტო კურსის სისტემაზე გადასვლით ახლადწარმოქმნილი ეროვნული ვალუტების პირობებში. ამ დროს უცხოური ვალუტის მიწოდება, ამ შემთხვევაში ( $m_t^{RU}$ ) - რუსული რუბლი, ეგზოგენურ სიდიდეს წარმოადგენდა ეროვნული ეკონომიკისთვის.

როგორც ადგნიშნეთ, სავალუტო კურსის სისტემაში<sup>A16</sup> არა მხოლოდ რუსეთი და საქართველო მონაწილეობდნენ, არამედ სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნები, მათ შორის ქვეყნები ისეთი დიდი ეკონომიკებით, როგორც უკრაინა, ყაზახეთი, ბელარუსი, უზბეკეთი, რომელთა შორი რუსეთის ჩათვლით სტაგფლაციური პროცესები ჯაჭვურ რეაქციას წარმოადგენდა. ამასთან, საქართველოსთან შედარებით, ეს ქვეყნები კიდევ უფრო მჭიდრო ეკონომიკურ კავშირში იყვნენ რუსეთის ეკონომიკასთან, წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზრებს რუსეთის მრეწველობისათვის და თითოეულ მათგანში სტაგნაციისა და ინფლაციის მოვლენები, ან ორივე ერთად, მნიშვნელოვნად აისახებოდა რუსეთში ეკონომიკის შემცირებაზე.

ე.ი. სტაგფლაციის ტრანსმისია წარმოადგენდა მულტილატერარულ მოვლენას. მისი ფორმალურად გამოხატვის მიზნით საკმარისია ერთის მხრივ რუსეთის, და მეორე მხრივ ყველა სხვა დანარჩენი ქვეყნის (ე.წ.  $UU$ -ზონა) ერთმანეთთან დავაკავშირება, რათა წარმოჩნდეს რუსეთის ( $y_t^{RY}$ ) დამოკიდებულება სხვა ქვეყნებში ( $y_t^{UU}$ ) ეკონომიკურ სტაგფლაციაზე:

$$(16.1) \quad \begin{cases} m_t^{RU} - p_t^{RU} = c_0 + c_1 y_t^{RU} + c_2 R_t^{RU} \\ m_t^{UU} - p_t^{UU} = c_0 + c_1 y_t^{UU} + c_2 R_t^{UU} \\ s_t = p_t^{RU} - p_t^{UU} \\ \Delta s_t = R_t^{RU} - R_t^{UU} \end{cases}, \text{ where } c_1 > 0; c_2 < 0.$$



წყარო: [www.bloomberg.net](http://www.bloomberg.net)

ახლა  $s_t$ -ს ქვეშ იგულისხმება რუსეთის მხრიდან ეფექტური სავალუტო კურსი ამ ე.წ.  $UU$ -ზონის მიმართ, ხოლო ეფექტური კურსის ქვეშ იგულისხმება ორმხრივი სავალუტო კურსების საშუალო არითმეტიკულის შეწონილი სიდიდე რუსეთის საგარეო ვაჭრობაში  $UU$ -ზონის ქვეყნების შესაბამისი წილების მიხედვით. ფორმალურად, სწორედ ამ ეფექტური სავალუტო კურსის სტაბილურობაზე იყო დამოკიდებული ე.წ. სავალუტო კურსის სისტემის სტაბილურობა, რამდენადაც, როგორც უკვე წინა თავში ვერბალურად მიმოვინალეთ, რუსული რუბლი ასრულებდა მედიატორის ფუნქციას აღნიშნულ სისტემაში.

$$(17.1) \quad s_t = (m_t^{RU} - m_t^{UU}) - c_1(y_t^{RU} - y_t^{UU}).$$

$s_t$ -ს სტაბილურობის ერთადერთი წინაპირობა <sup>A16</sup> იქნებოდა  $\Delta m_t^{RU} = \Delta m_t^{UU}$ , რაც პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ერთის მხრივ რუსეთის ცენტრალური ბანკის დესტრუქციული ქმედებების, ხოლო მეორე მხრივ -  $UU$ -ზონის ქვეყნებს შორის მონეტარული პოლიტიკის არაკოორდინირებულობის გამო. (16.1)-ს შედეგი

მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიკური სტაგნაციისა და მონეტარული დესტაბილიზაციის პროცესები მათი ტრანსმისიის გამო ზევროგნულ მოგლენას წარმოადგენდა, რომელმაც  $UU$ -ზონის აბსოლიტურად ყველა ქვეყანა მოიცვა:

$$(16.2) \quad \begin{cases} p_{t+1}^{RU} = \bar{s} + p_{t+1}^{UU} + \frac{a_1 R_{t+1}^{RU} + a_3 g_{t-1}^{RU} + a_4 y_{t+1}^{UU}}{c_2} - \frac{y_{t+1}^{RU}(1-a_1\varphi) + a_1\varphi y_t^{UU}}{c_2} \\ \Delta p_{t+1}^{UU} = \varphi(y_t^{UU} - y_{t+1}^{UU}) \\ y_t^{UU} - y_{t+1}^{UU} > 0 \Rightarrow \Delta p_{t+1}^{UU} > 0; \text{ e.i. } p_{t+1}^{UU} > p_t^{UU} \\ y_t^{RU} - y_{t+1}^{RU} > 0 \Rightarrow \Delta p_{t+1}^{RU} > 0; \text{ e.i. } p_{t+1}^{RU} > p_t^{RU} \end{cases}.$$

სტაგფლაციის ტრანსმისიის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენდა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების შეზღუდული შესაძლებლობები, დაბალი კონკურენტუნარიანობის გამო, განეხორციელებიათ საგარეო გაჭრობის გეოგრაფიული და დარგობრივი რესტრუქტურზაცია. მათ ვერ შეძლეს ეროვნული პროდუქციისათვის ახალი ბაზების ათვისება, რის გამოც ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი კვლავაც მაღალი რჩებოდა.

რუსეთის ცენტრალური ბანკის მონოპოლიამ საგადასახადო და ანგარიშსწორების სისტემებზე<sup>B30</sup> აიძულა ქვეყნები, თავიდანვე ეზრუნათ ეროვნული ვალუტის შემოღებაზე, თუმცა ხშირ შემთხვევაში ეს წარმოადგენდა პრევენციულ ღონისძიებას და საერთაშორისო რეზერვების არარსებობის გამო მონეტარული სტაბილიზაციის შენარჩუნება შეუძლებელი ხდებოდა.

მონეტარულ სტაბილიზაციას ხელს უშლიდა სტიქიურად წარმოქმნილი სავალუტო კურსის სისტემა გ.წ.  $UU$ -ზონის სახით. საქმე იმაში იყო, რომ სავალუტო კურსის მექანიზმი იყო მარტივად დაშლადი, რამდენადაც მედიატორის როლს ასრულებდა რუსული რებლი ( $RU$ ), რომლის ინფლაციური ხასიათის გამო არსებულ სავალუტო კურსის მექანიზმს არსებობის შანსიც არ ჰქონდა.

$UU$ -ზონის დასასრულად <sup>B33</sup> შეიძლება ჩაითვალოს 1998 წლის 9. სექტემბერი, როცა რუსეთმა ზედიზედ ორჯერ საერთაშორისო გადახდისუნარობის (დეფოლტის მოცულობა:  $US 40$  მლრდ) გამო 200%-იანი ხელოვნური დევალვაცია განახორციელდა.

### 1-3. ( $n - 1$ ) - პრობლემიდან დოლარიზაციამდე

რუსული რუბლისადმი ( $RU$ ) ნდობის დაკარგვა, შესაბამისად მისი არაკონვერტირებადობა  $UU$ -ზონაში განპირობებული იყო საგალუტო კურსის სისტემის ინსტიტუციონალური სისუსტით, რამდენადაც სტაგფლაციის ტრანსმისიას რუსეთის მხრიდან არა მხოლოდ საქართველოსთან, არამედ  $UU$ -ზონის ყველა სხვა დანარჩენ ქვეყანასთან მიმართებაში პქონდა უარყოფითი შედეგები. საქმე იმაში იყო, რომ რუსეთი პოლიტიკური მოტივით ეძებდა გზებს რუბლის ზონის გასავრცელებლად სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე, ცენტრალური ბანკი გამოდიოდა ახალი შემოთავაზებებით, მაგრამ არანაირად არ იყო დაინტერესებული  $UU$ -ზონის სტაბილურობით, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ რუსულ რუბლს ( $RU$ ) უხდებოდა მედიატორის როლის შესრულება სხვა ეროვნულ ვალუტებს შორის.<sup>B30;B33</sup>

$n$ -ვალუტის პრობლემა<sup>B9;B13</sup> გულისხმობს სწორედ ისეთ სიტუაციას, როცა მედიატორი ვალუტის არასტაბილურობის გამო, ამ შემთხვევაში რუსული რუბლის ( $RU$ ) გამო, ერთმანეთს შორის გაცვლითი კურსის სტაბილურობის პრობლემა ექმნებათ იმ ეროვნულ ვალუტებს, რომლებიც მონაწილებდნენ  $UU$ -ზონაში მოქმედ იმ საგალუტო მექანიზმში, რომელშიც  $n$ -ვალუტის როლს თავად ეს მედიატორი ვალუტა ასრულებს, ამასთან წარმოადგენს ( $n - 1$ ) - რაოდენობას ორმხრივი გაცვლითი კურსებისა მედიატორ ვალუტასთან მიმართებაში.

$UU$ -ზონაში ეროვნული ვალუტების მიწოდება  $\left(m_t^{UU}\right)$  ენდოგენურ სიდიდეს წარმოადგენდა, განსაზღვრული იყო საგარეო გაუფასურებით, რაც ხელს უწყობდა უარყოფითი იმპულსების ტრანსმისიას როგორც მონეტარულ ისე რეალურ სექტორში, ხოლო ექსპორტულნარო ქვეყნებს საგადამხდელო ბალანსის კრიზისით ემუქრებოდა.

რუსეთის ცენტრალური ბანკის მხრიდან  $UU$ -ზონის სტაბილურობაზე ნაკლები ინტერესის გამო, მასში მონაწილე ქვეყნები სერიოზულად აღმოჩნდნენ ლიკვიდურობის პრობლემის წინაშე, რაც ბევრ მათგანში და მათ შორის საქართველოშიც პიპერინფლაციაში აისახა. ჯერ კიდევ 1992 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის გამოკვლევის მიხედვით<sup>B30</sup> პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს 1993-1998 მოსალოდნელი საგაჭრო ბალანსის დეფიციტის გამო დასჭირდებოდათ სავალუტო რეზერვების გახუთმაგება იმ მიზნით, რომ არსებულ

დონეზე მაინც შეენარჩუნებიათ ერთმანეთს შორის ვაჭრობა და თავიდან აეცილებიათ ეროვნული ეპონომიკების სტაგნაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო ეკონომიკების ინზოლვენცია – ე.ი. ერთმანეთს შორის გადახდისუუნარობა, ხოლო სტაგნაციაზე მონეტარული ექსპანსიით კონტრაქციის შემთხვევაში - სტაგფლაცია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ამ პროგნოზს ხსნიდა იმით, რომ რუსეთის გარდა არცერთ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყანას სავალუტო რეზერვების მინიმალური დონეც არ გააჩნდა, რუსეთის ცენტრალური ბანკი კი დახმარების სახით ქვეყნებს მხოლოდ ერთ მესიჯს სთავაზობდა: „თუ გსურს დაგეხმარო სავალუტო რეზერვებით, შემოდი რუბლის ზონაში.“

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს საქართველოს გადახდისუუნარობა თურქეთის მიმართ გაზის იმპორტისათვის, რომლის საერთო დავალიანებამ 1992-1994 წლებში US 400 მლნ შეადგინა. საქართველოს ფიზიკურადაც არ შეეძლო აღნიშნული რაოდენობის სავალუტო რეზერვის გაღება. 1992-1998 სავალუტო რეზერვებზე UU-ზონის მთლიანმა მოთხოვნამ US 55 მლრდ შეადგინა. მხოლოდ რუსეთზე მოდიოდა ამ მოთხოვნის US 40 მლრდ, რომლის დაუკმაყოფილებლობის გამო რუსეთმა კრედიტუუნარობა გამოაცხადა. ამასთან რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა რუსული რუბლის (RU) ხელოვნური დევალვაციით არამხოლოდ ხელი შეუწყო UU-ზონაში სავალუტო კურსის სისტემის მსხვრევას, არამედ იძულებული გახდა, უარი ეთქვა რუბლის ზონის გავრცელებაზე, რომელსაც მანამდე სთავაზობდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს.

UU-ზონაში ეროვნული ვალუტების მთლიანი მიწოდება  $m_t^{UU} = \ln M_t^{UU}$  აბსოლიტურად დამოკიდებული იყო ნებო-სავალუტო პოზიციებზე, რომლებიც მათ ეროვნულ ბანკებს ერთის მხრივ ეროვნულ ვალუტაში ( $b_t^{UU} = \ln B_t^{UU}$ ) , მეორე მხრივ კი უცხოურ ვალუტაში ( $F_t^{US} = \ln F_t^{US}$ ) უნდა ჰქონოდათ:

$$(1.1) \quad M_t^{UU} = B_t^{UU} + S_t \cdot F_t^{US}.$$

მონეტარული სისტემის სტაბილურობის წინაპირობა იქნებოდა:

$$(2.1) \quad \Delta B_t^{UU} + S_t \cdot \Delta F_t^{US} = 0, \Leftrightarrow |\Delta B_t^{UU}| = |\Delta F_t^{US}|.$$

*UU*-ზონის იმ ქვეყნებში, სადაც სავალუტო ბაზარზე მიმდინარე ანგარიშის დეფიციტით განპირობებული ზემოთხოვნის გამო, ე.ი.  $|\Delta B_t^{UU}| < |\Delta F_t^{US}|$ , ეროვნული ბანკები იძულებული იყვნენ თავდაპირველად დაეხარჯათ ისედაც მწირი რაოდენობის სავალუტო რეზერვები, რომლებიც მათ განკარგულებაში იყო, ხოლო შემდეგ მონეტარული ექსპანსიის ( $\Delta m_t^{UU} > 0$ ) გზით საერთოდ გაეთავისუფლებიათ სავალუტო კურსი ( $s_t$ ), რათა თავიდან აეცილებიათ საგადამხდელო ბალანსის კრიზისი. საბოლოო ჯამში ეს იწვევდა ეროვნული ვალუტების მიწოდების გაზრდას:

$$(3.1) \quad \overline{m^{UU}} + \Delta m_t^{UU} = s_t + c_1 y_t^{UU} + c_2 R_t^{UU} + p_t^{UU},$$


თუ შევადარებო ეროვნული ვალუტის მიწოდების ზრდას ( $\Delta m_t^{UU}$ ) დროის ( $t$ ) და ( $t+1$ ) მომენტებს შორის, იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნული ბანკები ვეღარ იცავდნენ სავალუტო კურსს ( $s_{t+1} \neq s_t$ ), მივიღებთ:

$$(4.1) \quad c_2 m_{t+1}^{UU} + \overline{m_t^{UU}} = (1 - c_2) s_t + c_1 y_t^{UU} + c_2 R_t^{UU} + p_t^{UU} + c_2 s_{t+1}, \quad \Leftrightarrow$$

$$(4.2) \quad s_t = \frac{c_2 m_{t+1}^{UU} + \overline{m_t^{UU}} - c_1 y_t^{UU} - c_2 R_t^{UU} - p_t^{UU}}{1 - c_2} + \frac{c_2}{1 - c_2} s_{t+1}, \quad (s_{t+1} - s_t = \Delta s_{t+1} > 0).$$

*UU*-ზონის ქვეყნებში ეროვნული ბანკები მათ ხელთ არსებული მონეტარული ინსტრუმენტების სიმრიცხვის გამო ვერ უზრუნველყოფნენ ეროვნული ვალუტების სტაბილურობას. ეროვნული ვალუტის მიწოდების განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენენ მინიმალური რეზერვების განაკვეთი (*mr – minimal reserves rate*) და ნალი ფულის ქოტა (*ca-cash quote*), თუმცა მოკლებული იყვნენ ისეთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის გამოყენებას, როგორიც იყო რეფინანსირების (ე.ი. დისკონტური და ლომბარდული) ოპერაციები და შესაბამისად რეფინანსირების განაკვეთის, ე.ი. მონეტარული პოლიტიკის ოფიციალური განაკვეთის, განსაზღვრა.

სურათი 1-3-1: დევალვაცია რუსეთში



წყარო: [www.bloomberg.net](http://www.bloomberg.net)

აღნიშნული მიზეზით უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის ზრდის ერთადერთ კონტრაქციულ დონისძიებას წარმოადგენდა ეროვნული ვალუტაში არაუზრუნველყოფილი კრედიტების გაცემა. ხშირ შემთხვევაში ასეთ კრედიტებს გასცემდნენ ეროვნული ბანკები კომერციულ ბანკებზე, ხოლო ისინი – თავის მხრივ კომერციულ ფირმებზე, რომლებიც ამ საკრედიტო რესურსით ცდილობდნენ საგარეო ვაჭრობის დაფინანსებას. ეროვნულ ვალუტაში ასეთი საკრედიტო ექსპანსია საბოლოოდ აისახებოდა ფულის მასის ზრდაში და შედეგად ეროვნული ვალუტის არასტაბილურობაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების მიუხედავად, რუსეთი ნაკლებ ყურადღებას ავლენდა UU-ზონის ქვეყნებში სავალუტო პრობლემების მიმართ. ასეთი დეზინტერესის მიზეზად რუსეთის ცენტრალური ბანკი ასახელებდა ინსტრუმენტების არფლობას, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ეროვნული ვალუტების ექსპანსიის გაპონტროლება, რაც სიმართელს არ შეესაბამება.<sup>833</sup>

რუსეთის ცენტრალურ ბანკს თავისუფლად შეეძლო UU-ზონაში მოქმედი გაცვლის კურსის სისტემა გამოეყენებია, როგორც კონტროლის მექანიზმი,

რადგან მასში სწორედ რუსული რუბლი (RU) ასრულებდა მედიატორის როლს (კ.წ. n-ვალუტა). ასეთი დესტრუქციული ქმნდებით რუსეთი ფაქტიურად უურადღების მიღმა ტოვებდა სავალუტო რეზერვებზე მოთხოვნას იმ სავაჭრო კავშირების მოტივით, რომლებიც UU-ზონის სხვა ქვეყნებს შორის რუსეთისგან დამოუკიდებლად არსებობდა.

“თუ პოსტსაბჭოთა ქვეყნები საკუთარი შესაძლებლობებით ვერ უმკლავდებიან სავალუტო პრობლემებს, მაშინ მათ არა უნდა დავეხმაროთ სავალუტო რეზერვებით, არამედ ვთავაზობთ რუბლის ზონაში შემოსვლას,”- რუსეთის ასეთი პოზიცია<sup>230</sup> საკმაოდ მოუქნელია, რომელსაც პერსპექტივა მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში შეიძლებოდა პქონოდა, იმის ნაცვლად რომ UU-ზონაში მონაწილეობით თავად ეტვირთა სტაბილიზატორის როლი გრძელვადიანი პერსპექტივით.

რუსეთის ცენტრალურ ბანკს ანგარიში უნდა გაეწია იმ ფაქტისთვის, რომ პოსტ-საბჭოთა ქვეყნები ეროვნულ ვალუტაზე არ იტყოდნენ უარს და მის დასაცავად სავალუტო რეზერვების მოძიების ახალ გზას დაადგებოდნენ, რომლის პირობებში რუსული რუბლი (RU) საერთოდ დაკარგავდა მედიატორის როლს UU-ზონაში. მართლაც, საქართველოს მაგალითზე, უკვე 1995 წლისთვის რუსული რუბლის (RU), როგორც სარეზერვო ვალუტის როლი უკვე უმნიშვნელო იყო.

მეტიც, რუსეთის ცენტრალური ბანკის ხისტი პოლიტიკის გამო, რუსულ რუბლს (RU), კონვერტირების პრობლემები<sup>231</sup> წარმოეშვა თავად რუსეთშიც, ე.ი. თავის ეროვნულ ბაზარზე, რომელმაც ყველაზე მეტად თავი სწორედ 1998 წლის ფინანსური კრიზისის დროს იჩინა. ამ დროისთვის ამერიკული დოლარი (US) ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, და მათ შორის რუსეთშიც, უკვე წარმოადგენდა მთავარ სარეზერვო ვალუტას და მათ ეკონომიკებში ეროვნულ ვალუტებს კონკურენციას უწევდა.

როგორც საქართველოში, ისე სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში და, მათ შორის – რუსეთში, გატარებული სავალუტო რეფორმები აბსოლიტურად ეწინააღმდეგებოდა და ვერ უზრუნველყოფდა მონეტარულ სტაბილურობას, როგორც ეკონომიკური ტრანსფორმაციის ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას. საქართველოში სავალუტო რეფორმა პრევენციულ, ხოლო რუსეთში – დესტრუქციულ ხასიათს ატარებდა.

აქედან გამომდინარე დოლარიზაცია შეიძლება დასახელდეს როგორც ( $n-1$ ) – პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზა, რუსული რუბლის (RU) მიმართ ნდობის დაკარგვისა და უპირველესად თავად რუსეთში სავალუტო რეფორმის წარუმატებლის გამო. აშშ დოლარი (US) გახდა ყველაზე უსაფრთხო საშუალება ეკონომიკური სუბიექტებისათვის როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო ტრანსაქციების განსახორციელებლად, და, აგრეთვე, კერძო პორტფელის შესაქმნელად და პირდაპირი ინვესტიციების განსახორციელებლად.

საქართველოში აშშ დოლარის (US) როლი მნიშვნელოვანია ეკონომიკური პოლიტიკის მოტივითაც. ეროვნული ბანკი მას იყენებს, როგორც სავალუტო რეზერვების საზომ ერთეულს, როგორც საინტერვენციო ვალუტას, და განსაზღვრავს მის მიმართ ოფიცილაჟური გაცვლის კურსს, როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილებების ორიენტირს.

“ეროვნული ბანკის შესახებ” კანონის თანახმად უცხოური ვალუტის გამოყენება, როგორც გადახდის საშუალება, აკრძალულია, გარდა სპეციალური ზონებისა (თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, აეროპორტები).

მიუხედავად ამისა, პოლიტიკური ასპექტებისგან დამოუკიდებლად, პირველ რიგში სავალუტო სუბსტიტუცია აისახება როგორც დანაზოგების აკუმულაციის ისე ეკონომიკის დაკრედიტების პროცესში. ე.ი. ქონების დაგროვების ფუნქცია უცხოურ ვალუტაშიც არის შესაძლებელი კანონის მიხედვით.

საქართველომ სწორედ დოლარიზაციის გზით<sup>71</sup> შეძლო ფინანსური რესურსების, ე.წ. “სასტარტო კაპიტალის, მოზიდვა”, რაც უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენდა ეკონომიკური იზოლაციიდან და სტაგფლაციიდან თავის დასაღწევად.

1998-2008 წლებში გრძელვადიანი საკრედიტო პორტფელი 15-ჯერ გაიზარდა უცხოურ ვალუტაში, ხოლო 5-ჯერ ეროვნულ ვალუტაში. რაც შეეხება ანაბრებს, იმავე პერიოდში 11-ჯერ გაიზარდა მათი პორტფელი უცხოურ ვალუტაში, ხოლო – 5-ჯერ ეროვნულ ვალუტაში<sup>72</sup>.

## 14. დოლარიზაციის ტესტი და საგალუპო სუბსტიტუციის ფუნქცია

დოლარიზაციის ტესტი მიზნად ისახავს ემპირიული მონაცემების საფუძველზე საქართველოს ეკონომიკის უახლეს ისტორიაში სავალუპო სუბსტიტუციის რაოდენობრივ განსაზღვრას, ამის საფუძველზე ძირითადი მონეტარული და მაკროეკონომიკური მიზეზების იდენტიფიცირებას, ხოლო შემდეგ მაკროეკონომიკური და პოლიტიკური შედეგების ანალიზს.

ემპირიული მონაცემების ძირითადი წყაროა საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული სტატისტიკა, რომლებიც შეიცავს ინფორმაციებს მონეტარული მიწოდების ძირითადი აგრეგატების (სარეზერვო ფული, M1, M2), დიკვიდობის მთავარი მონაცემებისა (ანაბრები, სესხები) და საბაზო მონაცემების (სავალუპო კურსი, ფასების დინამიკა, სარგებლის განაკვეთების) შესახებ.

\* \* \*

ემპირიული ანალიზი მოითხოვს უპირველესად იმის დადგენას, თუ როგორ მოხდება „სავალუპო სუბსტიტუციის“ – როგორც თეორიული კატეგორიის - პრაქტიკულ დონეზე წარმოჩენა. საქმე იმაშია, რომ უცხოური ვალუტის წილი სავალუპო პორტფელში ემპირიულ დონეზე სხვადასხვა ფორმით შეიძლება იყოს წარმოდგენილი.

საქართველოს ეროვნული ბანკის „მონეტარული და ფისკალური მიმოხილვის“ თანახმად სავალუპო სუბსტიტუციის ინდიკატორს წარმოადგენს გ.წ. დოლარიზაციის კოეფიციენტი.

ამასთან, ეროვნული ბანკი განასხვავების დოლარიზაციის კოეფიცინეტის ოთხ ძირითად ფორმას:

1) დოლარიზაციის კოეფიციენტი ( $\Omega (M3)$ ), როგორც უცხოური ვალუტის წილი ფართო ფულში:

$$(1.1) \quad \Omega_t = \frac{S_t \cdot FD_t^{US}}{M3_t^{GL}} ; \quad \text{სადაც}$$

$$(1.2) \quad M3_t^{GL} = M2_t^{GL} + S_t \cdot FD_t^{US}$$

$$(1.3) \quad M2_t^{GL} = CH1_t^{GL} + MD_t^{GL} = \left( M1_t^{GL} - M0_t^{GL} \right) + MD_t^{GL}$$

$$(1.4) \quad M1_t^{GL} = CH1_t^{GL} + \overbrace{CH2_t^{GL} + MN_t^{GL} + DD_t^{GL}}^{M0_t^{GL}}$$

$M3_t^{GL}$  – (*Wide Money*) – ფართო ფული;

$M2_t^{GL}$  – (*High Money*) – ფულის მასა;

$M1_t^{GL}$  – (*Monetary Base*) – საბაზისო ფული;

$M0_t^{GL}$  – (*Reserve Money*) – სარეზერვო ფული;

$CH1_t^{GL}$  – (*Cash in the Circulation*) – ნაღდი ფული მიმოქცევაში;

$CH2_t^{GL}$  – (*Cash at the Banks*) – ნაღდი ფული ბანკებში;

$DD_t^{GL}$  – (*Discount Deposits of the Banks at the NBG*) – დისკონტური ანაბრები;

$MN_t^{GL}$  – (*Minimal Reserves of the Banks at the NBG*) – კომერციული ბანკების სარეზერვო პოზიციები ეროვნულ ბანკში;

$MD_t^{GL}$  – (*Private Deposits in the National Currency*) – კერძო ანაბრები ეროვნულ გალუბაში;

$FD_t^{US}$  – (*Private Deposits in the Foreign Currency*) – კერძო ანაბრები უცხოურ გალუბაში;

$S_t$  – (*The FX Rate*) – ნომინალური სავალუტო კურსი.

აღნიშნული მეთოდით დოლარიზაციის კოეფიციენტის ( $\Omega(MB)$ ) გამოთვლისას გამოვლინდა უცხოური ვალუტის წილის მნიშვნელოვანი ზრდა ფართო ფულში. სტატისტიკური ინფორმაცია (**ცხრილი 1-4-1:** დოლარიზაციის კოეფიციენტი ფართო ფულის მიხედვით) შეიცავს ყოველწლიურ მონაცემებს ფართო ფულის ( $M3$ ) მთლიანი მოცულობის, ასევე მასში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივების ( $FD$ ) რაოდენობის, აგრეთვე ორივე მონაცემის ზრდის ტემპების შესახებ. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივების ( $FD$ ) მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა 1996-1999 და 2006-2008 წლებში. აღნიშნულ პერიოდებს ემთხვევა ფართო ფულის ( $M3$ ) მნიშვნელოვანი ზრდაც, რაც მათ შორის დადგით კავშირზე მეტყველებს ( $\rho = 55\%$ ). აღნიშნული მეთოდით დოლარიზაციის კოეფიციენტის ცვლილება ( $\Delta\Omega MB$ ) დადებითია და ეს ცვლილება ემთხვევა დასახელებულ პერიოდებს ( $1996+2\% \text{ 1997+4\% } 1998+4\% \text{ 1999+2\% } 2008+2\%$ ), რაც გარკვეულ შეაღედგებში უარყოფითი, თუმცა ნაკლებად უარყოფითი

ტრენდის (2004-12%; 2007-3%; 2009-5%) მიუხედავად ერთმნიშვნელოვნად მიუთეთებს დოლარიზაციის მაღალ ხარისხს.

დოლარიზაციის კოეფიციენტის აღნიშნული მეთოდი არასრულყოფილია იმის გამო, რომ უცხოურ ვალუტაში ნაღდი ფულის  $(FD_t^{US})$  მონაცემები ფართო ფულის  $(M3_t^{GL})$  მონაცემებში გათვალისწინებული არ არის. ყოველივე ეს შეუძლებელს ხდის იმის განსაზღვრას, თუ უცხოური ვალუტის რა ნაწილს იყენებენ ეპონომიკური სუბიექტები ტრანსაქციის მოტივით, რამდენადაც უცხოურ ვალუტაში კერძო ანაბრების  $(FD_t^{US})$  წილი, რომელსაც ფართო ფულის  $(M3_t^{GL})$  მონაცემები მოიცავს, მიუთითებს მხოლოდ ქონებრივ მოტივზე ეპონომიკური სუბიექტების მხრიდან.

\* \* \*

2) დოლარიზაციის კოეფიციენტი ( $\Omega(FD)$ ), როგორც უცხოური ვალუტის წილი ანაბრების პორტფელში:

$$(2.1) \quad \Omega_t = \frac{S_t \cdot FD_t^{US}}{MD_t^{GL} + S_t \cdot FD_t^{US}}.$$

დოლარიზაციის კოეფიციენტის ( $\Omega(FD)$ ) ამ მეთოდით წარმოჩენის ნაკლი მდგომარეობს კვლავინდებურად უცხოურ ვალუტაში ნაღდი ფულის  $(FD_t^{US})$  გაუთვალისწინებლობაში. მიუხედავად აღნიშნულისა, ამ შემთხვევაშიც ცალსახად იკვეთება უცხოური ვალუტის მნიშვნელოვანი როლი საბანკო ანაბრების (ცხრილი 1-4-2: დოლარიზაციის კოეფიციენტი ანაბრების პორტფელში უცხოური ვალუტის წილის მიხედვით) ფორმირების პროცესში, რომელიც 1995 წლის შემდგომი პერიოდიდან უწყვეტი ზრდადობით გამოირჩევა. 2009 წლის მონაცემებით უცხოურ ვალუტის წილი საბანკო ანაბრების მთლიან მოცულობაში შეადგენდა 73%, და მსგავსი მაღალი მაჩვენებლები დოლარიზაციის კოეფიციენტის ( $\Omega(FD)$ ) მიხედვით (1999: 79 % ; 2003: 86 %) დაფიქსირდა წინა წლებშიც, ისე რომ მხოლოდ 2004-2007 წლებში შეინიშნებოდა მსუბუქად კლების (2004: 75 % ; 2005: 72 % ; 2006: 69 % ; 2007: 65 %) ტენდენცია. 1995-2009 პერიოდისთვის მათი ზრდის ტემპებს შორის გამოვლინდა დადებითი კორელაცია ( $\rho[\Delta FD; \Delta \Omega] = 69\%$ ), ხოლო თითქმის აბსოლიტურია კავშირი ( $\rho[\Delta \Omega(FD); \Delta \Omega(M3)] = 69\%$ ) დოლარიზაციის კოეფიციენტის აქამდე წარმოდგენილ ორ მაჩვენებლს შორის

სავალუტო სუბსტიტუციის ასეთი ინტერპრეტაცია გულისხმობს მონეტარული სისტემის მხოლოდ ცალმხრივად (ე.ი. მხოლოდ ლიკვიდობის) წარმოჩენას, რაც ნაკლებად შესაძლებელს ხდის მონეტარული წონასწორობის სტაბილურობის განსაზღვრას.

\* \* \*

3) დოლარიზაციის კოეფიციენტი ( $\Omega(FC)$ ), როგორც უცხოური ვალუტის წილი საკრედიტო პორტფელში. დოლარიზაციის კოეფიციენტის ამ მეთოდით განსაზღვრა გამორიცხავს იმ პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია უცხოურ ვალუტაში ( $F_t^{US}$ ) ნაღდი ფულის მასასთან.

უპირველესად აღსანიშნავია, რომ ამ კოეფიციენტის გამოთვლა წინა მეთოდებისგან განსხვავებით უფრო დეტალურ მიღღომას მოითხოვს, რამდენადაც კრედიტების ვადიანობის მიხედვით ( ცხრილი 1-4-3: დოლარიზაციის კოეფიციენტი საკრედიტო პორტფელის მიხედვით) უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც განსხვავებული სურათები მივიღეთ. 2006-2009 წლებში მოკლევადიანი კრედიტები, რომლებიც ბანკების მიერ ძირითადში სამომხმარებლო დანიშნულებით გაიცემა, უფრო მეტად დენომინირებულია ეროვნულ ვალუტაში, მაშინ როდესაც გრძელვადიანი სესხების პორტფელში, რომელთაც უფრო სამრეწველო დანიშნულება გააჩნიათ, აგრეთვე უძრავი ქონების შეძენასა ან იჯარაზეა გაცემული, წლების მიხედვით ეროვნული ვალუტის წილი 23-27% ფარგლებში მერყეობს, ხოლო დანარჩენი უცხოურ ვალუტაზე (აშშ დოლარი - 70-75% ; ევრო - 5-7 % ; თურქული ლირა: 3-5%; აზერბაიჯანული მანათი: 1%); მოდის.

საკრედიტო პორტფელის მიხედვით დოლარიზაციის კოეფიციენტის ( $\Omega(FC)$ ) ყველაზე მკვეთრი ზრდა 2003-2004 წლებში (შესაბამისად: 87% და 86%) დაფიქსირდა, ხოლო შემდგომ პერიოდებში ეს მაჩვენებელი (2006: 75% ; 2007: 69%; 2008: 73%) შედარებითი კლებით გამოირჩევა, რაც ძირითადში ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ სამომხმარებლო კრედიტებზე მოთხოვნის გაზრდით შეიძლება აიხსნას. მიუხედავად ამისა, საკრედიტო პორტფელის მიხედვით დოლარიზაციის კოეფიციენტი ( $\Omega(FC)$ ) წინა ორი მეთოდით გამოთვლად დოლარიზაციის კოეფიციენტებთან იმყოფება დადებით კავშირში, როგორც ზრდის ტემპის, ისე აბსოლიტური მაჩვენებლის მიხედვით. უპირველესად დადებითი კორელაციის მაღალი დონე ფიქსირდება დოლარიზაციის

კოეფიციენტთან ( $\rho[\Omega FD, \Omega FQ] = 50\%$ ) ანაბრების პორტფელის მიხედვით, რაც სავალუტო სუბსტიტუციის საშუალო მაჩვენებლის ტოლფასია.

სავალუტო სუბსტიტუციის ასეთი ინტერპრეტაცია გულისხმობს მონეტარული სისტემის მხოლოდ ცალმხრივად (ე.ი. მხოლოდ მონეტარული მიწოდების) წარმოჩენას, რაც ნაკლებად შესაძლებელს ხდის მონეტარული წონასწორობის სტაბილურობის განსაზღვრას. ამასთან საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული სტატისტიკა შეიცავს ინფორმაციებს ეკონომიკის დაკრედიტების შესახებ მხოლოდ 2002 წლიდან და ვერ ასახავს სავალუტო სუბსტიტუციას 1991-1999 წლების მნიშვნელოვანი პერიოდისათვის.


\* \* \*

4) დოლარიზაციის შესაფასებლად ასევე მნიშვნელოვანია გარკვეული პერიოდის განმავლობაში საკრედიტო პორტფელიდან გაცემული ე.წ. სასესხო ნაკადების დოლარიზაციის კოეფიციენტზე დაკვირვება, რადგან ამ შემთხვევაში ყველაზე მეტი სიზუსტით არის შესაძლებელი ე.წ. ფინანსური დოლარიზაციის შეფასება (შეართ: საქართველოს ეროვნული ბანკი, „ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, 2009“, <http://www.nbg.ge/index.php?m=348..>). . ამ მიზნით გამორიცხული იქნა გაცვლითი კურსის ეფექტი, რომელმაც 2002-2009 წლების საკრედიტო პორტფელის მაჩვენებლის მიხედვით 3,2 % შეადგინა. საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის კიდევ უფრო დახვეწის მიზნით ასევე გამორიცხული იქნა საკრედიტო ნაშთების, აგრეთვე ე.წ. “ვადაგადაცილებული სესხების” მოცულობის ეფექტი, რადგანაც ამ მოცულობის ცვლილება არ გამოხატავს ეკონომიკური სუბიექტების დამოკიდებულებას ეროვნული ვალუტის მიმართ და გრძელვადიან პერიოდში სწორედ ეს დამოკიდებულება არის დოლარიზაციის განმსაზღვრელი ფაქტორი.

მოცულობით შესწორებული დოლარიზაციის გამოსათვლელად შეფასებული იქნა ნაკადებისა და ნაშთის შესაბამისი მოცულობის დოლარიზაციის კოეფიციენტებს შორის კავშირი მხოლოდ იმ დაშვებით, რომ კრედიტები მოცულობა უცვლელი რჩება. მიღებული შედეგების მიხედვით მოცულობის ცვლილების ეფექტი 3.7 % შეადგინს. ზემოთხსენებული ეფექტების შესწორების შემდეგ გამოვლინდა, რომ გაცემული კრედიტების ნაშთის დოლარიზაცია 2002-2009 წლების განმავლობაში გაიზარდა 7.3 %.

როგორც საკრედიტო პორტფელის სეგმენტირებით გამოვლინდა, 2002-2009 განმავლობაში კრედიტების ნაკადების მიხედვით დოლარიზაციის დინამიკა სტაბილური არ იყო, ამიტომ რამე ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება მიზანშეწონილი არ იქნებოდა. მეორე მხრივ, მოკლევადიანი კრედიტებისთვის შესაბამისი მაჩვენებლის ზრდა უფრო აშკარაა, რის გამოც კრედიტების ნაკადების დოლარიზაციის კოეფიციენტი ტრენდის საპირისპირო სურათს ( $\rho[\Delta FC; \Delta \Omega FC] = -7\%$ ) წარმოაჩენს, რაც დადებით მოლოდინს აჩენს იმასთან დაკავშირებით, რომ უცხოურ ვალუტის წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში შემცირდება ეროვნული ვალუტის სასარგებლოდ.

**სურათი 1-4-1:** დოლარიზაციის კოეფიციენტები



**წერო:** ცხრილები: 1-4-1 ; 1-4-2 ; 1-4-3

ამრიგად, სახეზე გვაქვს დოლარიზაციის სამი განსხვავებული კოეფიციენტი, რომლებიც, განსხვავებული მეთოდოლოგიის მიუხედავად, უჩვენებენ საერთო ტრენდს სავალუტო სუბსტიტუციის შესახებ. საერთო ტრენდი გამოხატავს დოლარიზაციის რაპიდულ ზრდას 1991-2003 წლებში, სტაბილიზაციის პროცესს 2003-2007 წლებში, ხოლო 2008-2009 წლებისათვის კვლავ მატებას.

ტესტის ბოლო ეტაპს წარმოადგენს მისი შედეგების სისტემატიზაცია და სავალუტო სუბსტიტუციის ( $\Omega_t$ ) შესაბამისი ფუნქციით გამოსახვა იმ დეტერმინანტების საშუალებით, რომელთა ცვლილებებმაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი ცვლილება შესაძლებელია განაპირობოს:

$$(3.1) \quad \Omega_t = f\left(\hat{S}_t^+, \hat{\pi}_t^{GL}, \hat{R}_t^{GL}, \hat{CC}_t^{US}, \hat{CTG}_t^{US}, \hat{CTP}_t^{US}\right)$$

$$= \omega_1 \cdot S_t + \omega_2 \cdot \pi_t^{GL} + \omega_3 \cdot R_t^{GL} + \omega_4 \cdot CC_t^{US} + \omega_5 \cdot CTG_t^{US} + \omega_6 \cdot CTP_t^{US}$$

სადაც:

1) ეროვნული ვალუტის დევალვაცია იწვევს სავალუტო სუბსტიტუციის ზრდას:

$$(3.2) \quad \omega_1 = \frac{\Delta \Omega_t}{\Delta S_t} > 0;$$

ინფლაცია იწვევს სავალუტო სუბსტიტუციის ზრდას:

$$(3.3) \quad \omega_2 = \frac{\Delta \Omega_t}{\Delta \pi_t} > 0;$$

ეროვნული ვალუტაში სარგებლის განაკვეთის ( $R_t^{GL}$ ) ზრდა იწვევს სავალუტო სუბსტიტუციის შემცირებას:

$$(3.4) \quad \omega_3 = \frac{\Delta \Omega_t}{\Delta R_t^{GL}} > 0;$$

საგადამხდელო ბალანსში კაპიტალის ანგარიშის ( $CC_t^{US}$ ) ზრდა (უცხოეთიდან პირდაპირი და პორტფელის ინვესტიციები) იწვევს სავალუტო სუბსტიტუციის ზრდას:

$$(3.5) \quad \omega_4 = \frac{\Delta \Omega_t}{\Delta CC_t^{US}} > 0;$$

უცხოური დახმარებების ზრდა, სახელმწიფოს საბიუჯეტო შემოსავლების ერთ-ერთი მუხლი, (ერთჯერადი ტრანსფერები ( $CTG_t^{US}$ ) საგადამხდელო ბალანსში) იწვევს სავალუტო სუბსტიტუციის ზრდას:

$$(3.6) \quad \omega_5 = \frac{\Delta \Omega_t}{\Delta CTG_t^{US}} > 0;$$

„ემიგრანტთა ტრანსფერების“ ზრდა (ცალმხრივი ტრანსფერები ( $CTP_t^{US}$ )) საგადამხდელო ბალანსში) იწვევს სავალუტო სუბსტიტუციის ზრდას:

$$(3.7) \quad \omega_6 = \frac{\Delta \Omega_t}{\Delta CTP_t^{US}} > 0.$$

სავალუტო სუბსტიტუცია ( $\Omega_t$ ) წარმოადგენს დოლარიზაციის კოეფიციენტის თეორიულ გამოსახულებას. მისი დეტერმინანტების განხილვისას

ურთიერთკავშირის ასახვა დოლარიზაციის სამიგე კოეფიციენტიან  
[ $\Omega(M3); \Omega(FD); \Omega(FC)$ ] მიზანშეწონილია.

\* \* \*

ტესტის შედეგები შესაძლებელს ხდის დოლარიზაციის ერთის მხრივ მიზეზების, და მეორე მხრივ - შედეგების ძირითად ჯგუფად სისტემატიზაციას:

**მიზეზთა ჯგუფი** მოიცავს ძირითად **მონეტარულ** ფაქტორებს, რომელთა გამოსავალურ პორტფელის დივერსიფიკაცია ემსახურება საბაზო რისკების განეთრალების მიზანს. აღნიშნული რისკები შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც ტრანსაქციის მოტივთან (ვალუტათშორისი გაცვლითი კურსის რისკი და ინფლაციის რისკი) ისე ქონების მოტივთან (ვალუტათშორისი სპეციალისტის განსხვავებული სარგებლის განაკვეთების გამო) ეკონომიკური სუბიექტების (მომხმარებლის ან სპეციალისტის) მხრიდან.

**მიზეზ-შედეგების ჯგუფი** მოიცავს დოლარიზაციის კავშირს ძირითად **მაკროეკონომიკურ** სიდიდეებთან (საგადამხდელო ბალანსი; ეროვნული შემოსავალი), სადაც უკვე საგალურ დივერსიფიკაცია წარმოჩენილია არა წარმომადგენლობითი ეკონომიკური სუბიექტის მოტივებით, არამედ ეროვნული ეკონომიკის დონეზე. მაკროეკონომიკური კუთხით დოლარიზაციის მიზეზს ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი საგადამხდელო ბალანსში. თუმცა როგორც ტესტი გვიჩვენებს, საქართველოს ეკონომიკისათვის სწორედ დოლარიზაცია წარმოადგენს საგადამხდელო ბალანსის კრიზისის თავიდან აცილების ერთადერთ პრევანციულ მექანიზმს ერთის მხრივ მიმდინარე ანგარიშის ქრონიკული დეფიციტის, ხოლო მეორე მხრივ უცხოური ტრანსფერებისა („ემიგრანტთა ტრანსფერები“; „საერთაშორისო გრანტები“) და კაპიტალის იმპორტის (პირდაპირი ინვესტიციები; პორტფელური-ინვესტიციები) ფონზე.

**შედეგების ჯგუფი** მოიცავს დოლარიზაციის **პოლიტიკურ** ასპექტებს, რაც ეფუძნება ინტერესთა ჯგუფების განსხვავებულ მოტივებს საგალურ პორტფელის დივერსიფიკაციის პროცესში. ეკონომიკურ პოლიტიკაში როლების ასეთი განაწილების პროცესს ეწოდება „მიზნებისა და ინტერესთა კონფლიქტი“.

როგორც დოლარიზაციის ტესტის შედეგებით გამოჩნდება, ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს, კერძოდ, მთავრობას - ერთის მხრივ, და ეროვნულ

ბანქს - მეორე მხრივ, განსხვავებული წარმოდგენები გააჩნიათ სავალუტო სუბსტიტუციისთან მიმართებაში. ეროვნული ბანკისთვის, როგორც ეროვნული ვალუტის ერთადერთი მიმწოდებლისთვის, მონეტარული სტაბილიზაციის უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანია სავალუტო სუბსტიტუციის შემცირება.

მთავრობის მხრიდან სავსებით შესაძლებელია, რომ პირიქით იყოს. მისი შედარებითი ტოლერაციულობა პარალელური ვალუტის მიმართ დამოკიდებულია ე.წ. „ინფლაციური გადასახადის“ მოცულობის საპროგნოზო მაჩვენებელზე, როგორც საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვან არაკონვენციონალურ ფორმაზე.

ქვეყნების მიხედვით „ინფლაციური გადასახადის“ განსხვავებული ფორმები არსებობს. ეს განსხვავება შეიძლება გამოიხატოს როგორც მის დაგეგმვაში, ისე განაწილების მეთოდებში, განსაკუთრებით დეცენტრალიზებული სახელმწიფო ფინანსების პირობებში. მიუხედავად ამისა, „ინფლაციური გადასახადის“ ყველა ფორმას აქვს ორი საერთო თავისებურება:

1) ინფლაციური გადასახადის შინაარსი მდგომარეობს ფულის მიწოდების დაბეგვრაში, ე.ი. ის ასახავს ფულადი მასის „ზემოქმედ ღირებულებას,“ მაგრამ ცალმხრივად დამოკიდებულია ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების განაკვეთის დახმარებით ე.წ. „საბაზისო ფულის“ ვარიაციაზე.

2) საგადასახადო კანონმდებლობა წესისამებრ არ განსაზღვრავს არც გადასახადის განაკვეთს და არც დაბეგვრის ფორმას. ის წარმოადგენს „ფინანსთა სამინისტროს წილს ეროვნული ბანკის ბუღალტრულ მოგებაში,“ რომლის ზრდაც მონეტარული ექსპანსიის შემთხვევაში არის მოსალოდნელი.

საქართველოს შემთხვევაში მნიშვნელოვანია აგრეთვე საერთაშორისო გრანტები, როგორც საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო, რის გამოც მოსალოდნელია მათი დადებითი კორელაცია სავალუტო სუბსტიტუციასთან. რამდენადაც საერთაშორისო გრანტებიც საგადამხდელო ბალანსში მიმდინარე ტრანსფერების სახით ჰპოვებს ასახვას, ის შეიძლება განხილულ იქნას სავალუტო სუბსტიტუციის მაკროეკონომიკურ მიზეზთა ჯგუფში, მაგრამ სავალუტო სუბსტიტუციის პოლიტიკური შედეგების ჯგუფში. ყველა შემთხვევაში საბიუჯეტო შემოსავლების უცხოურ გრანტებზე დამოკიდებულება კიდევ ერთი არგუმენტია იმის სასარგებლოდ, რომ მთავრობა გარკვეულწილად შეიძლება ტოლერანტული იყოს დოლარიზაციის პროცესის მიმართ.

## თავი 2.

# სავალუტო სუბსტიტუციასა და მონეტარულ სტაბილიზაციას შორის ურთიერთკავშირის თეორიული საფუძვლები

### 2-1. ჯოგანინის “უპირატესი ვალუტის მოდელი”

სავალუტო სუბსტიტუციის თეორიული საფუძვლები გულისხმობს ეკონომიკური სუბიექტებისათვის (ფირმები, მომხმარებლები, სახელმწიფო) მონეტარული მოთხოვნის ანალიზს მრავალგალუტიანი მონეტარული სისტემის პირობებში.

**სქემა:** ტრადიციული სავალუტო თეორიები vs სავალუტო სუბსტიტუციის მოდელები

სავალუტო სუბსტიტუციის მოდელები	სავალუტო სუბსტიტუციის თეორიები	სავალუტო სუბსტიტუციის მოდელი	სავალუტო სუბსტიტუციის მოდელი
"კომისიუსი და ალტრის მოდელი" ჯოგანინი	"კომისიუსი და ალტრის მოდელი" მარტინი	(სამუშავებელი)	გამოყენება და განვითარება
"თურქიული მოდელი" მარტინი	"თურქიული მოდელი" ფრანკი	(სამუშავებელი)	გამოყენება და განვითარება
"კომისიუსი მოდელი" განვითარება	"კომისიუსი მოდელი" მარტინი	(სამუშავებელი)	მატერიალური მოდელი
"კომისიუსი მოდელი" განვითარება	"კომისიუსი მოდელი" მარტინი	(სამუშავებელი)	გამოყენება და განვითარება
"სამუშავებელი მოდელი" კუტარება	"სამუშავებელი მოდელი" მარტინი	(სამუშავებელი)	სამუშავებელი და განვითარება
"თურქიული მოდელი" მარტინი	"თურქიული მოდელი" ფრანკი	(სამუშავებელი)	სამუშავებელი და განვითარება

მონეტარული თეორია განიხილავს ვალუტებზე მოთხოვნის ორ ძირითად მოტივს: ფულზე მოთხოვნა ტრანსაქციის მოტივით და ფულზე მოთხოვნა ქონებრივი მოტივით. სავალუტო სუბსტიტუციის პირობებში აღნიშნული მოტივები აისახება როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტისათვის შესაბამისი ფუნქციების (გადახდის საშუალება, ღირებულების საზომი, ქონების აკუმულაცია) შესრულებაში.

ფირმები, რომლებიც ეწევიან საგარეო ვაჭრობას, დაინტერესებულნი არიან ექსპორტ-იმპორტის განხორციელებისას სავალუტო და ინფლაციის რისკების განეიტრალებით. ეროვნული ვალუტის არასტაბილურობის შემთხვევაში ტრანსაქციის მიზნით უცხოური ვალუტის გამოყენება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზა. საერთაშორისო კომპანიები ყოველთვის მიისწავლიან თავიანთი სავალუტო პოზიციების

დივერსიფიკაციისაკენ, რაც ხელს უწყობს როგორც ამ პორტფელის სარგებლიანობის გაზრდას, ისე სავალუტო ტრანსაქციებთან დაკავშირებული სარჯების შემცირებას.

მომხმარებლები უცხოურ ვალუტას ტრანსაქციის მიზნით შეიძლება ფლობდნენ არა მხოლოდ ნაკლებად სტაბილური ეროვნული ვალუტის შემთხვევაში, არამედ, აგრეთვე, საზღვრისპირა მოხმარების განხორციელებისას მოსაზღვრე რეგიონებში, აგრეთვე ტურისტული დონისძიებებისათვის, როგორც სავალუტო ნაკადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ცნობილი წყარო.

ამის გამო ნებისმიერი თეორიული მოდელისათვის, რომელიც დაკავშირებულია სავალუტო სუბსტიტუციის მოვლენასთან, უპირველეს დაშვებას წარმოადგენს ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური ვალუტის, როგორც პარალელური ვალუტის, მიმოქცევაში არსებობა ეროვნული ვალუტის გვერდით.

ასეთი დაშვება შეიძლება დაეფუძნოს ეკონომიკური სუბიექტებისათვის როგორც კანონით მინიჭებულ უფლებას, ისე, კანონმდებლობისგან დამოუკიდებლად - განსაბუთრებით განვითარებად ეკონომიკებში, მათ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებას არა მხოლოდ ეროვნული, არამედ უცხოური ვალუტითაც სარგებლობასთან დაკავშირებით.

\* \* \*

“უპირატესი ვალუტის მოდელი”, რომელიც <sup>441</sup> აგრეთვე ცნობილია “ჯოვანინის მოდელის” სახელწოდებით (ალბერტო ჯოვანინი – ეკონომიკის პროფესორი, ნიუორკის კოლეგიის უნივერსიტეტი, აშშ) წარმოადგენს სავალუტო სუბსტიტუციის უკელაზე მარტივ იმპლიკაციას, რომელიც, როგორც სავალუტო კურსების მოქმედი რეჟიმის, ისე ლიკვიდურობის მიზნებისგან დამოუკიდებლად პასუხობს სავალუტო სუბსტიტუციის ფუნდამენტურ შეკითხვას, კერძოდ, თუ რა განსაზღვრებებს ეფუძნება საერთოდ ვალუტებს შორის არჩევანის გაკეთება, რომლებიც ეკონომიკური სუბიექტების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს.

შესაბამისად, სავალუტო პორტფელის ოპტიმალური კონსტრუქცია (ე.ი. ვალუტებს შორის პროპორცია  $\Omega$ ) უნდა ეფუძნებოდეს სამომხმარებლო ბიუჯეტის ოპტიმიზაციასთან ერთად ეკონომიკური სუბიექტის სარგებლიანობის ფუნქციისათვის მაქსიმალური დონის ( $\max U_t^n$  – Utility Maximization for n. Goods) დადგენას მიკროეკონომიკურ დონეზე.

ამ მიზნით მოდელის ავტორი განიხილავს ე.წ. წარმომადგენლობითი მომხმარებლის (*The representative Consument*) ორგალუტიან პორტფელს  $(L_t^M; L_t^F)$  და ორი პროდუქტისგან ( $n \in [1,2]$ ) შემდგარ სამომხმარებლო კალათას. ამასთან, ეროვნული ეკონომიკა აწარმოებს სამომხმარებლო კალათის მხოლოდ ერთ-ერთ პროდუქტს ( $n=1$ ), რომლის ფასი  $(P_t^M)$  იზომება ეროვნულ გალუტაში ( $M_t$ ), ხოლო მეორე პროდუქტი ( $n=1$ ) არის უცხოური წარმოების, და წარმომადგენლობით მომხმარებელს უწევს უცხოურ გალუტაში ( $F_t$ ) მისი ფასის  $(P_t^F)$  გადახდა. შესაბამისად, წარმომადგენლობითი მომხმარებლის სარგებლიანობის ფუნქცია შეიცავს ეროვნულ და უცხოურ პროდუქტებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას:

$$(1.1) \quad U_t^n = u\left(\frac{C_t^M}{P_t^M}; \frac{C_t^F}{P_t^F}\right) = C_t^M + S_t \cdot C_t^F.$$

სავალუტო სუბსტიტუციის ყველა სხვა მოდელისგან განსხვავებით ჯოვანინის მოდელის მთავარ თავისებურებას წარმოადგენს სიმულტანური წონასწორობის მოცემულობა – როგორც მოდელის ამოსავალი პუქნტი. წარმომადგენლობითი მომხმარებლის მაგალითზე წონასწორობის ანალიზის შემდეგ მოდელის ავტორი ცდილობს, რომელიმე გალუტის სასარგებლოდ სავალუტო პორტფელის სტრუქტურაში ცვლილების პროცესი წარმოაჩინოს როგორც წონასწორობიდან გადახრის პერიოდში შემთხვევა.

სიმულტანური წონასწორობის პირობებში მონეტარულ სექტორში:

$$(2.1) \quad M_t = L_t^M, \text{ - ეროვნული გალუტისათვის;}$$

$$(2.2) \quad F_t = L_t^F, \text{ - უცხოური გალუტისათვის.}$$

სიმულტანური წონასწორობის შესაბამისი ნომინალური სავალუტო კურსი ( $S_t$ ) განსაზღვრავს სავალუტო სუბსტიტუციას:

$$(3.1) \quad \Omega_t = \frac{S_t \cdot F_t}{M_t + S_t \cdot F_t}.$$

სიმულტანური წონასწორობის პირობებში რეალური სექტორისათვის:

$$(4.1) \quad L_t^M = C_t^M \cdot P_t^M, \text{ - ეროვნული გალუტისათვის;}$$

$$(4.2) \quad L_t^F = C_t^F \cdot P_t^F, \text{ - უცხოური გალუტისათვის.}$$

რეალურ და მონეტარულ სექტორებს შორის წონასწორობა გულისხმობს ვალუტათშორისი პროპორციის  $(L_t^F / L_t^M)$  ოპტიმალურად შერჩევას წარმომადგენლობითი მომხმარებლისათვის ოპტიმალური სამომხმარებლო კალათის  $(C_t^F / C_t^M)$  განაწილების მიზნით ეროვნულ  $(M_t)$  და უცხოურ  $(F_t)$  ვალუტებში:

$$(5.1) \quad M_t = C_t^M \cdot P_t^M, \text{ - ეროვნული ვალუტისათვის;}$$

$$(5.2) \quad F_t = C_t^F \cdot P_t^F, \text{ - უცხოური ვალუტისათვის.}$$

ბიუჯეტის მრავდის დახრილობის (*The Slope of the Budget Constraint*) კოეფიციენტი, რომელიც უზრუნველყოფს სამომხმარებლო კალათაში არსებული პროდუქტების ( $n = 1; 2$ ) მიხედვით წარმომადგენლობითი მომხმარებლისათვის სარგებლიანობის ფუნქციის მაქსიმალურ დონეს ( $\max U_t^n$ ), განისაზღვრება ამ პროდუქტებს შორის ფასების თანაფარდობით ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში (შემდგომში: შედარებითი ფასი). ამასთან ეს თანაფარდობა შეწონილია ნომინალური გაცვლის გურსით ( $S_t$ ) ეროვნულ  $(M_t)$  და უცხოურ  $(F_t)$  ვალუტებს შორის:

$$(6.1) \quad S_t \cdot \frac{P_t^M}{P_t^F} = \frac{C_t^F}{C_t^M}.$$

ჯოვანინის მოდელი წარმოადგენს სინთეზურ მოდელს, რამდენადაც იგი ცდილობს მონეტარისტული და ეკონომიკური ასპექტების ურთიერთდაკავშირებას სავალუტო სუბსტიტუციის განხილვისას. კერძოდ, იგი ფასების დონეს განიხილავს, როგორც ეკონომიკურ ფენომენს, და აღნიშნავს, რომ იმ ეკონომიკის ეროვნული შემოსავალი რომელიც სავალუტო სუბსტიტუციას აქვს ადგილი, სხვადასხვა ვალუტებში გამოსახვით იძლევა სავალუტო სუბსტიტუციის განსაზღვრის შესაძლებლობას. საქმე იმაშია, რომ სამომხმარებლო კალათაში არსებული ორივე პროდუქტისათვის ( $n = 1; 2$ ) სარგებლიანობის ფუნქციების მაქსიმალურ დონეს შეესაბამება სამომხმარებლო კალათაში სუბსტიტუციის უცვლელი ელასტიურობა ამ ორ პროდუქტს შორის, რომელიც თავად ამ სავალუტო სუბსტიტუციის შებრუნებული სიდიდეა  $(1/\Omega)$  და ადარ იცვლება მას შემდეგ, რაც წარმომადგენლობითი მომხმარებლის მიერ ვალუტაზე მოთხოვნის ფუნქცია ოპტიმალურად არის განაწილებული და შეესაბამება ბიუჯეტის მრავდის დახრილობის კოეფიციენტს, როგორც ეროვნულ და უცხოურ ვალუტას შორის ფასების თანაფარდობას:

$$(7.1) \quad S_t \cdot \frac{P_t^M}{P_t^F} = \left( \frac{Y_t^F}{Y_t^M} \right)^{\Omega_t}, \quad \text{სადაც}$$

$$(7.2) \quad Y_t^M = y(P_t^M), \quad - \text{ ეროვნული შემოსავალი ეროვნულ ვალუტაში;}$$

$$(7.3) \quad Y_t^F = y(P_t^F), \quad - \text{ ეროვნული შემოსავალი უცხოურ ვალუტაში.}$$

(7.1)-ის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ეროვნული შემოსავალი, რომლის გაზომვა როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში არის შესაძლებელი, მიიღება სწორედ იმ ორი პროდუქტის ( $n=1;2$ ) წარმოებით, რომელთა მოხმარებასთანაც არის დაკავშირებული ვალუტებს შორის ლიკვიდობის განაწილება წარმომადგენლობითი მომხმარებლის მხრიდან:

$$(8.1) \quad \frac{U_t^1}{U_t^2} = \left( \frac{Y_t^M}{Y_t^F} \right)^{\frac{1}{\Omega_t}}$$

ამასთან, თუკი სამომხმარებლო კალათის მეორე პროდუქტზე მოთხოვნა ნაწილობრივ მაინც დამოკიდებულია უცხოურ წარმოებაზე, შესაბამისი ნომინალური სავალუტო კურსი ( $S_t$ ), რომელიც ლიკვიდობის ოპტიმალურ განაწილებას უზრუნველყოფს ვალუტებს შორის, წარმოადგენს სავალუტო სუბსტიტუციის ფუნქციას:

$$(9.1) \quad S_t = s(\Omega_t), \quad \text{სადაც } \frac{\Delta S_t}{\Delta \Omega_t} > 0.$$

ნომინალური სავალუტო კურსის ( $S_t$ ) უფრო დეტალურად განსაზღვრა შესაძლებელია (1.1), (7.1) და (8.1) გაერთიანებით:

$$(10.1) \quad S_t = \left( \frac{Y_t^M}{Y_t^F} \right)^{\Omega_t-1} \cdot \frac{M_t}{F_t} \Leftrightarrow (10.2) \quad \frac{M_t}{S_t \cdot F_t} = \left( \frac{Y_t^M}{Y_t^F} \right)^{\Omega_t-1}.$$

ეროვნული შემოსავლის გაზრდის ( $\Delta Y_t^M > 0$ ) შემთხვევაში იზრდება ვალუტებზე მოთხოვნა, ე.ი. უპირველესად ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნა ( $\Delta L_t^M > 0$ ), რაც იწვევს ეროვნული ვალუტის გამყარებას ( $\Delta S_t < 0$ ). იმავდროულად, მცირდება შედარებითი ფასი ( $P_t^M / P_t^F$ ) და მასთან ერთად იზრდება სამომხმარებლო კალათაში სუბსტიტუციის ელასტიურობა ( $1/\Omega_t$ ) ორ პროდუქტს ( $n=1;2$ ) შორის.

მათ შორის უარყოფითი კავშირის გამო, ორ პროდუქტს შორის ელასტიურობის ზრდის პირობებში ლიკვიდურობის ეფექტი გადასწონის

სავალუტო კურსის ეფექტს  $(\Delta L_t^M > \Delta L_t^F)$ , რასაც შედეგად ახლავს ეროვნული გალუტის გამყარება და სავალუტო სუბსტიტუციის შემცირება.

$$(11.1) \quad \Delta Y_t^M > 0 \quad \Rightarrow \Delta \left( \frac{P_t^M}{P_t^F} \right) < 0 \quad \Rightarrow \Delta \left( \frac{1}{\Omega_t} \right) > 0 \quad \Rightarrow \Delta \Omega < 0 \quad \Rightarrow \Delta S_t < 0$$

ახლა განვიხილოთ სავალუტო სუბსტიტუციის ცვლილება, როგორც რეალურ და მონეტარულ სექტორს შორის წონასწორობის დარღვევის შედეგი. ამასთან, აქ საუბარია მხოლოდ რეალურ სექტორში უწონასწორობაზე, მაშინ როცა მონეტარული წონასწორობა კვლავ ძალაში რჩება:

$$(12.1) \quad \text{The Real Sector:} \quad \begin{cases} C_t^M \cdot P_t^M < Y_t^M \\ C_t^F \cdot P_t^F > Y_t^F \end{cases} \Rightarrow (C_t^F - Y_t^F) < (Y_t^M - C_t^M)$$

$$(12.2) \quad \text{The Monetary Sector:} \quad \begin{cases} M_t = P_t^M \cdot L_t^M \\ F_t = P_t^F \cdot L_t^F \end{cases} \Rightarrow \frac{M_t}{F_t} = S_t \cdot \frac{P_t^F}{P_t^M}$$

$$(12.3) \quad \text{The Macro-Disequilibrium:} \quad \left[ S_t \cdot \frac{P_t^F}{P_t^M} \cdot (C_t^F - Y_t^F) > (Y_t^M - C_t^M) \right]$$

რეალურ და მონეტარულ სექტორებს შორის უწონასწორობის შემთხვევაში, რაც გამოწვეულია სამომხმარებლო კალათაში უცხოური პროდუქტის სასარგებლოდ სუბსტიტუციის ელასტიურობის ცვლილებით, იცვლება როგორც დახრილობის კოეფიციენტი წარმომადგენლობითი მომხმარებლის ბიუჯეტის მრუდისათვის, ისე შედარებითი ფასი  $(P_t^M / P_t^F)$  ეროვნულ და უცხოურ გალუტებს შორის. ეკონომიკის შემცირების  $(\Delta Y_t^M < 0)$  შემთხვევაში მცირდება მომხმარებლის მოთხოვნა  $(\Delta L_t^M > 0)$  ეროვნულ გალუტაზე უცხოური გალუტის სასარგებლოდა, რაც იწვევს ეროვნული გალუტის გაუფასურებას  $(\Delta S_t > 0)$ . იმავდოროულად, იზრდება შედარებითი ფასი  $(P_t^M / P_t^F)$  და მასთან ერთად მცირდება სამომხმარებლო კალათაში სუბსტიტუციის ელასტიურობა  $(1/\Omega_t)$  ორ პროდუქტს ( $n=1, 2$ ) შორის. ამის გამო გდებულობთ (11.1) საპირისპირო შედეგს, რაც სავალუტო სუბსტიტუციის  $(\Omega_t)$  ზრდაში აისახება:

$$(13.1) \quad \Delta Y_t^M < 0 \quad \Rightarrow \Delta \left( \frac{P_t^M}{P_t^F} \right) > 0 \quad \Rightarrow \left( \frac{1}{\Omega_t} \right) < 0 \quad \Rightarrow \Delta \Omega > 0 \quad \Rightarrow \Delta S_t > 0$$

მოდელის ავტორი გვაწვდის საქმაოდ საინტერესო განმარტებას სავალუტო სუბსტიტუციის შესახებ. ის ცდილობს, სავალუტო კურსი წარმოაჩინოს როგორც წმინდად მონეტარული ფენომენი, რომლის ცვლილებაც სავალუტო პორტფელში დიკიდურობის პრეფერენციის ცვლილებაზეა დამოკიდებული, ხოლო ისეთი მაკროეკონომიკური სიდიდე, როგორიცაა ფასი, - ცალმხრივად ეკონომიკური ფენომენია.

ამასთან ავტორი ღირებულების ინდიკატორად იყენებს შედარებით ფასს, როგორც წარმომადგენლობითი მომხმარებლის ბიუჯეტის მრუდის დახრილობის კოეფიციენტს. ავტორი განიხილავს ეროვნულ შემოსავალს, როგორც ეგზოგენურ სიდიდეს და მის მოსალოდნელ ცვლილებას როგორც სამომხმარებლო კალათისაგან დამოუკიდებელ მოვლენას.

ავტორი ერთმანეთან აკავშირებს სავალუტო სუბსტიტუციას, როგორც ვალუტათშორისი განაწილების კოეფიციენტს სავალუტო პორტფელში, და მის უკუკროპორციულ სიდიდეს - პროდუქტებს შორის სუბსტიტუციის ელასტიურობას სამომხმარებლო კალათში. ასეთ პირობებში შესაძლებელი ხდება მაკროწონასწორობის დარღვევის, როგორც სავალუტო სუბსტიტუციის ძირითადი მიზეზის, ცალმხრივად წარმოჩენა.

მაშინ როცა, მონეტარული სექტორის წონასწორობა პვლავაც ძალაშია დატოვებული, რეალურ სექტორში უწონასწორობა, რაც შესაძლებელია განპირობებული იყოს მხოლოდ ეროვნული შემოსავლის ცვლილებით, უშუალოდ აისახება ცვლილებაზე სამომხმარებლო კალათში.

კერძოდ, შემოსავლის ეფექტით იცვლება ბიუჯეტის განაწილება  $(C_t^M / C_t^F)$ , სუბსტიტუციის ელასტიურობა  $(1/\Omega_t)$  პროდუქტებს შორის, შედარებითი ფასი  $(P_t^M / P_t^F)$ , ნომინალური სავალუტო კურსი  $(S_t)$  და საბოლოოდ სავალუტო სუბსიტუცია  $(\Omega_t)$ .

მონეტარული წონასწორობის შენარჩუნების გამო, ავტორი აღარ განიხილავს ეროვნულ ვალუტში სარგებლის განაკვეთსა  $(R_t^M)$  და სავალუტო სუბსტიტუციას  $(\Omega_t)$  შორის კავშირს. ჯოვანინის მოდელი განიხილავს სავალუტო პორტფელის კომპონენტებს მხოლოდ როგორც გადახდის საშუალებას და ღირებულების საზომს, და შესაბამისად მხოლოდ ტრანსაქციის მოტივით ხდება უპირატესი ვალუტის განსაზღვრა.

## 2-2. ტურტელბომის ლიკვიდობის მოდელი

ტურტელბომის მოდელი<sup>A40</sup> (ბარტ ტურტელბომი – ეკონომიკის პროფესორი, ბრუკინგის ინსტიტუტი, ვაშინგტონი/აშშ) ცნობილია აგრეთვე სახელწოდებით “სავალუტო კურსის განსაზღვრა სავალუტო პორტფელის მაქსიმალური სარგებლინობის პირობებში.”

ავტორი განიხილავს სავალუტო სუბსტიტუციის შეცვლას ქონების აკუმულაციის მოტივით. ამ მიზნით სავალუტო პორტფელის კომპონენტებად განიხილება არა მხოლოდ ფულადი აქტივები, არამედ კაპიტალის აქტივები (აქციები, ბონდები) როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში.

ქონების აკუმულაცია დროში მიმდინარე პროცესია. შესაბამისად, ეს მოდელი წარმოადგენს დინამიურ ანალიზს გრძელვადიან ეკონომიკურ დროში ( $\text{the Long - Run} = t(\hat{P}, \hat{Y})$ ). ეკონომიკურ სუბიექტს დროის ნებისმიერ მომენტში ძალუბს სავალუტო ტრანსაქციის განხორციელება მოხმარებისათვის საჭირო რაოდენობით სასურველი ვალუტის მოსაპოვებლად.

სავალუტო ტრანსაქციის განხორციელება ეკონომიკურ სუბიექტს შეუძლია როგორც ფულადი აქტივების კონვერტაციით, ისე კაპიტალური აქტივების გარკვეული ნაწილის წილის შემცირებით სასურველ ვალუტაში ფულადი აქტივების სასარგებლოდ. სწორედ ამ მიზნით ინტერტემპორალური მოდელი უზრუნველყოფს ქონებრივი ცვლილების გამოხატვას დროის პერიოდებს შორის სუბსტიტუციური სავალუტო პორტფელისათვის.

დინამიური მოდელის არსი მდგომარეობს იმაში, რომ წარმოსახოს ეკონომიკური სუბიექტისათვის სავალუტო პორტფელში ქონებრივი ცვლილების ეფექტი დროის  $(T+1)$  მომენტისათვის, თუცი მან ამ ცვლილების გამომწვევი სავალუტო ტრანსაქცია  $(T)$  დროის მომენტში განხორციელა. გრძელვადიანი ეკონომიკური დრო მოიცავს  $n$ -რაოდენობის დროის მომენტებს  $(t \in [T; T+1])$  დასახელებულ პერიოდში.

ეკონომიკური სუბიექტის გამოწვევას წარმოადგენს ნებისმიერი  $(t)$ -თვის სარგებლიანობის ფუნქციის მაქსიმალური დონის განსაზღვრა :

$$(1.1.) \quad \max \sum_{t=0}^{\infty} \beta_t \cdot U_t \left[ C_t^M(R_t^M); C_t^F \right] \quad - \text{Bernoulli Utility Function,}$$

სადაც

$\beta_t$  – პრეფერენციის პარამეტრი;

$$(1.2.) \quad U_t = u(C_t^M; C_t^F) = u_0 + u_1 \cdot C_t^M + \beta_t \cdot u_2 \cdot C_t^F, \quad \text{რომლისთვისაც}$$

$$u_0 = \frac{\Delta C_t^M}{\Delta R_t^M} < 0; \quad u_1 = \frac{\Delta U_t}{\Delta C_t^M} > 0; \quad u_2 = \frac{\Delta U_t}{\Delta C_t^F} > 0.$$

ეროვნულ და უცხოურ ვალუტას შორის ლიკვიდობის განაწილება წარმოადგენს ერთგარ რისკს წარმომადგნლობითი მომხმარებლისთის. აქ საუბარია საბაზრო რისკზე, რომლის მიხედვითაც წარმომადგენლობითმა მომხმარებელმა ამა თუ იმ ვალუტის სასარგებლოდ არჩევანი უნდა გააკეთოს. რისკის შემცველი გადაწყვეტილების მიღება ექვემდებარება ყველა სიდიდისათვის მოლოდინის განაწილებას მათი ალბათობის მიხედვით, სადაც ეს მოლოდინები შემთხვევით სიდიდეებს (*The Random Variables*) წარმოადგენენ.

საბოლოო ჯამში რისკის ანალიზი ეფუძნება წარმომადგელობითი მომხმარებლის ინდივიდუალურ პრეფერენციას შეთავაზებულ ალტერნატივებს შორის. როდესაც ეკონომიკური სუბიექტის სარგებლიანობაზე ვსაუბრობთ, რისკის ანალიზი გულისხმობს სწორედ სარგებლიანობის ანალიზს, რომლის მოლოდინიც ეკონომიკურ სუბიექტს რისკზე შეგნებულად წასვლის შემთხვევაში უწნდება. ბერნულის სარგებლიანობის ფუნქცია, როგორც პრეფერენციის პარამეტრის შემცველი, რომელიც შემდგომში რისკის ფაქტორად ტრანსფორმირდება, წარმოადგენს რისკი-სარგებლიანობის კონცეფციის (*The Risk – Utility Concept*) თეორიულ ფუნდამენტს, რაც ამართლებს ავტორის მიერ მის გამოყენებას წარმოდგენილ “ლიკვიდობის მოდელშიც.“

ამასთან, სარგებლიანობის ფუნქციის მაქსიმალური დონის განსაზღვრა ექვემდებარება პერიოდების უსასრულო რაოდენობისათვის წონასწორობის შენარჩუნებას. “დინამიური წონასწორობის” გამოსახულებაში მარცხენა მხარეს თავმოყრილია სავალუტო პროტფელის ყველა კომპონენტი ( $t+1$ )–დროის მომდევნო პერიოდისათვის ეროვნულ ვალუტაში მათი რეალური (საბაზრო) დირებულების მიხედვით.

უფრო კომპლექსურია გამოსახულების მარჯვენა მხარე. მის შესაკრებებს წარმოადგენენ ერთის მხრივ ( $t$ )–დროის მოცემული პერიოდისათვის სავალუტო პორტფელის კომპონენტების საბაზრო დირებულება და მეორე მხრივ ტრანსაქციის

ხარჯების  $(\Phi_t)$  გამოკლებით ეროვნულ  $(Y_t^M - C_t^M)$  და უცხოურ  $(Y_t^F - C_t^F)$  გალუტებში ქონების აკუმულაციის ეფექტი, რომელიც  $(t+1)$ -დროის მომდევნო პერიოდისათვის უკვე სავალუტო პორტფელში ტრანსფორმირდება.

$$(2.1) \quad \frac{B_{t+1}^M}{P_t^M} + S_t \cdot \frac{Q_{t+1}^F}{P_t^M} + \frac{M_{t+1}}{P_t^M} + S_t \cdot \frac{F_{t+1}}{P_t^M} = (Y_t^M - C_t^M) + S_t \frac{P_t^M}{P_t^F} \cdot (Y_t^F - C_t^F) + \frac{B_t^M \cdot (1+R_t^M)}{P_t^M} + S_t \cdot \frac{Q_t^F \cdot (1+R_t^F)}{P_t^M} + \frac{M_t}{P_t^M} + S_t \cdot \frac{F_t}{P_t^M} - \Phi_t \left( C_t^M; C_t^F; \frac{M_t}{P_t^M}; \frac{M_t}{P_t^M} \right)$$

**წყარო:** Bart Turtelbomm "Currency Substitution", 1992, NBER Working Paper #4232, S. 11

დისკონტის ფაქტორები ეროვნულ  $(1+R_t^M)$  და უცხოურ  $(1+R_t^F)$  გალუტებში გამოსახავენ ქონების დაგროვების ეფექტს სავალუტო პორტფელის იმ ნაწილისათვის, რომელიც განთავსებულია კაპიტალურ აქტივებში (აქციები, ბონდები). ამასთან,  $(t+1)$ -დროის მომდევნო პერიოდისათვის სავალუტო პორტფელის ბიუჯეტირება დაკავშირებულია წარმომადგენლობითი მომხმარებლის ინდივიდუალურ არჩევანთან ფულად და კაპიტალის აქტივებს შორის.

დამოუკიდებელ განხილვას საჭიროებს ტრანსაქციის ხარჯების ფუნქცია  $(\Phi_t)$ . როგორც შემდგომში გამოჩნდება, სწორედ მის ოპტიმიზაციასთან არის დაკავშირებული სავალუტო პორტფელისათვის მაქსიმალური სარგებლიანობის განსაზღვრა სავალუტო სუბსტიტუციისა  $(\Omega_t)$  და ნომინალური სავალუტო კურსისათვის  $(S_t)$  შესაბამისი ეფექტებით.  $(\Phi_t)$  ტრანსაქციის ხარჯების ფუნქციის ძირითადი დეტერმინანტებია მოხმარება ეროვნულ  $(C_t^M)$  და უცხოურ  $(C_t^F)$  გალუტებში, და სავალუტო პორტფელიდან შესაბამისი ფულადი აქტივების,  $(M_t)$  და  $(F_t)$ , რეალური განზომილებანი, რომლებიც, ტრანსაქციის მოტივით, საქმარისია მოხმარების უზრუნველყოფისათვის.

$$(2.2) \quad \Phi_t = \varphi \left( C_t^M; C_t^F; \frac{M_t}{P_t^M}; \frac{F_t}{P_t^F} \right) = \varphi_1 \cdot C_t^M + \varphi_2 \cdot C_t^F + \varphi_3 \cdot M_t + \varphi_4 \cdot F_t, \quad \text{სადაც}$$

$$\phi_1 = \frac{\Delta\Phi_t}{\Delta C_t^M} > 0; \quad \phi_2 = \frac{\Delta\Phi_t}{\Delta C_t^F} > 0; \quad \phi_3 = \frac{\Delta\Phi_t}{\Delta M_t} < 0; \quad \phi_4 = \frac{\Delta\Phi_t}{\Delta F_t} > 0.$$

ე.ი. მოხმარების ყოველი ერთეულით გაზრდა წარმოშობს ტრანსაქციის დამატებით ხარჯებს, რაც ამცირებს სავალუტო პორტფელში ფულად აქტივებს და შესაბამისად მის რეალურ ღირებულებას. დამატებით განხილვას მოითხოვს, ფულადი აქტივების შემცირების ხარჯზე მოხდება თუ არა მოთხოვნის ზრდა კაპიტალურ აქტივებში, და თუ მოხდება – რომელ გალუტაში.

დავუბრუნდეთ წარმომადგენლობითი მომხმარებლის სარგებლიანობის ფუნქციას ( $U_t$ ). მისი ოპტიმიზაცია გულისხმობს ბიუჯეტის განაწილებას სამომხმარებლო კალათის მიხედვით. ავტორი განიხილავს ბიუჯეტის მრუდს დინამიური მოდელისათვის [ იხ. მარჯვენა მხარე (2.1)-ში ], რის გამოც სარგებლიანობის ფუნქციის გაწარმოების პროცესში შემოაქვს ლაგრანჟის მულტიპლიკატორი ( $\lambda_t$ ) . სწორედ ლაგრანჟის მულტიპლიკატორის დახმარებით არის შესაძლებელი სკალარული კავშირის დამყარება სარგებლიანობის ფუნქციასა ( $U_t$ ) და ტრანსაქციის ხარჯების ფუნქციას ( $\Phi_t$ ) შორის:

$$(3.1) \quad u_1 = \lambda_t \cdot [1 + \phi_1] - \text{ეროვნულ გალუტისათვის};$$

$$(3.2) \quad u_2 = S_t \frac{P_t^F}{P_t^M} \cdot \lambda_t \cdot [1 + \phi_2] - \text{უცხოური გალუტისათვის}.$$

მიუხედავად იმისა, რომ ჯოვანინის მოდელშიც გამოვიყენეთ შედარებითი ფასი, ჩვენ არ მოგვიხდენია მისი სფერიზიკაცია. კერძოდ, ის გამოხატავს სამომხმარებლო კალათაში ერთ-ერთი პროდუქტის ( $P_t^M$ ) ერთ ერთეულზე მეორე პროდუქტის ( $P_t^F$ ) რაოდენობას, რომელთანაც ნომინალური სავალუტო კურსით ( $S_t$ ) შეწონილ სიდიდეს, რეალური სავალუტო კურსი ( $E_t$ ) ეწოდება:

$$(4.1) \quad E_t = S_t \frac{P_t^F}{P_t^M}.$$

რეალური სავალუტო კურსი ( $E_t$ ), რომელიც ასახავს პროდუქტებს შორის ტრანსფორმაციის ზღვრულ დონეს სამომხმარებლო კალათაში, ფასების

ცვლილების შემთხვევაში პროდუქტებს შორის სუბსტიტუციის ზღვრულ დონეს ემთხვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ტრანსაქციის ხარჯების ზღვრული დონე ნულის ტოლია:

$$(4.2) \quad E_t = \frac{1}{\Omega_t}, \quad \text{როცა} \quad |\phi_1| = |\phi_2|.$$

შემდეგ ნაბიჯზე, რეალური სავალუტო პურსის  $(E_t)$  გათვალისწინებით, შესაძლებელია (2.1)-ს დაშლა სავალუტო პორტფელის კომპონენტების მიხედვით:

$$(5.1) \quad \frac{\lambda_t}{\lambda_{t+1}} \cdot \frac{P_{t+1}^M}{P_t^M} = \beta \cdot E_t \cdot (1 - \phi_3), \quad \text{ფულადი აქტივისათვის } (M_t) \text{ კროგნულ ვალუტაში;}$$

$$(5.2) \quad \frac{\lambda_t}{\lambda_{t+1}} \cdot \frac{P_{t+1}^M}{P_t^M} = \beta \cdot \frac{E_t}{S_{t+1}} \cdot (1 - E_{t+1} \cdot \phi_4), \quad \text{ფულადი აქტივისათვის } (F_t) \text{ ჟანრულ ვალუტაში.}$$

როგორც ვხედავთ, ლაგრანჟის მულტიპლიკატორი  $(\lambda_t)$  დროის მიხედვით ცვლადი სიდიდეა. ის გამოხატავს არა მხოლოდ სავალუტო პორტფელის ზღვრულ სარგებლიანობას, არამედ მასთან ერთად სამომხმარებლო კალათაში ბიუჯეტის მრუდის დახრილობის კოეფიციენტს.

ტურტელბომის მოდელისგან განსხვავებით აქამდე წარმოდგენილი ჯოვანინის მოდელი შეიცავს ერთპერიოდიან ანალიზს. მხოლოდ ინტერტემპორალურმა ანალიზმა წარმოშვა ლაგრანჟის მულტიპლიკატორის  $(\lambda_t)$  გამოყენების საჭიროება, თუმცა, მართალია სტატიკურად, მაგრამ ერთპერიოდიან ანალიზშიც იგივე შედეგს მივიღებდით.

ამასთან, (2.1)-ს მიხედვით, დისკონტის ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს სარგებლის განაკვეთს  $(R_t^M)$  ეროვნულ ვალუტაში, გამომდინარეობს ეროვნულ ვალუტაში კაპიტალის აქტივის  $(B_t^M)$  ცვლილებიდან დროის  $(t)$  და  $(t+1)$  პერიოდებს შორის:

$$(6.1) \quad (1 + R_t^M) = \frac{1}{\beta \cdot E_t} \cdot \frac{\lambda_{t+1}}{\lambda_t} \cdot \frac{P_t^M}{P_{t+1}^M}.$$

მნიშვნელოვანია იმის განმარტება, თუ როგორ გაჩნდა  $(\beta)$ -ფაქტორი (2.1)-ში - დინამიური წონასწორობის ფორმულაში.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ იგი ამ შემთხვევაში წარმოადგენს რისკის პარამეტრს და (1.2)-დან პრეფერენციის პარამეტრს შეიძლება გაუტოლდეს მხოლოდ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში.

სანამ ამ კონკრეტულ შემთხვევას განვიხილავთ, ვერ გავეცნოთ  $(\beta)$ -ს, როგორც რისკის პარამეტრს.

როგორც მოდელის ავტორი განმარტავს, (5.1) და (5.2) მიიღება კაპიტალის ფასდადების (*CAP – Capital Asset Pricing*) თეორიის საფუძველზე (2.1)-ს გაწარმოებით. ამ დროს სამომხმარებლო კალათის  $(C_t^M; C_t^F)$  შესაბამის ინდივიდუალურ პორტფელში  $(\beta)$ -რისკის პარამეტრი გამოხატავს კავშირს  $(t+1)$  პერიოდისათვის ეროვნულ ვალუტაში სარგებლის განაკვეთის  $(R_t^M)$  დისპერსიისა და საბაზო პორტფელის განაკვეთის  $(R_t)$  შორის.

$$(7.1) \quad \beta = \frac{\sigma(R_t^M)}{\sigma(R_t)}.$$

მეორე მხრივ,  $(\beta)$ -რისკის პარამეტრი დამოკიდებულია  $(R_t^M)$  და  $(R_t)$  შორის ურისკო განაკვეთისგან  $(Z_t)$  გადახრის თანაფარდობაზე:

$$(7.2) \quad \beta = \frac{(R_t^M - Z_t)}{(R_t - Z_t)}.$$

მაშინ ეროვნულ ვალუტაში სარგებლის განაკვეთი  $(R_t^M)$ , რომელიც მასში დენომინირებული კაპიტალის აქტივებისთვის  $(B_t^M)$  დისკონტურ ფაქტორს განსაზღვრავს, როგორც შემთხვევითი სიდიდე სწორედ კაპიტალის ფასდადების თეორიიდან (*CAP*) მიიღება, რითაც მოდელის ავტორი ამართლებს კიდევაც (*CAP*) გამოყენებას და შესაბამისად  $(\beta)$ -რისკის პარამეტრის შემოტანას ანალიზში:

$$(8.1) \quad R_t^M = Z_t + \left( \frac{R_t - Z_t}{\sigma(R_t)} \right) \cdot \frac{Co(R_t^M; R_t)}{\sigma(R_t)} \Leftrightarrow \frac{(R_t^M - Z_t)}{(R_t - Z_t)} = \beta = \frac{Co(R_t^M; R_t)}{Va(R_t)} \Rightarrow (R_t^M \uparrow; \beta \uparrow)$$

მართლაც, იმავდროულად სარგებლის განაკვეთი  $(R_t^M)$  განსაზღვრავს ეროვნულ ვალუტაში კაპიტალის აქტივის  $(B_t^M)$  ფასს, რომელმაც უნდა დაფაროს ამ კაპიტალზე მომსახურების ხარჯები.

$(\beta)$ -რისკის პარამეტრი განსაზღვრავს ურთიერთობას ამ შემთხვევითი სიდიდის მოსალოდნელ ღირებულებასა და მოლოდინის სარგებელს შორის.

$(\lambda_t)$  - ბიუჯეტის მრუდის დახრილობის კოეფიციენტი წარმოადგენს მოლოდინის სარგებლის ზღვრულ სიდიდეს, რის გამოც  $(R_t^M)$ -სარგებლის განაკვეთი სწორედ სარგებლის ზღვრული სიდიდის ცვლილებასა და ფასების ცვლილებას შორის კოვარიაციაზეა დამოკიდებული.

$$(8.2) \quad R_t^M = u_0 \cdot Cov \left( \frac{P_{t+1}^M}{P_t^M}; \frac{\lambda_t}{\lambda_{t+1}} \right).$$

ახლა განვიხილოთ ის კონკრეტული შემთხვევა, როცა  $(\beta)$  და  $(\beta_t)$ , როგორც რისკის პარამეტრი და პრეფერენციის პარამეტრი ერთმანეთს ემთხვევა, და,  $(1.1)$ -ს მიხედვით უზრუნველყოფს სავალუტო პორტფელის მაქსიმალურ სარგებლიანობას წარმომადგენლობითი მომხმარებლის მიერ ბიუჯეტის ოპტიმალური განაწილების პირობებში.

ამისთვის საკმარისია, ეროვნულ ვალუტაში სარგებლის განაკვეთის  $(R_t^M)$  წარმოჩენა, ერთის მხრივ -  $(8.1)$  მიხედვით, როგორც  $(\beta)$ -რისკის და, მეორე მხრივ -  $(1.2)$  მიხედვით, როგორც  $U_t$  - სარგებლიანობის ფუნქციის დეტერმინანტს.

$(1.2)$ -დან გამომდინარეობს, რომ  $(R_t^M)$ -ს, როგორც შემთხვევითი სიდიდის გაზრდასთან ერთად უნდა გაიზარდოს  $(\beta_t \mapsto \beta)$  როგორც პრეფერენციის პარამეტრი უცხოურ ვალუტაში მოხმარების  $(C_t^F)$  სასარგებლოდ, რადგან მცირდება  $(u_0 < 0)$  ეროვნულ ვალუტაში მოხმარება  $(C_t^M)$  წარმომადგენლობითი მომხმარებლის ბიუჯეტის უცვლელობის პირობებში.

სამაგიეროდ შეიცვლება ბიუჯეტის მრუდის დახრილობის კოეფიციენტი ( $\lambda_t$ ), რაც (5.1)-ს და (5.2)-ს თანახმად გამოიწვევს რეალოკაციას სავალუტო პორტფელში:

$$(9.1) \quad \left| \begin{array}{c} \beta_t \uparrow \\ R_t^M \uparrow \end{array} \right\rangle \Rightarrow \lambda_t \uparrow \Rightarrow \left( \frac{\lambda_t}{\lambda_{t+1}} \right) \downarrow \Rightarrow P_t^M \uparrow \Rightarrow \left( \frac{P_{t+1}^M}{P_t^M} \right) \uparrow \Rightarrow S_t \uparrow \Rightarrow \left| \begin{array}{c} \phi_3 \uparrow \Leftrightarrow \Delta M_t \downarrow \\ \phi_4 \uparrow \Leftrightarrow \Delta F_t \uparrow \end{array} \right.$$

ტრანსაქციის ხარჯების ფუნქციასთან ( $\Phi_t$ ) მიმართებაში, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი გახდა (5.1)-სა და (5.2)-ს ამოხსნა, დადგებითია უცხოურ ვალუტაში კაპიტალის აქტივებზე ( $Q_t^F$ ) მოთხოვნა, რის გამოც იზრდება უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა ( $F_t$ ), და შესაბამისად როგორ ნომინალური სავალუტო კურსი ( $S_t$ ), ისე სავალუტო სუბსტიტუციაც ( $\Omega_t$ ).

ტურტელბომის ლიკვიდობის მოდელი ფაქტოურად ჯოვანინის „უპირატესი ვალუტის მოდელის“ გაგრძელებაა და მის დასრულებულ ვერსიას წარმოადგენს. ინტერტემპორალური ანალიზის პირობებშიც დაშვება რეალურ სექტორში დინამიური წონასწორობის შესახებ უცვლელი რჩება. პირიქით, სწორედ რეალურ სექტორში დროის მიხედვით წონასწორობის ერთი დონიდან მეორე დონეზე გადასვლას განიხილავს სავალუტო პორტფელში უწონასწორობის წარმოშობის მიზეზად.

მრავალპერიოდულობის გარდა ჯოვანინისა და ტურტელბომის მოდელებს შორის განსხვავებულია სავალუტო ტრანსაქციის მოტივიც. ჯოვანინის მოდელში საუბარია ვალუტებზე, როგორც ლირებულების საზომზე და ანგარიშსწორების საშუალებაზე, ხოლო ტურტელბომი განიხილავს სავალუტო პორტფელის ქონებრვეფექტებს. ამასთან ანალიზის ობიექტია უკვე არსებული სავალუტო პორტფელი. ე.ი. ინტერტემპორალური ანალიზის პირველ პერიოდშივე ადგილის აქვს სავალუტო სუბსტიტუციის არსებობას, თუმცა ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური ვალუტის „შემოჭრის“ მიზეზებს არ განიხილავს.

## 2-3. კალვოს “ეკონომიკური მოდელი”

კალვოს მოდელი<sup>A29</sup> ცნობილია აგრეთვე სახელწოდებით “სავალუტო კურსის ეკონომიკური (რეალური სექტორი) მოდელი სავალუტო სუბსტიტუციის პირობებში”. ის ეძღვნება სავალუტო კურსის განსაზღვრას ორვალუტიანი მონეტარული სისტემის პირობებში პატარა დია ეკონომიკისათვის (შემდგომში: *SMOPEC*). განხილვა ხდება მხოლოდ საშუალოვადიან ეკონომიკურ პერიოდზე, როცა ფასები სრულად მოქნილია (*The Precondition of full Price Flexibility*) და ქვეყნის ეკონომიკური სუბიექტები თავიანთ სავალუტო პორტფელში არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ უცხოურ ვალუტასაც ფლობენ. ამასთან როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტა განიხილება როგორც ნომინალური სავალუტო კურსით დაკავშირებული ორი ფულადი აქტივა, რომლებზეც ეკონომიკური სუბიექტების მოთხოვნა ტრანსაქციის მოტივით მათი მოხმარების სტრუქტურიდან გამომდინარეობს, აქტივების შემოსავლიანობაზე რაციონალური მოლოდინის გათვალისწინებით. ე.ო. ეკონომიკური სუბიექტები ინდიფერენტულნი არიან ეროვნულ და უცხოურ ვალუტას შორის იმ ხარჯების გასაწევად, რომლებიც დაკავშირებულია პორტფელის დივერსიფიკაციასთან.

ე.წ. სავალუტო კონკურენციის დაშვებით კალვოს მოდელი უპირისპირდება მონეტარული ეკონომიკის ტრადიციულ თეორიებს (მანდელ-ფლემინგი, დორნბუში), რომელთა მიხედვითაც ეკონომიკური სუბიექტების საგარეო-ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები მხოლოდ ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული და სავალუტო კურსი გამოიყენება როგორც კოეფიციენტი უცხოური ვალუტის კონვერტაციისათვის, რომელთა შემოდინება პროდუქციის ექსპორტზე და კაპიტალის იმპორტზეა დამოკიდებული.

სავალუტო სუბსტიტუცია უფრო განვითარებადი ეკონომიკების ფენომენია, რომლის დადებით და უარყოფით მხარეებზე ერთმნიშვნელოვნად საუბარი შეუძლებელია. მაგალითად, სავალუტო სუბსტიტუცია ეხმარება იმპორტიორ ქვეყნებს, მოკლევადიან ეკონომიკურ დროში მაინც თავიდან აიცილონ საგადამხდელო ბალანსის კრიზისი. სავალუტო სუბსტიტუცია ხელს უწყობს მონეტარული რისკების შემცირებას ექსპორტზე თრიენტიორებული ეკონომიკებისათვის. სავალუტო სუბსტიტუციის ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი მხარეა კაპიტალის ექსპორტი, როდესაც განვითარებადი ქვეყნები, რომელთაც

თავად ესაჭიროებათ კაპიტალი, მიუხედავად ინსტიტუციონალური შეზღუდვისა, მაინც გერ ახერხებენ კაპიტალის აკუმულაციას და მათი ეკონომიკური სუბიექტები ინვესტორებად გვევლინებიან უცხოურ ქვეყნებში.

ამასთან შესავალშივე უნდა აღინიშნოს, რომ კალვოს მოდელი ეფუძნება დაშვებას სრული ინფორმაციის პირობებში რაციონალური მოლოდინის შესახებ. ე.ი. მოდელის ავტორი დასაწყისშივე გამორიცხავს მოცემული სიდიდეების ცვლილების ალბათობას, რის გამოც მოდელი არასტოხასტურია. ამასთან სადაცოა, მოლოდინის რომელი სახეობის (რაციონალური თუ ადაპტაციური) გამოყენებაა უფრო მიზანშეწონილი. საქმე იმაშია, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას რაციონალური მოლოდინით სარგებლობა უფრო სასრგებლოა ფასებისა და სავალუტო კურსების დინამიკის პროგნოზირებისათვის, რათა სწორად იქნას შერჩეული ის პოლიტიკური ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენება პოლიტიკის გამტარებლებს დაეხმარება სავალუტო კურსის განსასზღვრაში.

სავალუტო სუბსტიტუციის შემთხვევაში პოლიტიკური გადაწყვეტილების საგანია სავალუტო რეჟიმის განსაზღვრა – ე.ი. პოლიტიკოსებმა ხელი უნდა შეუშალონ თუ არა სავალუტო კურსის თავისუფლებას.

მოდელის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დაშვებაა უცხოელების დეზინტერესი ეროვნული ვალუტის მიმართ. რის გამოც ანალიზი მიმდინარეობს ერთი ქვეყნის ფარგლებში, მხოლოდ აღგილობრივებს აქვთ მოთხოვნა ეროვნულ ვალუტაზე და უცხო ქვეყნის ნებისმიერი სიდიდე განიხილება როგორც ეგზოგენური სიდიდე, რომლებზეც აღგილობრივებს არანაირი გავლენა არ აქვთ.

**რეალურ სექტორში** ერთი აწარმოებს და მოიხმარს როგორც საგარეო ვაჭრობაში მონაწილე პროდუქტსა და მომსახურებას ( $T_t^{GL}$  – Price of the Tradeable Goods & Services), ისე “არასავაჭრო” პროდუქტსა და მომსახურებას ( $N_t^{GL}$  – Price of the Non-tradables), რომელიც საერთაშორისო გაცვლას არ ექვემდებარება. ამასთან, (SMOPEC) – თვის სავაჭრო პროდუქტების ფასი განისაზღვრება მსოფლიო ბაზრის ფასებით და დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. ამ უცხოური ვალუტის სიმყარის გამო, რაზეც დამოკიდებულია სწორედ სავალუტო სუბსტიტუცია ( $\Omega_t$ ) ეროვნული ვალუტის მიმართ, სავაჭრო პროდუქტების ფასები იცვლება მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. მაშინ ეროვნულ ვალუტაში მათი ფასების განსაზღვრისას

მონაწილეობას იღებს ნომინალური სავალუტო კურსი ( $S_t$ ) , ხოლო რეალური სავალუტო კურსი ( $E_t$ ) უჩვენებს სავაჭრო პროდუქტების შედარებით ფასს: ( $S_t = E_t \cdot T_t$ ).

წარმომავლობის მიუხედავად მათი მთლიანი მიწოდება აღვნიშნოთ  $Q_t^T - \sigma$ , ხოლო მთლიანი მოხმარება  $C_t^T - \sigma$ . არასავაჭრო პროდუქტების ( $q_N, c_N$ ) გათვალისწინებით ერთს მთლიანი წარმოება აღვნიშნოთ  $Q_t^H - \sigma$  და მთლიანი მოხმარება  $C_t^H$ , სადაც  $Q_t^H = \alpha * Q_t^T + Q_t^N = f(P_t^H)$  და  $C_t^H = C_t^T + C_t^N = f(P_t^H)$ . ეს სიდიდეები დაგვეხმარება რეალურ სექტორში წონასწორობის გამოსახატად.

რეალური სავალუტო კურსი განსაზღვრავს ადგილობრივების მოთხოვნას უცხოურ ვალუტაზე:

$$(1.1) \quad d_t = E_t \cdot D_t$$

ხოლო სავაჭრო პროდუქტების ფასი განსაზღვრავს მოთხოვნის დონეს ეროვნულ ვალუტაზე:

$$(1.2) \quad m_t = M_t / P_t^H$$

(1.1) და (1.2) შეკრებით მივიღებთ სავალუტო პორტფელს:

$$(1.3) \quad V_t = (1 - \Omega) \cdot m_t + \Omega \cdot d_t = \frac{M_t}{P_t^H} + E_t \cdot d_t = \frac{M_t + S_t \cdot D_t}{P_t^H}$$

ამით შესაძლებელია საბოლოოდ განისაზღვროს ერთის მხრივ სავაჭრო პროდუქტების და მეორე მხრივ ადგილობრივი პროდუქტების მოხმარების ქვოტები ეკონომიკური სუბიექტების მიერ, როგორც რეალური სავალუტო კურსისა და სავალუტო პორტფელის ფუნქციები.

$$(2.1) \quad C_t^T = f(E_t; V_t) \quad \text{და} \quad (2.2) \quad C_t^H = f(E_t; V_t).$$

რაც შეეხება სავაჭრო და არასავაჭრო პროდუქტების ადგილობრივ წარმოებას, ისინი დამოკიდებულია რეალურ სავალუტო კურსზე:

$$(2.3) \quad Q_t^T = f(E_t) \quad \text{და} \quad (2.4) \quad Q_t^H = f(E_t).$$

ამის შემდეგ ჩვენ უპირ შეგვიძლია რეალური სექტორის წონასწორობის განსაზღვრა რეალური სავალუტო კურსისა და სავალუტო პორტფელის დახმარებით:

$$(3.1) \quad Q_t^H(E_t) = C_t^H(E_t; V_t).$$

მაკროწონასწორობის პირობებში პარციალურად სავაჭრო პროდუქტების მოხმარება ( $C_t^T$ ) – უარყოფითად, ხოლო მთლიანი მოხმარება ( $C_t^H$ ) დადგებითად რეაგირებენ რეალური სავალუტო კურსის ზრდაზე ( $E_t \uparrow$ ), მაშინ როცა სავალუტო პორტფელის ( $V_t$ ) გაზრდა მოხმარების გაზრდას გამოიწვევს როგორც სავაჭრო პროდუქტების, ისე მთლიანი სამომხმარებლო კალათისათვის.

$$(2.1.1) \quad \frac{\Delta C_t^T}{\Delta E_t} < 0, \quad \text{და} \quad (2.2.1) \quad \frac{\Delta C_t^H}{\Delta E_t} > 0 .$$

$$(2.1.2) \quad \frac{\Delta C_t^T}{\Delta V_t} > 0, \quad \text{და} \quad (2.2.2) \quad \frac{\Delta C_t^H}{\Delta V_t} > 0.$$

რაც შეეხება სავაჭრო პროდუქტების წარმოებას ( $Q_t^T$ ), იგი დადებითად რეაგირებს ეროვნული ვალუტის რეალურ დევალვაციაზე ( $E_t \uparrow$ ), ხოლო სამამულო წარმოება ( $Q_t^H$ ) – უარყოფითად.

$$(2.3.1) \quad \frac{\Delta Q_t^T}{\Delta E_t} > 0, \quad \text{და} \quad (2.4.1) \quad \frac{\Delta Q_t^H}{\Delta E_t} < 0.$$

რეალური სექტორის წონასწორობა (3.1) გამოხატავს უარყოფით კავშირს სავალუტო პორტფელსა და რეალურ სავალუტო კურსს შორის:

$$(4.1) \quad V_t = f(E_t), \quad \text{სადაც} \quad V_t' = \frac{\Delta V_t}{\Delta E_t} < 0.$$

მივიღებთ, რომ სავალუტო სუბსტიტუცია არის რეალური სავალუტო კურსის ფუნქცია და დადებითად რეაგირებს მის გაზრდაზე:

$$(4.2) \quad \Omega = f(\Delta E_t), \quad \text{ხოლო} \quad \Omega' = \frac{\Delta \Omega}{\Delta E_t} > 0 .$$

რეალური სექტორის წონასწორობა ითვალისწინებს რეალური სავალუტო კურსის ( $E_t = \bar{E}$ ) ისეთი დონის არსებობას, რომლის პირობებში ზემოთხოვნა სავაჭრო პროდუქტებზე აღარ არსებობს, ე.ი. რეალური სექტორი წონასწორობაში (Steady State Equilibrium) იმყოფება.

**მონეტარულ სექტორში**, რამდენადაც უცხოელებს ეროვნული ვალუტის მიმართ არანაირი ინტერესი არ აქვთ, ეროვნული ეკონომიკის სუბიექტებისათვის რეალური მოთხოვნა ეროვნულ ვალუტაზე სრულად განისაზღვრება ფულის მიწოდების ნომინალური სიდიდით  $M_t$ , რომელიც კალვოს მოდელში მანდელ-ფლემინგის

მოდელის მსგავსად ეგზოგენურ სიდიდეს წარმოადგენს თავისუფლად ცვალებადი სავალუტო კურსის რეჟიმის ( $\Delta S_t \neq 0$ ) პირობებში, და ამაზე ვერც ფასების სრული მოქნილობის ( $\Delta P_t^H \neq 0$ ) შესახებ დაშვება ახდენს გავლენას. მაშინ სავაჭრო პროდუქტების ბაზარი არის ერთადერთი, რომლიდანაც გამომდინარე სიდიდეები (მოთხოვნა–მიწოდება სავაჭრო პროდუქტებზე) ახდენენ გავლენას სუბსტიტუციის დონეზე.

$$(5.1) \quad \frac{dD_t}{dt} = Q_t^T(E_t) - C_t^T(E_t; V_t) = f(E_t, V_t); \quad \text{სადაც } f'_E > 0; f'_V < 0.$$

ეს ფუნქცია ასახავს უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის ცვლილებას დროის  $t$  – პერიოდში, განისაზღვრება რეალუტო სავალუტო კურსით ( $E_t$ ) და სავალუტო პორტფელის მოცულობით ( $V_t$ ). ამასთან იგი დადებითად რეაგირებს ეროვნული ვალუტის რეალურ დევალვაციაზე და უარყოფითად – სავალუტო პორტფელის შემცირებაზე.

თუკი (3.1) და (4.1) გავაერთიანებთ და ჩავსვამთ (5.1)–ში, მივიდებთ უცხოური ვალუტის დაგროვების ქვოტას:

$$(6.1) \quad \Delta D_t = f(E_t), \quad \text{სადაც } f'_E > 0.$$

მიუხედავად ამისა, რეალური სავალუტო კურსი ( $E_t$ ) არის მხოლოდ თეორიული სიდიდე, რომლის ცვლილებაზეც ეკონომიკურ სუბიექტებს ნაკლები წარმოდგენები აქვთ. მათთვის ხელშესახებია მხოლოდ ნომინალური სავალუტო კურსი ( $S_t$ ), და თავად აკეთებენ პროგნოზს მისი დინამიკის შესახებ ( $\Delta D_t$ ). სწორედ ნომინალური სავალუტო კურსი ( $S_t$ ) არის ეკონომიკური სუბიექტების ძირითადი ინდიკატორი, რომლის მიხედვითაც ისინი გადაწყვეტილებას იღებენ სავალუტო სუბსტიტუციის შესახებ.

$$(7.1) \quad \dot{E} = L(m/eD), \quad \text{სადაც } L' < 0.$$

შემდგომი ანალიზისათვის, ინფლაციისა ( $\pi_t = \Delta P_t^H$ ) და რეალური სავალუტო კურსის ( $E_t$ ) გათვალისწინებით შესაძლებელია (7.1)-ის გარდაქმნა (8.1)-დ შემდეგნაირად:

$$(8.1) \quad \Delta E_t + \pi_t = L_t \left( \frac{M_t}{E_t} \cdot D_t \right).$$

ამასთან, ინფლაციის გათვალისწინებით შესაძლებელია ეროვნული ვალუტის რაოდენობის ცვლილების განსაზღვრა:

$$(9.1) \quad \Delta M_t = \mu - \pi_t.$$

მაშინ (8.1) და (9.1) გაერთიანებით მივიღებთ რეალური სავალუტო კურსის ცვლილებას:

$$(10.1) \quad \Delta E_t = L_t \left( \frac{M_t}{E_t} \cdot D_t \right) + \Delta M_t - \mu.$$

შემდგომ ეტაპზე ჩვენ უნდა წარმოვადგინოთ  $(M_t)$  და  $(\Delta M_t)$ , როგორც  $(E_t)$  და  $(D_t)$  ფუნქცია, რაც შესაძლებელია (1.2) და (9.1) გაერთიანებით:

$$(11.1) \quad M_t = f(E_t) - E_t \cdot D_t;$$

რომლის სრული დიფერენციაციის შედეგად მივიღებთ:

$$(11.2) \quad \Delta M_t = \frac{E_t}{f(E_t) - E_t \cdot D_t} \cdot [f'(E_t) - D_t \cdot \Delta E_t - \Delta D_t].$$

(11.1) და (11.2) გათვალისწინებით (10.1)-ში მივიღებთ სასურველ ფორმულას, რომელიც გამოხატავს რეალური სავალუტო კურსის ცვლილებას:

$$(12.1) \quad \Delta E_t = U_t(E_t; D_t) \cdot \left\{ L \cdot \frac{f(E_t) - E_t \cdot D_t}{D_t \cdot \Delta E_t} - \Delta D_t \cdot \frac{E_t}{f(E_t) - E_t \cdot D_t} - \mu \right\}, \quad \text{სადაც}$$

$$(12.2) \quad U_t(E_t, D_t) = \frac{E_t}{1 - \frac{E_t}{M_t} \cdot (f'(E_t) - D_t)} > 0.$$

(10.1) – გამოხატავს უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის ცვლილებას და (12.1) – სავალუტო კურსის ცვლილებას. მათი ოპტიმიზაციის პირობა  $(\Delta E_t = 0)$  და  $(\Delta D_t = 0)$  წარმოადგენენ საკმარის წინაპირობას (6.1) და (12.2)-თვის:


$$(13.1) \quad \frac{dE_t}{dD_t} = - \frac{\Delta E_t}{E_t} \cdot \frac{\Delta D_t}{D_t}, \quad \text{სადაც}$$

$$(13.2) \quad \frac{dE_t}{dD_t} = 0, \quad \text{როცა } \Delta D_t = 0; \quad (13.3) \quad \frac{dE_t}{dD_t} \neq 0, \quad \text{როცა } \Delta E_t = 0.$$

მაკროეკონომიკური სიდიდეებიდან სწორედ რეალური სავალუტო კურსი  $(E_t)$  ასრულებს ე.წ. ხიდის ფუნქციას რეალურ და მონეტარულ სექტორებს შორის.

სურათი. 2-3-1: ჯაჭვერი წონასწორობა (გალვოს მოდელი)

ურთიერთი: დანაშაული წონასწორობა



წყრი: S. 621, Journal of Political Economy, The University of Chicago, 1977

(a) და (b) გრაფიკები გამოსახავენ წონასწორობის ცვლილებას მონეტარული ცვლილებების შედეგად:

(a) - გვიჩვენებს სიტუაციას, როცა  $(\Delta E_t' / \Delta E_t < 0)$ , და (b) - სიტუაციას, როცა  $(\Delta E_t' / \Delta E_t > 0)$ . ორივე სურათი ეფუძნება ე.წ. (Saddle Path)-პრინციპს, რაც გამოსახავს (Steady State)-ის პირობებში წონასწორობის ცვლილებას დროის განმავლობაში (ე.ი. ერთი სიდიდის ეგზოგენურად ცვლილებაზე სხვა სიდიდეები

რეაგირებენ ჯაჭვური რეაქციის სახით და მიიღება ახალი წონასწორობა). სურათზე გამოსახული მუქი მრუდების ყოველ წერტილზე პირველი და მეორე რიგის წარმოებულები ნულის ტოლია. ე.ი. რეალური სავალუტო კურსის ( $E_t$ ) ყოველი მოცემული სიდიდისათვის მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე ( $\Delta D_t$ ) არის მაქსიმალური. ამასთან, აპროქსიმაციის წესის მიხედვით განსაზღვრულია ამ მრუდების წრფივი გამოსახულება.

კერძოდ, ეროვნული ვალუტის მასის ზრდის კოეფიციენტი ( $\mu_t$ ) იქნებოდა მაქსიმალური და (*Saddle Path*) ორივე შემთხვევაში მარჯვნივ შემოტრიალდება, თუ ( $\Delta E_t = 0$ ), ისე რომ ახალ (*Steady State*) –ში სავალუტო სუბსტიტუცია გაიზრდება (ე.ი. გაიზრდება უცხოური ვალუტის წილი სავალუტო პორტფელში), თანაც ისე, რომ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის ზრდის კოეფიციენტი აღემატება ეროვნული ვალუტის რეალურ დევალვაციას და გრაფიკულად ეს აისახება ახალ (*Saddle Path*) –ზე. ე.ი. საბოლოოდ ეროვნული ვალუტის მასის გაზრდა აისახება რეალური სავალუტო კურსის ზრდაში.

(2.1), (2.2) და (4.1) მიხედვით კი რეალური სავალუტო კურსის ზრდასთან ასოცირდება სავალუტო პორტფელის შემცირება, მით უფრო თუკი რეალური სექტორი იცვლის, მაგრამ ინარჩუნებს წონასწორობას, რაც გულისხმობს მოთხოვნის შემცირებას ეროვნულ ვალუტაზე ( $M_t \downarrow; D_t \uparrow$ ). ეროვნული ვალუტის ექსპანსიის შედეგია არამხოლოდ ინფლაცია, არამედ პირველ რიგში ნომინალური დევალვაციაც (*Overshooting of  $S_t$* ), რომელიც შეიძლება ინფლაციასაც აღემატებოდეს ( $\Delta S_t > \pi_t$ .)

ეროვნული ვალუტის ექსპანსია შემდეგნაირად აისახება: ( $\bar{E}$ ) - ორივე გრაფიკზე გამოხატავს (*Steady State*) - წონასწორობის საწყის პუნქტს, და ორივე შემთხვევაში რეალური სავალუტო კურსი ( $E_t$ ) თავისი წონასწორობის დონიდან უფრო მაღალ დონეზე ( $\bar{E} < E_0$ ), თვით უცხოური ვალუტის რაოდენობის შეუცვლელად სავალუტო პორტფელში. საწყისი გადახრის შემდეგ რეალური სავალუტო კურსი ( $E_t$ ) იწყებს დაბრუნებას ( $\bar{E}$ ) - კენ, მაშინ როცა უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის გაზრდა და მისი აკუმულაცია ხდება ახალი (*Steady State*) - წონასწორობის მიხედვით, რომელსაც რეალური სავალუტო კურსისა და სუბსტიტუციის გაზრდა შეესაბამება.

კალგოს (გილერმო კალგო - ეპონომიკის პროფესორი, ნიუორკის უნივერსიტეტი - აშშ) მოდელში განხილულია სავალუტო კურსის ისეთი განსაზღვრება, როცა რაციონალური მოლოდინის პირობებში ფასები სრულიად მოქნილია და საფალუტო სუბსტიტუციას აქვს ადგილი. მოკლევადიან ანალიზში რეალური სავალუტო კურსი წარმოადგენს მონეტარულ სიდიდეებზე დამოკიდებულ ენდოგენურ სიდიდეს, ხოლო საშუალოვადიან პერსპექტივაში კი იგი აბსოლიტურად დეტერმინირებულია რეალური სიდიდეების მიერ. ეროვნული ვალუტის მასის გაზრდა წამიერად იწვევს როგორც ინფლაციას, ისე მის რეალურ დევალვაციას უცხოური ვალუტის მიმართ. ამასთან, ეროვნული ვალუტის ექსპანსია არის დროის იმ პერიოდის ფაქტორი, რომლის განმავლობაშიც ტრანსფორმაციის მიზნით ეკონომიკური სუბიექტები ეწევენ უცხოური ვალუტის დაგროვებას სავალუტო პორტფელში.

მოდელის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ ფიქსირებული სავალუტო კურსების რეჟიმი, რომელიც (*Steady State*) - წონასწორობის უზრუნველყოფისთვის მოკლევადიან პერსპექტივაში ყველაზე მარტივ გამოსავალს წარმოადგენს და ამ პირობებში ყოველთვის მოსალოდნელია, გრძელვადიან ეკონომიკურ დროში მაინც არასწორი პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნებოდა, და ეს იმ შემთხვევაშიც, თუ ნომინალური სავალუტო კურსი მხოლოდ მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის თეორიით (*PPP – Purchasing Power Parity*) განისაზღვრება. მოდელის საინტერესო გაგრძელება იქნებოდა ფიქსირებული პარიტეტის პირობებში ეროვნული ვალუტის ექსპანსია უცხოური ვალუტის შემცირების ხარჯზე, თუმცა ეს კალგოს მოდელში აღარ არის წარმოდგენილი.

## 2-4. გირტონის “ფინანსური მოდელი”

გირტონის მოდელი<sup>44</sup> (ლარს გირტონი – ეკონომიკის პროფესორი, უბას უნივერსიტეტი – აშშ) ცნობილია აგრეთვე სახელწოდებით “სავალუტო სუბსტიტუციის ფინანსური (კაპიტალის ბაზრის) მოდელი” და ეძღვნება სავალუტო კურსის განსაზღვრას ორგალუტიან მონეტარულ სისტემაში პატარა ლია ეკონომიკისათვის (*SMPPEC*).

გირტონის მოდელი შემოიფარგლება მხოლოდ მოკლევადიანი ანალიზით, რომლის დროსაც ეკონომიკის რეალურ სექტორში, კერძოდ პროდუქტისა და მომსახურების, აგრეთვე შრომის ბაზარზე ფასები არ იცვლება, და სავალუტო კურსის ცვლილება ცალმხრივად განპირობებულია სავალუტო პორტფელში კაპიტალის – (ფინანსური აქტივები, როგორებიცაა აქციები, ბონდები) მოძრაობით, რაც თავის მხრივ შეიძლება დამოკიდებული იყოს როგორც კონკრეტული ფასიანი ქაღალდის, აგრეთვე სხვა ფინანსური აქტივისა და ინსტრუმენტის საბაზრო ფასის ცვლილებაზე (აქციის კურსი, ბონდის შემოსავლიანობა), ისე მათ რაოდენობრივ ცვლილებაზე სავალუტო პორტფელის სტრუქტურაში. სავალუტო სუბსტიტუციაზე საუბრისათვის საკმარისია, რომ ეროვნული ვალუტის გვერდით პორტფელში მყოფი თუნდაც ერთი ფასიანი ქაღალდი დენომინირებული იყოს უცხოურ ვალუტაში, რის შედეგადაც სავალუტო პორტფელის ნებისმიერი ახალი დივერსიფიკაცია გავლენას მოახდენს სავალუტო კურსზე.

სავალუტო სუბსტიტუცია განისაზღვრება უცხოური ვალუტის წილით სავალუტო პორტფელში და ერთმნიშვნელოვნად დამოკიდებულია მონეტარული წონასწორობის ცვლილებაზე, რამდენადაც სავალუტო პორტფელი ერთის მხრივ დივერსიფირებულია ფულადი და კაპიტალის აქტივების, ხოლო მეორე მხრივ ვალუტების მიხედვით.

მონეტარული წონასწორობის ცვლილება კი თავის მხრივ გულისხმობს ვალუტების ეგზოგენური მიწოდების პირობებში ფინანსური მოსაზრებით მათზე მოთხოვნის ცვლილებას. უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამა თუ იმ კაპიტალზე შემოსავლიანობის მოსალოდნელი ზრდის მიხედვით ინვესტორის,

როგორც პორტფელის მფლობელის მოთხოვნა შეიცვლება უცხოური ვალუტის სასარგებლოდ, და პირიქით.

სავალუტო პორტფელის დივერსიფიკაცია ფულადი და კაპიტალის აქტივების სუბსტიტუციაზე ახდენს გავლენას აგრეთვე გვონიმიკური დროის გათვალისწინებით. საქმე იმაშია, რომ პორტფელის მფლობელს აქვს საინვესტიციო არჩევანი კაპიტალს - ფინანსურ აქტივასა (მაგალითად, აქცია ან ბონდი, რომლის შეძენა ან გასხვისება ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი) და ფულად აქტივას შორის (მაგალითად, დეპოზიტი - ვადიანი ანაბარი, რომლის შემოსავლიანობა დროის მომენტან არის დაკავშირებული), რის გამოც ამ არჩევანის გაკეთება შესაძლებელი ხდება მხოლოდ დროის ფაქტორის გათვალისწინებით. ე.ი. ვალუტებს შორის კონკურენცია დამოკიდებულია არა მხოლოდ სავალუტო დივერსიფიკაციაზე, არამედ ფულად და კაპიტალის აქტივებს შორის ურთიერთხანაცვლების ეფექტურობაზეც.

გირგონის მოდელი გამოხატავს სავალუტო სუბსტიტუციას მონეტარული წონასწორობის პირობებში. ეს არის სტატიკური მოდელი და თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გირგონის მოდელი არ მოითხოვს სიმულტანურ წონასწორობას კაპიტალის ბაზარზე როგორ აუცილებელ წინაპირობას მონეტარული წონასწორობის განსაზღვრისთვის.

ასეთი დაშვება უზრუნველყოფს სავალუტო პორტფელში პროპორციის ცვლილებას კაპიტალის აქტივების ურთიერთხანაცვლების გამო. ამით, მართალია, კაპიტალის ბაზარი ვერ იქნება თავისუფალი არბიტრაჟული ან სპეციალური გარიგებებისგან, მაგრამ ინვესტორი შეუზღუდავად ახორციელებს კაპიტალის აქტივების ურთიერთგაცვლას სხვადასხვა ვალუტებს შორის, რაც აისახება კიდეც სავალუტო კურსის ცვლილებაში.

ამასთან, ნებისმიერი  $n$ -ვალუტის ეგზოგენური მიწოდების  $M_n$  პირობებში (ე.ი. როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტის მიწოდება შეუზღუდავია), ვალუტებზე მოთხოვნა  $L_n$  დამოკიდებულია როგორც ეროვნული ვალუტის, ისე უცხოური ვალუტის ფლობის მოსალოდნელ რეალურ სარგებელზე ( $r_1$  და  $r_2$ ), აგრეთვე ინვესტორის მფლობელობაში არსებული ფინანსური პორტფელის (ე.ი. ინვესტორის მფლობელობაში არსებული მოლიანი კაპიტალის) მოცულობასა  $w$

და მის შემოსავლიანობაზე  $r$ . ამასთან  $r$  ექსპონენტური, ხოლო  $w$  სკალარულ სიდიდეებს წარმოადგენებს:

$$(1.1) \quad \frac{M_n}{P_n} = L_n(r_1, r_2, r, w), \quad \text{სადაც } (n = 1; 2).$$

(1.1)-დან შესაძლებელია ცალკე ეროვნული და ცალკე უცხოური ვალუტისათვის წონასწორობის განტოლებას გამოსახვა, იმის გათვალისწინებით, რომ თითოეულ ვალუტაზე მოთხოვნა დამოკიდებულია მოსალოდნელი რეალური სარგებლის განსხვავებაზე:

$$(1.2) \quad \frac{M_1}{P_1} = L_1(r_1 - r, r_1 - r_2, w) \quad - \text{ ეროვნული ვალუტისათვის.}$$

$$(1.3) \quad \frac{M_2}{P_2} = L_2(r_2 - r, r_2 - r_1, w) \quad - \text{ უცხოური ვალუტისათვის.}$$

ექსპონენტების გამოყენებით მივიღებთ ორივე ვალუტისათვის წონასწორობის შესაბამის პირობებს:

$$(2.1) \quad \frac{M_1}{P_1} = \theta_1(w) \exp[\alpha_1(r_1 - r) + \omega_1(r_1 - r_2)], \quad - \text{ ეროვნული ვალუტისათვის;}$$

$$(2.2) \quad \frac{M_2}{P_2} = \theta_2(w) \exp[\alpha_2(r_2 - r) + \omega_2(r_2 - r_1)], \quad - \text{ უცხოური ვალუტისათვის.}$$

სადაც  $\omega_n$  სავალუტო სუბსტიტუციას გამოსახავს, ხოლო  $\alpha_n$  - ფულადი აქტივის კაპიტალის აქტივში გაცვლის კოეფიციენტს ეროვნული და უცხოური ვალუტისათვის. ლინეარიზაციის წესით შესაძლებელია (2.1)-სა და (2.2)-ს გარდაქმნა წრფივ განტოლებებად:

$$(3.1) \quad m_1 - p_1 = \theta_1 + \alpha_1(r_1 - r) + \omega_1(r_1 - r_2) \quad - \text{ ეროვნული ვალუტისათვის,}$$

$$\text{სადაც } m_1 = \ln M_1 ; \quad p_1 = \ln P_1 ; \quad \theta_1 = \ln \theta_1(w) ,$$

$$(3.2) \quad m_2 - p_2 = \ln \theta_2 + \alpha_2(r_2 - r) + \omega_2(r_2 - r_1) \quad - \text{ უცხოური ვალუტისათვის,}$$

$$\text{სადაც } m_2 = \ln M_2 ; \quad p_2 = \ln P_2 ; \quad \theta_2 = \ln \theta_2(w).$$

(3.1)-ის და (3.2)-ის გაერთიანებით მივიღებთ საგალუტო სუბსტიტუციას, რომელიც საგალუტო პორტფელის წონასწორობის (ე.ი. სიმულტანურ წონასწორობას ეროვნული და უცხოური გალუტის ბაზრებს შორის) შესაბამისია.

$$(4.1) \quad \underbrace{p_1 - p_2}_{e-s} = \underbrace{(m_1 - m_2)}_{\tilde{e}} - \underbrace{(\theta_1 + \theta_2)}_{\tilde{\eta}} - \underbrace{(\alpha + 2\omega)(r_1 - r_2)}_{\delta}, \Rightarrow$$

$$(4.2) \quad \omega = \frac{1}{2} \left[ \frac{(m_1 - m_2) - (p_1 - p_2)}{(r_1 - r_2)} - \alpha \right].$$

სადაც ნებისმიერი  $n$ - ვალუტისათვის ალბათობის ნორმალურად (სიმეტრიულად) განაწილების პირობებში  $\omega_n = \omega$  და  $\alpha_n = \alpha$ . შედეგად ფულადი აქტივის კაპიტალის აქტივში გაცვლის კოეფიციენტი დამოკიდებულია მხოლოდ მის შემოსავლიანობაზე:  $\alpha_n = \alpha(r)$ .

(4.1) განტოლების გამარტივებით უფრო ნათლად გამოჩნდება კავშირი საგალუტო სუბსტიტუციასა და საგალუტო კურსს შორის:

$$(4.3) \quad e - s = \Delta p^e = \pi = \bar{e} - \eta \delta, \text{ სადაც:}$$

$$e = \ln E, \text{ -- რეალური საგალუტო კურსი;}$$

$$s = \ln S, \text{ -- ნომინალური საგალუტო კურსი;}$$

$$\delta = r_1 - r_2, \text{ -- გალუტებს შორის სარგებლის მოლოდინის განსხვავება;}$$

$$\omega = \frac{\eta - \alpha}{2}, \text{ -- საგალუტო სუბსტიტუცია;}$$

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, არ არის აუცილებელი, რომ  $r_1$  და  $r_2$  წარმოადგენენ წონასწორობის სიდიდეებს, თუმცა მათ შორის სარგებლის მოლოდინის განსხვავება დამოკიდებულია როგორც ნომინალური სარგებლის ( $R_n$ ), ისე ვალუტების მიხედვით ინფლაციებს ( $\pi_n$ ) შორის სხვაობაზე:

$$(5.1) \quad \begin{aligned} \delta &= r_1 - r_2 = (i_1 - \pi_1) - (i_2 - \pi_2) \\ &= (i_1 - i_2) - \underbrace{(\pi_1 - \pi_2)}_x = i_1 - i_2 - x. \end{aligned}$$

რეალური სავალუტო კურსის (e) გადახრა მისი წონასწორობის დონიდან დამოკიდებულია ვალუტების შორის ნომინალური სარგებლის ( $R_n$ ) განსხვავებაზე, რასაც მარტივად დავინახავთ (4.2) და (5.1) გაერთიანებით:

$$(6.1) \quad (e - \bar{e}) = -\eta(i_1 - i_2 - x).$$

$x$  წარმოადგენს ეგზოგენურ სიდიდეს და გამოხატავს სავალუტო კურსის ცვლილების მოლოდინს მსყიდველობითუნარიანობის (*Purchasing Power Parity*) თეორიის მიხედვით, თუმცა ის ფაქტიურად ნულოვანია, რადგან გირგონის მოდელი განიხილავს ვალუტების გაცვლის შესაძლებლობას ფასების უცვლელობის პირობებში (ე.წ. მოკლევადიანი ანალიზი).

(6.1)-ის საშუალებით შესაძლებელია (5.1)-ის ე.ი. სავალუტო სუბსტიტუციის ფუნქციონალურად გამოსახვა:

$$(7.1) \quad \omega = \omega(e; s; \eta; \delta; \alpha), \quad \text{სადაც} \quad \omega \in [0; 1].$$

ე.ი. სავალუტო სუბსტიტუცია დადებით კავშირშია როგორც რეალურ სავალუტო კურსთან (e), ისე ნომინალურ სავალუტო კურსთან (s), ხოლო უარყოფით კავშირშია ვალუტებს შორის სარგებლის მოლოდინის განსხვავებასთან (δ). რაც შეეხება მის კავშირს ფულად და კაპიტალის აქტივებს შორის გაცვლის კოეფიციენტთან, ის შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, და დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ვალუტაშია დენომინირებული უფრო მაღალი შემოსავლიანობის კაპიტალის აქტივი.

უპირველესად მნიშვნელოვანია გირგონის მოდელის შედეგები სრული სუბსტიტუციის პირობებში. სრული სუბსტიტუცია გულისხმობს, რომ ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კაპიტალის აქტივი ერთმანეთის სრული შემცვლელები არიან, რადგან მათ შორის სარგებლის მოლოდინის განსხვავება ნულის ტოლია: ( $\delta = 0; r_1 = r_2$ ). ამ დროს სავალუტო სუბსტიტუცია მუდმივად იცვლება, ისე რომ ორივე ვალუტა მუდმივად მიმოქცევაშია. მიუხედავად ამისა, მათზე რეალური მოთხოვნის ( $m_k - p_k$ ) დონე სასრულია და მათ შორის სუბსტიტუცია ვერასოდეს გახდება ნულოვანი.

ახლა განვიხილოთ კონკრეტული შემთხვევები, როცა:

$$(7.2) \quad \omega = 1; \quad \text{და} \quad (7.3) \quad \omega \in (0; 1);$$

(7.2) წარმოადგენს უკიდურეს შემთხვევას, როდესაც ინვესტორები პორტფელში მხოლოდ კაპიტალის იმ აქტივებს ფლობენ, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული. ამ დროს ქვეყანა ქრონიკულად განიცდის კაპიტალის გადინებას, ხოლო ეროვნული ვალუტის ბაზარზე არა თუ დარღვეულია წონასწორობა, არამედ სავალუტო ბაზარი ფაქტიურად ადარ არსებობს მაქსიმალური სუბსტიტუციის გამო.

(7.3)-ის შემთხვევაში სავალუტო კურსის ვოლატილობა დამოკიდებულია სწორედ სავალუტო სუბსტიტუციაზე, რადგან სავალუტო კურსის მოლოდინი პირდაპირ კაგშირშია ინვესტორების მიერ პორტფელში ცვლილებების განხორციელებასთან კაპიტალური აქტივების მიხედვით, და ეროვნული ვალუტის ნომინალური დევალვაციის მოლოდინი სწორედ სუბსტიტუციის გაზრდაში პოულობს ასახვას. მართლაც, (7.1)-ის გაწარმოებით მივიღებთ:

$$(8.1) \quad \frac{\Delta e}{\Delta x} = \eta = \alpha + 2\omega, \quad \text{რომლისთვისაც } \alpha = \infty; \quad \omega \in [0;1].$$

რადგან  $\eta$ -უსასრულო სიდიდეა, შედეგად  $x$ - ყოველი ერთეულით გაზრდა, გამოიწვევს  $e - s$  გაზრდას, ანუ გაიზრდება სავალუტო კურსის ვოლატილობა, ე.ი. მივიღებდით არასტაბილურ სავალუტო კურსს.

სავალუტო კურსის ხელოვნურად შენარჩუნება გამოიწვევდა წონასწორობის დარღვევას ეროვნული ვალუტის ბაზარზე, რომლის გამოსწორების ერთადერთი გზა (8.1)-ის თანახმად იქნებოდა ინფლაცია ( $\pi > 0$ ).

სავალუტო კურსის ხელოვნურად შენარჩუნებაში იგულისხმება ეროვნული ბანკის ინტერვენციები სავალუტო ბაზარზე, რაც არა მხოლოდ სავალუტო რეზერვების შემცირებას გამოიწვევდა, არამედ უკვე საშუალოვადიან პერსპექტივაში ინფლაციის გამო უშედეგო ღონისძიება იქნებოდა.

მონეტარული რესტრიქცია ნიშნავს ოფიციალური განაკვეთის გაზრდას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის შემცირება, მაგრამ ვერ შეცვალოს სარგებლის განაკვეთების მრუდი (თუ ასეთი საერთოდ გააჩნიათ განვითარებად ქვეყნებს) ისე, რომ ამან გამოიწვიოს ინვესტორის მხრიდან დაინტერესება კაპიტალის იმ აქტივებზე, რომლებიც ეროვნულ ვალუტაში იქნებოდა დენომინირებული  $\Delta\delta = 0$ .

მონეტარული რესტრიქციის ფარგლებში ერთადერთ კონტრაქციულ ღონისძიებად შეიძლება განხილულ იქნეს ეროვნული ბანკის მიერ ეროვნული ვალუტის მასის დარეგულირება, თუმცა ეს მხოლოდ თეორიულად, რადგან, როგორც მის საპირისპიროდ ემპირიული დაკვირვებები უჩვენებს, განსაკუთრებით განვითარებად ეკონომიკებში ცენტრალური ბანკები თავად არიან შეზღუდული მონეტარული რესტრიქციის გატარებაში. მათ ხელო არსებული ისეთი ინსტრუმენტი, როგორიცაა მაგალითად ოფიციალური განაკვეთი, ვერ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას საბაზრო განაკვეთების ცვლილებაზე, რაც ხელს შეუწყობდა ეროვნული ვალუტის ბაზარზე ახალი წონასწორობის უზრუნველყოფას ინტერვენციის გარეშე.

გირგონის მოდელი აღწერს სავალუტო კურსის განსაზღვრის პროცესს ფასების უცვლელობისა (ე.წ. მოკლევადიანი ანალიზი) და სავალუტო სუბსტიტუციის პირობებში. ამასთან გირგონის მოდელი წარმოადგენს სავალუტო კურსის განსაზღვრის ფინანსურ მოდელს, რამდენადაც მასში განხილულია განსხვავება ერთის მხრივ ფულადი აქტივების სუბსტიტუციასა და მეორე მხრივ კაპიტალის აქტივების სუბსტიტუციას შორის. მოკლევადიან ეკონომიკურ პერიოდში მხოლოდ მონეტარულ სიდიდეებზე არის სავალუტო კურსი დამოკიდებული და ფასების ცვლილებას არ გააჩნია რაიმე გავლენა მის ცვლილებაზე, ე.ი. სავალუტო კურსთან დაკავშირებით არ მოქმედებს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის თეორია.

გირგონის მოდელში როგორც ეროვნული ვალუტის ისე უცხოური ვალუტის მიწოდება განხილულია როგორც ეგზოგენური სიდიდეები, ხოლო მათ შორის სუბსტიტუცია და შესაბამისი გაცვლის კურსი მთლიანად დამოკიდებულია მათზე მოთხოვნის ფუნქციების პარამეტრებზე. ამ პარამეტრებს შორის არის ორივე ვალუტაში დენომინირებული კაპიტალის აქტივების შემოსავლიანობები, თუმცა ისინი არ შეესაბამება წონასწორობის დონეებს თითოეული ბაზრისთვის.

თუმცა სიმულტანური უწონასწორობა კაპიტალის ბაზრებს შორის არის ავტორის დაშვება, რომლის პირობებში თავად სავალუტო კურსის წონასწორობის დონე ვალუტებს შორის, ისევე როგორც სუბსტიტუციის განსზაღვრა მაინც შესაძლებელია, რამდენადაც კაპიტალის აქტივების ურთიერთხანაცვლებასთან დაკავშირებული ტრანსაქციის ხარჯები ასახულია უშუალოდ ვალუტებზე მოთხოვნის ფუნქციებში.

## 2-5. კუდინგტონის საინვესტიციო მოდელი

კუდინგტონის მოდელი<sup>A34</sup> (ჯონ კუდინგტონი – ეკონომიკის პროფესორი, სტენფორდის უნივერსიტეტი, კალიფორნია/აშშ) განიხილავს სავალუტო სუბსტიტუციის პირობებში კაპიტალის ნაკადების თავისუფლების საკითხს და ინვესტიციების გავლენას მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე. ეროვნული ეკონომიკის სუბიექტებისათვის უცხოურ კაპიტალზე შეუზღუდავად ხელმისაწვდომობა წარმოადგენს მოდელის უმთავრეს დაშვებას, რომლის დროსაც სავალუტო კურსის ცვლილება პირველ რიგში სავალუტო პორტფელში  $(V_t^M)$  ცვლილებებზეა დამოკიდებული.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ქვეშ კი იგულისხმება არამხოლოდ მონეტარული სიდიდეების (ინფლაცია; სავალუტო კურსი) სტაბილური დინამიკა, არამედ უპირველესად ეკონომიკის ზრდის დინამიკაც რეალურ სექტორში შესაბამისი სტრუქტურული ცვლილებების გზით. ამის გამო “კუდინგტონის საინვესტიციო მოდელი” შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სავალუტო სუბსტიტუციის ინტეგრირებული მოდელი, რომელიც ფინანსურ მოდელზე დაყრდნობით შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ მონეტარული, არამედ ეკონომიკური შედეგების ანალიზისათვის სავალუტო კონკურენციის პირობებში.

ამასთან კუდინგტონის მოდელში კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების ანალიზი ეფუძნება დაშვებას რეალურ სექტორში საწყისი წონასწორობის შესახებ. ეკონომიკური ზრდის შემთხვევაში ასეთი დაშვება გულისხმობს, რომ საშუალოვადიან ეკონომიკურ დროებს  $(\bar{Y}; \hat{P})$  შორის ინტეგრალებში ეროვნული შემოსავალი შესაბამისობაში მოდის წონასწორობის ერთი დონიდან მეორე დონეზე გადასვლით, ისე რომ ყოველი ინტერვალის დასასრულს რეალურ სექტორში დასრულებულია სტრუქტურული ცვლილებები *(the full employment – სრული დასაქმების ჰიპოთეზა)* და როგორც კაპიტალის, ისე პროდუქტისა და მომსახურების ბაზრებზე მოთხოვნა-მიწოდების ბალანსი მიღწეულია ფასების ცვლილების გზით.

საშუალოვადიანი ეკონომიკური დრო  $(\bar{Y}; \hat{P})$  საკმარისია იმისთვის, რომ ეკონომიკურმა სუბიექტებმა, რომლებიც სავალუტო პორტფელებს ფლობენ, ფორვარდული გარიგებით  $(FS_t^{t+1} - \text{the Forward Exchange Rate})$  შეძლონ სავალუტო

რისკის პეჯირება და შესაბამისად, კუდინგტონის მოდელის ამოსავალ პუნქტს წარმოადგენს ეროვნულ და უცხოეთის ეკონომიკებს შორის (*the covered Parity of the Interest Rates*) სარგებლის განაკვეთების დაფარული პარიტეტი:

$$(1.1) \quad FS_t^{t+1} - S_t = R_t^F - R_t^M.$$

სავალუტო სუბსტიტუციის თეორიებში კუდინგტონის მოდელი ერთადერთია, რომელიც, განსაკუთრებით გირტონის ფინანსური მოდელისგან განსხვავებით, სარგებლის განაკვეთების დაფარული პარიტეტების შესახებ აკოთვებს დაშვებას. ამ გზით ავტორი გამორიცხავს საბაზრო რისკის ფაქტორს სავალუტო პორტფელის სტრუქტურული ცვლილებების პროცესში ფულისა  $(M_t; F_t)$  და კაპიტალის  $(B_t^M; Q_t^F)$  აქტივებს შორის, რის გამოც ეკონომიკური სუბიექტები არ დგანან სავალუტო კურსის  $(\text{Expectation}(\Delta S_t^{t+1})=0)$  პროგნოზირების აუცილებლობის წინაშე.

ასეთი დაშვებით კუდინგტონის მოდელი გარკვეულწილად ენათესავება ე.წ. ბრანსონის სავალუტო მოდელს, რომელიც, მართალია, სავალუტო სუბსტიტუციას არ ითვალისწინებს, მაგრამ სავალუტო კურსს ( $S_t$ ) წარმოაჩენს როგორც ეროვნულ და უცხოეთის ეკონომიკებს შორის კაპიტალის ბაზრების ინტერაქტიულობის შედეგს და ცნობილია სახელწოდებით “გაცვლითი კურსის განსაზღვრა სავალუტო პორტფელის წონასწორობის პირობებში”.

როგორც კუდინგტონის მოდელის შედეგებში გამოჩნდება, არ არის გამორიცხული, რომ უცხოელებიც დაინტერესდნენ იმ კაპიტალური აქტივების მიმართ, რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული. სწორედ ასეთი შედეგის გამო არის გამართლებული კუდინგტონის ნაშრომისათვის “საინვესტიციო მოდელის” დარქმევა. შესაბამისად, გარკვეული პარალელების მიუხედავად, ბრანსონისა და კუდინგტონის მოდელები ვერ მოგვცემს ერთნაირ შედეგს, რამდენადაც, როგორც ცნობილია, ბრანსონის მოდელი ეფუძნება უცხოელების ნაკლებ ინტერესს ეროვნული ეკონომიკისადმი (ე.ი. მხოლოდ ეროვნული ეკონომიკის სუბიექტები არ არიან ინდეფერენტულნი უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კაპიტალის  $(Q_t^F)$  აქტივების მიმართ).

ეროვნულ ეკონომიკაში სიმულტანური წონასწორობა რეალურ და ფინანსურ სექტორებს შორის გულისხმობს სავალუტო პორტფელს წარმოჩენას  $(V_t^M)$ , როგორც მოხმარების  $(C_t^M = Y_t^M - I_t^M - X_t^M)$  დაფინანსების ერთადერთ წყაროს, რომლის შევსებაც შესაძლებელია უცხოურ ვალუტის შემოდინებით, მასში დენომინირებული ფულადი და კაპიტალური აქტივების სახით.

$$(2.1) \quad (Y_t^M - I_t^M - X_t^M) \cdot P_t^M = V_t^M = M_t + B_t^M + S_t \cdot (F_t + Q_t^F), \quad \text{სადაც}$$

$Y_t^M$  – ეროვნული შემოსავალი;

$I_t^M$  – კერძო ინვესტიციები ეროვნულ ეკონომიკაში;

$X_t^M$  – ეროვნული ეკონომიკის საგარეო პოზიცია (მიმდინარე ანგარიში);

შესაბამისად, სავალუტო პორტფელის  $(V_t^M)$  კომპონენტები  $(M_t; F_t; B_t^M; Q_t^F)$  განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში სარგებლის განაკვეთისა  $(R_t^M)$  და ეროვნული შემოსავლის  $(Y_t^M)$ , აგრეთვე სავალუტო სუბსტიტუციის  $(\Omega_t)$  მიხედვით:

- ეროვნული ვალუტის ბაზრისთვის:

$$(3.1) \quad M_t = m(R_t^M; \Omega_t; Y_t^M; V_t^M) = m_1 \cdot R_t^M + m_2 \cdot \Omega_t + m_3 \cdot Y_t^M + m_4 \cdot V_t^M, \quad \text{სადაც}$$

$$m_1 = \frac{\Delta M_t}{\Delta R_t^M} < 0; \quad m_2 = \frac{\Delta M_t}{\Delta \Omega_t} < 0; \quad m_3 = \frac{\Delta M_t}{\Delta Y_t^M} > 0; \quad m_4 = \frac{\Delta M_t}{\Delta V_t^M} > 0.$$

სრული დიფერენციაციის შემთხვევაში:

$$(3.2) \quad dM_t = m_1 \cdot dR_t^M + m_2 \cdot d\Omega_t + m_3 \cdot dY_t^M + m_4 \cdot dV_t^M.$$

- ეროვნული კაპიტალის ბაზრისთვის:

$$(4.1) \quad B_t^M = b(R_t^M; \Omega_t; Y_t^M; V_t^M) = b_1 \cdot R_t^M + b_2 \cdot \Omega_t + b_3 \cdot Y_t^M + b_4 \cdot V_t^M, \quad \text{სადაც}$$

$$b_1 = \frac{\Delta B_t^M}{\Delta R_t^M} > 0; \quad b_2 = \frac{\Delta B_t^M}{\Delta \Omega_t} < 0; \quad b_3 = \frac{\Delta B_t^M}{\Delta Y_t^M} < 0; \quad b_4 = \frac{\Delta B_t^M}{\Delta V_t^M} > 0.$$

სრული დიფერენციალის შემთხვევაში:

$$(4.2) dB_t^M = b_1 \cdot dR_t^M + b_2 \cdot d\Omega_t + b_3 \cdot dY_t^M + b_4 \cdot dV_t^M .$$

- უცხოური გალუტის ბაზრისთვის:

$$(5.1) S_t \cdot F_t = f(R_t^M; \Omega_t; Y_t^M; V_t^M) = f_1 \cdot R_t^M + f_2 \cdot \Omega_t + f_3 \cdot Y_t^M + f_4 \cdot V_t^M , \text{ საღაო}$$

$$f_1 = \frac{\Delta F_t}{\Delta R_t^M} < 0; \quad f_2 = \frac{\Delta F_t}{\Delta \Omega_t} > 0; \quad f_3 = \frac{\Delta F_t}{\Delta Y_t^M} < 0; \quad f_4 = \frac{\Delta F_t}{\Delta V_t^M} > 0.$$

სრული დიფერენციალის შემთხვევაში:

$$(5.2) S_t \cdot dF_t + dS_t \cdot F_t = f_1 \cdot dR_t^M + f_2 \cdot d\Omega_t + f_3 \cdot dY_t^M + f_4 \cdot dV_t^M ,$$

- უცხოური კაპიტალის ბაზრისთვის:

$$(6.1) S_t \cdot Q_t^F = f(R_t^M; \Omega_t; Y_t^M; V_t^M) = f_1 \cdot R_t^M + f_2 \cdot \Omega_t + f_3 \cdot Y_t^M + f_4 \cdot V_t^M , \text{ საღაო}$$

$$q_1 = \frac{\Delta Q_t^F}{\Delta R_t^M} < 0; \quad q_2 = \frac{\Delta Q_t^F}{\Delta \Omega_t} > 0; \quad q_3 = \frac{\Delta Q_t^F}{\Delta Y_t^M} > 0; \quad q_4 = \frac{\Delta Q_t^F}{\Delta V_t^M} > 0.$$

სრული დიფერენციალის შემთხვევაში:

$$(6.2) S_t \cdot dQ_t^F + dS_t \cdot Q_t^F = q_1 \cdot dR_t^M + q_2 \cdot d\Omega_t + q_3 \cdot dY_t^M + q_4 \cdot dV_t^M .$$

მაკროწონასწორობის შემთხვევაში  $(dM_t = 0; dB_t^M = 0; dF_t = 0; dQ_t^F = 0)$  ოთხივე ბაზარი დაბალანსებულია და საშუალოვადიან ეგონომიკურ პერიოდში ნულოვანია ეროვნული შემოსავლის ფაქტიური გადახრა  $(Y_t^M = \hat{Y}; dY_t^M = 0)$  მისი წონასწორობის დონიდან. ამ შემთხვევაში სავალუტო კურსისა და სავალუტო სუბსტიტუციის ცვლილებები დამოკიდებულია კაპიტალის ნაკადებზე ეროვნულ და უცხოეთის ეგონომიკებს შორის:

$$(7.1) -dS_t \cdot (F_t + Q_t^F) = dR_t^M + d\Omega_t + dV_t^M .$$

ახლა განვიხილოთ საინვესტიციო მოდელის მთავარი საკითხი, კერძოდ თუ როგორ რეაგირებენ ეროვნული ეკონომიკის მონეტარული  $(dS_t - ?; dR_t^M - ?)$  და რეალური  $(dY_t^M - ?)$  სექტორები უცხოეთიდან კაპიტალის შემოდინებაზე, ე.ი. როცა უცხოელები ინტერესს ავლენენ ეროვნული კაპიტალის  $(dB_t^M > 0)$  მიმართ სავალუტო პორტფელის სხვა კომპონენტების  $(dM_t = 0; dF_t = 0; dQ_t^F = 0)$  უცვლელობის პირობებში. როგორც მოსალოდნელია, კაპიტალის ნაკადებმა ეროვნულ ეკონომიკაში უნდა გამოიწვიონ საშუალოვადიან ეკონომიკურ პერიოდებს შორის ეროვნული შემოსავლის დადებითი გადახრა, რაც  $[t; t+1]$ -ინტერვალის დასრულების შემდეგ ახალი წონასწორობის ჩამოყალიბებაში აისახება.

ადნიშნულის გამოსაკვლევად პირველ ნაბიჯზე აუცილებელია (3.2);(4.2);(5.2);(6.2) გაერთიანება და ამ გზით მაკროწონასწორობის სისტემატიზაცია:

$$\left\{ \begin{array}{l} m_1 \cdot dR_t^M + m_2 \cdot d\Omega_t + m_3 \cdot dY_t^M + m_4 \cdot dV_t^M = 0 \\ b_1 \cdot dR_t^M + b_2 \cdot d\Omega_t + b_3 \cdot dY_t^M + b_4 \cdot dV_t^M = dB_t^M \\ f_1 \cdot dR_t^M + f_2 \cdot d\Omega_t + f_3 \cdot dY_t^M + f_4 \cdot dV_t^M = 0 \\ q_1 \cdot dR_t^M + q_2 \cdot d\Omega_t + q_3 \cdot dY_t^M + q_4 \cdot dV_t^M = 0 \end{array} \right.$$

(8.1)

$$\underbrace{\begin{bmatrix} m_1 & m_2 & m_3 & m_4 \\ b_1 & b_2 & b_3 & b_4 \\ f_1 & f_2 & f_3 & f_4 \\ q_1 & q_2 & q_3 & q_4 \end{bmatrix}}_{\Phi < 0} \times \begin{bmatrix} dR_t^M \\ d\Omega_t \\ dY_t^M \\ dV_t^M \end{bmatrix} = \begin{bmatrix} 0 \\ dB_t^M \\ 0 \\ 0 \end{bmatrix}.$$

შედეგად მივიღებთ:

- ეროვნულ ვალუტაში იზრდება სარგებლის განაკვეთი:

$$(8.2) \quad dR_t^M = \frac{\Phi(dR_t^M)}{\Phi} > 0, \quad \text{სადაც, } \Phi(dR_t^M) = \begin{bmatrix} 0 & m_2 & m_3 & m_4 \\ dB_t^M & b_2 & b_3 & b_4 \\ 0 & f_2 & f_3 & f_4 \\ 0 & q_2 & q_3 & q_4 \end{bmatrix} < 0;$$

- სავალუტო სუბსტიტუცია მცირდება:

$$(8.3) \quad d\Omega_t = \frac{\Phi(d\Omega_t)}{\Phi} < 0, \quad \text{სადაც, } \Phi(d\Omega_t) = \begin{bmatrix} m_1 & 0 & m_3 & m_4 \\ b_1 & dB_t^M & b_3 & b_4 \\ f_1 & 0 & f_3 & f_4 \\ q_1 & 0 & q_3 & q_4 \end{bmatrix} > 0;$$

- ეროვნული შემოსავალი  $[t; t+1]$ -ინტერვალში ახალ წონასწორობაზე გაიზრდება:

$$(8.4) \quad dY_t^M = \frac{\Phi(dY_t^M)}{\Phi} > 0, \quad \text{სადაც, } \Phi(dY_t^M) = \begin{bmatrix} m_1 & m_2 & 0 & m_4 \\ b_1 & b_2 & dB_t^M & b_4 \\ f_1 & f_2 & 0 & f_4 \\ q_1 & q_2 & 0 & q_4 \end{bmatrix} < 0;$$

- სავალუტო პორტფელი გაიზრდება:

$$(8.5) \quad dV_t^M = \frac{\Phi(dV_t^M)}{\Phi} > 0, \quad \text{სადაც, } \Phi(dV_t^M) = \begin{bmatrix} m_1 & m_2 & m_3 & 0 \\ b_1 & b_2 & b_3 & dB_t^M \\ f_1 & f_2 & f_3 & 0 \\ q_1 & q_2 & q_3 & 0 \end{bmatrix} < 0;$$

მოდელის შედეგები ასახავს როგორც რეალურ  $(dY_t^M > 0)$  ისე მონეტარულ  $(d\Omega_t < 0)$  სექტორებში და მათი სტაბილურობისათვის დადგებით ეფექტებს ეროვნულ ეკონომიკაში უცხოეთიდან კაპიტალის შემოდინების შემთხვევაში. ამასთან (7.1)-დან გამომდინარეობს, რომ (8.2), (8.3) და (8.5) შედეგების საფუძველზე მოსალოდნელია ეროვნული ვალუტის  $(dS_t < 0)$  გამყარება.

აქვე მნიშვნელოვანია იმ სპეციფიკის აღნიშვნა, რომელიც დაკავშირებულია სავალუტო პორტფელის ლიკვიდურობის მიზნებთან. ბრანსონის მოდელის

თანახმად, სავალუტო პორტფელის წონასწორობის პირობებში მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მასა  $(M_t)$  წარმოადგენს ერთადერთ კომპონენტს, რომლის ელასტიურობა ეროვნული შემოსავლის  $(Y_t^M)$  მიმართ დადებითია. ყველა სხვა კომპონენტი ან ნაკლებად ელასტიურია, ან უარყოფითად რეაგირებს ეროვნული შემოსავლის ზრდაზე.

საქმე იმაშია, რომ ეკონომიკის ზრდით გამოწვეულმა დანაზოგების გაზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური სუბიექტების მზარდი ინტერესი უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კაპიტალის აქტივების  $(Q_t^F)$  მიმართ და მაკროეკონომიკურ დონეზე ამ მხრივ გადამწყვეტია არა ცალმხრივად კაპიტალის შემოდინება ეროვნულ ეკონომიკაში, არამედ საგადამხდელო ბალანსში კაპიტალის ანგარიშის სალდო, რომელიც ემპირიულად ყოველთვის უარყოფითია ისეთი ეკონომიკებისთვის (2009: ბრაზილია, ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი, კორეა, მალაიზია, ჩილე, მექსიკა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ინდონეზია), რომელთაც ეკონომიკური ზრდის დადებითი დინამიკა გააჩნიათ.

როგორც ჯონ კუდინგბერინი<sup>A34</sup> თავად აღნიშნავს, სავალუტო სუბსტიტუცია არის ის თეორიული დაშვება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ბრანსონის მოდელის შედეგის მოდიფიცირება, რაც ნიშნავს, რომ ეკონომიკური ზრდის პირობებში ვალუტათშორისი კონკურენცია შედარებით მაინც უზრუნველყოფს კაპიტალის არგადინებას ეროვნულიდან უცხოურ ეკონომიკაში. კაპიტალის შენარჩუნება წარმოადგენს სერიოზულ გამოწვევას ეკონომიკური პოლიტიკისთვის, რომლის ქმედითობა ნაკლებად ადმინისტრაციულ და უფრო მეტად ეფექტურ მაკროეკონომიკურ მენეჯმენტთან არის დაკავშირებული.

მოდელის შედეგები იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ შეუძლებელია კუდინგბერინის მოდელის ცალმხრივად წარმოჩენა როგორც ფინანსური მოდელი. მეტიც, ის შეიძლება საფუძვლად დაედოს სავალუტო სუბსტიტუციის მაკროეკონომიკურ ანალიზს, რომლის ერთადერთი მიზანია მიმდინარე ანგარიშის წარმოჩენა, როგორც სავალუტო სუბსტიტუციის არამონეტარისტული მიზეზი, და, შესაბამისად, მიმდინარე ანგარიშის სალდოსა და სავალუტო სუბსტიტუციის ურთიერთდაკავშირება.

## 2-6. მაილსის პოლიტიკური მოდელი

ჯერ კიდევ შესავალში აღვნიშნეთ, რომ ეკონომიკური სუბიექტების მიერ სავალუტო პორტფელის დივერსიფიკაცია თუნდაც სრულიად თავისუფლად ცვალებადი სავალუტო კურსის რეჟიმის პირობებში გამორიცხავს მონეტარული პოლიტიკის აბსოლიტურ დამოუკიდებლობას. ამის გამო ნებისმიერი პოლიტიკური ცვლილება, რომელიც განხორციელდება ეროვნული ბანკის ან მონეტარული პოლიტიკის წარმმართველი სხვა ნებისმიერი ორგანოს მიერ, დროის განმავლობაში აუცილებლად აისახება ნებისმიერი ეკონომიკური სუბიექტის სავალუტო პორტფელში.

მაილსის თეორია<sup>454</sup> (მარკ მაილსი – ეკონომიკის პროფესორი, ნიუ-ჯერსის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აშშ) განიხილავს მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებს, როგორც სავალუტო სუბსტიტუციის მექანიზმს. ასეთ მექანიზმად შეიძლება დასახელდეს რეფინანსირების განაკვეთი, როგორც ეროვნული ბანკის მთავარი პოლიტიკური ინსტრუმენტი, და კერძოდ მისი ცვლილებით გამოწვეული მოლოდინები ფულის მასასა და ინფლაციასთან დაკავშირებით, რომლის შესაბამისადაც ეკონომიკური სუბიექტები ცვლილებებს ახორციელებენ თავიანთ სავალუტო პროტფელებში.

ადსანიშნავია, რომ მაილსის მოდელის ემპირიულ საფუძველს წარმოადგენდა კანადის მონეტარული სისტემა, რომელიც 1970-იან წლებში თავისუფლად ცვალებად სავალუტო კურსებზე გადასვლის მიუხედავად დღემდე ფუნქციონირებს პარალელური ვალუტის რეჟიმში, რამდენადაც ეკონომიკურ სუბიექტებს სავალუტო პორტფელში თავიანთი ეროვნული ვალუტის – კანადური დოლარის – გარდა მოთხოვნა გააჩნიათ ისეთ უცხოურ ვალუტაზე, როგორიცაა აშშ დოლარი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ვალუტას შორის გაცვლითი კურსი არავითარ პოლიტიკურ შეზღუდვას არ ექვემდებარება, მოდელის ავტორი კ.წ. “სუბსტიტუციის ტეხნიკის” საშუალებით ცდილობს იმის წარმოჩენას, რომ ერთის მხრივ თუ რამდენად უძლეურია კანადის ეროვნული ბანკი აშშ დოლარის “შემოჭრის” მიმართ კანადის ეკონომიკაში, და მეორე მხრივ რომ სწორედ კონკურირებადი მონეტარული სისტემა აღარ ქმნის იმის აუცილებლობას, რომ აშშ-სთან ერთიანი მონეტარული სისტემა ჩამოყალიბდეს. აღნიშნული ტეხნიდან გამომდინარე მოდელის ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ თუნდაც სრულიად

თავისუფლად ცვალებადი სავალუტო კურსების რეჟიმი ვერ გახდება გარანტია მონეტარული სისტემის სუბსტიტუციის გარეშე არსებობისათვის.

ამასთან, მოდელის ავტორი ეკონომიკური სუბიექტების მიერ დივერსიფიცირებულ სავალუტო პორტფელს განიხილავს მხოლოდ როგორც აუცილებელ წინაპირობად სავალუტო სუბსტიტუციისათვის. მისი აზრით, სავალუტო სუბსტიტუციას გააჩნია ინსტიტუციონალური მიზეზებიც, რომლებზეც დამოკიდებულია პოლიტიკური გადაწყვეტილებანი და სწორედ ამ პოლიტიკური გადაწყვეტილებებით მოსალოდნელი ცვლილებანი სავალუტო პორტფელში შეიძლება იქნეს განხილული როგორც სავალუტო სუბსტიტუციის საკმარისი წინაპირობა.

ასეთი მიდგომით ავტორი ერთის მხრივ ხაზს უსვავს მოვლენის დინამიურობას და, მეორე მხრივ იმ გარემოებას, რომ სავალუტო პორტფელში ცვლილებები დაკავშირებულია არა უბროლოდ სხვა მაკროეკონომიკური სიდიდეების (ეროვნული შემოსავალი, ინფლაცია) შეცვლითან, არამედ ამ ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებული ჩანაცვლების ხარჯებთან, რომელთა საზომ ინსტრუმენტებს სწორედ პოლიტიკური გადაწყვეტილებები და მისგან გამომდინარე შედეგები შეიძლება წარმოადგენდეს.

მაგალითად, ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების განაკვეთის შემცირების ( $\Delta R_t < 0$ ) შემთხვევაში მოსალოდნელია ეროვნულ ვალუტაში ფულადი მასის ( $\Delta M_t > 0$ ) გაზრდა, რომელიც მხოლოდ მაშინ შეიძლება აისახოს სავალუტო სუბსტიტუციის შემცირებაში ( $\Delta \Omega_t < 0$ ), თუკი ეკონომიკური სუბიექტების გადაწყვეტილებანი სავალუტო პორტფელში ცვლილების განხორციელების შესახებ ნაკარნახევი იქნება ჩანაცვლების ხარჯების (*Increasing Costs of the Oportunity*) გაზრდით სავალუტო პორტფელში უცხოური ვალუტის ფლობის გამო.

შესაბამისად პოლიტიკური გადაწყვეტილების ფასი შეიძლება იყოს მხოლოდ სავალუტო პორტფელში მოსალოდნელი ცვლილების შედარებითი ხარჯები ( $K_t$ ) უცხოური ვალუტის ფლობისათვის, და არა უბრალოდ ის გარემოება, რომ ეროვნულ ვალუტაში ფულადი მასის ზრდა ავტომატურად ასახვას პპოვებს სავალუტო პორტფელში ცვლილებებზე ეროვნული ვალუტის სასარგებლოდ და ამ გზით სავალუტო სუბსტიტუციის შემცირებაში ( $\Delta \Omega_t < 0$ ). ამის გამო მაილსის

მოდელი წარმოადგენს მონეტარულ პოლიტიკასა და სავალუტო სუბსტიტუციას შორის ინტერაქტიულობის მოდელს (შემოკლებით, პოლიტიკური მოდელი).

ყველა სხვა ავტორისგან განსხვავებით მაილსის მოდელის მთავარი თავისებურება მდომარეობს ორი ეკონომიკის მონეტარული სისტემების ერთდროულად განხილვაში (ე.წ. "the two Countries Model"). ამით მოდელის ავტორი უგულებელყოფს აქამდე ტაბუდადებულ დაშვებას, რომ თითქოს სავალუტო სუბსტიტუცია შეიძლება იყოს მხოლოდ მცირე ეკონომიკებისათვის (*SMOPEC*) დამახასიათებელი მოვლენა. დაშვების ასეთი ტრანსფორმაცია ყველა შემთხვევაში გამართლებულია „სუბსტიტუციის ტესტით,“ რომელსაც ავტორი აშშ და კანადურ დოლარებს შორის განიხილავს. მართლაც, მათი ეკონომიკები არამხოლოდ მჭიდრო სავაჭრო პარტნიორები არიან, არამედ მათ შორის დიდია კაპიტალის ნაკადებიც და მრავალი ამერიკელის სავალუტო პორტფელშია ისეთი კაპიტალის აქტივები, რომლებიც სწორედ კანადურ დოლარში არიან დენომინირებული.

დაშვების ასეთი ტრანსფორმაცია აბათილებს აგროვე აქსიომას უცხოური სიდიდეების ეგზოგენურობის შესახებ, რის გამოც ორივე ეკონომიკაში ეკონომიკური სუბიექტების მიერ სავალუტო პორტფელის რესტრუქტურიზაცია დამოკიდებულია ეკონომიკური სუბიექტების მოლოდინთან სარგებლის განაკვეთების მრუდების ცვლილების გამო, რაც თავის მხრივ მოსალოდნელია ამ ეკონომიკების მონეტარულ პოლიტიკებში ახალი გადაწყვეტილებებით. მაშინ პორტფელში ცვლილების შედარებითი ხარჯები დამოკიდებულია ვალუტებს შორის მოთხოვნის ცვლილებაზე სარგებლის განაკვეთების ცვლილების მიხედვით:

$$(1.1) \quad K_t \left( \frac{R_t^F}{R_t^M} \right) = \left( \frac{M_t}{F_t} \cdot \frac{P_t^F}{P_t^M} \right), \quad \text{სადაც} \quad \frac{\Delta K_t}{\Delta R_t^F} > 0; \quad \frac{\Delta K_t}{\Delta R_t^M} < 0.$$

მოდელის ამოსავალი პუნქტია აგრეთვე დაშვება საწყისი წონასწორობის შესახებ. ე.ი. ორივე ეკონომიკაში როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტების ბაზრებზე მოთხოვნა-მიწოდება დაბალსებულია და ორივე ეკონომიკის სუბიექტებს თავაინთ სავალუტო პორტფელში გააჩნიათ სწორედ ის სასურველი თანაფარდობა ვალუტებს შორის, რომელიც მათ მოთხოვნას შეესაბამება დროის ნებისმიერი  $(t)$  – მომენტისათვის. ვალუტების მიწოდებები  $(M_t; F_t)$  წარმოადგენენ

პოლიტიკურ პარამეტრებს, ხოლო სარგებლის განაკვეთები  $(R_t^M; R_t^F)$ , როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტები, მათ დეტერმინანტებს. შესაბამისად,

- ეროვნული ვალუტისათვის:

$$(2.1) \quad M_t = m(P_t^M; Y_t^M; R_t^M) = m_1 \cdot P_t^M + m_2 \cdot Y_t^M + m_3 \cdot R_t^M \text{ სადაც}$$

$$m_1 = \frac{\Delta M_t}{\Delta P_t^M} > 0; \quad m_2 = \frac{\Delta M_t}{\Delta Y_t^M} > 0; \quad m_3 = \frac{\Delta M_t}{\Delta R_t^M} < 0;$$

- უცხოური ვალუტისათვის:

$$(3.1) \quad F_t = f(P_t^F; Y_t^F; R_t^F) = f_1 \cdot P_t^F + f_2 \cdot Y_t^F + f_3 \cdot R_t^F \text{ სადაც}$$

$$f_1 = \frac{\Delta F_t}{\Delta P_t^F} > 0; \quad f_2 = \frac{\Delta F_t}{\Delta Y_t^F} > 0; \quad f_3 = \frac{\Delta F_t}{\Delta R_t^F} < 0.$$

დეტერმინანტთა დანარჩენი ორი მნიშვნელოვანი ჯგუფია ეროვნული და უცხოურის ეკონომიკების ეროვნული შემოსავლები  $(Y_t^M; Y_t^F)$  და ფასების დონე  $(P_t^M; P_t^F)$ . საშუალოვადიან ეკონომიკურ პერიოდში ფასების ცვლილება უზრუნველყოფს ეროვნული შემოსავლების წონასწორობის დონეებს (ე.წ. მაკრო-მიწოდების ვერტიკალური მრუდები), რის გამოც ფასები მონეტარულ ფენომენს წარმოადგენს და აბსოლიტურად დამოკიდებულია ფულის მასის ცვლილებაზე. მოდელის ავტორიც თავის ანალიზში შემოიფარგლება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მოქმედებაზე საშუალოვადიანი ეკონომიკური პერიოდისათვის და ფასების ცვლილების მოლოდინს განიხილავს როგორც მთავარ ინდიკატორს  $(\Delta P_t^M < 0 \Rightarrow \Delta R_t^M < 0 \Rightarrow \Delta M_t > 0)$  პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

მოდელის ავტორი განიხილავს პოლიტიკური მოტივით მონეტარული ექსპანსიის ( $\Delta M_t > 0$ ) ორ ვარიანტს, რომელთა განვითარება არის შესაძლებელი:

1) მყისიერი ექსპანსია (ე.წ. ფრიდმანის ეფექტი), რომელიც გულისხმობს ფულის მასის ერთჯერად საჭოველთაო ექსპანსიას.

2) ეტაპობრივი ექსპანსია (ე.წ. დორნბუშის ეფექტი), რომელიც გულისხმობს მონეტარული სექტორის თანდათანობით გაჯერებას ფულის მასით.

განვიხილოთ თითოეული შემთხვევა :

1) მყისიერი ექსპანსიის შემთხვევაში ე.წ. მონეტარული შოკი გამოიწვია საწყისი წონასწორობიდან გადახრას, რაც საბოლოო ჯამში აისახება

მონეტარული სიდიდეების ცვლილებაზე. როგორ რეაგირებს ეროვნულ ვალუტაში სარგებლის განაკვეთების მრუდი აღნიშნულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე ? ეროვნულ ვალუტაში ფულადი მასის გაზრდა ( $\Delta M_t > 0$ ) გამოიწვევს სავალუტო პორტფელის შიგნით ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ კაპიტალის აქტივებზე ( $\Delta B_t^M > 0$ ) მოთხოვნის გაზრდას და მიუხედავად იმისა, რომ რთულია პროპორციის წინასწარ პროგნოზირება ( $\Delta B_t^M / \Delta B_t^M - ?$ ), თუ როგორ გადანაწილდება ეროვნული ვალუტა ფულად და კაპიტალის აქტივებს შორის, მოკლევადიან სეგმენტზე მაინც მოსალოდნელია სარგებლის განაკვეთების მრუდის ( $\Delta R_t^M < 0$ ) შემცირება, რაც ეკონომიკურ სუბიექტებს უბიძებს იმისკენ, რომ მათ სავალუტო პორტფელში არსებული ფულადი და კაპიტალის აქტივები შეამცირონ, რომლებიც ეროვნულ ვალუტაში იყო დენომინირებული მონეტარული ექსპანსიის განხორციელებამდე. საქმე იმაშია, რომ მათთვის (1.1)-ის თანახმად, ეროვნულ ვალუტაში აქტივების შენახვის ოპროტუნისტული ხარჯები ( $\Delta K_t > 0$ ) იზრდება. შესაბამისად, სავალუტო პორტფელში გაიზრდება უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი და კაპიტალის აქტივების წილი, რაც გულისხმობს სავალუტო სუბსტიტუციის ( $\Delta \Omega_t > 0$ ) გაზრდას.

სავალუტო სუბსტიტუციის გაზრდას ხელს ვერ შეუშლის ის გარემოებაც, რომ უცხოეთის ეკონომიკის სუბიექტები, რომლებიც სავალუტო პორტფელში ფლობენ ეროვნული ვალუტის აქტივებს, როგორც ფულადს ( $M_t$ ) ისე კაპიტალის ( $B_t^M$ ) აქტივებს, სარგებლის განაკვეთების მრუდის დაცემის ( $\Delta R_t^M < 0$ ) გამო შეიძლება სრულად არა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც დაიწყებენ სავალუტო პორტფელიდან მათ გამოხშირვას ( $\Delta M_t < 0; \Delta B_t^M < 0$ ), და ეს მიუხედავად იმისა, რომ მათთვის სავალუტო პორტფელის შენახვის ჩანაცვლების ხარჯები ( $\Delta K_t^F < 0$ ) შემცირდება ეროვნული ეკონომიკის სუბიექტებისგან განსხვავებით.

როგორც სავალუტო სუბსტიტუციის პირობებში, ისე მის გარეშეც, მყისიერი ექსპანსია გამოიწვევს მოლოდინის გაქრობას (ე.წ. ფრიდმანის ეფექტი) ეკონომიკური სუბიექტების გადაწყვეტილებებში. ბუნებრივა, განხორციელებული მონეტარული შოკი მათთვის წარმოადგენს მოცემულობას, და ერთადერთი რისი

გაპეთების შესაძლებლობასაც მათ პოლიტიკოსები უტოვებენ მონეტარული ექსპანსიის შემდეგ, მდგომარეობს ახალი წონასწორობის ადაპტაციაში.

**2) ეტაპობრივი ექსპანსიის შემთხვევაში** ეკონომიკური სუბიექტები თავად გვევლინებიან პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემსრულებლებად. მოდელის ავტორი, გამარტივების მიზნით, განიხილავს მათ ქმედებას ჯერ სრული ინფორმაციის პირობებში, ხოლო შემდეგ შემთხვევის გართულება ინფორმაციის სიმწირეში და ე.წ. მოულოდნელობის ეფექტში გამოიხატება.

სრული ინფორმაციის პირობებში, ე.ო. თუ პოლიტიკური გადაწყვეტილებების ინტერვალი დროის მიხედვით მაინც ცნობილია, მონეტარული ექსპანსიიდან გამომდინარე ( $\Delta M_t > 0; \Delta M_{t+1} > 0; \Delta M_{t+2} > 0; \dots \Delta M_{t+n} > 0$ ) მათი მოლოდინის გაზრდა ინფლაციასთან  $[(\Delta P_{t+n}^M > 0)_{t+n-1}^e]$  დაკავშირებით გამოიწვევს სარგებლის განაკვეთების მრუდის ( $\Delta R_t^M \leq 0$ ) შედარებით სიხისტეს, რაც დროის მიხედვით აისახება როგორც ჩანაცვლების ხარჯების ( $\Delta K_t^M \geq 0$ ), ისე სავალუტო სუბსტიტუციის ( $\Delta \Omega_t \geq 0$ ) მხოლოდ უმნიშვნელო ზრდაში.


არასრულყოფილი ინფორმაციის პირობებში ინფლაციის მოლოდინის ზრდა  $[(\Delta P_{t+n}^M > 0)_{t+n-1}^e]$  მყისიერად გამოიწვევს სარგებლის განაკვეთისა ( $\Delta R_t^M \geq 0$ ) და შესაბამისი მრუდის ზრდას და ჩანაცვლების ხარჯების შემცირებას ( $\Delta K_t^M \leq 0$ ). თვით, მოლოდინის სიმეტრიულად განაწილების პირობებში მოსალოდნელია შემცირებული ჩანაცვლების ხარჯების დაახლოება ( $\Delta K_t^M \approx \Delta K_t^F$ ), რომლებთანაც დაკავშირებულია სავალუტო პორტფელებში ცვლილებების განხორციელება როგორც ეროვნულ, ისე უცხოეთის ეკონომიკებში.

ეტაპობრივი მონეტარული ექსპანსია უცხოელების გადმოსახედიდან ნებისმიერ ეტაპზე წარმოადგენს მყისიერ პორცესს, უფრო სწორად მათი მოლოდინები ვერ იქნება ერთმანეთისგან განსხვავებული, იმის მიუხედავად ეროვნულ ეკონომიკაში მონეტარული ექსპანსია ეტაპობრივად ხორციელდება თუ მყისიერად. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ ამ ორი ეკონომიკიდან არცერთი არ არის მცირე ზომის ეკონომიკა, მაშინ მათ მონეტარულ სისტემებს შორის ტრანსმისია განხორციელდება მანამ, სანამ არ მოხდება რეალურ სექტორებში ფასების დონეების ( $\Delta P_t^M \approx \Delta P_t^F$ ) გამოთანაბრება.


კანადა-აშშ' მაგალითი და მის საფუძველზე განვითარებული მაილსის პოლიტიკური მოდელი ნაწილობრივ მაინც ამსუბუქებს მონეტარული

დამოუკიდებლობის პოსტულატს, როცა თავისუფლად ცვალებადი სავალუტო კურსების მიუხედავად ადგილი აქვს სავალუტო სუბსტიტუციას. საწყისი წონასწორობის მიუხედავად სავალუტო სუბსტიტუცია იწვევს სავალუტო ნაკადებს, რაც გამოწვეულია სავალუტო პორტფელებში მოსალოდნელ ცვლილებებთან ეკონომიკური სუბიექტების მიერ. მათი ერთადერთი მიზანია პორტფელის უწყვეტი დივერსიფიკაციით საბაზო რისკების შემცირება და და სარგებლიაონიბის გაზრდა. წონასწორობის აღდგენა შესაძლებელი ხდება მხოლოდ საშუალოვადიან ეკონომიკურ დროში ფასების ცვლილების გზით.

**სურათი. 2-6-1:** ინფლაციები (აშშ; კანადა)



**სურათი. 2-6-2:** განაკვეთები და სავალუტო კურსი (აშშ; კანადა)



**წყარო:** [www.bloomberg.net](http://www.bloomberg.net)

როგორც დასაწყისში აღვნიშნავდით, მოდელის განვითარებისას განიხილავს კანადასა და აშშ-ს მაგალითზე, რომელთა ეკონომიკები მნიშვნელოვნად ურთიერთკავშირშია, ბუნებრივია, რომ ინფლაციური პროცესები მსგავსი ტენდენციით უნდა ხასიათდებოდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მონეტარული პოლიტიკის ინდიკატორები თითქმის დაახლოებულია ერთმანეთთან. მხოლოდ ამ ეკონომიკებს შორის განსხვავებული სარგებლის განაკვეთები, რომლებიც

იმავდროულად მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებს წარმოადგენენ, უზრუნველყოფენ თითქმის პარიტეტულ გაცვლით კურსს ამ ვალუტებს შორის.

სავალუტო სუბსტიტუციის გამო მაილსის მოდელში მიღებული პოლიტიკური შედეგები განსხვავებულია ტრადიციული სავალუტო თეორიების შედეგებისგან. ეროვნულ ვალუტაში ფულადი მასის გაზრდის შემთხვევაში მოსალოდნელია მისი ნაწილის მაინც ათვისება უცხოელების მხრიდან, რამდენადაც მათვის სავალუტო პორტფელის სარგებლიანობის გაზრდა დაკავშირებულია უფრო ნაკლებ ხარჯებთან, ვიდრე ეროვნული ეკონომიკის სუბიექტებისათვის. სავალუტო ბაზრებზე ინტერვენციების გარეშე ეროვნული ვალუტის ექსპანსია შეიძენს ტრანსმისიის ეფექტებს, რაც ნაწილობრივ მაინც აისახება უცხოური ვალუტის ექსპანსიაში, მით უფრო თუ არცერთი მათგანი მცირე ეკონომიკას (*SMOPEC*) არ წარმოადგენს.

თუკი ტრადიციულ სავალუტო თეორიებში, რომელთა დაშვებები წესისამებრ გამორიცხავენ სავალუტო სუბსტიტუციას, მონეტარულ ტრანსმისიას განიხილავენ მხოლოდ როგორც ფიქსირებული სავალუტო კურსების რეჟიმის თვისებას, სავალუტო სუბსტიტუციის მოდელებში მონეტარული ტრანსმისია შესაძლებელია თავისუფლად ცვალებადი სავალუტო კურსების პირობებში. ამ დროს მონეტარული ტრანსმისიის ხარისხი ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრება სავალუტო პორტფელში უცხოური ვალუტის წილით, და სავალუტო სუბსტიცია ( $\Omega_t$ ) ერთმნიშვნელოვნად ასრულებს დეტერმინანტის როლს პოლიტიკური პარამეტრისათვის.

მაილსის მოდელის ყველაზე მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს იმის აღიარება, რომ სავალუტო სუბსტიტუციის პირობებში მცირე ეკონომიკისთვის მონეტარული ტრანსმისიის ეფექტი არის ცალმხრივი, რის გამოც ეროვნული ვალუტის პოლიტიკური ინსტრუმენტები ნაწილობრივ მაინც დამოკიდებულია იმ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც უცხოური ვალუტის მიწოდებას განსაზღვრავს. ასეთი ეკონომიკებისათვის მონეტარული პოლიტიკა იძენს კონტრაქციულ ხასიათს და ეროვნული ბანკების ხელთ არსებული რეფინანსირების განაპეთი, როგორც უმთავრესი პოლიტიკური ინსტრუმენტი, სრულფასოვნად ვერ ასრულებს ეროვნულ ვალუტაში ფულის მასის დარეგულირების ფუნქციას. ამის გამო შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს არა მხოლოდ მონეტარული დამოუკიდებლობის პოსტულატი, არამედ თავისუფლად ცვალებადი სავალუტო კურსების რეჟიმის მიზანშეწონილობაც.

### თავი 3.

მონეტარული სტაბილიზაციის ეკონომიკურ-პოლიტიკური ინდიკატორების განსაზღვრა სავალუტო სუბსტიტუციის მონეტარული და მაკროეკონომიკური ასპექტების მიხედვით

---

#### 3-1. სავალუტო სუბსტიტუციის მონეტარულ-ემპირიული ასპექტები

დოლარიზაციის ტესტმა და თეორიული მოდელების განხილვამ ცხადყო, რომ სავალუტო სუბსტიტუციის მონეტარულ მიზეზებს (ინფლაცია, სავალუტო რყევები, ვალუტათშორისი სპეციალური განსხვავებული ზომით შეუძლიათ სავალუტო პორტფელის წონასწორობაზე ზემოქმედება. ეროვნული ვალუტის ეგზოგენური მიწოდების პირობებში ძირითადი მონეტარული მოდელის მიზანს სწორედ მონეტარული მიზეზების სისტემატიზაცია წარმოადგენს.

მოდელის ძირითადი დაშვება მოდგომარებს იმაში, რომ ეროვნული ეკონომიკა მცირე დია ეკონომიკას წარმოადგენს ეროვნული ვალუტით, ხოლო უცხოეთი დანარჩენ მსოფლიოს ერთი კონკრეტული წარმომადგენლობითი უცხოური ვალუტით. ამასთან, სწორედ ეს უცხოური ვალუტა წარმოადგენს ეროვნული ვალუტის კონკურირებად ვალუტას ეროვნულ ეკონომიკაში და ის სრულად კონვერტირებადია ეროვნულ ბაზრებზე. ამის გამო დანარჩენი მსოფლიოს მონეტარული სიდიდეები შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ეგზოგენური სიდიდეები ეროვნული ეკონომიკისათვის.

სუბსტიტუცია აისახება ( $\omega = \ln \Omega$ ) უცხოური ვალუტის წილით ეკონომიკური სუბიექტების სავალუტო პორტფელში. სუბსტიტუციის ხარისხის ( $\omega$ ) მიხედვით შეიძლება ერთამენთისგან განვასხვავოთ სავალუტო სუბსტიტუციის აბსოლიტური და შედარებითი ფორმები.

$\Omega$	0,1	0,2	0,3	0,4	0,5	0,6	0,7	0,8	0,9	1,0
$\omega$	2,30	1,61	1,20	0,92	0,70	0,51	0,36	0,22	0,11	0,00

აბსოლიტური სუბსტიტუცია შეიძლება განხილულ იქნეს როგორც შედარებითი სუბსტიტუციის კერძო შემთხვევა, რომელიც გულისხმობს კაპიტალისა (ეროვნული და უცხოური აქციები და ბონდები) და ფულადი (ეროვნული და უცხოური ვალუტა) აქტივების სრულ ურთიერთმონაცვლეობას. ე.ი. ისეთ შემთხვევას, როცა უცხოური ვალუტა ასრულებს არა მხოლოდ ტრანსაქციის, არამედ აპუმულაციის ფუნქციასაც.

ამასთან ჯოვანინის განმარტებას სავალუტო სუბსტიტუციის შესახებ რომ დაგუბრუნდეთ, აბსოლიტური სუბსტიტუციის წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს არა მხოლოდ საბაზრო გადაწყვეტილებებით განპირობებული მოთხოვნის ზრდა უცხოურ ვალუტაზე ეკონომიკური სუბიექტების მიერ, არამედ მისი როგორც პარალელური ვალუტის ინსტიტუციონალური აღიარება. შესაბამისად, განვითარებადი ქვეყნების (მაგალითად: სალვადორი) გამოცდილებით, აბსოლიტური სუბსტიტუცია მიიღწევა მხოლოდ ფიქსირებული სავალუტო კურსების რეჟიმის პირობებში.

სავალუტო სუბსტიტუციის  $(\omega_t)$  გათვალისწინება შესაძლებელია მონეტარული წონასწორობის ლოგარითმულ განტოლებაში:

$$(1.1) \quad \underbrace{\left( \frac{m_t^{GL}}{M_t} + s_t \cdot f_t^{US} \right)}_{M_t} - p_t^{GL} = \underbrace{\omega_t}_{L_t^{GL}} + c_1 y_t^{GL} + c_2 R_t^{GL}.$$

ეროვნულ ეკონომიკასა და უცხოეთს შორის კვლავაც ძალაშია როგორც ნომინალური სარგებლის ისე მსყიდველობითინარიანობის პარიტეტები:

$$(1.2) \quad p_t^{GL} = p_t^{US} + s_t; \quad (1.3) \quad R_t^{GL} = R_t^{US} + \Delta s_t^e.$$

სრულყოფილი მოლოდინის შესახებ გაკეთებულ დაშვებას თუ გამოვრიცხავთ, ისე რომ კვლავაც ძალაში დავტოვებთ დაშვებას ეკონომიკური სუბიექტების რაციონალური მოლოდინის შესახებ (ე.ი. საბაზრო ინფორმაციის განაწილება არის ასიმეტრიული, რის გამოც ეკონომიკური სუბიექტების მოლოდინები ალბათობის ნორმალურ განაწილებას ექვემდებარება), სავალუტო სუბსტიტუცია  $(\omega_t)$  დამოკიდებული იქნება ეროვნული ვალუტის მიწოდებასა  $(m_t^{GL})$  და ნომინალურ სავალუტო კურსზე  $(s_t)$  ე.ი. მხოლოდ მონეტარულ სიდიდეებზე:

$$(2.1) \quad \omega_t = \underbrace{\left( \frac{m_t^{GL}}{m_t} + s_t \cdot f_t^{US} \right)}_{m_t} - (s_t + c_2 \Delta s_t^e) - (c_1 y_t^{GL} + c_2 R_t^{GL}).$$

რამდენადაც (2.1) შეიცავს ორ ენდოგენურ სიდიდეს, კერძოდ სუბსტიტუციას ( $\omega_t$ ) და ნომინალურ სავალუტო კურსს ( $s_t$ ), მათ შორის სტოქასტური კაპიტის გამოსახვა მხოლოდ ( $\Delta s_t^e$ )-ცვლილების მოლოდინით არის შესაძლებელი:

$$(2.2) \quad \omega = \alpha_1 \Delta s_t^e + \alpha_2 \sigma^2 (\Delta s_t^e), \quad \text{სადაც} \quad \alpha_1 < 0; \quad \alpha_2 < 0;$$

$\sigma^2 (\Delta s_t^e) = Var(\Delta s_t^e)$ , - გარიაცია, როგორც რისკის დეტერმინანტი სავალუტო კურსის მოლოდინის ცვლილებასთან ( $\Delta s_t^e$ ) დაკავშირებით.

რაც უფრო უსაფრთხოდ გრძნობს ეპონომიკური სუბიექტი თავს სავალუტო კურსის სტაბილურობასთან ( $\Delta s_t^e \approx 0$ ) დაკავშირებით, მით უფრო დიდია ეროვნული ვალუტის გამყარების ( $s_t \downarrow$ ) ალბათობა და მით უფრო მცირდება სავალუტო სუბსტიტუცია ( $\omega_t \downarrow$ ), ე.ი. ეროვნული ვალუტა მით უფრო უპირატესი ხდება უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში.

ეროვნული ვალუტის მიწოდების ცვლილება ( $\Delta m_t^e$ ) წარმოადგენს ერთადერთ სიდიდეს, რომელიც განსაზღვრავს ნომინალური სავალუტო კურსის დინამიკას ( $\Delta s_t^e$ ) და მის მიმართულებას:

$$(3.1) \quad \Delta s_t^e = \gamma \Delta m_t^e, \quad \text{სადაც} \quad \gamma > 0.$$

შედეგად სავალუტო სუბსტიტუცია დამოკიდებულია ეროვნული ვალუტის მიწოდებაზე და სუბსტიტუციის ხარისხი იძენს შემდეგი სახის პოლიტიკურ ინტერპრეტაციას:

$$(4.1) \quad \omega = \alpha_1 \gamma \Delta m_t^e + \alpha_2 \gamma \sigma^2 (\Delta m_t^e), \quad \text{სადაც} \quad \alpha_1 \gamma < 0; \quad \alpha_2 \gamma < 0.$$

კონკურირებად ვალუტებს შორის ნომინალური სავალუტო კურსი ( $s_t$ ) წარმოადგენს ეროვნული ვალუტის მიწოდების, როგორც პოლიტიკური პარამეტრის, და უცხოეთის ნომინალური სარგებლის, როგორც გაზოგენური სიდიდის, ფუნქციას:

$$(5.1) \quad s_t = \left[ m_t - (\alpha_1 + c_2) \gamma \Delta m_t^e - \alpha_2 \gamma \sigma^2 (\Delta m_t^e) \right] - [c_1 y_t^{GL} + c_2 R_t^{GL}] \quad \text{სადაც} \quad (\alpha_1 + c_2) < 0.$$

როგორც ეროვნული ვალუტის მიწოდება, ისე უცხოური ვალუტის ეროვნულ ეპონომიკაში შემოდინება, გარდა იმისა, რომ ეგზოგენურ სიდიდებს წარმოადგენენ, გადამწყვეტი გავლენა შეუძლიათ მოახდინონ ფასების ( $\Delta p_t^e$ ), ნომინალური სარგებლისა ( $\Delta R_t^e$ ) და სავალუტო კურსის ( $\Delta s_t^e$ ) დინამიკაზე.

სწორედ ამ სიდიდეების ცვლილებებზეა დამოკიდებული ეკონომიკური სუბიექტების გადაწყვეტილებები სავალუტო სუბსტიტუციასთან დაკავშირებით.

\* \* \*

სანამ მომდევნო თავებში თითოეული ამ სიდიდის ზეგავლენას განვსაზღვრავთ სავალუტო სუბსტიტუციაზე, მნიშვნელოვანია იმის ემპირიულად შესწავლა, სავალუტო სუბსტიტუციის პირობებში თუ რამდენად სტაბილურია მონეტარული წონასწორობა. მონეტარული სტაბილიზაციის მთავარ ინდიკატორს წარმოადგენს წლების მიხედვით ფართო ფულის ზრდის მაჩვენებელი ( $\Delta M3$ ).

როგორც სტატისტიკური მონაცემები (ცხრილი 3-1-1: მონეტარული წონასწორობის დეტერმინანტები) ცხადყოფს, 1995-2009 წლებში საქართველოს მონეტარული სისტემა გამოირჩევა ფართო ფულის ( $M3$ ) არასტაბილური ზრდით. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომიკის ისტორიაში მხოლოდ უკანასკნელი ბოლო ორი წლის მანძილზე (2008: +7%, 2009: +8%) დაფიქსირდა ფართო ფულის ზრდის ერთნიშნა მაჩვენებელი, წინა პერიოდები კი ფართო ფულის ზრდის ორნიშნა წლიური მაჩვენებლებით გამოირჩეოდა. განსაკუთრებით ტრენდს მიღმა იყო ფართო ფულის ზრდა 1996-1997 და 2006-2007 წლებს შორის, შესაბამისად +45% და +50%.

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ დასახელებული პერიოდებისათვის ეროვნული შემოსავლის ცვლილებისა და ინფლაციის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მოკრძალებულია, ნათელი გახდება რომ მონეტარული დესტაბილიზაციის რისკი სწორედ სავალუტო სუბსტიტუციასთან არის დაკავშირებული, რადგან ფართო ფულის ( $M3$ ) ერთ-ერთ კომპონენტს სწორედ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები წარმოადგენს, და როგორც დოლარიზაციის ტესტმა გვიჩვენა (თავი 1-4), ფართო ფულისა და დოლარიზაციის კოეფიციენტის ცვლილებებს შორის კავშირი დადგებითია.

\* \* \*

იმის გამო, რომ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივების ზრდა ფულისა და კაპიტალის ბაზრებს შორის ურთიერთქმედების შედეგია,

მონეტარული მოდელის უმთავრესი დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ სავალუტო სუბსტიტუციის პირობებშიც მონეტარული წონასწორობის სტაბილურობა განსაზღვროს სწორედ ამ ორ ბაზარს შორის ურთიერთქმედების მიხედვით. შესაბამისად, მოდელის მთავარი დაშვების (იხილეთ ამ პარაგრაფის მეორე აბზაცი) გათვალისწინებით შესაძლებელია სავალუტო პორტფელის სტრუქტურაში ეროვნულ და უცხოურ ვალუტებს შორის აქტივების განთავსება შემდეგი ცვლილებების<sup>39</sup> საფუძველზე:

- **ფულის იმპორტი,** ე.ო. ეკონომიკური სუბიექტების მიერ უცხოური ვალუტის შეძენა: ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკის ( $\Delta m_t^e > 0$ ) შემთხვევაში სავალუტო კურსის სტაბილურობა ( $\Delta s_t^e \approx 0$ ) შესაძლებელია მხოლოდ ინფლაციის ( $\Delta p_t^e > 0$ ) ხარჯზე. ამ დროს ეროვნული ვალუტის გაუფასურების მოლოდინი ( $\Delta s_t^e > 0$ ) უბიძგებს ეკონომიკურ სუბიექტებს, როგორც მომხმარებლებს, სუბსტიტუციის გაზრდისკენ ( $\Delta \omega_t > 0$ ), რათა ტრანსაქციის მოტივით შეძლონ ინფლაციის რისკისგან დაზღვევა.
- **ფულის ექსპორტი,** ე.ო. ეკონომიკური სუბიექტების მიერ უცხოური ვალუტის გაყიდვა. რესტრიქციული მონეტარული პოლიტიკის ( $\Delta m_t^e < 0$ ) შემთხვევაში სავალუტო კურსის სტაბილურობა ( $\Delta s_t^e \approx 0$ ) შესაძლებელია მხოლოდ დეფლაციის ( $\Delta p_t^e < 0$ ) ხარჯზე. ამ დროს ეროვნული ვალუტის გამყარების მოლოდინი ( $\Delta s_t^e < 0$ ) უბიძგებს ეკონომიკურ სუბიექტებს, როგორც მომხმარებლებს, სუბსტიტუციის შემცირებისკენ ( $\Delta \omega_t < 0$ ), რადგან ტრანსაქციის მოტივით შეძლონ ინფლაციის საფრთხე.
- **კაპიტალის ექსპორტი,** ე.ო. ეკონომიკური სუბიექტების მიერ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კაპიტალის აქტივების (ბონდები, აქციები) შესყიდვა. ანტიინფლაციური ( $\Delta p_t^e < 0$ ) პოლიტიკის ფარგლებში მონეტარული რესტრიქციის ( $\Delta m_t^e < 0$ ) გატარება, რომლის დროსაც სავალუტო კურსის სტაბილურობა ( $\Delta s_t^e \approx 0$ ) დამოკიდებულია ნომინალური სარგებლის გაზრდაზე( $R \uparrow$ ). სარგებლის მოლოდინის გაზრდის ( $\Delta R_t^e > 0$ ) შემთხვევაში ეკონომიკური სუბიექტები, როგორც ინვესტორები, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ აქტივებს მინაიჭებდნენ უპირატესობას, რაც გამოიწვევდა სუბსტიტუციის შემცირებას ( $\Delta \omega_t < 0$ ).

- კაპიტალის იმპორტი, ე.ი. ეკონომიკური სუბიექტების მიერ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული კაპიტალის აქტივების (ბონდები, აქციები) შესყიდვა. მონეტარული კონტრაქციის ( $\Delta m_t^e > 0$ ) შემთხვევაში ინფლაციის მოლოდინის გამო ( $\Delta p_t^e > 0$ ) სავალუტო კურსის სტაბილურობა ( $\Delta s_t^e \approx 0$ ) დამოკიდებულია ნომინალური სარგებლის შემცირებაზე ( $R \downarrow$ ). სარგებლის მოლოდინის შემცირების ( $\Delta R_t^e < 0$ ) შემთხვევაში ეკონომიკური სუბიექტები, როგორც ინვესტორები, უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ აქტივებს მინაიჭებდნენ უპირატესობას, რაც გამოიწვევდა სუბსტიტუციის გაზრდას ( $\Delta \omega_t > 0$ ).

განვითარებად ეკონომიკებში, რომლებიც პირველ რიგში განუვითარებელ ფინანსურ ბაზრებს გულისხმობს, ნაკლებად შესაძლებელია კაპიტალის არსებულმა ინფრასტრუქტურამ უზრუნველყოს სავალუტო სუბსტიტუციის მიზეზით სპეციალაციებისაგან თავის დაცვა. ამის გამო, არამართებული იქნებოდა, რომ დაშვება გაგვეკვეთებია სარგებლის განაკვეთებს შორის დაფარული პარიტეტის (the covered Interest Parity) შესახებ. თუნდაც სპეციალაციის აღუპვეთელობის მიუხედავად, ეკონომიკური სუბიექტები სუბსტიტუციას ( $\Omega_t$ ) მონეტარული სიდიდეებისადმი ( $\Delta P_t^{GL}; \Delta R_t^{GL}; \Delta S_t^e$ ) საკუთარი მოლოდინის მიხედვით განსაზღვრავდნენ.

წარმოდგენილი მონეტარული მოდელი თავად ვერ ჩაითვლება იმავდროულად მაკროეკონომიკურ მოდელად, რამდენადაც სავალუტო პორტფელში ცვლილებები უშუალოდ გამომდინარეობს მონეტარული სიდიდეების ცვლილებებიდან, მაგრამ არა პირიქით. შესაბამისად, მონეტარული მოდელი ვერ ითვალისწინებს დოლარიზაციით გამოწვეულ შედეგებს რეალური სექტორისთვის.


მიუხედავად ამისა, როგორც ეს ამ თავის ბოლო პარაგრაფში გამოჩნდება, სავალუტო სუბსტიტუციის მონეტარულ და მაკროეკონომიკურ მოდელებს შორის მაინც არსებობს კავშირი. ეს კავშირი გამოიხატება იმაში, რომ მონეტარული მოდელის შედეგები საფუძვლად უდევს მაკროეკონომიკურ მოდელს, რადგან სწორედ მაკროეკონომიკურ მოდელშია შესაძლებელი ფულისა და კაპიტალის ექსპორტ-იმპორტით მოსალოდნელი ცვლილებების გამოხატვა სავალუტო პორტფელის სტრუქტურაში.

### 3-2. სარგებლის განაკვეთების განსხვავებით გამოწვეული გალუტათშორისი სპეციალაციები, როგორც საგალუტო სუბსტიტუციის პირველი მონეტარული მიზეზი

მრავალგალუტიანი პორტფელის მაქსიმალური შემოსავლიანობის დონის განსაზღვრისათვის სასარგებლო იქნებოდა ანალიზის გაგრძელება ჯოვანინისა და ტურტელბომის მოდელების სინთეზის საფუძველზე. ტურტელბომის მოდელის დამატებით გამოყენება იმით უნდა აისხნას, რომ ეს მოდელი თავისთავად შეიცავს წინაპირობას იმის შესახებ, რომ ეკონომიკური სუბიექტი არ არის რისკის მიმართ ნეიტრალური, არამედ სწორედ საბაზრო რისკების ხარჯზე ცდილობს საგალუტო პორტფელის შემოსავლის მაქსიმალურად გაზრდას, რაც ჯოვანინის მოდელში დაშვების სახითაც არ იყო მოცემული.

საქართველოს შემთხვევაში (ცხრილი 3-2-1: სარგებლის განაკვეთები და დოლარიზაცია) საბაზრო რისკებისაგან თავის დაცვა, რომელიც უპირველესად სარგებლის განაკვეთებთან და მათი ცვლილების მოლოდინთან არის დაკავშირებული, ეკონომიკური სუბიექტებისათვის მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ერთის მხრივ ანაბრებზე, ხოლო მეორე მხრივ კრედიტებზე განსხვავებული განაკვეთები ეროვნულ და უცხოურ ვალუტებს შორის უბიძგებს როგორც მომხმარებლებს, ისე ფირმებს იმისექნ, რომ თავი დაიცვან მოსალოდნელი სპეციალაციებისაგან.

**სურათი. 3-2-1: სარგებლის განაკვეთები**



წყარო: ცხრილი. 3-2-1

კონკურირებად ვალუტებში სარგებლის განაკვეთები წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან მონეტარულ სიდიდეს, რომელიც საგალუტო სუბსტიტუციის პირობებშიც ეკონომიკური სუბიექტის მხრიდან აღბათობის განაწილებას ექვემდებარება და თითოეული მათგანის რისკის ფაქტორს განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რის მიხედვით ანიჭებს ეკონომიკური სუბიექტი უცხოურ ვალუტას უპირატესობას მთლიანი სავალუტო პორტფელისათვის მაქსიმალური შემოსავლიანობის მიღწევის მიზნით.

ეროვნულ ვალუტაში  $(\Delta V_t^{GL})$  სავალუტო პორტფელის მაქსიმალური შემოსავლიანობის გამოსახვა დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაში შესაბამისი ზღვრული შემოსავლიანობის  $\left( \frac{\Delta L_t^{US}}{\Delta R_t^{US}} \right)$  ცვლილებაზე:

$$(1.1) \quad \Delta V_t^{GL} = \frac{\Delta L_t^{US}}{\Delta R_t^{US}} \cdot \frac{\Delta P_t^{US}}{\Delta S_t} .$$

და, პირიქით: უცხოურ ვალუტაში  $(\Delta L_t^{US})$  სავალუტო პორტფელის მაქსიმალური შემოსავლიანობის გამოსახვა დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაში შესაბამისი ზღვრული შემოსავლიანობის  $\left( \frac{\Delta L_t^{GL}}{\Delta R_t^{GL}} \right)$  ცვლილებაზე:

$$(1.2) \quad \Delta V_t^{US} = \frac{\Delta L_t^{GL}}{\Delta R_t^{GL}} \cdot \Delta P_t^{GL} \cdot \Delta S_t .$$

ე.ო. ერთ-ერთ ვალუტაში მთლიანი სავალუტო პორტფელის მაქსიმალური შემოსავლიანობის ჩანაცვლებითი ხარჯები წარჯები წარმოადგენს მეორე ვალუტაში პორტფელის ნაწილის ზღვრულ შემოსავლიანობას. სწორედ ამ ზღვრული შემოსავლიანობის ცვლილებაზეა დამოკიდებული ეკონომიკური სუბიექტის გადაწყვეტილება სავალუტო სუბსტიტუციის შესახებ:

$$(2.1) \quad \Omega_t = f \left( \Delta V_t^{+US}; \Delta V_t^{-US} \right) .$$

ე.ო. სუბსტიტუციის ხარისხი პირდაპირპორციულია ზღვრული შემოსავლიანობის უცხოურ ვალუტაში  $(\Delta L_t^{US} \uparrow; \Omega \uparrow)$  და უკუპროპორციულია ზღვრული შემოსავლიანობისა ეროვნულ ვალუტაში  $(\Delta L_t^{GL} \uparrow; \Omega \downarrow)$ .

ჯოვანინის „უპირატესი ვალუტის მოდელიდან“ გამომდინარე, სავალუტო პორტფელში ზღვრული შემოსავლიანობის ცვლილება ეროვნული ან უცხოური

ვალუტის სასარგებლოდ დამოკიდებულია ეკონომიკური სუბიექტის სამომხმარებლო სტრუქტურაზე, ე.ო. ეროვნული და უცხოური წარმოების პროდუქტებს შორის თანაფარდობაზე, მაგრამ დანაზოგის განთავსებისთვის თუ რომელ ვალუტას ენიჭება უპირატესობა, ეს ტურტელბომის მოდელის თანახმად, სწორედ სარგებლის განაკვეთებს შორის განსხვავებასა და მოსალოდნელი რისკის პრემიაზეა დამოკიდებული.

კონკრეტულ შემთხვევაში, როცა ეკონომიკური სუბიექტის მოლოდინი ნომინალურ სავალუტო კურსთან დაკავშირებით გულისხმობს ეროვნული ვალუტის დევალვაციას, ე.ო.  $(\Delta S_t^e > 0)$ , რაც გულისხმობს მისთვის იმპორტირებული პროდუქტების გაძვირებას, სავალუტო პორტფელის შემოსავლიანობის ცვლილება – ე.ო. სავალუტო პორტფელის მოგება, გამოსახული ეროვნულ ვალუტაში ( $\Delta V_t^{GL}$ ), დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გაზრდის ეკონომიკური სუბიექტი უცხოური ვალუტის წილს თავის პორტფელში, ე.ო. სავალუტო სუბსტიტუციას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეკონომიკური სუბიექტი უცხოურ ვალუტას ანიჭებს უპირატესობას, ამ შემთხვევაში უცხოეთიდან იმპორტირებული პროდუქციის შესაძენად.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგების რეალიზაციისათვის ეკონომიკურ სუბიექტს აქვს ორი გზა:

- 1)  $L_t^{GL} = C_t^{GL} \cdot P_t^{GL}$ , ე.ო. საერთოდ უარი თქვას უცხოურ პროდუქციაზე თავის სამომხმარებლო კალათაში;
- 2)  $L_t^{US} > C_t^{US} \cdot P_t^{US}$ , ე.ო. უცხოურ პროდუქციაზე გასწიოს ნაკლები ხარჯები, ვიდრე სავალუტო პორტფელში არსებული უცხოური ვალუტის მასა.

ზოგადად, კი, სავალუტო პორტფელის შემოსავლიანობა, რომელიც ეკონომიკური სუბიექტის ინტერესს გამოხატავს, დამოკიდებულია იმ ვალუტის შემოსავლიანობაზე, რომელიც მას, სამომხმარებლო კალათის სრულად დაკმაყოფილების შედეგად, სავალუტო კურსის  $(S_t^e)$  გათვალისწინებით, უფრო მეტი რაოდენობით დარჩება სავალუტო პორტფელში, ე.ო. ამ ვალუტაში სარგებლის ნომინალურ განაკვეთზე:

$$(3.1) \quad R_t^{GL} = \frac{L_t^{US} - P_t^{US} \cdot C_t^{US}}{V_t \cdot L_t^{US}} \cdot \Delta V_t^{GL} = \Delta S_t \cdot S_t \cdot \frac{L_t^{US} - P_t^{US} \cdot C_t^{US}}{V_t \cdot L_t^{US}} = \Delta S_t \cdot S_t \cdot \left( \frac{C_t^{GL} \cdot P_t^{GL}}{V_t} - 1 + \Omega \right).$$

$$(3.2) \quad R_t^{US} = -\frac{L_t^{US} - P_t^{US} \cdot C_t^{US}}{V_t \cdot L_t^{US}} \cdot \Delta V_t^{US} = \frac{\Delta S_t}{S_t} \cdot \frac{L_t^{US} - P_t^{US} \cdot C_t^{US}}{V_t} = \frac{\Delta S_t}{S_t} \cdot \left( \frac{C_t^{GL} \cdot P_t^{GL}}{V_t} - \Omega \right).$$

ეროვნულ და უცხოურ გალუტებს შორის სარგებლის პარიტეტის საფუძველზე  
მოლოდინის ფაქტორის გათვალისწინებით საგალუტო პორტფელის რისკის  
გამოსახვა შესაძლებელია ცალკეული გალუტისათვის სარგებლის სტანდარტული  
გადახრის (დისპერსიის) დახმარებით:

$$(4.1) \quad \sigma(R_t^{GL}) = \sigma(\Delta S_t^e) \cdot \left( \frac{\frac{C_t^{GL} \cdot P_t^{GL}}{V_t} - 1 + \Omega}{\Omega} \right);$$

$$(4.2) \quad \sigma(R_t^{US}) = \sigma(\Delta S_t^e) \cdot \left( \frac{\frac{C_t^{GL} \cdot P_t^{GL}}{V_t} - \Omega}{\Omega} \right).$$

პორტფელის ვარიაცია გამოხატავს იმ შესაძლო ზარალს ან მოგებას, რომლის  
რეალიზაცია საკუთარი სამომხმარებლო სტრუქტურიდან გამომდინარე ეპონომიკურ  
სუბიექტს საგალუტო სუბსტიტუციის ყოველი მოცემული  $\Omega_t$ -თვის შეეძლება:

$$(5.1) \quad \sigma^2(V_t) = (1 - \Omega_t)^2 \cdot \sigma^2(R_t^{GL}) + \Omega_t^2 \cdot \sigma^2(R_t^{US}) - 2 \cdot \rho \cdot (1 - \Omega_t) \cdot \sigma(R_t^{GL}) \cdot \Omega_t \cdot \sigma(R_t^{US}).$$

$\sigma(\Delta S_t^e)$	$\Delta S_t^e > 0$	$\Delta S_t^e < 0$
$\Omega_t = 0$	$\sigma(R_t^{GL}) < 0$ $\sigma(R_t^{US}) > 0$	$\sigma(R_t^{GL}) > 0$ $\sigma(R_t^{US}) < 0$
$\Omega_t \in (0; \theta]$	$\sigma(R_t^{GL}) < 0$ $\sigma(R_t^{US}) > 0$	$\sigma(R_t^{GL}) > 0$ $\sigma(R_t^{US}) < 0$
$\Omega_t \in [\theta; 1)$	$\sigma(R_t^{GL}) > 0$ $\sigma(R_t^{US}) < 0$	$\sigma(R_t^{GL}) < 0$ $\sigma(R_t^{US}) > 0$
$\Omega_t = 1$	$\sigma(R_t^{GL}) > 0$ $\sigma(R_t^{US}) < 0$	$\sigma(R_t^{GL}) < 0$ $\sigma(R_t^{US}) > 0$

საგალუტო პორტფელში მხოლოდ ერთი გალუტის არსებობის შემთხვევები  
(სრული სუბსტიტუცია  $[\Omega_t = 1]$ , მხოლოდ ეროვნული გალუტა  $[\Omega_t = 0]$ ) ასახავს ორ  
უკიდურეს შემთხვევას, როცა პორტფელის რისკი, გამოსახულია მაქსიმალური  
შემოსავლიანობით ( $\sigma(.) > 0$ ) ან მინიმალური შემოსავლიანობით ( $\sigma(.) < 0$ ).

სარგებლის განაკვეთის ვარიაცია ეროვნულ გალუტაში  $(\sigma^2(R_t^{GL}))$  მით უფრო  
დიდია, რაც უფრო აღემატება სუბსტიტუცია  $(\Omega_t)$  სამომხმარებლო კალათაში  
ეროვნული წარმოების პროდუქციის წილს  $\left( \theta_t = \frac{C_t^{GL} \cdot P_t^{GL}}{V_t} \right)$ . მაშინ მთლიანად  
პორტფელის შემოსავლიანობა, ეროვნული გალუტის მოსალოდნელი დევალვაციის

შემთხვევაში გამოხატავს მაქსიმალურ მოგებას  $\left( \frac{\Delta S_t^e}{S_t} (\theta_t - 1) \right)$  უცხოური

გალუტისათვის  $(\Omega_t = 1; \Delta S_t^e > 0)$  და მაქსიმალურ ზარალს  $(\theta_t \cdot S_t \cdot \Delta S_t^e)$  ეროვნული გალუტისათვის  $(\Omega_t = 0; \Delta S_t^e < 0)$ .

სავალუტო პორტფელის შემოსავლიანობა წარმოადგენს სავალუტო სუბსტიტუციის ხარისხით შეწონული სარგებლის განაკვეთების ჯამს ეროვნულ და უცხოურ გალუტაში:

$$(6.1) \quad R_t^V = (1 - \Omega_t) \cdot R_t^{GL} + \Omega_t \cdot R_t^{US}.$$

თუ მოცემული ეკონომიკური სუბიექტის სავალუტო პორტფელს  $(V_t)$  განვიხილავთ როგორც წარმომადგენლობითს მთელი ეროვნული ეკონომიკისათვის, მაშინ კაპიტალის ფასდადების მოდელზე (*CAPM*) დაყრდნობით, სავალუტო პორტფელის შემოსავლიანობის  $(R_t^V)$  დახმარებით შესაძლებელა კავშირი დავამყაროთ ეროვნულ და უცხოურ გალუტებში სარგებლის განაკვეთებს შორის:

$$(7.1) \quad R_t^{GL} = R_t^{US} + \left( R_t^V - R_t^{US} \right) \cdot \rho \left( R_t^{GL}; R_t^{US} \right) \cdot \frac{\sigma(R_t^{GL})}{\sigma(R_t^V)}.$$

(7.1)-დან, (4.1)-ს და (4.2)-ს გათვალისწინებით, გამომდინარეობს სიმულტანური წონასწორობა ეროვნული და უცხოური გალუტის ბაზებს შორის, რომლის პირობებში ნებისმიერ ეკონომიკურ სუბიექტს სავალუტო კურსზე ინდივიდუალური მოლოდინის  $(\Delta S_t^e)$  მიხედვით შეუძლია განსაზღვროს როგორც საკუთარი სამომხმარებლო კალათის სტრუქტურა  $(\Omega; \theta)$ , ისე საკუთარი სავალუტო პორტფელი მაქსიმალური რისკისა  $(\sigma(V_t))$  და მოსალოდნელი შემოსავლიანობის  $(R_t^V)$  მიხედვით:

$$(8.1) \quad \frac{\Delta S_t^e}{\sigma(\Delta S_t^e)} = \frac{R_t^V}{\sigma(R_t^V)} = \frac{R_t^{GL}}{\sigma(R_t^{GL})} = - \frac{R_t^{US}}{\sigma(R_t^{US})}.$$

ეროვნული გალუტის დევალვაციის მოლოდინის  $(\Delta S_t^e > 0)$  შემთხვევაში ეკონომიკური სუბიექტი უცხოური გალუტის უფრო მეტ წილს ინახავს სავალუტო პორტფელში, ვიდრე ეს საჭიროა მისივე სამომხმარებლო კალათის მიხედვით  $(\Omega > \theta; L_t^{US} > C_t^{US} \cdot P_t^{US})$ . ნომინალური სავალუტო კურსის სტაბილურობის  $(\Delta S_t^e \approx 0)$  შემთხვევაში ეკონომიკური სუბიექტი ტენდენციურად რისკის მიმართ ნეიტრალური ხდება, რაც იმაში გამოიხატება რომ თვით უცხოური პროდუქტის შესაძენად იგი აღარ ანიჭებს უცხოურ გალუტას უპირატესი გალუტის როლს

$(\Omega \Leftrightarrow \theta; L_t^{US} \neq C_t^{US} \cdot P_t^{US})$ . ამ შემთხვევაში ტურტელბომ-ჯოვანინის მოდელის დაშვებები არ გამორიცხავს სპეკულაციებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ კაპიტალის აქტივებს შორის, რომელთაც ტენდენციურად სარგებლის განაკვეთებს შორის გამოთანაბრების პროცესი მოჰყვება შედეგად.

პოლიტიკური ინსტრუმენტები (ე.ი. ნომინალური სარგებლის განაკვეთის შეცვლა ( $\Delta R_t \neq 0$ )), რომელთაც საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე (კაპიტალის ექსპორტი ან იმპორტი) გავლენის მოხდენა შეუძლიათ, ნაკლებად ითვალისწინებენ რეალურ სექტორში მოსალოდნელ შედეგებს. სავალუტო სუბსტიტუციის აქტარმოდგენილი მონეტარისტული მოდელი არ ითვალისწინებს საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშში მისი უარყოფითი სალდოს გავლენას სუბსტიტუციის ხარისხზე, ე.ი. ეკონომიკურ სუბიექტებს სავალუტო პორტფელში ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად თანაბარი წარმოდგენები აქვთ ფასებისა და სავალუტო კურსის სტაბილურობაზე ( $\Delta S_t^e \approx \Delta p_t^e$ ).

აღნიშნულის მიზეზი მდგომარებს იმაში, რომ თვით ეკონომიკური ზრდის ( $\Delta y_t^{GL} > 0$ ) პირობებში, როდესაც (3.1)-ს თანახმად მოსალოდნელია ვალუტებზე მოთხოვნის გაზრდა ტრანსაქციის მოტივით, გაურკვეველი რჩება თუ რომელ ვალუტას მიანიჭებენ ეკონომიკური სუბიექტები უპირატესობას ( $\Delta L_t^{GL} \neq \Delta L_t^{US}$ ), შესაბამისი ეფექტებით სავალუტო სუბსტიტუციასა ( $\omega_t$ ) და სავალუტო კურსზე ( $s_t$ ). მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ზრდის ( $\Delta y_t^{GL} > 0$ ) პირობებში უფრო ფულის ექსპორტია ( $\Delta L_t^{GL} \uparrow; \Delta L_t^{US} \downarrow$ ) მოსალოდნელი, ეროვნულ და უცხოურ ვალუტას შორის უპირატესობის მინიჭების დონე მანამ არ იქნება თანაბარი, სანამ შემთხვევით სუბსტიტუცია ( $\Omega = 0,5$ ) არ მიაღწევს. ე.ი. სავალუტო პორტფელის სტრუქტურა შესაძლებელია, რომ რეალური სექტორისაგან დამოუკიდებლად შეიცვალოს.

2008-2009 წლებში სარგებლის განაკვეთებზე რისკის ზრდის  $[\sigma(R_t^{GL}) > \sigma(R_t^{US})]$  შედეგად დოლარიზაციის ზრდა **A78, A79** განსაკუთრებული სიმწვავით გამოვლინდა საქართველოს მონეტარულ სისტემაში. ყოველივე ეს აიხსნება უპირველესად იმით, რომ მსოფლიოს ფინანსურმა კრიზისმა, რომელიც შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც შეეხო საქართველოს საბანკო სექტორს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაზარდა რისკის პრემიუმი  $[\sigma(R_t^{GL}) > 0; \sigma(R_t^{US}) < 0; \Delta S_t^e > 0; \Delta \Omega > 0]$ .

ყოველივე ეს აისახა საქართველოს საბანკო სისტემაზეც, კერძოდ ეროვნულ გალუტაში საბანკო სესხებზე მოთხოვნის შემცირებაში, ხოლო მეორე მხრივ ანაბრების მთლიან პორტფელში უცხოური ვალუტის წილის საგრძნობ ზრდაში. ამასთან, უცხოელი ინვესტორები ცდილობდნენ მაქსიმალურად დაეცვათ საკუთარი კაპიტალი, რომლებიც მანამდე საქართველოს ეროვნულ ვალუტაში პქონდათ დენომინირებული, და შესაბამისად ამცირებდნენ საკუთარ პორტფელებში მათი შეხედულებით ქართულ ლარში დენომინირებული რისკიანი აქტივების წილს.

კრიზისის პირობებში მონეტარული პოლიტიკის გამტარებლების ძირითად ამოცანას წარმოადგენდა საბანკო სისტემის სტაბილურობის შესანარჩუნებლად და ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის დაცემის აღსაკვეთად ანტიკრიზისული დონისძიებების განხორციელება. საქართველოს ეროვნული ბანკის **A78, A79** მხრიდან ამ მიზნით გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები, რაც გამოიხატა რეფინანსირების ოფიციალური განაკვეთის მრავალჯერად შემცირებაში. 2008 წლის ივლისიდან 2009 წლის დეკემბრამდე რეფინანსირების განაკვეთი 12%-დან ეტაპობრივად 6%-მდე შემცირდა. შესაბამისად, ბანკთაშორის საკრედიტო ბაზარზე, მნიშვნელოვანი მერყეობის თანხლებით, თუმცა მაინც საგრძნობლად შემცირდა ერთდღიანი კრედიტების განაკვეთი, ხოლო ამის საწინააღმდეგოდ, ამავდროულად დაიკლო ერთკვირიანი კრედიტების ბრუნვამ, რისი ახსნაც ბაზრის მონაწილეებს შორის ნაწილობრივი უნდობლობით არის შესაძლებელი. **A78, A79**

ფულისა და კაპიტალის ბაზრების განვითარების დაბალი დონის, მათი ინფრასტრუქტურული პრობლემების ფონზე, რეფინანსირების განაკვეთის ნებისმიერი ცვლილება გარკვეულ დროს მოითხოვს ეკონომიკის რეალურ სექტორში კონკრეტული შედეგების მისაღწევად. ტრანსმისიის მექანიზმის დაბალ ეფექტურობას ძირითადად მაკროეკონომიკური მდგომარეობის არაპროგნოზირებდი ხასიათი და ამავდროულად საქართველოს ფინანსურ სისტემაში არსებული დოლარიზაციის მაღალი დონე განაპირობებს. შედეგად წარმოქმნილმა ლიკვიდობის პრობლემამ საბანკო სექტორში კრედიტების გაცემის პირობების გამკაცრება გამოიწვია, რაც ნათლად აისახა საკრედიტო განაცხადების შემცირებაში და საშუალო განაკვეთების არაპროპორციულ ზრდაში ეროვნულ და უცხოურ ვალუტებს შორის. გაცემულ კრედიტებზე საშუალო განაკვეთის ყველაზე მაღალი დონე 2009 წლის გაზაფხულზე დაფიქსირდა**A79**, როდესაც ეროვნულ ვალუტაში კრედიტები საშუალოდ 23-26 %, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 18-22% ფარგლებში გაიცემოდა.

ვალუტებს შორის სარგებლის განაკვეთების ასეთი თანაფარდობა ყველაზე ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ბაზრის მონაწილეთა იმ ჯგუფს, რომლებიც საინვესტიციო გადაწყვეტილებებს მოკლევადიანი გათვლის საფუძველზე იღებენ. მათ მიერ შესაძლო ფინანსური ოპერაციების განხორციელების სპეციალაციური სქემა მარტივია: აიდონ მაქსიმუმ თრწლიანი სესხი უცხოურ ვალუტაში და კონვერტაციის საფუძველზე ორწლიანი ანაბრის სახით განათავსონ ეროვნულ ვალუტაში. თვით სავალუტო კურსის უცვლელობის პირობებშიც კი, დასახელებულ პერიოდში (2009-2011) ამ სქემით მოქმედების შემთხვევაში წმინდა შემოსავალი 18-27% იქნებოდა, ხოლო დოლარიზაციის კოეფიციენტის ოპტიმალური მაჩვენებელი 60-65% ფარგლებში მერყეობს. იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ პერიოდში ოპტიმალურზე შედარებით მეტი დოლარიზაციის კოეფიციენტის მაჩვენებელი 75% დაფიქსირდა, ხოლო სავალუტო კურსის მერყეობის საშუალო თვიური მაჩვენებელი 5,6%, რაც გამოიხატა 2009-2010 წლებში ლარის გაუფასურებაში, ხოლო 2010-2011 წლებში სავალუტო კურსმა უკვე საპირისპირ მიმართულება შეიძინა, მოსალოდნენდია სპეციალაციური მოგების უფრო მაღალი დონე, ვიდრე ზემოთ წარმოებული გამოთვლებიდან გამოვლინდა.


სპეციალაციური გარიგების აღნიშნული სცენარი აბსოლიტურად მიუღებელია ერთის მხრივ როგორც გრძელვადიან ანაბრებზე ორიენტირებული რიგითი მომხმარებლებისათვის და გრძელვადიან ინვესტიციებზე ორიენტირებული ფირმებისათვის, ასევე მეორე მხრივ კომერციული ბანკებისათვისაც, რომლებიც მსგავსი სპეციალაციების უნებლივ გამტარს წარმოადგენენ და პოლიტიკის გამტარებლების გვერდით მათაც აგრეთვე ეკისრებათ კონტრაქციული ზომების მიღება უსაფრთხოებაზე ორიენტირებული მეანაბრეებისა და ინვესტორების დაცვის მიზნით. სწორედ ანტისპეციალაციური საბანკო პოლიტიკით აიხსნება ის ფაქტი, რომ უკვე 2010 წლიდან, როგორც ამას ანაბრების პორტფელის ჯამური ანალიზი უჩვენებს, სარგებლის განაკვეთები ეროვნულ ვალუტაში როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან ანაბრებზე შემცირდა 8-13% ფარგლებში, ხოლო უცხოურ ვალუტაში მოზიდულ ანაბრებზე განაკვეთი 9-11% ფარგლებში გაიზარდა, რაც მირითადად სწორედ მოკლევადიან ანაბრებზე გაზრდილი განაკვეთით იყო განპირობებული.

### 3-3. გაცვლითი კურსის რისკი, როგორც სავალუტო სუბსტიტუციის მეორე მონეტარული მიზეზი

კონკურირებად ვალუტებს შორის გაცვლითი კურსის სტაბილურობის საკითხს გააჩნია უშუალო გავლენა ეკონომიკური სუბიექტების მიერ სამომხმარებლო და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე. მასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორი უშუალოდ გამოხატავს საფრთხეს სავალუტო კურსის ( $s_t$ ) მომავალ დინამიკასთან დაკავშირებით, რომლის ერთმნიშვნელოვნად პროგნოზირება თავისუფლად ცვალებადი გაცვლითი კურსის ( $\Delta s_t \neq 0$ ) პირობებში შეუძლებელია.

ლარის გაცვლითი კურსისთვის (ცხრილი. 3-3-1 : გაცვლითი კურსი და დოლარიზაცია) მსოფლიოს წამყვანი ვალუტების, უპირველესად კი აშშ დოლარის, როგორც ძირითადი კონკურირებადი ვალუტის მიმართ 1995-2010 წლებისთვის დამახასიათებელია გაუფასურების დინამიკა. ლარის შემოღების პირველ წლებში საბოლოო წლიური ნიშნული 1,25-1,30 ფარგლებში მერყეობდა, რომლის საპირისპიროდ, გაუფასურების ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს ლარმა მიაღწია 2001-2003 წლებში, როცა საბოლოო წლიური გაცვლითი კურსების დონე აშშ დოლარის მიმართ შესაბამისად 2,07-2,19 ფარგლებში მერყეობდა.

**სურათი. 3-3-1 :** გაცვლითი კურსი და დოლარიზაცია



**წყარო:** ცხრილი 3-3-1


იმავე პერიოდისათვის დამახასიათებელია დოლარიზაციის კოეფიციენტის ანალიზურად ყველაზე მაღალი მაჩვენებლები, როგორც ფართო ფულში ( $\Omega(M3)$  – 2001: 45% ; 2002 : 47% ; 2003: 51 %) , ისე საბანკო ანაბრების პორტფელში ( $\Omega(FD)$  – 2001: 85% ; 2002 : 85% ; 2003: 86 %) და საკრედიტო პროტფელში ( $\Omega(FC)$  – 2001: 89% ; 2002 : 87% ; 2003: 85 %) უცხოური ვალუტის წილის მიხედვით.

2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ ეკონომიკაში მკვეთრად შემცირდა ნდობა ეროვნული ვალუტის მიმართ, რომელმაც ქვეყანაში ლარის გაუფასურების მოლოდინი წარმოშვა და ლარის ისტორიაში უკვე მეორედ დაფიქსირდა მისი გაუფასურების ორნიშნა მაჩვენებელი ( $\Delta S = +13\%$ ). აღსანიშნავია, რომ ხელოვნური დევალვაცია განხორციელდა ერთჯერადად, ეროვნული ბანკის სავალუტო ბაზარზე ჩარევის სახით, რომელიც იმ დროს ბანკოშორისი სავალუტო ბირჟის სახით ფუნქციონირებდა.<sup>A79</sup>

2008 წლის ოქტომბრის თვისთვის მსოფლიო ფინანსური კრიზისის გადღმავებამ სხვა ძირითადი ვალუტების მიმართ აშშ დოლარის გამყარება გამოიწვია. შედეგად ქართული ლარის როგორც ნომინალური, ასევე რეალური გაცვლითი კურსი არაბუნებრივად გამყარებული აღმოჩნდა. გაჩნდა გაუფასურების მოლოდინი, რასაც ადასტურებდა სავალუტო ბირჟაზე უცხოურ ვალუტაზე გაზრდილი მოთხოვნა. ამის გამო, ეროვნული ბანკი იძულებული გახდა ნოემბრის თვეში დაეშვა ლარის აშშ დოლარის მიმართებაში ერთჯერადი 13%-იანი გაუფასურება.<sup>A78</sup>

ეროვნული ვალუტის მკვეთრი გაუფასურება (სურათი 3-3-2) განხორციელდა რეგიონის მრავალ სხვა ქვეყანაშიც<sup>A79</sup>. მაგალითად, 2009 წლის 3 მარტს სომხეური დრამა ასევე გაუფასურდა 14 პროცენტით აშშ დოლარის მიმართ. უკრაინაში აღნიშნულ მოვლენას რამოდენიმეჯერ ჰქნდა ადგილი, რომელთაგანაც გრივნა ყველაზე მეტად (23 პროცენტით) 2008 წლის 28 ოქტომბერს გაუფასურდა. ხელოვნური დევალვაციის ანალოგიური ნაბიჯები იქნა გადადგმული თურქეთისა და ბულგარეთის ეროვნული ბანკების მიერ. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან მხოლოდ აზერბაიჯანში არ განხორციელებულა მსგავსი დონისძიება, თუმცა სავალუტო ფონდის მონაცემებით კურსის დაცვამ აზერბაიჯანის სავალუტო რეზერვების 25% შეიწირა.

სურათი. 3-3-2 : 2008 წლის დევალვაცია ქვეყნების მიხედვით



A-სომხეთი; B-ბულგარეთი; G-საქართველო; T-თურქეთი; U-უკრაინა; Z-აზერბაიჯანი

წყარო: [www.bloomberg.net](http://www.bloomberg.net)

ასეთი ერთჯერადი გაუფასურება სერიოზული შოკია სესხების ხარისხისათვის.<sup>A79</sup> განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში სადაც გაცვლით კურსს დიდი მერყეობა არ ახასიათებს და ეკონომიკური სუბიექტები მზად არ არიან გაცვლითი კურსის მკვეთრი ცვლილებისათვის. ეფექტი განსაკუთრებით საგრძნობია იმ ქვეყანაში სადაც უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების წილი მაღალია. უცხოური ვალუტის მსესხებელს, თუ მას შემოსავალი ეროვნულ ვალუტაში აქვს, გაუფასურების შემთხვევაში მეტი რაოდენობით ეროვნული ვალუტა სჭირდება სესხის გასასტუმრებლად. ეროვნულმა ბანკმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაეშვა ლარის გაუფასურება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნული შემოსავლის კლება უფრო ხანგრძლივი შეიძლებოდა აღმოჩენილიყო.<sup>A79</sup>

საქართველოში 2008 წლის ხელოვნურმა დევალვაციამ საგალუტო სუბსტიტუციის ხარისხის ზრდის ახალი ტალღა წარმოქმნა დოლარიზაციის

კოეფიციენტის (  $\Delta\Omega(MB) = +8\%$  ;  $\Delta\Omega(FD) = +11\%$  ;  $\Delta\Omega(MB) = +8\%$  ;  $\Delta\Omega(FQ) = +5\%$  ) სამივე განზომილების მიხედვით.

დოლარიზაციის ახალი ტალღა თანაბრად აისახა ბაზრის ყველა მონაწილის სავალუტო პორტფელზე, როგორც პერძო ინგესტორებზე, ისე საგარეო ვაჭრობაში მონაწილე ფირმებზე, უპირველესად კი კომერციული ბანკების სავალუტო პოზიციებზე.

დოლარიზაცია ზრდის საბანკო სექტორის გადახდის უნარიანობისა და ლიკვიდობის რისკებს. კომერციული ბანკების დია სავალუტო პოზიცია გაცვლითი კურსის რისკს წარმოშობს, რომელმაც გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში შესაძლებელია სექტორში გადახდის უნარიანობის პრობლემები გამოიწვიოს.<sup>A79</sup> ამ საფრთხის თავიდან ასარიდებლად კომერციულ ბანკებს დაწესებული აქცი ლიმიტი როგორც საბალანსო, ისე მთლიან დია სავალუტო პოზიციებზე, მაგრამ დაცული სავალუტო პოზიციის მიუხედავად მაღალი დოლარიზაცია მაინც ზრდის საბანკო სექტორის რისკებს ვალუტების შეუსაბამობით გამოწვეული საკრედიტო რისკის სახით.<sup>A79</sup>

გაცვლითი კურსის რისკის თავიდან ასაცილებლად კომერციული ბანკები უცხოურ ვალუტით მოზიდულ სახსრებს ეროვნულ ეკონომიკაზე კვლავ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებად გასცემენ. ასეთი მოქმედებით ბანკები გაცვლითი კურსის რისკის მსესხებელზე გადატანას ახდენენ, მაგრამ მსესხებლის შემოსავალი ძირითადად ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული. შესაბამისად ბანკები იძენენ ვალუტების შეუსაბამობით გამოწვეულ საკრედიტო რისკს, რომელიც ეროვნული ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში მსესხებლის შემცირებული გადახდის უნარიანობის შედეგია.<sup>A79</sup> გაცვლითი კურსის გაუფასურებასთან ერთად უმოქმედო სესხების წილი მით უფრო იზრდება, რაც უფრო მაღალია დოლარიზაციის დონე.

ექსპორტიორებსა და ინგესტორებს, რომელთათვისაც სავალუტო კურსის არაპროგნოზირებადი დინამიკა ( $\Delta\delta_t \approx \pm\infty$ ) მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, შეუძლიათ უპირველესად ფორვარდული გარიგებების დახმარებით სავალუტო რისკის განეიტრალება. ფორვარდული გარიგება გულისხმობს ვალუტებს შორის სარგებლის განსხვავების დაფარვას სვოპის განაკვეთით, როგორც ფორვარდული ( $f_t$ ) და ნომინალური ( $s_t$ ) სავალუტო კურსების შედარებითი სხვაობა:

$$(1.1) \quad \frac{S_t^{FW}}{S_t} = \frac{(1 + R_t^{US})}{(1 + R_t^{GL})} \quad \Leftrightarrow \quad S_t^{FW} - S_t = R_t^{US} - R_t^{GL}.$$

სავალუტო სვოპი, ისევე როგორც სავალუტო ოფციონები წარმოადგენენ დერივატულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც ხელმისაწვდომია მხოლოდ ტრანსაკიონალური კორპორაციებისა და საინვესტიციო ბანკებისათვის, მაგრამ ნაკლებად ხელმისაწვდომია, ცალკეული ეკონომიკური სუბიექტებისათვის, რომლებიც კონკურირებადი ვალუტების პირობებში ეწევიან საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას, განსაკუთრებით განვითარებად ეკონომიკებში. ე.ი. ასეთი ისტრუმენტების ინდივიდუალურად გამოყენება განსაკუთრებით ისეთი ეკონომიკური სუბიექტებისათვის, როგორებიცაა მომსმარებლები და მცირე ფირმები, კიდევ ახალ დამატებით ხარჯებთან იქნება დაკავშირებული.

ასეთ პირობებში სწორედ სავალუტო სუბსტიტუცია წარმოადგენს სავალუტო რისკისგან თავის დაცვის ერთ-ერთ მეთოდს, რაც გულისხმობს ეკონომიკური სუბიექტების მხრიდან სავალუტო პორტფელის დივერსიფიკაციას. მართალია, სავალუტო პორტფელის ( $V_t$ ) დივერსიფიკაციამ შეიძლება ვერ უზრუნველყოს ინვესტორებისათვის მაქსიმალური შემოსავლიანობა (ე.ი. სარგებლის ( $R_t^{US}$ ) რისკსაც თავის დატვირთვა აქვს პორტფელის შემოსავლიანობის მაქსიმალური დონის განსაზღვრისათვის), მაგრამ ექსპორტ-იმპორტიორებისათვის შესაძლებელია სარგებლიანობის ფუნქციის ( $U_t$ ) მაქსიმალურ დონესთან სავალუტო რისკის მინიმალური დონის ერთ კომბინაციაში გამოსახვა.

მთლიანი სავალუტო პორტფელი ( $V_t$ ) მოიცავს როგორც ფულად, ისე კაპიტალურ აქტივებს, რომლებიც სავალუტო სუბსტიტუციის საშუალებით  $\Omega \in [0;1]$  როგორც ეროვნულ ვალუტაში ( $\Omega V_t = V_t^{GL}$ ), ისე უცხოურ ვალუტაში ( $(1-\Omega)V_t = V_t^{US}$ ) შეიძლება იყონ დენომინირებული. ამ სავალუტო პორტფელის ( $V_t$ ) საბაზრო დირებულება როგორც ეროვნულ ( $R_t^{GL}$ ) ისე უცხოურ ( $R_t^{US}$ ) სარგებლის განაკვეთებზე არის დამოკიდებული:

$$(2.1) \quad V_t = (1 - \Omega_t) \cdot V_t^{GL} \cdot (1 + R_t^{GL}) + \Omega_t \cdot V_t^{US} \cdot (1 + R_t^{US}).$$

ამასთან სავალუტო პორტფელის საბაზრო დირებულების ცვლილება დამოკიდებულია სარგებლის განაკვეთების მოლოდინებზე ეროვნულ ( $R_t^{GL}$ ) და უცხოურ ( $R_t^{US}$ ) ვალუტებში:

$$(2.2) \quad \Delta V_t = V_t \left[ (1 - \Omega) + R_t^{\text{GL}} + \Omega \cdot R_t^{\text{US}} \right].$$

ამასთან სავალუტო პორტფელის საბაზო ღირებულება, ისევე როგორც მისი ცვლილების მოლოდინის გარიაცია განსაზღვრავენ სავალუტო პორტფელის მფლობელის სარგებლიანობის ფუნქციასა ( $U_t$ ) და მის მაქსიმალურ დონეს.

$$(3.1) \quad U_t = u_1 \Delta V_t^e + u_2 (\sigma^2(\Delta V_t^e)) \quad \text{სადაც}$$

$$u_1 = \frac{\partial U}{\partial \Delta V_t^e} > 0; \quad u_2 = \frac{\partial U}{\partial \sigma^2(\Delta V_t^e)} < 0.$$

ანალოგიურად სარგებლიანობის ცვლილების მოლოდინის ( $\Delta V_t^e$ ) გარიაცია განისაზღვრება სარგებლის განაკვეთებზე ეროვნულ ( $R_t^{\text{GL}}$ ) და უცხოურ ( $R_t^{\text{US}}$ ) ვალუტებში:

$$(4.1) \quad \Delta V_t^e = [V_t \left[ (1 - \Omega) R_t^{\text{GL}} + \Omega R_t^{\text{US}} \right]]^e.$$

ამასთან გასათვალისწინებელია შემდეგი სტოხასტური სიდიდეები, რომლებზეც ეფუძნება სავალუტო პორტფელის მფლობელის საინვესტიციო გადაწყვეტილებები:

$(R_t^{\text{GL}})^e$  – ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული კაპიტალური აქტივის სარგებლის მოლოდინი;

$Var(R_t^{\text{GL}}) = \sigma^2(R_t^{\text{GL}})$  – ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული კაპიტალური აქტივის სარგებლის გარიაცია;

$(R_t^{\text{US}})^e$  – უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კაპიტალური აქტივის სარგებლის მოლოდინი;

$Var(R_t^{\text{US}}) = \sigma^2(R_t^{\text{US}})$  – უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კაპიტალური აქტივის სარგებლის გარიაცია;

$\rho \cdot \sigma(R_t^{\text{GL}}) \cdot \sigma(R_t^{\text{US}})$  – კოვარიაცია ეროვნულ და უცხოურ კაპიტალის აქტივების სარგებლებს შორის ( $\rho$  – კორელაციის კოეფიციენტი):

$$(5.1) \quad \sigma^2(\Delta V_t^e) = (1 - \Omega_t)^2 \cdot \sigma^2(R_t^{\text{GL}}) + \Omega_t^2 \cdot \sigma^2(R_t^{\text{US}}) + 2 \cdot \Omega_t \cdot (1 - \Omega_t) \cdot \rho \cdot \sigma(R_t^{\text{GL}}) \cdot \sigma(R_t^{\text{US}}).$$

$$(3.1)-ის სრული დიფერენციაციის შემთხვევაში, \quad (4.1) \quad \text{და} \quad (5.1)$$

გათვალისწინებით, მივიღებთ რომ სარგებლიანობის ფუნქცია ( $U_t$ ) სავალუტო

პორტფელის საბაზრო ღირებულების ცვლილებაზე  $(\Delta V_t^e)$  დადგითად  
რეაგირებს:

$$(6.1) \quad dU_t^1 = \frac{\Delta U_t^1}{\Delta V_t^e} \left[ V_t (R_t^{US} - R_t^{GL}) \right] + 2 \frac{\Delta U_t^1}{\Delta \sigma^2 (\Delta V_t^e)} \cdot \\ \cdot [\Omega_t \sigma^2 (R_t^{GL}) + \Omega_t \sigma^2 (R_t^{US}) - \sigma^2 (R_t^{GL}) - 2 \cdot \Omega_t \cdot \rho \cdot \sigma (R_t^{GL}) \cdot \sigma (R_t^{US})] > 0$$

სარგებლიანობის ფუნქციის ელასტიურობა (2. რიგის სრული დიფერენციალი)  
გამოსახავს მისი ცვლილების  $(\Delta U_t)$  სიხშირის ეფექტს სავალუტო პორტფელის  
საბაზრო ღირებულების ცვლილებაზე  $(\Delta V_t^e)$  და წარმოადგენს უარყოფით  
სიდიდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ დროის განმავლობაში სარგებლიანობის  
ფუნქცია ადარ შეიცვლება  $(\Delta U_t^2 \approx 0)$  მას შემდეგ, რაც სავალუტო პორტფელის  
დივერსიფიკაცია მიაღწევს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში ფულადი და  
კაპიტალური აქტივების ოპტიმალურ განთავსებას:

$$(6.2) \quad dU_t^2 = 2 \frac{\Delta U_t^2}{\Delta \sigma^2 (\Delta V_t^e)} [\sigma^2 (R_t^{GL}) + \sigma^2 (R_t^{US}) - 2 \cdot \rho \cdot \sigma (R_t^{GL}) \cdot \sigma (R_t^{US})] < 0.$$

სავალუტო პორტფელის ოპტიმიზაციის პირობებში რისკის  $(\beta)$  ფაქტორი  
ასახავს თავად ცვლილებაზე  $(dU_t^1)$  სარგებლიანობის ცვლილების სისწავის  
 $(dU_t^2)$  რეაქციას (ე.ი. 2. და 1. რიგის სრული დიფერენციალების თანაფარდობა):

$$(7.1) \quad \beta = \left[ 2 \cdot V_t^e \cdot \frac{\Delta U_t^1}{\Delta \sigma^2 (\Delta V_t^e)} \right] \div \left[ \frac{\Delta U_t^2}{\Delta V_t^e} \right].$$

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სავალუტო სუბსტიტუციის ერთ-ერთ ძირითად  
მოტივს წარმოადგენს სავალუტო რისკის განეიტრალება, რომელსაც  
ეკონომიკური სუბიექტი ეროვნულ და უცხოურ ვალუტას შორის სარგებლის  
პარიტეტის საფუძველზე ინდივიდუალური მოლოდინის მიხედვით ახორციელებს:

$$(8.1) \quad \frac{S_t^e}{S_t} = \frac{(1 + R_t^{US})}{(1 + R_t^{GL})} \quad \Leftrightarrow \quad S_t^e - S_t = \Delta S_t^e = R_t^{US} - R_t^{GL}.$$

ახლა შევვ შეგვიძლია ერთმანეთს დაგუპავშიროთ სავალუტო სუბსტიტუცია  
 $(\Omega_t^{opt} \in [0;1])$ , რომლის დონეც არის სავალუტო პორტფელის ოპტიმალური  
განაწილების შესაბამისი, მინიმალური რისკის სიდიდე  $(\beta_t^{\min} \in [-1;1])$ , და დროის  
შესაბამის მომენტში სავალუტო კურსის ცვლილების მოლოდინი  $(\Delta S_t^e)$   
ეკონომიკური სუბიექტების მხრიდან:

$$\begin{aligned}
\Omega_t &= \frac{(R_t^{US} - R_t^{GL}) + \beta_t [\sigma^2(R_t^{US}) - 2 \cdot \rho \cdot \sigma(R_t^{US}) \cdot \sigma(R_t^{GL})]}{\beta_t [\sigma^2(R_t^{GL}) + \sigma^2(R_t^{US}) - 2 \cdot \rho \cdot \sigma(R_t^{GL}) \cdot \sigma(R_t^{US})]} \\
&= \frac{(R_t^{GL} - R_t^{US}) + \beta_t [\sigma^2(R_t^{US}) - R_t^{GL}] - \sigma^2(R_t^{US})}{\beta_t \cdot \sigma^2(R_t^{US} - R_t^{GL})} \\
(9.1) \quad &= \omega_1 \cdot (R_t^{GL} - R_t^{US}) + \omega_2 \cdot \sigma^2(R_t^{GL} - R_t^{US}) + \omega_3 \cdot \beta_t^m \\
&= \omega_1 \cdot (\Delta s_t^e) + \omega_2 \cdot \sigma^2(\Delta s_t^e) + \omega_3 \cdot \beta_t^m.
\end{aligned}$$

სადაც, (8.1)-ს გათვალისწინებით:

$$\omega_1 = \frac{\Delta \Omega_t}{\Delta s_t^e} < 0; \quad \omega_2 = \frac{\Delta \Omega_t}{\Delta \sigma^2(R_t^{GL} - R_t^{US})} > 0; \quad \omega_3 = \frac{\Delta \Omega_t^o}{\Delta \beta_t} < 0.$$

საგალუტო პორტფელის ოპტიმალური განაწილების წინაპირობაა:

$$(10.1) \quad \omega_3 = -1; \quad \Leftrightarrow \quad \left| \Delta \Omega_t^{opt} \right| = \left| \Delta \beta_t^{\min} \right|.$$

ეს მოდელი განიხილავს საგალუტო სუბსტიტუციას, როგორც ეკონომიკური სუბიექტების მიერ საბაზო რისკის განეიტრალების საშუალებას, რომელიც საგალუტო კურსის არაპროგნოზირებად დინამიკასთან ( $\Delta s_t^e \approx \pm \infty$ ) არის დაკავშირებული. კერძოდ, ოპტიმალურია საგალუტო სუბსტიტუციის ის დონე ( $\Omega_t^{opt}$ ), რომელთანაც თანხვედრია საგალუტო რისკის მინიმალურ დონემდე ( $\beta_t^{\min}$ ) შემცირება.

საქართველოში 2008 წელს საგალუტო ბაზარზე განვითარებული მოვლენები, წლის დასაწყისიდან ლარის ჯერ მკვეთრი გამყარება, ხოლო ბოლო თვეებში წლის საწყის ნიშნულამდე გაცვლითი კურსის ხელოვნურად გაზრდა, რომელმაც მყისიერი გამოხატულება ჰპოვა იმავე პერიოდში, იმის ნათელი დადსტურებაა, რომ საგალუტო კურსის ცვალებადობა დოლარიზაციის კოეფიციენტთან დადებით კავშირშია, რის გამოც არაპროგნოზირებადობით გამოწვეული გაცვლითი კურსის რისკი საგალუტო სუბსტიტუციის ერთ-ერთ მონეტარულ მიზეზად და შესაბამისად მონეტარული სტაბილიზაციის მნიშვნელოვან ეკონომიკურ-პოლიტიკურ ინდიკატორად უნდა იქნეს განხილული.


### **3-4. მოხმარების უსაფრთხოების უზრუნველყოფით გამოწვეული ინფლაციის რისკი, როგორც სავალუტო სუბსტიტუციის მესამე მონეტარული მიზეზი**

მას შემდეგ, რაც წინა თავში სწორედ სავალუტო სუბსტიტუცია დასახელდა სავალუტო (ე.ი. გაცვლის კურსის) რისკების განეიტრალიზაციის საშუალებად, სრული მონეტარული სურათის მისაღებად აუცილებელია, წარმოვადგინოთ ეკონომიკური სუბიექტების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი, კერძოდ, თუ რა როლს ასრულებს ფასების ცვლილების მოლოდინი სავალუტო პორტფელში ეროვნული და უცხოური ვალუტის განაწილებაზე ფულადი და კაპიტალური აქტივების მიხედვით.

საქართველოში სამომხმარებლო ფასების დინამიკის შესახებ არსებული ინფორმაცია (ცხრილი. 3-4-1 : ინფლაცია და დოლარიზაცია) ცხადყოფს დადებით კორელაციას ინფლაციურ პროცესებსა და დოლარიზაციის კოვფიცინეტს შორის. ინფლაციის მონაცემები შედარებით არასრულყოფილია 1991-1998 წლებისათვის, ხოლო შემდგომ პერიოდებში სტატისტიკური სურათი მნიშვნელოვნად დახვეწილია, და მოიცავს წლიურ, საშუალო წლიურ და თვიურ მონაცემებს როგორც სამომხმარებლო, ისე საწარმოო ფასების ინდექსებზე.

წლიური ინფლაციის მაჩვენებელი **A77, A78, A79** განსხვავებულია სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების პროდუქტებს შორის. უკანასკნელ ათწლეულში (2001-2010) ხანმოკლე მოხმარების პროდუქტებისთვის საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებელი შეადგენს  $+11,3\%$ , საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების პროდუქტებისთვის აღნიშნული მაჩვენებელი  $-7,4\%$ , ხოლო ხანგრძლივი მოხმარების პროდუქტებისთვის აღნიშნული მონაცემი  $-3,8\%$  პროცენტს გაუტოლდა. დროის იმავე პერიოდისთვის მომსახურებაზე, რომელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა არ ექვემდებარება საგარეო ვაჭრობას, ფასები  $+6,5\%$  პროცენტით გაიზარდა. მხოლოდ 2007-2009 ხანმოკლე მოხმარების პროდუქტების ფასები  $+21,8\%$ , ხოლო იმავე პერიოდში მომსახურებაზე ფასები  $+18,6\%$  გაიზარდა. რაც შეეხება საშუალო და ხანგრძლივი მოხმარების პროდუქტების ფასებს, მათზე 2007-2009 ფასების  $-12,1\%$  და  $-5,5\%$  შემცირებაა დაფიქსირებული. **A77, A78, A79**

**სურათი 3-4-1 :** ინფლაცია და დოლარიზაცია



**შეართ:** ცხრილი 3-4-1

ეროვნულ ეკონომიკაში ინფლაციის მიზეზით უცხოური ვალუტის შემოჭრის პროცესი და მის უპირატეს როლთან აღნიშნული კავშირის თეორიული ანალიზი დაეფუძნება კვლავ ჯოვანინის მოდელს.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აქამდე სავალუტო პორტფელის მიკროსტრუქტურას არ შევხებივართ. წინა პარაგრაფებში მოთხოვნაც არ არსებობდა, რომ პორტფელის დივერსიფიკაციის მიკროეკონომიკური მოდელი სავალუტო სუბსტიტუციის მოვლენასთან ყოფილიყო დაკავშირებული.

სავალუტო პორტფელის მიკროსტრუქტურის ქვეშ იგულისხმება სწორედ თანაფარდობა ფულად და კაპიტალურ აქტივებს შორის, რომელიც გამომდინარეობს ეკონომიკური სუბიექტის ორი ძირითადი ფუნქციიდან, კერძოდ მოხმარებიდან და დანაზოგიდან. ცნობილია, რომ სავალუტო სუბსტიტუციის შემთხვევაში ფულადი აქტივი ( $L_t^{GL}; L_t^{US}$ ) მოიცავს სავალუტო პორტფელის იმ ნაწილს, რომელიც გამოიყენება მოხმარების (მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოხმარების პროდუქტი და მომსახურება) პროცესში, და კაპიტალური აქტივი ( $B_t^{GL}; Q_t^{US}$ ) - სავალუტო პორტფელის იმ ნაწილს, რომლის განთავსება დანაზოგის (აქცია, ბონდი, ანაბარი) სახით ხორციელდება.

$$(1.1) \quad V_t = \underbrace{(1 - \Omega_t) \cdot (L_t^{GL} + B_t^{GL})}_{V_t^{GL}} + \underbrace{S_t \cdot \Omega_t \cdot (L_t^{US} + Q_t^{US})}_{V_t^{US}}$$

მიკროეკონომიკური მოდელის მიზანია სავალუტო სუბსტიტუციის ( $\Omega_t$ ) დამოკიდებულების განსაზღვრა ფასების დინამიკაზე ( $\Delta p_t \neq 0$ ). ე.ი. სავალუტო პორტფელის დივერსიფიკაციის აღწერა ეფუძნება საშუალოვადიან ანალიზს:

$$(2.1) \quad L_t^{GL} = C_t^{GL} (\bar{P}_t^{GL}) ;$$

$$(2.2) \quad L_t^{US} = C_t^{US} (\bar{P}_t^{US}) .$$

გამარტივების მიზნით, დაგუშვათ რომ ეკონომიკური სუბსტიტუციი მთელ სავალუტო პორტფელს სწორედ მოხმარების მიზნით იყენებენ:

$$(3.1) \quad B_t^{GL} = 0; \Rightarrow V_t^{GL} = L_t^{GL} = C_t^{GL} (\bar{P}_t^{GL}) = C_t^{GL} \cdot P_t^{GL} ;$$

$$(3.2) \quad Q_t^{US} = 0; \Rightarrow V_t^{US} = L_t^{US} = C_t^{US} (\bar{P}_t^{US}) = C_t^{US} \cdot P_t^{US} .$$

ჯერ ერთი, ეს დაშვება საკმაოდ ახლოს არის განვითარებადი ეკონომიკების რეალობასთან. მეორეც, ამ დაშვების მიზანია, დროებით გამოვრიცხოთ ეროვნულ და უცხოურ ვალუტებს შორის სარგებლის დიფერენციაციის ( $R_t^{GL}; R_t^{US}$ ) გავლენა სუბსტიტუციაზე. ე.ი. ის ( $\Omega_t$ ) წარმოვადგინოთ ეროვნულ და უცხოურ ვალუტებში როგორც განსხვავებული ფასების ფუნქცია. ამ დაშვების გათვალისწინებით შესაძლებელია ეკონომიკური სუბსტიტუციის მთლიანი მოხმარების გამოსახვა სავალუტო სუბსტიტუციის პირობებში:

$$(4.1) \quad \frac{L_t^{GL}}{P_t^{GL}} + S_t \cdot \frac{L_t^{US}}{P_t^{US}} = C_t^{GL} + S_t \cdot C_t^{US} \Leftrightarrow \\ S_t = \frac{(C_t^{GL} \cdot P_t^{GL} - L_t^{GL})}{(C_t^{US} \cdot P_t^{US} - L_t^{US})} \cdot \frac{P_t^{US}}{P_t^{GL}} = \varepsilon_t^{GL, US}$$

როგორც ვხედავთ, ნომინალური გაცვლითი კურსი ( $S_t$ ) წარმოადგენს ლიკვიდობის  $(L_t^{GL}; L_t^{US})$  ჯვარედინულ ელასტიურობას (Cross-Elasticity) ფასის  $(P_t^{GL}; p_t^{US})$  მიმართ. მის თანახმად, ნომინალური სავალუტო კურსის უცვლელობის  $(\Delta S_t = 0)$  პირობებში ეროვნულ ვალუტაში ფასების ერთი ერთეულით გაზრდისას უცხოური ვალუტის მიმართ მოთხოვნა იზრდება  $(\Delta P_t^{GL} = +1 bp \Rightarrow \Delta L_t^{US} = +1)$  ერთი ერთეულით, და პირიქით  $(\Delta P_t^{US} = +1 bp \Rightarrow \Delta L_t^{GL} = +1)$ . ფაქტიურად ჯვარედინული ელასტიურობა  $(\varepsilon_t^{GL,US})$  გამოსახავს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მოდიფიცირებულ ვერსიას სავალუტო სუბსტიტუციის პირობებში.

მეორე მხრივ, სავალუტო სუბსტიტუცია განსაზღვრავს უცხოური ვალუტის წილს მთლიან სავალუტო პორტფელში:

$$(5.1) \quad \Omega_t = \frac{L_t^{US}}{L_t^{GL} + L_t^{US}} = \frac{C_t^{US} \cdot P_t^{US}}{V_t^{US}},$$

ამასთან შესაძლებელია სავალუტო პორტფელის სარგებლიანობის ფუნქციის გამოსახვა ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში ფასების დონის მიხედვით:

$$(6.1) \quad U_t(V_t) = U_t(C_t^{GL}; C_t^{US}) = U_t \left( \frac{L_t^{GL}}{P_t^{GL}}; \frac{L_t^{US}}{P_t^{GL}} \right).$$

ნომინალურ სავალუტო კურსსა და სავალუტო სუბსტიტუციას შორის კავშირი, (6.1) და (5.1) საფუძველზე შეიძლება გამოვსახოთ სუბსტიტუციის ელასტიურობით:

$$(7.1) \quad \varepsilon_\Omega = - \frac{\Delta U_t}{\Delta C_t^{GL}} \div \frac{\Delta U_t}{\Delta C_t^{GL}} = \frac{(C_t^{GL} \cdot P_t^{GL} - L_t^{GL})}{(C_t^{US} \cdot P_t^{US} - L_t^{US})}.$$

სუბსტიტუციის ელასტიურობა ( $\varepsilon_\Omega$ ) წარმოადგენს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის კოეფიციენტს:

$$(8.1) \quad S_t = \varepsilon_\Omega \cdot \frac{P_t^{US}}{P_t^{GL}}.$$

აბსოლიტური პარიტეტის შემთხვევაში:  $[\varepsilon_\Omega = 1; \Omega = 0]$ .

(8.1)-ს შედეგები იძლევა ნომინალური სავალუტო კურსის ცვლილებასთან ( $\Delta S_t$ ) დაკავშირებით განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას:

ეროვნულ ვალუტაში ინფლაციის ( $\Delta P_t^{GL} > 0$ ) შემთხვევაში ეკონომიკური სუბიექტები უპირატესობას ანიჭებენ უცხოურ ვალუტას ( $\Delta \Omega_t > 0$ ), რადგან ეროვნული ვალუტის დევალვაციის ( $\Delta S_t > 0$ ) შედეგად მოხმარების დონე აღემატება მასზე რეალურ მოთხოვნას:

$$(9.1) \quad Devaluation \quad n : \Delta S_t > 0 \Rightarrow \begin{cases} \frac{L_t^{GL}}{P_t^{GL}} < C_t^{GL} \\ \frac{L_t^{US}}{P_t^{US}} > C_t^{US} \end{cases} \Rightarrow \begin{cases} \frac{L_t^{GL}}{P_t^{GL}} - C_t^{GL} < 0; Loss \\ \frac{L_t^{US}}{P_t^{US}} - C_t^{US} > 0; Profit \end{cases} .$$

ეროვნული ვალუტის რევალვაციის ( $\Delta S_t < 0$ ) შედეგად მასზე რეალური მოთხოვნა აღემატება მოხმარების დონეს:

$$(9.2) \quad Re\ valuation : \Delta S_t < 0 \Rightarrow \begin{cases} \frac{L_t^{GL}}{P_t^{GL}} > C_t^{GL} \\ \frac{L_t^{US}}{P_t^{US}} < C_t^{US} \end{cases} \Rightarrow \begin{cases} \frac{L_t^{GL}}{P_t^{GL}} - C_t^{GL} > 0; Profit \\ \frac{L_t^{US}}{P_t^{US}} - C_t^{US} < 0; Loss \end{cases} .$$

ჯოვანინის მოდელი განმარტავს ეკონომიკური სუბიექტის მოქმედებას, მოცემული ნომინალური სავალუტო კურსისა და სავალუტო სუბსტიტუციის პირობებში, თუ რამდენად ოპტიმალურად არის შესაძლებელი არსებული სავალუტო პორტფელით მოხმარების მაქსიმალური დონის დაკმაყოფილება ინფლაციის გათვალისწინებით.

სავალუტო პორტფელის სტრუქტურაზე ფასების დინამიკის გავლენის ანალიზის დროს გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ რეალურ სექტორში არსებობენ ისეთი პროდუქტები და მომსახურებები, რომლებიც სავაჭროა ( $T_t^{GL}$  – Price of the Tradeable Goods & Services), ე.ო. ექვემდებარება უცხოეთოან ექსპორტ-იმპორტს, და რომლებიც არასავაჭროა ( $N_t^{GL}$  – Price of the Non-tradables), რის გამოც მხოლოდ ეროვნულ წარმოებას ექვემდებარება. პროდუქტებისა და მომსახურების ამ ორ ჯგუფთან მიმართებაში ეკონომიკურ სუბიექტებს განსხვავებული პრეფერენციები გააჩნიათ და სავსებით ლოგიკურია იმის

დაშვება, რომ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა მხოლოდ სავაჭრო პროდუქტსა და მომსახურებასთან  $(T_t^{GL} - \text{Price of the Tradeable Goods & Services})$  დაკავშირებული ტრანსაქციებით არის განპიროებებული: ამის გამო ეროვნული ფასების დონე  $(P_t^{GL})$  შეიძლება განხილულ იქნას, არა როგორც ტრადიციულად სამომხმარებლო ფასების ინდექსი, არამედ როგორც არასავაჭრო  $(N_t^{GL})$  და სავაჭრო  $(T_t^{GL})$  პროდუქტების ფასებს შორის შედარებითი სიდიდე, რომლის დროსაც სავაჭროების ფასების ინდექსი  $(T_t^{US})$  მსოფლიო ბაზრის მიერ განისაზღვრება. ამასთან, არასავაჭრო პროდუქტებისა და მომსახურების სტრუქტურა (საცხოვრებელი, სამედიცინო მომსახურება, სოციალური ყოფა-ცხოვრება) იძლევა იმის დაშვების შესაძლებლობას, რომ მათ ფასებს  $(\Delta N_t^{GL} \approx 0)$  შედარებითი სიხისტე ახასიათებთ, რის გამოც მათი ცვლილება მხოლოდ ძალზედ გრძელვადიან ეკონომიკურ პერიოდში არის შესაძლებელი. შესაბამისად, ერთადერთი სიდიდე, რომელზეც ორიენტირებულია ეროვნული ფასების დონე  $(P_t^{GL})$ , შეიძლება იყოს მხოლოდ მსოფლიო ბაზრის ფასი  $(P_t^{US})$ , და, ნომინალური სავალუტო კურსით  $(S_t)$  შეწონილი, მათი ცვლილებები  $(\Delta P_t^{GL} = S_t \cdot \Delta P_t^{US})$  ერთმანეთის ტოლია.

$$(10.1) \quad \begin{aligned} P_t^{GL} &= k \cdot N_t^{GL} + (1 - k) \cdot T_t^{GL}; \\ &= k \cdot N_t^{GL} + (1 - k) \cdot \varepsilon_{\Omega} \cdot \frac{P_t^{US}}{S_t}; \\ &= k \cdot N_t^{GL} + \frac{(1 - k)}{\Omega_t} \cdot \frac{P_t^{US}}{S_t}. \end{aligned}$$

ასეთი შედეგების პირობებში სავალუტო სუბსტიტუცია შეიძლება განხილულ იქნას როგორც ინფლაციის იმპორტის საპირისპირო მოვლენა, რამდენადაც სწორედ სუბსტიტუციის ელასტიურობა  $(\varepsilon_{\Omega})$  განსაზღვრავს არასავაჭრო პროდუქტების ფასის  $(N_t^{GL})$  წილს სამომხმარებლო ფასების  $(P_t^{GL})$  ინდექსში, რომელსაც შეუძლია სავაჭრო პროდუქტებისთვის  $(T_t^{GL})$  მსოფლიო ბაზარზე ინფლაციური პროცესების გავლენის ნაწილობრივ განეიტრალება ეროვნულ ეკონომიკაში ფასების  $(P_t^{GL})$  დონეზე.

\* \* \*

საქართველოს ეკონომიკაში უნდა განვასხვავოთ ფასების დინამიკის ორი ვექტორი. პირველი ვექტორი ასახავს ფასების დინამიკას 1991-1995 წლებისთვის და მეორე ვექტორი - 1996-2009 წლების პერიოდისთვის.

პირველი ვექტორი ერთმნიშვნელოვნად დადებითია აღნიშნულ პერიოდში ჰიპერინფლაციური პროცესების გამო. შესაბამისად, დოლარიზაციის კოეფიციენტის ( $M_3$ ) მაღალი დონე სწორედ ამ პერიოდიდან იდებს სათავეს და ფიქსირდება დოლარიზაციის კოეფიციენტის +1000% გაზრდა, 1992, 1993 და 1994 წლებში შესაბამისი ინფლაციის შესაბამისი მაჩვენებლების (+ 950%, +6.500%, +7.500%) პარალელურად. აქედან გამომდინარე, ისტორიული კუთხით, სწორედ ინფლაცია შეიძლება განვიხილოთ საქართველოში სავალუტო სუბსტიტუციის თავდაპირველ გამომწვევად, რომელსაც მომდევნო პერიოდებში დაემატა დანარჩენი მონეტარული მიზეზები - ჯერ გაცვლითი კურსის ცვლებადობა, ხოლო შემდგომ ეროვნულ და უცხოურ ვალუტებს შორის სარგებლის განაკვეთების განსხვავება.

ინფლაციის მეორე ვექტორიც დადგებითია, თუმცა 1996-2009 წლებში სამომხმარებლო ფასების ზრდა შედარებით ზომიერია და ხშირ შემთხვევაში მისი საშუალო წლიური მაჩვენებელი ერთნიშნაა. ამის გამო, აღნიშნულ პერიოდში ინფლაციის როლი, როგორც სავალუტო სუბსტიტუციის მიზეზი, უკანა პლანზე გადადის და ადგილს უთმობს ზემოთ ჩამოთვლილ სხვა მონეტარულ მიზეზებს, რომელთაც სწორედ ამ პერიოდში შეიძინეს თავისი, როგორც სავალუტო სუბსტიტუციის გამომწვევი ფაქტორების მნიშვნელობა.

ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარებისას უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს ინფლაციის, როგორც ეკონომიკურ-პოლიტიკური ინდიკატორის, სისტემატიზაცია მისი ცალკეული კომპონენტების (მიწოდების ინფლაცია, მოთხოვნის ინფლაცია, საბიუჯეტო ინფლაცია, იმპორტირებული ინფლაცია) მიხედვით და სავალუტო სუბსტიტუციის ხარისხის გათვალისწინებით თითოეული კომპონენტის სტაბილიზაციაზე ორიენტირებული მონეტარული პოლიტიკის გატარება.

### **3-5. საგადამხდელო ბალანსი: მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, როგორც სავალუტო სუბსტიტუციის მაკროეკონომიკური მიზეზი**

მაკროეკონომიკური მოდელის მიზანია, წარმოაჩინოს სავალუტო სუბსტიტუცია რეალურ სექტორთან მიმართებაში, რაც გულისხმობს კავშირის განსაზღვრას სავალუტო სუბსტიტუციასა და საგადამხდელო ბალანსში (BOP - Balance of Payments) მიმდინარე ანგარიშს (CA - Current Accounts) შორის.

თეორიულად მიმდინარე ანგარიშის სავალუტო სუბსტიტუციასთან დაკავშირების იდეა ეფუძნება სავალუტო პორტფელში არამხოლოდ უცხოური გალუტის, არამედ უცხოური კაპიტალის (აქციები, ბონდები, ანაბრები, პირდაპირი ინვესტიციები) არსებობის ფაქტს, რომელთა მიხედვითაც სავალუტო ტრანსაქციების სისტემატიზაცია ხორციელდება საგადამხდელო ბალანსის (BOP) მეორე ქვებალანსში – კაპიტალის ანგარიშში (CC - Capital Accounts ).

საგარეო-ეკონომიკური წონასწორობა (BOP = 0) გულისხმობს კაპიტალის ანგარიშის სალდოსთან მიმდინარე ანგარიშის სალდოს გამოთანაბრებას (CA = CC) , ე.ო. პროდუქტისა და მომსახურების ნეტ-იმპორტთან (CA < 0) დაკავშირებულია კაპიტალის ნეტ-იმპორტი (CC > 0), და პირიქით, პროდუქტისა და მომსახურების ნეტ-ექსპორტთან (CA > 0) დაკავშირებულია კაპიტალის ნეტ-იმპორტი (CC < 0).

2009-2010 წლებისთვის (ცხრილი. 3-5-1: მიმდინარე ანგარიში და დოლარიზაცია) საქართველოს საგადამხდელო ბალანსში<sup>A81</sup> მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (-1,3 მლრდ აშშ დოლარი) თითქმის თანაბარი იყო, და 2008 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 35%-იანი შემცირება განიცადა. აღნიშნული დეფიციტის ძირითადი ტვირთი მოდიოდა უშუალოდ საგარეო ვაჭრობის ბალანსზე, რომლის მონაცემებიც 2009-2010 წლებისთვის განსხვავებულ სურათს ქმნის წინა წლებთან შედარებით. ეს უპირველესად გამოიხატა იმპრტთან შედარებით (-30%) ექსპორტის (-18%) უფრო ნაკლებ შემცირებაში.

დროის პერიოდების მიხედვით განსხვავებული სურათია აგრეთვე მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაბალანსებასთან დაკავშირებით. 2009-2010 წლებში ძირითადში მიმდინარე ტრანსფერები უზრუნველყოფდა საგარეო ვაჭრობით

გამოწვეული დეფიციტის დაფინანსებას და კაპიტალის შემოდინებები წინა პერიოდთან შედარებით 4-ჯერ იყო შემცირებული, 2006-2008 წლებში სწორედ ზრდადი პირადპირი ინვესტიციების (2006 : +1,6 მლრდ აშშ დოლარი ; 2007 : +2,3 მლრდ აშშ დოლარი ; 2008 : +2,2 მლრდ აშშ დოლარი ; 2009 : +1,2 მლრდ აშშ დოლარი ; 2010 : +0,8 მლრდ აშშ დოლარი) ხარჯზე ხდებოდა სავაჭრო დეფიციტის აღმოფხვრა<sup>A81</sup>.

შესაბამისად, საქართველოს პირობებში აქტუალურია ის შემთხვევა, როცა ეროვნული ეკონომიკა, როგორც ნეტ-იმპორტიორი ( $CA_t^{GL} < 0$ ), ცდილობს საგარეო ვაჭრობის უარყოფითი ბალანსის დაფინანსებას კაპიტალის იმპორტითა ( $CC_t^{GL} > 0$ ) და შრომის ექსპორტის საფუძველზე ცალმხრივი ტრანსფერებით (ე.წ. უცხოეთიდან გადმორიცხვები ემიგრანტების მიერ), რაც შესაბამისად ზემოქმედებს როგორც ნომინალურ სავალუტო კურსზე ( $S_t$ ), ისე სავალუტო პორტფელის სტრუქტურასა ( $V_t$ ) და სავალუტო სუბსტიტუციაზე ( $\Omega_t$ ).

**1. დაშვება:** ეროვნული ეკონომიკა კვლავ განიხილება როგორც (SMOPEC), ხოლო როგორც უცხოეთი - მთელი დანარჩენი მსოფლიო. ამასთან მსოფლიო ბაზრის სიდიდეები ( $R_t^{US}; P_t^{US}; Y_t^{US}$ ) წარმოდგენილია, როგორც ეგზოგენური (ექსტერნალური) სიდიდეები ეროვნული ეკონომიკისათვის. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ სუბსტიტუციის შესაძლებლობაზე ეროვნულ ვალუტასა (GL) და წარმომადგენლობით უცხოურ ვალუტას (US) შორის, იმ პირობით, რომ უცხოელების ინტერესი დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ კაპიტალთან ( $B_t^{GL}$ ) მიმართებაში, მაგრამ ეროვნული ვალუტის, როგორც ფულადი აქტივის ( $M_t^{GL}$ ), მიმართ არავითარი ინტერესი არ აქვთ. რაც შეეხებათ ადგილობრივებს, მათ ინტერესი აქვთ უცხოურ ვალუტაში როგორც ფულადი ( $F_t^{US}$ ), ისე კაპიტალური აქტივების ( $Q_t^{US}$ ) მიმართ.

**2. დაშვება:** ეროვნულ ეკონომიკაში კაპიტალის ბაზარი (მონეტარისტული მოდელისგან განსხვავებით ! ) არასრულყოფილია. ამის მიზეზებს წარმოადგენს ნაკლებად გავითარებული ფინანსური ბაზები საქართველოში, რომელიც არ ეფუძნება სრულყოფილი კონკურენციის პრინციპს ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობაზე. ასეთ შემთხვევაში ეროვნულ ეკონომიკაში ეროვნული და უცხოური ვალუტები, რომელთა შორის სარგებლის განაკვეთების პარიტეტი არასრულყოფილად მოქმედებს,

განიხილებიან როგორც არასრულყოფილი ჩამნაცვლებელი. ე.ი. გაცვლითი პურსის რისკის განეიტრალების ან თანაბარი სარგებლის შემთხვევაში ეკონომიკური სუბიექტები ისევ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ კაპიტალურ აქტივებს მიანიჭებდნენ უპირატესობას.

**3. დაშვება:** უცხოური ვალუტით სარგებლობა ეროვნულ ეკონომიკაში შესაძლებელია არამხოლოდ ტრანსაქციის მიზნით, არამედ საინვესტიციო-ქონებრივი მოტივითაც. ამის გამო სავალუტო ბაზარზე ცვლილებები დაკავშირებულია არამხოლოდ პროდუქტისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტთან, არამედ კაპიტალის ექსპორტ-იმპორტთანაც უცხოეთთან. სამაგიეროდ, სავალუტო პორტფელში სტრუქტურული ცვლილების ეფექტები სრულ კავშირშია სარგებლის განაკვეთების განსხვავებაზე ეროვნულ და უცხოურ ვალუტებს შორის.

როგორც „თეორიულ საფუძვლებში“ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აღვნიშნეთ, რეალური და ფინასური სექტორი განსხვავებული სიჩქარით რეაგირებენ ექსტერნალურ ცვლილებებზე. სწორედ ამის გამო, მონეტარული მოდელისაგან განსხვავებით, სარგებლის განაკვეთების სრულად გამოთანაბრება გამორიცხულია და ეკონომიკური სუბიექტები უპირატესობას ანიჭებენ როგორც ეროვნულ ვალუტას, ისე მასში დენომინირებულ კაპიტალს, ამასთან არ გააჩნიათ რაიმე მოლოდინი გაცვლითი კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით  $[\Delta S_t^e \neq R_t^{GL} - R_t^{US}]$ . ფინანსურ ბაზებს შორის ასეთი ინტერაქტიულობის გამო წარმოიშობა ქონების დაგროვების ეფექტები არა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში, არამედ უცხოურ ვალუტაშიც, თუკი ზოგადად სავალუტო სუბსტიტუციაზე, როგორც ეროვნულ ეკონომიკაში დასაშვებ მომოვლენაზე არის საუბარი.

აბსორბცია  $(A_t^{GL})$ , სახელმწიფოს ბიუჯეტი  $(G_t^{GL})$  და მიმდინარე ანგარიში  $(X_t^{GL})$  წარმოადგენენ რეალურ სექტორში მაკრო-მოთხოვნის კომპონენტებს:

$$(1.1) \quad Y_t^{GL} = A_t^{GL} + G_t^{GL} + X_t^{GL}.$$

აბსორბცია  $(A_t^{GL})$  მოიცავს კერძო სექტორში მოხმარებისა და დანაზოგის ფენები ალტერნატიულ კომბინაციას, და მათ შორის დანაზოგებს როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში  $(V_t^{GL})$  - სავალუტო პორტფელის საბაზრო დირექტულება ეროვნულ ვალუტაში).

$$(2.1) \quad A_t^{GL} = f(P_t^{GL}; R_t^{GL}; V_t^{GL}; Y_t^{GL}) = a_1 \cdot P_t^{GL} + a_2 \cdot R_t^{GL} + a_3 \cdot V_t^{GL} + a_4 \cdot Y_t^{GL},$$

რომლისთვისაც

$$(2.2) \quad a_1 = \frac{\Delta A_t^{GL}}{\Delta P_t^{GL}} < 0; \quad a_2 = \frac{\Delta A_t^{GL}}{\Delta R_t^{GL}} < 0; \quad a_3 = \frac{\Delta A_t^{GL}}{\Delta V_t^{GL}} > 0; \quad a_4 = \frac{\Delta A_t^{GL}}{\Delta Y_t^{GL}} > 0.$$

ნომინალური სავალუტო კურსი  $(S_t)$  განსაზღვრავს მიმდინარე ანგარიშის სალდოს ეროვნულ ვალუტაში:

$$(3.1) \quad X_t^{GL} = f(S_t; P_t^{GL}; Y_t^{GL}; P_t^{US}; Y_t^{US}) = x_1 \cdot S_t + x_2 \cdot P_t^{GL} + x_3 \cdot Y_t^{GL} + x_4 \cdot P_t^{US} + x_5 \cdot Y_t^{US},$$

რომლისთვისაც

$$(3.2) \quad x_1 = \frac{\Delta X_t^{GL}}{\Delta S_t} > 0; \quad x_2 = \frac{\Delta X_t^{GL}}{\Delta P_t^{GL}} < 0; \quad x_3 = \frac{\Delta X_t^{GL}}{\Delta Y_t^{GL}} < 0; \quad x_4 = \frac{\Delta X_t^{GL}}{\Delta P_t^{US}} > 0; \quad x_5 = \frac{\Delta X_t^{GL}}{\Delta Y_t^{US}} > 0.$$

რეალურ და ფინანსურ სექტორებს შორის ურთიერთქმედება, რომლებთანაც დაკავშირებულია სავალუტო ტრანსაქციები, თავს იყრის საგადამხდელო ბალანსში:

$$(4.1) \quad Z_t^{GL} = X_t^{GL} + S_t \cdot (F_t^{US} + Q_t^{US}) = 0, \quad \Leftrightarrow \quad X_t^{GL} = -S_t \cdot (F_t^{US} + Q_t^{US}).$$

სავალუტო სუბსტიტუციის მოვლენა შესასძლებელია წარმოვსახოთ ინტეგრირებული ფინანსური ბაზრების პირობებში, როცა სავალუტო პორტფელი ეროვნული ვალუტისა  $(M_t^{GL})$  და მასში დენომინირებული კაპიტალის აქტივის  $(B_t^{GL})$  გვერდით მოიცავს უცხოურ ვალუტას  $(F_t^{US})$  და იმპორტირებულ კაპიტალს  $(Q_t^{US})$ , რომელიც სწორედ ამ უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული:

$$(5.1) \quad V_t^{GL} = M_t^{GL} + B_t^{GL} + S_t \cdot (F_t^{US} + Q_t^{US}), \quad \text{რომლისთვისაც}$$

$$(5.2) \quad dV_t^{GL} = \underbrace{\frac{\Delta M_t^{GL}}{\Delta V_t^{GL}} \cdot dM_t^{GL}}_{m_4} + \underbrace{\frac{\Delta B_t^{GL}}{\Delta V_t^{GL}} \cdot dB_t^{GL}}_{b_4} + \underbrace{S_t \cdot \left( \frac{\Delta F_t^{US}}{\Delta V_t^{GL}} \cdot dF_t^{US} + \frac{\Delta Q_t^{US}}{\Delta V_t^{GL}} \cdot dQ_t^{US} \right)}_{f_4} + \underbrace{(F_t^{US} + Q_t^{US}) \cdot \frac{\Delta S_t}{\Delta V_t^{GL}} \cdot dS_t}_{q_4}.$$

$$\text{სადაც} \quad (5.3) \quad m_4 + b_4 + f_4 + q_4 = 1.$$

სავალუტო სუბსტიტუციის  $(\Omega_t)$  ცვლილება ასახავს სავალუტო პორტფელის შიგნით აქტივების ცვლილების თანაფარდობას:

$$(6.1) \quad \Delta (\Omega_t) = \frac{f_4 + q_4}{m_4 + b_4}.$$

სავალუტო სუბსტიტუციის  $(\Omega_t)$  გათვალისწინებით უფრო დეტალურად უნდა გავეცნოთ სავალუტო პროტოკოლის  $(V_t^{GL})$  სტრუქტურას:

\* \* \*

- ეროვნული ვალუტის  $(M_t^{GL})$  ეროვნული ბაზარი:

$$(7.1) \quad M_t^{GL} = m(R_t^{GL}; R_t^{US}; \Omega_t; V_t^{GL}) \\ = m_1 \cdot R_t^{GL} + m_2 \cdot R_t^{US} + m_3 \cdot \Omega_t + m_4 \cdot V_t^{GL}, \quad \text{რომლისთვისაც}$$

$$(7.2) \quad m_1 = \frac{\Delta M_t^{GL}}{\Delta R_t^{GL}} < 0; \quad m_2 = \frac{\Delta M_t^{GL}}{\Delta R_t^{US}} < 0; \quad m_3 = \frac{\Delta M_t^{GL}}{\Delta \Omega_t} < 0; \quad m_4 = \frac{\Delta M_t^{GL}}{\Delta V_t^{GL}} > 0,$$

$$\text{სადაც} \quad (7.3) \quad m_1 + m_2 + m_3 + m_4 = 1.$$

$$(R_t^{GL}; S_t) - \text{სიბრტყეში} \quad \text{ეროვნული} \quad \text{ვალუტის} \quad \text{ბაზრის} \quad (dM_t^{GL} = 0)$$

წონასწორობის გამომსახველი  $(MM)$ -მრუდი იქნება დადებითი, რადგან  $(5.2)$  -b,  $(6.1)$  -b და  $(7.1)$  -b თანახმად:

$$(7.4) \quad \frac{dS_t}{dR_t^{GL}} = - \frac{m_1}{\Omega_t \cdot m_4} > 0.$$

- ეროვნული კაპიტალის  $(B_t^{GL})$  ეროვნული ბაზარი:

$$(8.1) \quad B_t^{GL} = b(R_t^{GL}; R_t^{US}; \Omega_t; V_t^{GL}) \\ = b_1 \cdot R_t^{GL} + b_2 \cdot R_t^{US} + b_3 \cdot \Omega_t + b_4 \cdot V_t^{GL}, \quad \text{რომლისთვისაც}$$

$$(8.2) \quad b_1 = \frac{\Delta B_t^{GL}}{\Delta R_t^{GL}} > 0; \quad b_2 = \frac{\Delta B_t^{GL}}{\Delta R_t^{US}} < 0; \quad b_3 = \frac{\Delta B_t^{GL}}{\Delta \Omega_t} < 0; \quad b_4 = \frac{\Delta B_t^{GL}}{\Delta V_t^{GL}} > 0,$$

$$\text{სადაც} \quad (8.3) \quad b_1 + b_2 + b_3 + b_4 = 1.$$

$$(R_t^{GL}; S_t) - \text{სიბრტყეში} \quad \text{ეროვნული} \quad \text{კაპიტალის} \quad \text{ბაზრის} \quad (dB_t^{GL} = 0)$$

წონასწორობის გამომსახველი  $(BB)$ -მრუდი იქნება უარყოფითი, რადგან  $(5.2)$  -b,  $(6.1)$  -b და  $(8.1)$  -b თანახმად:

$$(8.4) \quad \frac{dS_t}{dR_t^{GL}} = - \frac{b_1}{\Omega_t \cdot b_4} < 0.$$

- უცხოური ვალუტის  $(F_t^{US})$  ეროვნული ბაზარი:

$$(9.1) \quad S_t \cdot F_t^{US} = f(R_t^{GL}; R_t^{US}; \Omega_t; V_t^{GL}) \\ = f_1 \cdot R_t^{GL} + f_2 \cdot R_t^{US} + f_3 \cdot \Omega_t + f_4 \cdot V_t^{GL}, \quad \text{რომლისთვისაც}$$

$$(9.2) \quad f_1 = \frac{\Delta F_t^{US}}{\Delta R_t^{GL}} < 0; \quad f_2 = \frac{\Delta F_t^{US}}{\Delta R_t^{US}} < 0; \quad f_3 = \frac{\Delta F_t^{US}}{\Delta \Omega_t} > 0; \quad f_4 = \frac{\Delta F_t^{US}}{\Delta V_t^{GL}} > 0 ,$$

სადაც (9.3)  $f_1 + f_2 + f_3 + f_4 = 1$ .

$$(R_t^{GL}; S_t) - \text{სიბრტყეში} \quad \text{უცხოური} \quad \text{ვალუტის} \quad \text{ბაზრის} \quad (dF_t^{US} = 0)$$

წონასწორობის გამომსახველი (FF)-მრუდი იქნება უარყოფითი, რადგან (5.2) -ს,

(6.1) -ს და (9.1) -ს თანახმად:

$$(9.4) \quad \frac{dS_t}{dR_t^{GL}} = - \frac{f_1}{\Omega_t (1 - f_4)} < 0 .$$

- უცხოური პაპიტალის ( $Q_t^{US}$ ) ეროვნული ბაზარი:

$$(10.1) \quad S_t \cdot Q_t^{US} = q(R_t^{GL}; R_t^{US}; \Omega_t; V_t^{GL}) \\ = q_1 \cdot R_t^{GL} + q_2 \cdot R_t^{US} + q_3 \cdot \Omega_t + q_4 \cdot V_t^{GL} , \quad \text{რომლისთვისაც}$$

$$(10.2) \quad q_1 = \frac{\Delta Q_t^{US}}{\Delta R_t^{GL}} < 0; \quad q_2 = \frac{\Delta Q_t^{US}}{\Delta R_t^{US}} > 0; \quad q_3 = \frac{\Delta Q_t^{US}}{\Delta \Omega_t} > 0; \quad q_4 = \frac{\Delta Q_t^{US}}{\Delta V_t^{GL}} > 0 ,$$

სადაც (10.3)  $q_1 + q_2 + q_3 + q_4 = 1$ .

$$(R_t^{GL}; S_t) - \text{სიბრტყეში} \quad \text{უცხოური} \quad \text{პაპიტალის} \quad \text{ბაზრის} \quad (dQ_t^{US} = 0)$$

წონასწორობის გამომსახველი ( $QQ$ )-მრუდი იქნება უარყოფითი, რადგან (5.2) -ს,

(6.1) -ს და (10.1) -ს თანახმად:

$$(10.4) \quad \frac{dS_t}{dR_t^{GL}} = \frac{q_1}{\Omega_t (1 - q_4)} < 0 .$$

საგალუტო პორტფელის წონასწორობის  $(dV_t^{GL} = 0)$  პირობებში  
საგალუტო სუბსტიტუცია ( $\Omega_t$ ) ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს ნომინალური  
საგალუტო პურსის ( $S_t$ ) ფუნქციას:

$$(11.1) \quad \Omega_t = f(R_t^{GL}; R_t^{US}; S_t; V_t^{GL}) \\ = \omega_1 \cdot R_t^{GL} + \omega_2 \cdot R_t^{US} + \omega_3 \cdot S_t + \omega_4 \cdot V_t^{GL} , \quad \text{რომლისთვისაც}$$

$$(11.2) \quad \omega_1 = \frac{\Delta \Omega_t}{\Delta R_t^{GL}} < 0; \quad \omega_2 = \frac{\Delta \Omega_t}{\Delta R_t^{US}} > 0; \quad \omega_3 = \frac{\Delta \Omega_t}{\Delta S_t} > 0; \quad \omega_4 = \frac{\Delta \Omega_t}{\Delta V_t^{GL}} \neq 0 ,$$

სადაც (11.3)  $\omega_1 + \omega_2 + \omega_3 + \omega_4 = 1$ .

(11.1) -დან გამომდინარეობს აგრეთვე:

$$(11.4) \quad m_1 + b_1 + f_1 + q_1 = \frac{\Delta M_t^{GL} + \Delta B_t^{GL} + \Delta F_t^{US} + \Delta Q_t^{US}}{\Delta R_t^{GL}} = 0.$$


$$(11.5) \quad m_2 + b_2 + f_2 + q_2 = \frac{\Delta M_t^{GL} + \Delta B_t^{GL} + \Delta F_t^{US} + \Delta Q_t^{US}}{\Delta R_t^{US}} = 0.$$

$$(11.6) \quad m_3 + b_3 + f_3 + q_3 = \frac{\Delta M_t^{GL} + \Delta B_t^{GL} + \Delta F_t^{US} + \Delta Q_t^{US}}{\Delta \Omega} = 0.$$

აქვე მნიშვნელოვანია იმის გარკვევა,  $(R_t^{GL}; S_t)$ - სიბრტყეში თუ რატომ არის ეროვნული აქტივების  $((MM);(BB))$  მრუდები უფრო დახრილი, ვიდრე უცხოური აქტივების მრუდები  $((FF);(QQ))$ . ამ მიზნით ერთმანეთს უნდა შევადაროთ  $\left(\frac{dS_t}{dR_t^{GL}}\right)$ - დახრილობის კოეფიციენტი ერთის მხრივ  $(MM)$  და  $(FF)$  მრუდებს შორის, და მეორე მხრივ -  $(BB)$  და  $(QQ)$  მრუდებს შორის. (11.4), (11.5) და (11.6) საფუძველზე მივიღებთ, რომ  $(FF)$ - მრუდი უფრო ნაკლებად დახრილია ვიდრე  $(QQ)$ -მრუდი და  $(QQ)$ -მრუდი უფრო ნაკლებად დახრილია ვიდრე  $(BB)$ -მრუდი:

$$(12.1) \quad -\frac{b_1}{\underbrace{\Omega_t \cdot b_4}_{BB}} < \frac{q_1}{\underbrace{\Omega_t (1 - q_4)}_{QQ}} < -\frac{f_1}{\underbrace{\Omega_t (1 - f_4)}_{FF}} < 0.$$

**სურათი 3-5-1:** მაკროწონასტორობა



\* \* \*

სავალუტო პორტფელში წონასწორობის ( $dV_t^{GL} = 0$ ) შედეგების განსაზღვრის  
მიზნით აუცილებელია პორტფელში არსებული ძალივების  $(M_t^{GL}; B_t^{GL}; F_t^{US}; Q_t^{US})$   
სისტემაზე:

$$(13.1) \quad \left\{ \begin{array}{l} M_t^{GL} = m(R_t^{GL}; R_t^{US}; \bar{\Omega}_t; V_t^{GL}) \\ B_t^{GL} = b(R_t^{GL}; R_t^{US}; \bar{\Omega}_t; V_t^{GL}) \\ S_t \cdot F_t^{US} = f(R_t^{GL}; R_t^{US}; \bar{\Omega}_t; V_t^{GL}) \\ S_t \cdot Q_t^{US} = q(R_t^{GL}; R_t^{US}; \bar{\Omega}_t; V_t^{GL}) \end{array} \right. \Rightarrow \begin{array}{llll} [m_1 < 0] & [m_2 < 0] & [m_3 < 0] & [m_4 > 0] \\ [b_1 > 0] & [b_2 < 0] & [b_3 < 0] & [b_4 > 0] \\ [f_1 < 0] & [f_2 < 0] & [f_3 > 0] & [f_4 > 0] \\ [q_1 < 0] & [q_2 > 0] & [q_3 > 0] & [q_4 > 0] \end{array} \Rightarrow \Rightarrow$$

სრული დიფერენციალის შედეგად:

$$(13.2) \quad \left\{ \begin{array}{l} dM_t^{GL} = m_1 \cdot dR_t^{GL} + m_2 \cdot dR_t^{US} + m_3 \cdot d\Omega_t + m_4 \cdot dV_t^{GL} \\ dB_t^{GL} = b_1 \cdot dR_t^{GL} + b_2 \cdot dR_t^{US} + b_3 \cdot d\Omega_t + db_4 \cdot dV_t^{GL} \\ S_t \cdot dF_t^{US} = f_1 \cdot dR_t^{GL} + f_2 \cdot dR_t^{US} + f_3 \cdot d\Omega_t + f_4 \cdot dV_t^{GL} - F_t^{US} \cdot dS_t \\ S_t \cdot dQ_t^{US} = q_1 \cdot dR_t^{GL} + q_2 \cdot dR_t^{US} + q_3 \cdot d\Omega_t + q_4 \cdot dV_t^{GL} - Q_t^{US} \cdot dS_t \end{array} \right.$$

რამდენადაც სარგებლის განაკვეთი  $(R_t^{US})$  უცხოურ ვალუტაში ეგზოგენური  
სიდიდეა და მასზე ქვეყნის ეპონომიკურ პოლიტიკას არანაირი გავლენის  
მოხდენა არ შეუძლია, გამარტივების მიზნით დავუშვათ, რომ ის დროის  
( $t$ ) – მომენტისათვის უცვლელი სიდიდეა  $(dR_t^{US} = 0)$ . მაშინ (13.2)-ს ამონსნა  
შესაძლებელია 4-უცხობიანი დეტერმინანტის წესით:

$$(13.3) \quad \underbrace{\begin{bmatrix} m_1 & m_3 & m_4 & 0 \\ b_1 & b_3 & b_4 & 0 \\ f_1 & f_3 & f_4 & F_t^{US} \\ q_1 & q_3 & q_4 & Q_t^{US} \end{bmatrix}}_{\Phi} \times \begin{bmatrix} dR_t^{GL} \\ d\Omega_t \\ dV_t^{GL} \\ dS_t \end{bmatrix} = \begin{bmatrix} dM_t^{GL} \\ dB_t^{GL} \\ S_t \cdot dF_t^{US} \\ S_t \cdot dQ_t^{US} \end{bmatrix},$$

სადაც  $\Phi$  – მთავარი დეტერმინანტი:

$$(13.4) \quad \Phi = \begin{bmatrix} m_1 & m_3 & m_4 & 0 \\ b_1 & b_3 & b_4 & 0 \\ f_1 & f_3 & f_4 & F_t^{US} \\ q_1 & q_3 & q_4 & Q_t^{US} \end{bmatrix} = Q_t^{US} \cdot b_3 \cdot \underbrace{\left( \overbrace{m_1 \cdot f_4}^{<0} - \overbrace{m_4 \cdot f_1}^{<0} \right)}_{=0} + F_t^{US} \cdot \underbrace{m_3}_{<0} \cdot \underbrace{\left( \overbrace{b_4 \cdot q_1}^{<0} - \overbrace{b_1 \cdot q_4}^{>0} \right)}_{<0}$$

$\Phi > 0$ .

• გროვნულ გალუბაში სარგებლის განაკვეთის  $(R_t^{GL})$  ცვლილება:

$$(13.5) \quad dR_t^{GL} = \frac{\Phi(R_t^{GL})}{\Phi}, \quad \text{სავალ}$$

$$\Phi(R_t^{GL}) = \begin{bmatrix} dM_t^{GL} & m_3 & m_4 & 0 \\ dB_t^{GL} & b_3 & b_4 & 0 \\ S_t \cdot dF_t^{US} & f_3 & f_4 & F_t^{US} \\ S_t \cdot dQ_t^{US} & q_3 & q_4 & Q_t^{US} \end{bmatrix} = Q_t^{US} \cdot b_3 \cdot (dM_t^{GL} \cdot f_4 - S_t \cdot dF_t^{US} \cdot m_4) + \\ + F_t^{US} \cdot m_3 \cdot (S_t \cdot dQ_t^{US} \cdot b_4 - dB_t^{GL} \cdot q_4)$$

• სავალუბო სეტხტიტიტის  $(\Omega_t)$  ცვლილება:

$$(13.6) \quad d\Omega_t = \frac{\Phi(\Omega_t)}{\Phi}, \quad \text{სავალ}$$

$$\Phi(\Omega_t) = \begin{bmatrix} m_1 & dM_t^{GL} & m_4 & 0 \\ b_1 & dB_t^{GL} & b_4 & 0 \\ f_1 & S_t \cdot dF_t^{US} & f_4 & F_t^{US} \\ q_1 & S_t \cdot dQ_t^{US} & q_4 & Q_t^{US} \end{bmatrix} = Q_t^{US} \cdot dB_t^{GL} \cdot \underbrace{(m_1 \cdot f_4 - m_4 \cdot f_1)}_{=0} + F_t^{US} \cdot dM_t^{GL} \cdot \underbrace{(b_4 \cdot q_1 - b_1 \cdot q_4)}_{<0} + \\ S_t \cdot dF_t^{US} \cdot \underbrace{(b_4 \cdot q_4 - b_1 \cdot q_1)}_{>0} + S_t \cdot dQ_t^{US} \cdot \underbrace{(m_4 \cdot f_4 - m_1 \cdot f_1)}_{>0}$$

• სავალუბო პორტფელის  $(V_t^{GL})$  ცვლილება:

$$(13.7) \quad dV_t^{GL} = \frac{\Phi(V_t^{GL})}{\Phi}, \quad \text{სავალ}$$

$$\Phi(V_t^{GL}) = \begin{bmatrix} m_1 & m_3 & dM_t^{GL} & 0 \\ b_1 & b_3 & dB_t^{GL} & 0 \\ f_1 & f_3 & S_t \cdot dF_t^{US} & F_t^{US} \\ q_1 & q_3 & S_t \cdot dQ_t^{US} & Q_t^{US} \end{bmatrix} = Q_t^{US} \cdot b_3 \cdot (m_1 \cdot S_t \cdot dF_t^{US} - f_1 \cdot dM_t^{GL}) + \\ + F_t^{US} \cdot m_3 \cdot (q_1 \cdot dB_t^{GL} - b_1 \cdot S_t \cdot dQ_t^{US})$$

• ნომინალური სავალუბო კურსის  $(S_t)$  ცვლილება:

$$(13.8) \quad dS_t = \frac{\Phi(S_t)}{\Phi}, \quad \text{სავალ}$$

$$\Phi(S_t) = \begin{bmatrix} m_1 & m_3 & m_4 & dM_t^{GL} \\ b_1 & b_3 & b_4 & dB_t^{GL} \\ f_1 & f_3 & f_4 & S_t \cdot dF_t^{US} \\ q_1 & q_3 & q_4 & S_t \cdot dQ_t^{US} \end{bmatrix} = f_3 \cdot dM_t^{GL} \cdot \underbrace{(b_1 \cdot q_4 - q_1 \cdot b_4)}_{>0} + \\ q_3 \cdot dB_t^{GL} \cdot \underbrace{(m_4 \cdot f_1 - m_1 \cdot f_4)}_{=0} + m_3 \cdot S_t \cdot dF_t^{US} \underbrace{(q_1 \cdot b_4 - b_1 \cdot q_4)}_{<0} + \\ b_3 \cdot S_t \cdot dQ_t^{US} \cdot \underbrace{(m_1 \cdot f_4 - f_1 \cdot m_4)}_{=0}$$

სავალუტო სუბსტიტუცია  $(\Omega_t)$  განსხვავებულად რეაგირებს ეროვნულ ვალუტაში სარგებლის განაკვეთისა  $(R_t^{GL})$  და ნომინალური სავალუტო კურსის  $(S_t)$  ცვლილებებზე:

$$(14.1) \quad \frac{d\Omega_t}{dS_t} = \frac{\Phi(\Omega_t)}{\Phi(S_t)} > 0$$


$$(14.2) \quad \frac{d\Omega_t}{dR_t^{GL}} = \frac{\Phi(\Omega_t)}{\Phi(R_t^{GL})} < 0.$$

წონასწორობის შედეგების საფუძველზე ჩვენი უახლოესი მიზანია, გავეცნოთ უშავლოდ მაკროეკონომიკური მოდელის მთავარ მიზანს, სახელდობრ, თუ როგორ განსხვავებულად რეაგირებს სავალუტო სუბსტიტუცია  $(\Omega_t)$  იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნული ეკონომიკა არის პროდუქტისა და მომსახურების ექსპორტიორი, ან პირიქით, როდესაც არის - იმპორტიორი.

\* \* \*

მაკროეკონომიკური მოდელიდან მოდებული შედეგები იძლევა დასკვნის შესაძლებლობას, რომლის მიხედვითაც, სავალუტო სუბსტიტუციის ძირითად მაკროეკონომიკურ მიზეზად შეიძლება განხილულ იქნას მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი.


**სურათი. 3-5-1:** მიმდინარე ანგარიში vs მონეტარული აგრეგატები



**შემთხვევა:** ცხრილი. 3-5-1

ნებისმიერი განვითარებადი ეკონომიკისთვის, რომელიც მსოფლიო ბაზარზე ნეტ-იმპორტიორია და ეროვნული მოხმარება ეროვნული წარმოებით სრულად ვერ კმაყოფილდება, ტენდენციურად იზრდება მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე და სავალუტო რისკების განეიტრალების მიზნით სავალუტო პორტფელში იზრდება უცხოური ვალუტის წილი.

სურათი. 3-5-2: მიმდინარე ანგარიში და დოლარიზაცია



წერტილი: ცხრილი. 3-5-1

1. შემთხვევა: საგადამხდელო ბალანსის წონასწორობის პირობებში ექსპორტიორ ეკონომიკას გააჩნია დადებითი მიმდინარე ანგარიში ( $CA_t^{GL} > 0$ ) და უარყოფითი კაპიტალის ანგარიში ( $CC_t^{GL} < 0$ ). ასეთ პირობებში მაკროეკონომიკური მოდელის ძირითადი დამახასიათებელია უცხოურ ვალუტასა და კაპიტალზე მოთხოვნის ზრდა ( $dF_t^{US} > 0; dQ_t^{US} > 0$ ), სავალუტო პორტფელის ეროვნულ კომპონენტებზე ( $dM_t^{GL} = 0; dB_t^{GL} = 0$ ) მოთხოვნის შეუცვლელად. შესაბამისად მივიღებთ:

$$\text{ეროვნულ ვალუტაში სარგებლის განაკვეთი } (R_t^{GL}) \quad \text{რეაგირებს}$$

ნეიტრალურად:

$$(15.1) \quad dR_t^{GL} = \frac{\Phi(R_t^{GL})}{\Phi} = \frac{\overbrace{(S_t \cdot F_t^{US} \cdot m_3 \cdot b_4)}^{>0} \cdot \overbrace{dQ_t^{US}}^{>0} - \overbrace{(S_t \cdot Q_t^{US} \cdot m_4 \cdot b_3)}^{>0} \cdot \overbrace{dF_t^{US}}^{>0}}{\Phi} \equiv 0$$

სავალუტო სუბსტიტუცია ( $\Omega_t$ ) იზრდება:

$$(15.2) \quad d\Omega_t = \frac{\Phi(\Omega_t)}{\Phi} = \frac{S_t \cdot \overbrace{dF_t^{US}}^{>0} \cdot \overbrace{(b_4 \cdot q_4 - b_1 \cdot q_1)}^{>0} + S_t \cdot \overbrace{dQ_t^{US}}^{>0} \cdot \overbrace{(m_4 \cdot f_4 - m_1 \cdot f_1)}^{>0}}{\Phi} > 0$$

სავალუტო პორტფელის მოცულობა ( $V_t^{GL}$ ) იზრდება:

$$(15.3) \quad dV_t^{GL} = \frac{\Phi(V_t^{GL})}{\Phi} = \frac{S_t \cdot \overbrace{dF_t^{US}}^{>0} \cdot \overbrace{Q_t^{US} \cdot b_3 \cdot m_1}^{>0} - S_t \cdot F_t^{US} \cdot \overbrace{dQ_t^{US}}^{>0} \cdot \overbrace{m_3 \cdot b_1}^{>0}}{\Phi} > 0$$

ეროვნული ვალუტა განიცდის დევალვაციას:

$$(15.4) \quad dS_t = \frac{\Phi(S_t)}{\Phi} = \frac{\overset{<0}{m_3} \cdot S_t \cdot \overset{>0}{dF_t^{US}} \cdot \overset{<0}{(q_1 \cdot b_4 - b_1 \cdot q_4)} + \overset{<0}{b_3} \cdot S_t \cdot \overset{>0}{dQ_t^{US}} \cdot \overset{=0}{(m_1 \cdot f_4 - f_1 \cdot m_4)}}{\Phi} > 0$$

**2. შემთხვევა:** საგადამხდელო ბალანსის წონასწორობის პირობებში იმპორტიორ ეკონომიკას გააჩნია უარყოფითი მიმდინარე ანგარიში ( $CA_t^{GL} < 0$ ) და დადებითი კაპიტალის ანგარიში ( $CC_t^{GL} > 0$ ). ასეთ პირობებში მაკროეკონომიკური მოდელის ძირითადი დამახასიათებელია უცხოურ ვალუტასა და კაპიტალზე მოთხოვნის შემცირება ( $dF_t^{US} < 0; dQ_t^{US} < 0$ ), სავალუტო პორტფელის ეროვნულ კომპონენტებზე ( $dM_t^{GL} = 0; dB_t^{GL} = 0$ ) მოთხოვნის შეუცვლელად. შესაბამისად მივიღებთ:

ეროვნულ ვალუტაში სარგებლის განაკვეთი  $(R_t^{GL})$  რეაგირებს ნეიტრალურად:

$$(16.1) \quad dR_t^{GL} = \frac{\Phi(R_t^{GL})}{\Phi} = \frac{\overset{<0}{(S_t \cdot F_t^{US} \cdot m_3 \cdot b_4)} \cdot \overset{<0}{dQ_t^{US}} - \overset{<0}{(S_t \cdot Q_t^{US} \cdot m_4 \cdot b_3)} \cdot \overset{<0}{dF_t^{US}}}{\Phi} \equiv 0$$

სავალუტო სუბსტიტუცია ( $\Omega_t$ ) მცირდება:

$$(16.2) \quad d\Omega_t = \frac{\Phi(\Omega_t)}{\Phi} = \frac{S_t \cdot \overset{<0}{dF_t^{US}} \cdot \overset{>0}{(b_4 \cdot q_4 - b_1 \cdot q_1)} + S_t \cdot \overset{<0}{dQ_t^{US}} \cdot \overset{>0}{(m_4 \cdot f_4 - m_1 \cdot f_1)}}{\Phi} < 0$$

სავალუტო პორტფელის მოცულობა ( $V_t^{GL}$ ) მცირდება:

$$(16.3) \quad dV_t^{GL} = \frac{\Phi(V_t^{GL})}{\Phi} = \frac{S_t \cdot \overset{<0}{dF_t^{US}} \cdot \overset{>0}{Q_t^{US} \cdot b_3 \cdot m_1} - S_t \cdot \overset{<0}{F_t^{US}} \cdot \overset{>0}{dQ_t^{US} \cdot m_3 \cdot b_1}}{\Phi} < 0$$

ეროვნული ვალუტა განიცდის რევალვაციას:


$$(16.4) \quad dS_t = \frac{\Phi(S_t)}{\Phi} = \frac{\overset{<0}{m_3} \cdot S_t \cdot \overset{<0}{dF_t^{US}} \cdot \overset{<0}{(q_1 \cdot b_4 - b_1 \cdot q_4)} + \overset{<0}{b_3} \cdot S_t \cdot \overset{<0}{dQ_t^{US}} \cdot \overset{=0}{(m_1 \cdot f_4 - f_1 \cdot m_4)}}{\Phi} < 0$$

$CA_t^{GL} > 0$	$CC_t^{GL} > 0$	$dR_t^{GL} \equiv 0$	$dS_t > 0$	$d\Omega_t > 0$	$dV_t^{GL} > 0$
1 . Net - Exports	: $dQ_t^{US} > 0 \equiv 0$				
2 . Net - Imports	: $dQ_t^{US} < 0 \equiv 0$				

\* \* \*

მოვლენა, რომელსაც შეუძლია საგალუბო სუბსტიტუცის შემცირება, იქნებოდა საგალუბო ბაზარზე ზემოწოდება. უცხოური ვალუტის უწყვეტად მიწოდების წინაპირობას კი ნეტ-იმპორტიორი ქვეყნისათვის უცხოური ინვესტიციების დახმარებით საგარეო-ეკონომიკური წონასწორობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. თავისუფალი ან ნაკლებად მართვადი საგალუბო კურსების პირობებში შესაძლებელია უცხოელების მხრიდან ეროვნულ კაპიტალზე მოთხოვნის სტიმულირება, რაც საგალუბო სუბსტიტუციის პირობებშიც ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს.

**სურათი. 3-5-3:** კაპიტალის ანგარიში და მონეტარული აგრეგატები



**შეარჩეოთ:** ცხრილი. 3-5-2

მაკროეკონომიკური მოდელიდან მოდებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელია განვიხილოთ კაპიტალის ანგარიში ( $CC_t^{GL}$ ) ცვლილების ისეთი შემთხვევები, როცა ცალმხრივად მხოლოდ უცხოელი ინვესტორები ცვლიან თავიანთ პოზიციებს კაპიტალის იმ აქტივებში, რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული ( $B_t^{GL}$ ). როგორც მოდელის 1. დაშვებაში აღვნიშნეთ, ისინი ინდიფერენტულნი არიან ეროვნულ ვალუტაში ფულადი აქტივების მიმართ ( $B_t^{GL}$ ), თუმცა, როგორც უცხოელი ინვესტორები, კაპიტალდაბანდებებს ახორციელებენ ეროვნულ ეკონომიკაში.

	<i>Currency :</i>	<i>Capitals :</i>
$(R_t^{GL} > R_t^{US})$	<i>Export</i> $(dM_t^{GL} < S_t \cdot dF_t^{US})$	<i>Im port</i> $(dB_t^{GL} > S_t \cdot dQ_t^{US})$
$(R_t^{GL} < R_t^{US})$	<i>Im port</i> $(dM_t^{GL} > S_t \cdot dF_t^{US})$	<i>Export</i> $(dB_t^{GL} < S_t \cdot dQ_t^{US})$

ეროვნულ გალუბაში სარგებლის განაკვეთის  $(R_t^{GL})$  ნეიტრალური რეაქცია ორივე შემთხვევაში გამომდინარეობს თავად ეკონომიკური სუბიექტების სარგებლის მიმართ რისკ-ნეიტრალური პოზიციიდან. ეს აქსიომა მოქმედებდა მონეტარისტულ მოდელში და ძალაშია მაკროეკონომიკურ მოდელშიც. მათ არჩევანის გაპეტება უწევთ უცხოურ გალუბაში სარგებლის განაკვეთის უცვლელობის პირობებში  $(dR_t^{US} = 0)$  და მათი გადაწყვეტილება უცხოურ გალუბაში დენომინირებული კაპიტალის აქტივების  $(Q_t^{US})$  სასარგებლოდ დამოკიდებულია სარგებლის განაკვეთის ცვლილებაზე  $(R_t^{GL})$  მხოლოდ ეროვნულ გალუბაში:

**3. შემთხვევა:**  $(\Delta CC_t^{GL} < 0)$  - კაპიტალის ექსპორტის შემთხვევაში უცხოელი ინვესტორები ამცირებენ თავიანთ პოზიციებს ეროვნულ გალუბაში დენომინირებულ კაპიტალის აქტივებში  $(dB_t^{GL} < 0)$ , ხოლო სავალუტო პორტფელის ყველა სხვა დანარჩენი კომპონენტი როგორც ეროვნულ გალუბაში  $(dM_t^{GL} = 0)$ , ისე უცხოურ გალუბაში  $(dF_t^{US} = 0; dQ_t^{US} = 0)$  უცვლელია:

ეროვნულ გალუბაში სარგებლის განაკვეთი  $(R_t^{GL})$  რეაგირებს უარყოფითად, ე.ი. ეროვნულ გალუბაში დენომინირებული კაპიტალის აქტივებზე  $(dB_t^{GL} < 0)$  მოთხოვნის (უცხოური ინვესტიციების) შემცირება ნომინალური სარგებლის განაკვეთებზე  $(dR_t^{GL})$  უარყოფითად აისახება:

$$(17.1) \quad dR_t^{GL} = \frac{\Phi(R_t^{GL})}{\Phi} = \frac{- F_t^{US} \cdot \overbrace{m_3 \cdot q_4}^{\zeta^0} \cdot \overbrace{dB_t^{GL}}^{\zeta^0}}{\Phi} < 0$$

სავალუტო სუბსტიტუცია  $(\Omega_t)$  მცირდება ან შეიძლება უცვლელი დარჩეს:

$$(17.2) \quad d\Omega_t = \frac{\Phi(\Omega_t)}{\Phi} = \frac{\varrho_t^{US} \cdot \overbrace{dB_t^{GL}}^{\zeta^0} \cdot (\overbrace{m_1 \cdot f_4}^{\zeta^0} - \overbrace{m_4 \cdot f_1}^{\zeta^0})}{\Phi} \geq 0$$

სავალუტო პორტფელის მოცულობა  $(V_t^{GL})$  მცირდება:

$$(17.3) \quad dV_t^{GL} = \frac{\Phi(V_t^{GL})}{\Phi} = \frac{F_t^{US} \cdot \overbrace{m_3 \cdot q_1}^{\zeta^0} \cdot \overbrace{dB_t^{GL}}^{\zeta^0}}{\Phi} < 0$$

ეროვნული გალუბა განიცდის დევალვაციას:

$$(17.4) \quad dS_t = \frac{\Phi(S_t)}{\Phi} = \frac{(\overline{m_4 \cdot f_1} - \overline{m_1 \cdot f_4}) \cdot \overline{q_3} \cdot \overline{dB_t^{GL}}}{\Phi} \geq 0$$

**4. შემთხვევა:**  $(\Delta CC_t^{GL} > 0)$  - კაპიტალის იმპორტის შემთხვევაში უცხოელი ინვესტორები ზრდიან თავიანთ პოზიციებს ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ კაპიტალის აქტივებში  $(dB_t^{GL} > 0)$ , ხოლო სავალუტო პორტფელის ყველა სხვა დანარჩენი კომპონენტი როგორც ეროვნულ ვალუტაში  $(dM_t^{GL} = 0)$ , ისე უცხოურ ვალუტაში  $(dF_t^{US} = 0; dQ_t^{US} = 0)$  უცვლელია.

ეროვნულ ვალუტაში სარგებლის განაკვეთი  $(R_t^{GL})$  რეაგირებს დადებითად, ე.ი. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული კაპიტალის აქტივებზე  $(dB_t^{GL} > 0)$  მოთხოვნის (უცხოური ინვესტიციების) გაზრდა ნომინალური სარგებლის განაკვეთებზე  $(dR_t^{GL})$  დადებითად აისახება:

$$(18.1) \quad dR_t^{GL} = \frac{\Phi(R_t^{GL})}{\Phi} = \frac{-F_t^{US} \cdot \overline{m_3} \cdot \overline{q_4} \cdot \overline{dB_t^{GL}}}{\Phi} > 0$$

სავალუტო სუბსტიტუცია  $(\Omega_t)$  იზრდება ან შეიძლება უცვლელი დარჩეს:

$$(18.2) \quad d\Omega_t = \frac{\Phi(\Omega_t)}{\Phi} = \frac{Q_t^{US} \cdot \overline{dB_t^{GL}} \cdot (\overline{m_1 \cdot f_4} - \overline{m_4 \cdot f_1})}{\Phi} \leq 0$$

სავალუტო პორტფელის მოცულობა  $(V_t^{GL})$  იზრდება:


$$(18.3) \quad dV_t^{GL} = \frac{\Phi(V_t^{GL})}{\Phi} = \frac{F_t^{US} \cdot \overline{m_3} \cdot \overline{q_1} \cdot \overline{dB_t^{GL}}}{\Phi} > 0$$

ეროვნული ვალუტა განიცდის რევალგაციას:

$$(18.4) \quad dS_t = \frac{\Phi(S_t)}{\Phi} = \frac{(\overline{m_4 \cdot f_1} - \overline{m_1 \cdot f_4}) \cdot \overline{q_3} \cdot \overline{dB_t^{GL}}}{\Phi} \leq 0$$

	<i>Capitals</i>	$CC_t^{GL}$	$dR_t^{GL}$	$dS_t$	$d\Omega_t$	$dV_t^{GL}$
<b>შემაჯამებლად:</b>						
1 . Exports :		$dB_t^{GL} < 0$	$< 0$	$\geq 0$	$\geq 0$	$< 0$
2 . Imports :		$dB_t^{GL} > 0$	$> 0$	$\leq 0$	$\leq 0$	$> 0$

**სურათი. 3-5-4:** კაპიტალის ანგარიში და დოლარიზაცია




შემთხვევა: ცხრილი. 3-5-2

\* \* \*

საქართველოს მონებარული სისტემისათვის დოლარიზაციის მნიშვნელოვან ხელშემწყობ მოვლენას წარმოადგენს უცხოეთიდან ფულადი გზავნილები, ე.წ. “ემიგრანტთა გადმორიცესვების” ფორმით, რომელთა სისტემატიზაცია ხდება საგადამხდელო ბალანსის ერთ-ერთ ქვებალანსში “ცალმხრივი ტრანსფერები” და რომელიც საგადამხდელო ბალანსის შესახებ ინფორმაციის თამახმად ცხრილი.

3-5-3: ცალმხრივი ტრანსფერები და დოლარიზაცია), 1999-2009 წლებში 38-ჯერ გაიზარდა.

**სურათი. 3-5-5:** ცალმხრივი ტრანსფერები და მონებარული აგრეგატები




შემთხვევა: ცხრილი. 3-5-3

ფულადი გზავნილები ხელს უწყობს როგორც მოხმარების სტიმულირებას, ისე დანაზოგების გაზრდას. დანაზოგების განხორციელების ძირითად მიზეზად შეიძლება განხილულ იქნას სარგებლის განაპვეთების დადებითი განსხვავება ეროვნულ ეკონომიკასა და უცხოეთს შორის. საქართველოს მოქალაქენი, რომელთა შემოსავლის წყაროს უცხოეთში შრომითი საქმიანობა წარმოადგენს, საქართველოში უფრო მაღალ განაკვეთში შეძლებენ თუნდაც ანაბრის

განთავსებას, ვიდრე აშშ-ში ან რომელიმე ეკროპულ ქვეყანაში, სადაც ისინი შრომით ემიგრაციაში იმყოფებიან.

**სურათი. 3-5-6:** ცალმხრივი ტრანსფერები და დოლარიზაცია



**წერტილი:** ცხრილი. 3-5-3


მართალია, არ არსებობს დეტალური ინფორმაცია აღნიშნული გზავნილების განაწილების შესახებ, მაგრამ მისი მრუდი ზეპროპორციულად დადებითია და აბსოლიტურად ემთხვევა სავალუტო სუბსტიტუციის მრუდის ზრდადობას. 2009 წელში, მსოფლიო ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის შედეგად, შეიმჩნეოდა გზავნილების შემცირება ( $\Delta(\text{Foreign Transfers}) = -16,49\%$ ), რაც სრულიად აისახა უცხოურ ვალუტაში ანაბრების მხოლოდ ყველაზე უმნიშვნელო ზრდაში ( $\Delta(\text{Foreign Deposits}) = +1,51\%$ ) ეროვნული ეკონომიკის ბოლო ათწლეულში.

\* \* \*

“ერთჯერადი ტრანსფერების” ქვეშ იგულისხმება საგადამხდელო ბალანსში მიმდინარე ტრანსფერების ის ნაწილი, რომელიც ყოველწლიურად, თუმცა წინასწარ განსაზღვრელი მოცულობით შემოედინება საქართველოს ეონომიკაში. ერთჯერადი (ცხრილი 3-5-4: ერთჯერადი ტრანსფერები და დოლარიზაცია) ტრანსფერების ყველაზე გავრცელებული ფორმაა კ.წ. საზღვარგარეთის სახელმწიფოთა დახმარებები და გრანტები, რომელთა ძირითადი მიმღები, სახელმწიფოთშორისი შეთანხმებების საფუძველზე, არის სახელმწიფო.

ისინი მიმართულია შესაბამისი ტექნიკური და ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. მათ შესახებ არსებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ ყოველწლიური მოცულობებისა და წელიწადებს შორის ცვლილების სიხშირის მიხედვით საერთაშორისო გრანტები უფრო მეტად შეიძლება დაუქვემდებაროს წინასწარ პროგნოზირებად ტრენდს, ვიდრე ეს ცალმხრივი ტრანსფერების შემთხვევაში არის შესაძლებელი.


**სურათი 3-5-7:** ერთჯერადი ტრანსფერები და მონეტარული აგრეგატები



**შეართ:** ცხრილი. 3-5-4

საერთაშორისო გრანტების პაგშირი დოლარიზაციის პროცესთან გამოწვეულია იმით, რომ ისინი წარმოადგენენ სავალუტო ნაკადების წყაროს საქართველოს მონეტარული სისტემისათვის და უშუალოდ სახელმწიფო გვევლინება იმ ეკონომიკურ სუბიექტების, რომელიც ერთჯერადი ტრანსფერების საფუძველზე ახორციელებს სავალუტო პორტფელის დივერსიფიკაციას.

**სურათი 3-5-8 :** ერთჯერადი ტრანსფერები და დოლარიზაცია



**შეართ:** ცხრილი. 3-5-4

\* \* \*

2010 წლის ბოლოსთვის საგარეო ვალის მთლიანმა მოცულობამ 9,7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს შესაბამისად +13% და +27% აღემატება. აქედან სახელმწიფო სექტორის ვალი 2008 წელთან შედარებით 60%, ხოლო 2009 წელთან შედარებით 22% გაიზარდა, რაც მირითადში გამოწვეულია საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებიდან მიღებული ახალი კრედიტებით, აგრეთვე საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან ნახესხობის სპეციალური უფლებების ახალი განაწილებით<sup>A81</sup>.

საგარეო ვალის საგრძნობი ზრდა შეინიშნება სამრეწველო სექტორშიც. 2010 წლის დასასრულისთვის ამ მაჩვენებელმა 1,7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა,

რაც 2008 და 2009 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს +53% და +23% აღემატება.<sup>A81</sup>

2010 წლის დასასრულისთვის ფინანსური სექტორის საგარეო ვალმა შეადგინა 1,59 მლრდ აშშ დოლარი, რაც 2008 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე -17% ნაკლებია, ხოლო 2009 წლის მაჩვენებელს +6% აღემატება. მსგავსი ტრენდი შეინიშნება ეროვნული ბანკის საგარეო ვალთან მიმართებაშიც, რომელმაც 2010 წლის დასასრულისთვის 876 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც -2% ნაკლებია 2009 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.<sup>A81</sup>

საგარეო ვალის საპირისპიროდ, თუ გავითვალისწინებთ, რომ 2010 წლის დასასრულისთვის საქართველოს მთლიანი სავალუტო პოზიცია 4,7 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა <sup>A81</sup> (აქედან, 2,5 მლრდ დოლარი - ეროვნული ბანკის ოფიციალური რეზერვები), მომდევნო პერიოდში მოსალოდნელია სახელმწიფოს მიერ სავალუტო პორტფელის უფრო ინტენსიური დივერსიფიკაცია, რაც დაკავშირებული იქნება 2011-2015 წლებში უცხოეთის წინაშე ზრდად საგარეო ვალთან და მასზე მომსახურებასთან.

\* \* \*

როგორც კხედავთ, საგადამხდელო ბალანსის გავლენა სავალუტო სუბსტიტუციაზე ატარებს სისტემურ ხასიათს და მის ცალკეულ ქვებალანსს განსხვავებულად შეუძლია გამოიწვიოს დოლარიზაციის კოეფიციენტის ცვლილება. ამ ცვლილების ზომა და მიმართულება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად უზრუნველყოფს კაპიტალის ანგარიშსა და ტრანსფერების ანგარიშში მოსალოდნელი პროფიციტები მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფარვას.

საგადამხდელო ბალანსში არსებული უწონასწორობების ფონზე მონეტარული სტაბილიზაციის უზრუნველყოფის ეკონომიკურ-პოლიტიკურ შესაძლებლობას წარმოადგენს გაცვლითი კურსის მართვა. ამ მიმართულებით, სავალუტო პოლიტიკის გამოწვევაა გაცვლითი კურსის ცვალებადობის პირობებში საგადამხდელო ბალანსის კრიზისის თავიდან აცილება და, მეორე მხრივ, სავალუტო სუბსტიტუციის ხარისხის გათვალისწინებით გაცვლითი კურსის უკეთ პროგნოზირების უნარი უპირველესად უცხოელი ინვესტორების უსაფრთხოებისათვის, აგრეთვე საგარეო ვაჭრობის ნაკადებზე საბაზრო რისკების შემსუბუქების მიზნით.

## თავი 4.

დოლარიზაციით გამოწვეული მიზანთა კონფლიქტი მონეტარული სტაბილიზაციის პროცესში და მათი გადაჭრის ეკონომიკურ-პოლიტიკური შესაძლებლობები

---

### 4-1. ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკური ასპექტები

ორვალუტიანი მონეტარული სისტემის სტაბილურობა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ბაზარზე ორიენტირებულ მონეტარულ პოლიტიკასთან. თავის მხრივ, ბაზრის მონაწილეთა ინსტიტუციონალურ დამოუკიდებლობასთან უშუალო კავშირშია ნებისმიერი ქვეყნის როგორც საგარეო-ეკონომიკური (სავალუტო კურსის სტაბილურობა, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა, საგარეო გაჭრობის ლიბერალიზაცია), ასევე შიგა-ეკონომიკური (ფისკალური პოლიტიკა, სტრუქტურული რეფორმები) პოლიტიკის მიზნები. ე.ო. მონეტარული პოლიტიკა ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ნაწილია, რომლის ძირითადი ამოცანაა შესაბამისი ინსტრუმენტებით (იხ. სურათი 4-1-1) მონეტარული სტაბილიზაციის უზრუნველყოფა.

**სურათი 4-1-1:** მონეტარული სტაბილიზაციის პოლიტიკური მიმართულებები <sup>B21</sup>

მიმართულება	ობიექტი	ინსტრუმენტი	ინდიკატორი
რაოდენობრივი პოლიტიკა	ეროვნული (M) გალუტის მიწოდება	ღია ბაზრის (R) განაკვეთი	მიწოდების ინფლაცია
ციკლური პოლიტიკა (ლიკვიდობის მართვა)	ეროვნული (L) გალუტაზე მოთხოვნა	რეფინანსირების (RF) განაკვეთი	მოთხოვნის ინფლაცია
ფისკალური პოლიტიკა	სენიორაჟი (SG)	ინფლაციური (IT) გადასახადი	საბიუჯეტო ინფლაცია
სავალუტო პოლიტიკა	შცხოურ (F) გალუტაზე მოთხოვნა	სავალუტო (S) ძურსი	იმპორტირებული ინფლაცია

როგორც მონეტარული თეორიიდან ცნობილია, „მონეტარული სტაბილიზაცია“ გულისხმობს სტატიკურ წონასწორობას (იხ. ფორმულა 1.1) ეკონომიკის მონეტარულ სექტორში, ხოლო მრავალპერიოდიან მოდელებში სავალუტო სუბსტიტუციის  $(\Omega_t)$  გათვალისწინებით ამ წონასწორობის სტაბილურ დინამიკას

(ე.ი. ლიკვიდობის ბალანსი მონეტარულ მიწოდებასა და მონეტარულ მოთხოვნას შორის).

$$(1.1) \quad M_t^{GL} \left( \overbrace{mr_t^{GL}}^{\bar{-}} ; \overbrace{ca_t^{GL}}^{\dot{+}} ; \overbrace{RF_t^{GL}}^{\bar{-}} ; \overbrace{R_t^{GL}}^{\bar{-}} ; \overbrace{S_t^{\pm}}^{\bar{-}} ; \overbrace{\Omega_t^{\pm}}^{\bar{+}} \right) = L_t^{GL} \left( \overbrace{P_t^{GL}}^{\dot{+}} ; \overbrace{Y_t^{GL}}^{\dot{+}} ; \overbrace{R_t^{GL}}^{\dot{+}} ; \overbrace{R_t^{US}}^{\bar{-}} \right)$$

ემპირიულად როგორც სტატიკური, ასევე დინამიკური წონასწორობები ეკონომიკური სუბიექტებისთვის შეიცავს ნაკლებ ინფორმაციას მონეტარულ სექტორში არსებული მდგომარეობის შესახებ. მხოლოდ ეროვნულ ბანქს მიუწვდება ხელი ყოველდღიურ ინფორმაციაზე ფულის მასისა და ლიკვიდობის შესახებ, ხოლო მეცნიერები ცდილობენ გამოიკვლიონ ის თეორიული კანონზომიერებები, რომლებიც კონკრეტულ შემთხვევებში უფრო ნათელს გახდის მონეტარულ აგრეგატებს შორის მოსალოდნელი გადახრისა და შესაბამისად უწონასწორობის სავარაუდო მიზეზებს.<sup>B21</sup>

ეკონომიკური სუბიექტებისათვის გაცილებით უფრო ხელშესახებია ფასების დინამიკის მიხედვით მონეტარული სექტორის მდგომარეობაზე გარკვეული დასკვნების გაძლიერება. როგორც ფირმებს, ასევე მომხმარებლებს ყოველდღიური შეხება აქვთ ფასებთან, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ინფლაციის, როგორც უმთავრესი მაკროეკონომიკური სიდიდის უნივერსალურობას მათ შორის პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ამის გამო, ინფლაცია წარმოადგენს მონეტარული სტაბილიზაციის მთავარ პოლიტიკურ ინდიკატორს და იმავდროულად მისი დონე განსაზღვრავს ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობის ხარისხს ეროვნული ბანკისათვის.

შესაბამისად, მონეტარული დამოუკიდებლობა გულისხმობს ეროვნული ბანკის არჩევანს ინფლაციის შესახებ და არა მონეტარული წონასწორობის დონის შესახებ, და ამას ადასტურებს ცენტრალური ბანკების თანამედროვე პრაქტიკაც.


ინფლაციის უმთავრესი თვისებაა ის, რომ იგი ფაქტობრივად მოქმედებს როგორც გადასახადი ფულის მასაზე, ხოლო ინფლაციის განაკვეთი არის არსებული ფულადი მასის დაბეგვრის განაკვეთი. საგადასახადო ტვირთი იმ დანაკარგის ნომინალური დირექტულების ტოლფასია, რომელსაც ფულის მასა განიცდის ინფლაციის პირობებში. შესაბამისად, ინფლაციური გადასახადი საფუძვლად უდევს მონეტარული სტაბილიზაციის ისეთ ინდიკატორს, როგორიცაა საბიუჯეტო ინფლაცია და რომელთანაც დაკავშირებულია მონეტარული სტაბილიზაციის ფისკალური მხარე. ამრიგად, ფინანსთა სამინისტროსაც

მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ეკისრება მონეტარულ პოლიტიკაში როლების განაწილების პროცესში, რის გამოც სტაბილიზაციის პოლიტიკა არ გამორიცხავს ისეთ მონაწილეებსაც, რომელთათვისაც, პირიქით, სასარგებლოა ფულის მასის დაბეგვრით მიღებული შეოსავლები (ე.წ. ინფლაციური გადასახადი). ამ შემთხვევაში საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდა არაკონვენციონალური გადასახადების ხარჯზე აუცილებლად აისახება მონეტარული დამოუკიდებლობის ხარისხის შემცირებაში.<sup>B20</sup>

მონეტარული პოლიტიკის ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობა წარმოადგენს მონეტარული სტაბილიზაციის უზრუნველყოფის აუცილებელ წინაპირობას და ეფუძნება მასზე პასუხისმგებელი დაწესებულების (შემდგომში, ეროვნული ბანკის) თავისუფლებას მიზნების განსაზღვრისა და ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელი ინსტრუმენტების შერჩევის პროცესში.

მონეტარული დამოუკიდებულების ხარისხსა (პორიზონტალურ დერძზე) და ინფლაციას (ვერტიკალურ დერძზე) შორის კავშირი დადებითია და ეკონომიკები უფრო დაბალი ინფლაციით გამოირჩევიან მონეტარული დამოუკიდებლობის უფრო მაღალი ხარისხით (იხ. სურათი 4-2-2). მიუხედავად ამისა, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) ანალიზი უჩვენებს, სავალუტო სუბსტიტუციის პირობებში გამორიცხულია ეროვნული ბანკის სრული დამოუკიდებლობა თუნდაც ისეთი დაბალი ინფლაციის ეკონომიკებში, როგორებიც არის შვეიცარია (ფრანკი – როგორც ეროვნული, ევრო – როგორც პარალელური ვალუტა) და კანადა (კანადური დოლარი – როგორც ეროვნული, აშშ დოლარი – როგორც პარალელური ვალუტა).

**სურათი 4-1-2:** ინფლაცია და მონეტარული დამოუკიდებლობა<sup>1</sup>



წყარო: International Monetary Funds, "Dollarization Report," 2007

სსვ ანალიზის მიზანი იყო მონეტარულ დამოუკიდებლობასა და ინფლაციას შორის ტრენდის გამოკვლევა დოლარიზაციის პირობებში 1975-2005 წლის მონაცემების (საშუალო-წლიური ინფლაცია) საფუძველზე 60 ქვეყნის ეკონომიკისთვის (მათ შორის შვეიცარია, კანადა, იზრაელი, მექსიკა, არგენტინა, ბრაზილია, პოლონეთი, რუსეთი, თურქეთი, ინდოეთი, კორეა, ინდონეზია, მალაიზია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და ა.შ.).

სსვ კვლევის შედეგები საინტერესოა, აგრეთვე, იმ კუთხით, რომ რიგ ეკონომიკაში მონეტარული დამოუკიდებლობა მხოლოდ ქაღალდზე დამარიტებულ პოლიტიკურ პოსტულატს წარმოდგენს, ე.ი. ფასების სტაბილურობის მიზანი პოლიტიკურ დონეზე არის აყვანილი. თუმცა, რეალობაში ეროვნული ბანკების თავისუფლება საკმაოდ შეზღუდულია, რაც ანტიინფლაციურ პროგრამებს ნაკლებად ეფექტიანს ხდის, ეს კი ეროვნულ ვალუტას ნაკლებად კონკურენტუნარიანს ხდის უცხოური ვალუტის წინაშე და ეკონომიკურ სუბიექტებს სავალუტო სუბსტიტუციის გაზრდისაკენ უბიძგებს.

საქართველო არ არის იმ 60 ქვეყნას შორის, რომელთა მონეტარული სისტემაც განხილულია სსფ-ის ყოველწლიურ მოხსენებაში დოლარიზაციის შესახებ. ამ ფაქტის მთავარი მიზეზი სავარაუდოდ უნდა იყოს სტატისტიკური ანალიზისთვის აუცილებელი მონაცემების სიმწირე, რამდენადაც ის საქართველოში მხოლოდ 1995 წლიდან მოიპოვება. მიუხედავად ამისა, სსფ-ის კვლევის შედეგები ერთმნიშვნელოვნად ასახავს უარყოფით კავშირს მონეტარული დამოუკიდებლობის ხარისხსა და ინფლაციას შორის, რომლის მოლოდინიც საკმაოდ ახლოს არის საქართველოს მონეტარულ სისტემასთან.

ინფლაციის უარყოფითი კავშირი მონეტარული დამოუკიდებლობის ხარისხთან წარმოადგენს მონეტარული სტაბილიზაციის აქსიომას, რაც უცვლელია სავალუტო სუბსტიტუციის პირობებშიც. მეტიც, რადგან ინფლაცია წარმოადგენს სავალუტო სუბსტიტუციის უმთავრეს მონეტარულ მიზეზს, ლოგიკური იქნებოდა კითხვის დასმა, თუ რამდენად დადგებითია კავშირი სავალუტო სუბსტიტუციის კოეფიციენტსა და მონეტარული დამოუკიდებლობის ხარისხს შორის.

2009 წლიდან “საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ” მოქმედი ორგანული კანონი პირდაპირ განსაზღვრავს “ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფას” (მუხლი 3.1; მუხლი 4.), რაც “ინფლაციის ზომიერი და პროგნოზირებადი დონის არსებობას გულისხმობს.” 2010-2012 წლებისთვის ინფლაციის მიზნობრივი

მაჩვენებელი შეადგენს 6%-ს, რომლის უზრუნველყოფაზე კონტროლი ქ.წ.  
“ინფლაციის თარგეთირებით” ხორციელდება.

#### მუხლი 4. ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა

1. ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სხვა ორგანოებს უფლება არა აქვთ, ჩაერიონ მის საქმიანობაში ან განახორციელონ მონიტორინგი, გარდა საქართველოს კონსტიტუციითა და ამ ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
2. ეროვნული ბანკი ეკონომიკურად დამოუკიდებელია და ყველა ხარჯს უზრუნველყოფს საკუთარი სახსრებით. ეროვნული ბანკი პასუხს არ აგებს საქართველოს მთავრობის ვალდებულებებზე. საქართველოს მთავრობა პასუხს არ აგებს ეროვნული ბანკის ვალდებულებებზე, გარდა ამ ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
3. ეროვნული ბანკი, მისი აქტივები, ქონება და შემოსავალი, აგრეთვე მის მიერ განხორციელებული საქმიანობა და ოპერაციები თავისუფლდება ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადის, სახელმწიფო გადასახდელის, მოსავრებლისა და სახელმწიფო ბაჟისაგან.

[http://www.nbg.ge/uploads/legalacts/nbglow/new/organic\\_low\\_nbg.pdf](http://www.nbg.ge/uploads/legalacts/nbglow/new/organic_low_nbg.pdf)

1990-იანი წლებიდან ინფლაციის თარგეთირება წარმოადგენს ცენტრალური ბანკების პრაქტიკას, რომლიდანაც მიღებული შედეგები მონეტარულ სტაბილიზაციაზე პასუხისმგებელ თრგანოებს (აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემა: ლია ბაზრის კომიტეტი, უკროპის ცენტრალური ბანკი: მმართველი საბჭო; საქართველოს ეროვნული ბანკი: მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი) ეხმარება მონეტარული პოლიტიკის კოორდინაციაში. **B22; B12; B13**

აქვე მიზანშეწონილია, მოკლედ მიმოვინილოთ საქართველოს ეროვნული ბანკის ბოლო წლების გამოცდილება ინფლაციის თარგეთირების პროცესში. ამის მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად რეალურად ახერხებს ეროვნული ბანკი ინფლაციის კომპონენტების პროგნოზირებას და მის საფუძველზე როგორც ფულადი მასის კონტროლს, ასევე ლიკვიდობის მართვასა და უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის რეგულირებას.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ინფლაციის თარგეთირება დაიწყო 2008 წლიდან. თარგეთირების ფარგლებში აქცენტი გაკეთებულია ინფლაციის პროგნოზირებაზე, რომელიც ეფუძნება ეკონომეტრიკულ მოდელს **A76** (იხ. ფორმულა 2.1 ; წართ: <http://www.nbg.ge/index.php?m=349>). ეს მოდელი, თავის მხრივ, შეიცავს რეგრესიულ ანალიზს, რომლის განტოლებაში, მოდელის ავტორების თანახმად “აგრეთვე, შედის “სეზონური და გადაგვარებული” ცვლადები განსაზღვრული სეზონურობისა და სტრუქტურული ცვლილებების აღსაწერად.”

(2.1)

$$\begin{aligned}\pi_T^{GL} = & \left( 0,10 \cdot \Delta S_{T-2} - 0,061 \cdot \Delta S_{T-4} \right) + \left( 0,045 \cdot \Delta M_{T-1}^{GL} + 0,043 \cdot \Delta M_{T-2}^{GL} - 0,0146 \cdot \Delta M_{T-3}^{GL} \right) + \\ & + 0,006 \cdot \Delta OP_{T-1}^{GL} + 0,087 \cdot \Delta FP_{T-1}^{GL} - \underbrace{\left( P_{T-1}^{GL} - 0,42 \cdot S_{T-1} - 0,58 \cdot M_{T-1}^{GL} + 0,79 \cdot Y_{T-1}^{GL} - 5,8 \right)}_{ECM}\end{aligned}$$

სადაც,  $\pi_T^{GL}$  – ინფლაცია დროის  $T$ -მომენტზე;

$S_{T-n}$  – ნომინალური სავალუტო პურსი დროის  $T$ -მომენტიდან კვარტალურად წინა პერიოდების ( $n$ ) მიხედვით;

$M_{T-n}^{GL}$  – ფულის მასა ( $M2$ ) დროის  $T$ -მომენტიდან კვარტალურად წინა პერიოდების ( $n$ ) მიხედვით;

$Y_{T-n}^{GL}$  – ეროვნული შემოსავალი დროის  $T$ -მომენტიდან კვარტალურად წინა პერიოდების ( $n$ ) მიხედვით;


$P_{T-1}^{GL}$  – სამომხმარებლო ფასების ( $CPI$ ) ინდექსი ( $n=1$ );

$OP_{T-1}^{GL}$  – ნავთობის ფასების ინდექსი მსოფლიო ბაზარზე ( $n=1$ );

$FP_{T-1}^{GL}$  – საკვები პროდუქტების (ხილ-ბოსტნეულის) ფასი ( $n=1$ );

$ECM$  – წარმოადგენს რეალური სექტორის პარამეტრს, რომელიც გრძელვადიანი წონასწორობის ამსახველ კომპონენტებს შეიცავს.

**სურათი 4-1-3:** ინფლაციის პროგნოზი (2010 წლის მე-2 კვარტლისთვის)<sup>1</sup>



წყარო: <http://www.nbg.ge/index.php?m=349>

ამასთან, მოდელის განმარტებაში მითითებულია, რომ მასში შემავალი მაკროეკონომიკური სიდიდეების ლოგარითმული მონაცემები ექვემდებარება ნორმალურ განაწილებას, რაც თითქოს რეგრესიის კოეფიციენტების უცვლელობაში აისახება, თუმცა როგორც თავად რეგრესიის ანალიზმა უჩვენა, ალბათობის ნორმალური განაწილება პირობითი დაშვებაა, რომლის შენარჩუნება ხდება მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი მსგავსი დამატებითი დაშვებების დახმარებით.

მაგალითად, კონკრეტულად 2010 წლის მეორე კვარტლისთვის (იხ. აგრეთვე, სურათი 4-13) ინფლაციის პროგნოზმა<sup>A76</sup> 90%-იანი ნდობით შეადგინა  $\{\exp(\pi_T^{GL}) \approx 6,8\% (YoY)\}$ . ამასთან, აღნიშნული შედეგი მიღწეულ იქნა დამატებითი დაშვებების საფუძვლზე, რომლებიც ეხებოდა ფულადი მასის  $\{\exp(\Delta M2_T^{GL}) \approx +25,8\% (YoY)\}$  ზრდას, ეროვნული შემოსავლის ზრდას  $\{\exp(Y_T^{GL}) \approx +4,4\% (YoY)\}$ , ნომინალური გაცვლის კურსის  $\{\exp(S_T) \approx 1.7577(US/GL)\}$  პროგნოზსა და მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის ფასის  $\{\exp(OP_T^{US}) \approx 85.8(US)\}$  პროგნოზს.

2010 წლის აპრილში, მაისსა და ივნისში წლიური ინფლაციის ფაქტობრივმა მაჩვენებლებმა შესაბამისად 5,6% ; 4,0% ; 3,7% შეადგინა და მნიშვნელოვნად განსხვავდება ზემოთ მიღებული საპროგნოზო მაჩვენებლისგან. გადახრები დაფიქსირდა, აგრეთვე, იმავე წლის 1. კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებელსა  $\{\exp(\pi_T^{GL}) \approx 3,6\% (YoY)\}$  და ფაქტობრივ მაჩვენებლებს (იანვარი: 2,7% ; 5,6% : 5,8%) შორის.


მოდელის არასრულყოფილობაა ის, რომ პროგნოზის შედეგები უჩვენებს ცდომილებებს იმ მონაცემებისაგან, რაც იმავე პერიოდისათვის რეალურად დაფიქსირდა. მოდელის არასრულყოფილობას განაპირობებს შემდეგი ფაქტორების გაუთვალისწინებლობა:

- ეროვნული ეკონომიკის მიერ წარმოებული პროდუქციის ხარჯები - ე.წ. საწარმოო ფასების ინდექსი - (PPI) საერთოდ არ არის გათვალისწინებული, ხოლო ეროვნული შემოსავლის რეალური ზრდა გაითვალისწინება მხოლოდ დამატებითი დაშვების პირობებში;
- ეკონომიკის დაკრედიტება, რის გამოც ლიკვიდობის მონაცემი, რომლისგანაც გამომდინარეობს ერთობლივ მოთხოვნაზე დამოკიდებული ინფლაციის კომპონენტი

(*Demand Side Inflation*), საერთოდ არ დებულობს მონაწილეობას ინფლაციის პროგნოზირებაში;

- დოლარიზაციის კოეფიციენტი, რომელიც, მოდელისგან დამოუკიდებლად, მართალია, ცალ-ცლაკე გამოითვლება როგორც მთლიანად ფართო ფულისთვის, ასევე ანაბრებისა და საკრედიტო პორტფელისთვის, მაგრამ არც ერთი მათგანი არ აისახება ინფლაციის პროგნოზირების მოდელში;
- საბიუჯეტო ხარჯები <sup>82</sup>, რაც, განსაკუთრებით გრძელვადიან ეკონომიკურ დროში, ინფლაციური გადასახადის ფორმით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფასების დინამიკაზე – ე.წ. საბიუჯეტო ინფლაცია, როგორც ინფლაციის ერთ-ერთი კომპონენტი. ამასთან, მნიშვნელოვანია საბიუჯეტო შემოსავლებში უცხოური ვალუტის წილი. ეს ეხება როგორც უცხოურ გრანტებს, ასევე იმპორტის არაპირდაპირ დაბეგვრას (დღგ, აქციზი).

**სურათი. 4-1-4:** საქართველოს ინფლაცია vs მსოფლიოს ინფლაცია



**წყარო:** ცხრილი 4-1-1

აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნებოდა ინფლაციის თარგეთირება ინფლაციის ინდიკატორებით (იხ. სქემა 1), რომლებიც დაკავშირებულია სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად მონეტარული პოლიტიკის ძირითად მიმართულებებთან (ფულადი მასის კონტროლი, ლიკვიდობის მართვა, ფისკალური მხარე, უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის რეგულირება). მონეტარული


სტაბილიზაციის სქემის უპირატესობად ის, რომ იგი მოიცავს დოლარიზაციის ფაქტორსაც, რომელიც, ერთი მხრივ, გამოხატავს ეროვნული ვალუტის კონკურენტუნარიანობას სავალუტო პორტფელში, და ამის გამო სავალუტო სუბსტიტუციის გათვალისწინება აუცილებელია როგორც ეროვნული ვალუტის მიწოდების კონტროლისა და ლიკიდობის მართვისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, პირდაპირ კავშირშია უცხოურ ვალუტები მოთხოვნასთან, რომლის პროგნოზირება სხვა კომპონენტებთან (სრულად, იხ. სურათი 4-1-4) ერთად აუცილებელია ინფლაციის საგარეო კომპონენტის (ე.წ. იმპორტირებული ინფლაციის) სრულად ან ნაწილობრივ გასანეიტრალებლად – სავალუტო კურსის მიზნობრივი მონაცემიდან გამომდინარე (ცხრილი. 4-1-1: ინფლაციის კომპონენტები).

რადგან ( $M3$ ) – როგორც ფართო ფული, მოიცავს ანაბრებს უცხოურ ვალუტაში, ( $M2$ ) – ს ნაცვლად მიზანშეწონილია სწორედ მისი გამოყენება ინფლაციის თარგეთირების მოდელში. ამ გზით, ყველაზე მარტივად შესაძლებელია მოდელში დოლარიზაციის ასახვა. აგრეთვე, საინტერესოა ე.წ. მსოფლიო ინფლაცია, რომლის, როგორც საგარეო კომპონენტის აასახვა, მიზანშეწონილია ინფლაციის პროგნოზი:

$$(3.1) \quad \pi_T^{GL} = 0,13 \cdot \Delta M_{T-1}^{GL} + 0,06 \cdot \Delta G_{T-1}^{GL} + 0,18 \cdot \Delta S_{T-1} + 0,04 \cdot \Delta(\pi - w)_{T-1}$$

ადნიშნული განტოლებისთვის (3.1) რეგრესიის კოეფიციენტები უშუალოდ გამომდინარეობს რეგრესიის ანალიზიდან (იხილეთ სრულად: ცხრილი. 51-2) და ასახავს ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლის დამოკიდებულებას ფართო ფულის ( $\Delta M3$ ), საბიუჯეტო ხარჯების ( $\Delta G$ ), გაცვლითი კურსისა ( $\Delta S$ ) და მსოფლიო ფასების ( $\Delta[\pi - w]$ ) ცვლილებასთან. (2.1) და (3.1) შორის მეთოდოლოგიური კუთხით მნიშვნელოვანი განსხვავებაა ე.წ. მოლოდინების ანალიზში. (3.1) წარმოადგენს ადაპტაციურ მოლოდინებზე აგებულ მოდელს, რომელიც უფრო გრძელვადიან დროის პორიზონტზეა გათვლილი და ნაკლებად ითვალისწინებს მოულოდნელობის ეფექტებს. (2.1) კეთილგანვითარებული რაციონალური მოლოდინის პრინციპს და გათვლილია უფრო მოკლევადიან დროის პორიზონტზე, მაგრამ უკეთ ითვალისწინებს მოულოდნელობით გამოწვეული ეგზოგენური ფაქტორების გავლენას ფასების დინამიკაზე. პრინციპში ეს მოდელები ავსებს ერთმანეთს, თუმცა, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ინფლაციის მოკლევადიანი პროგნოზის სირთულეს.

სურათი 4-1-5: ინფლაციის თარგეთირება M3 (რეგრესიული ანალიზი Excel-ში)



წყარო: ცხრილი 4-1-1

სავალუტო სუბსტიტუციის შემთხვევაშიც, ინფლაციის პროგნოზირებით შესაძლებელია განისაზღვროს გადახრის ზომა ინფლაციის მიზნობრივ და მოსალოდნელ დონეებს შორის, რაც მონეტარული პოლიტიკის მესვეურებს უქმნის შესაძლებლობას დროში გაწერილი სამოქმედო გეგმის მიხედვით შემუშავებულ იქნეს კონკრეტული დონისძიებები მონეტარული სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად.

სავალუტო სუბსტიტუციის მონეტარული მოდელის თანახმად დოლარიზაციის ზრდა დადებით კავშირშია როგორც ფულის მასის ზრდასთან (თუ ეს ხდება

უცხოური ვალუტის ხარჯზე ე.ი.  $\frac{\Delta\Omega}{\Delta M3} > 0$  ), ასევე ეროვნული ვალუტის დევალვაციასთან (ე.ი.  $\frac{\Delta\Omega}{\Delta S} > 0$ ). რადგან ორივე კომპონენტი მონაწილეობს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის განსაზღვრაში და მათი რეგრესიის კოეფიციენტები დადგებითია, ლოგიკურია დასკვნა, რომ სავალუტო სუბსტიტუციის მოლოდინის გაზრდა ხელს შეუწყობს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მატებას, და პირიქით.

სამოქმედო გეგმის დროში გაწერა აუცილებელია, რათა გათვალისწინებულ იქნეს ე.წ. დროის ფაქტორი <sup>221</sup> (*insidelag  $\Rightarrow$  intermediate lag  $\Rightarrow$  outsidelag*), რომელიც დამახასითებელია პოლიტიკური მექანიზმების ტრანსმისისათვის ეკონომიკის როგორც მონეტარულ სექტორში, ასევე, დროთა განმავლობაში, რეალურ სექტორში. შესაბამისად, თუკი მიზნობრივი მაჩვენებელი აღემატება მოსალოდნელ ინფლაციას, შესაძლებელია ექსპანსიური დონისძიებების (რეფინანსირების განაკვეთის შემცირება, კონტროლირებად ფარგლებში დამატებითი საკრედიტო რეზურსების გამოყოფა – ე.წ. მონეტარული ინექცია) გატარება, ხოლო საპირისპირო შემოხვევაში, მონეტარული სექტორი მოითხოვს პოლიტიკისგან კონტრაქციული დონისძიებების გატარებას (ფულის მასის შემცირება, რეფინანსირების განაკვეთის გაზრდა, საბიუჯეტო ხარჯების შემცირება, ეროვნული ვალუტის რეგალვაცია) დეზინფლაციური პროცესების ხელშეწყობისათვის.

პოლიტიკური ასპექტების განხილვისას მთავარი შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ ინფლაციის პროგნოზირება უნდა ექვემდებარებოდეს ინფლაციის თარგეთირების პროცესს, რომელიც თავის მხრივ უნდა ეფუძნებოდეს მოლოდინის განსაზღვრას სავალუტო სუბსტიტუციის გათვალისწინებით, რომელშიც მონეტარული სტაბილიზაციის (სურათი 4-1-1) სქემის ყველა კომპონენტი იქნება ასახული, და არა რაიმე ვერბალურ შეთანხმებას მონეტარულ პოლიტიკაზე პასუხისმგებელ დაწესებულებებს შორის. ამასთან, შემდგომ თავებში, პოლიტიკური მოდელის სრულყოფისათვის მიზანშეწონილია მონეტარული პოლიტიკის ცალკეული მიმართულებების (ეროვნული ვალუტის მიწოდება და რაოდენობრივი პოლიტიკა; ციკლური პოლიტიკა და ლიკვიდობის მართვა) და სავალუტო სუბსტიტუციასთან კავშირში მათ მეთოდოლოგიურ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ძირითადი თეორიული კანონზომიერებების განსაზღვრა.

## 4-2. ეროვნული ვალუტის მიწოდება დოლარიზაციის პირობებში

ეროვნული ვალუტის ემისია <sup>817</sup> წარმოადგენს ეროვნული ბანკის ექსკლუზიურ უფლებას და მისი მოცულობის განსაზღვრა ექვემდებარება ფულის მასის კონტროლთან დაკავშირებული საბაზრო მექანიზმების გამოყენებას ეროვნული ბანკის მიერ. კომერციული ბანკების გარემოცვაში ამ დროს ეროვნული ბანკი გვევლინება როგორც რიგითი მონაწილე ფინანსური ბაზრებისა – ე.ი. ბაზარი ეროვნული ბანკისთვისაც დაა – და მის ხელთ არსებული შესაბამისი ფინანსური ინსტრუმენტები ემსახურება “დია ბაზრის ოპერაციების” განხორციელებას.

დია ბაზრის ოპერაციები გულისხმობს ეროვნული ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას. მის ფარგლებში ეროვნული ბანკი ყიდულობს ფასიან ქაღალდებს თავის პორტფელში და ამ გზით უშვებს ეროვნული ვალუტის დამატებით რაოდენობას მიმოქცევაში(ე.წ. ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკა), ან პირიქით, ყიდის ფასინ ქაღლადებს თავის აქტივებიდან, და ამ გზით იღებს ეროვნული ვალუტის ჭარბ რაოდენობას მიმოქცევიდან (ე.წ. რესტრიქციული მონეტარული პოლიტიკა).

ეროვნული ბანკების პრაქტიკაში დია ბაზრის ოპერაციები <sup>817</sup> მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჯერ კიდევ 1900-იან წლებში. იმ დროშიც, დია ბაზრის ოპერაციები გულისხმობდა კაპიტალის ბაზრებზე აქტიური მონაწილეობით ფულის მასის რეგულირებას, როცა ეროვნული ბანკების ფასიანი ქაღალდების პორტფელი ძირითადში მოიცავდა სახელმწიფოს მიერ ემიტირებულ ბონდებსა და სხვა სახის სასესხო ვალდებულებებს (ობლიგაცია, ბილი, ვექსელი, შატცი), რომლებითაც ბანკორისი ვაჭრობა დაშვებულია კაპიტალის ბაზრებზე. მაშინაც, ეროვნული ბანკები, როგორც ფისკალური აგენტები, გვევლინებოდნენ სახელმწიფო სასესხო ვალდებულებების პირველად მიმწოდებლებიდან, მათი ნებისმიერ დროს უკან გამოსყიდვის უფლებით.

1900-1933 წლებში, ე.ი. ფინანსურ კრიზისამდე მთელ რიგ ქვეყნებში დია ბაზრის ოპერაციები <sup>817</sup> დასაშვები იყო აგრეთვე პერძო კომპანიების როგორც სასესხო ვადებულებებით (აშშ, კანადა, ინგლისი, ავსტრალია, გერმანია, საფრანგეთი, პოლანდია, ბელგია), ისე აქციებითაც (ინგლისი, კანადა, ავსტრალია).

დია ბაზრის ოპერაციების მთავარი თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ დასახელებული ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს შეეძლოთ მხოლოდ ეროვნულ

ვალუტაში დენომინირებული ბონდებისა და აქციების ფლობა ფასიანი ქაღალდების პორტფელებში. ე.ი. ცენტრალური ბანკების დია ოპერაციებს არ ჰქონდათ საერთაშორისო ხასიათი (გამონაკლისი: კანადის ცენტრალური ბანკი ვაჭრობდა ამერიკული აქტივებით; საფრანგეთის ბანკი ცალმხრივად იღებდა გერმანულ ფასიან ქაღალდებს პირველი მსოფლიო ომის შემდგომი რეპარაციის პროგამის ფარგლებში). 1930-იანი წლების ფინანსური კრიზისის შემდეგ დია ბაზრის ოპერაციების როლი <sup>B17</sup> მნიშვნელოვნად შემცირდა ეროვნული ბანკების მიერ მონეტარული პოლიტიკის გატარებაში.

ლია ბაზრის ოპერაციებმა რენესანსი განიცადა 1970-იან წლებში. ე.წ. ფრიდმანის კონცეფციის დედააზრი მდგომარეობს სწორედ რაოდენობრივ მონეტარულ პოლიტიკაში, რაც გულისხმობს ე.წ. “პოტენციალური ფულის მასით” ეკონომიკის გაჯერებას. თავის მხრივ ეს ე.წ. “პოტენციალური ფულის მასის” კონცეფცია ეფუძნება ეროვნული ბანკების მიერ ეროვნული შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლის განსაზღვრას და შესაბამისი რაოდენობით მიმოქცევის სიხშირის განსაზღვრას ფულის ბრუნვის კოეფიციენტის მიხედვით. <sup>B17</sup>

რა თქმა უნდა, ფრიდმანის კონცეფციაც ასოცირდება მონეტარული მოთხოვნის ისეთ ფუნქციასთან, რომელიც არა მხოლოდ ტრანსაქციის (ე.ი. ეროვნული შემოსავლის მოსალოდნელი მსყიდველობითუნარიანობა), არამედ ქონებრივ (როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კაპიტალის აქტივების შემცელი სავალუტო პორტფელი) მოტივებსაც გულისხმობს – ე.ი. რაოდენობრივი მონეტარული პოლიტიკის მთავარი მიზნია მიწოდებული ფულის მასით მონეტარული ბალანსის უზრუნველყოფა მოხმარების ლიკვიდურობასა და სავალუტო პორტფელის საბაზრო დირექტულებას შორის.

ფრიდმანის მონეტარისტულ კონცეფციაში ცენტრალური როლი ენიჭება სწორედ დია ბაზრის ოპერაციებს. ე.წ. ლია ბაზრის განაკვეთი <sup>B17</sup> წარმოადგენს მონეტარული მიწოდების ძირითად დეტერმინანტს, რომელიც არის აბსოლიტურად ეგზოგენური სიდიდე ეროვნული ბანკებისათვის. ოფიციალური განაკვეთის განსაზღვრის მიუხედავად, ეროვნული ბანკების გავლენა დია ბაზრის განაკვეთზე არის უმნიშვნელო და ის, როგორც კაპიტალის ბაზრის ერთ-ერთი მონაწილე, იძულებულია დაემორჩილოს კაპიტალის ბაზრის “უხილავ ხელს”, რომლის მიერთსტრუქტურა <sup>B17</sup> აბსოლიტურად პოლიპოლისტურია თვით ეროვნული ბანკისთვისაც.

ცენტრალური ბანკების დღევანდელი პრაქტიკა დია ბაზრის ოპერაციებთან დაკავშირებით გაცილებით მოდერნიზებულია, რამდენადაც მის ფარგლებში შესაძლებელია მონეტარული პოლიტიკის გატარება არა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში, არამედ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კაპიტალის აქტივების მიხედვით. აქ იგულისხმება როგორც ცალმხრივი ოპერაციები უცხოური ფასიანი ქაღალდებით, აგრეთვე გაცვლითი ოპერაციები (სტერილური) ეროვნულ და უცხოურ ფასიან ქაღალდებს შორის, შესაბამისი გავლენით როგორც სავალუტო კურსზე, ისე სავალუტო სუბსტიტუციაზე.

წინა თავში წარმოდგენილი ძირითადი მაკროეკონომიკური მოდელის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია აღნიშნული ძირითადი ეფექტების წარმოჩენა, რომლებიც დია ბაზრის ოპერაციებს შეიძლება ჰქონდეთ სავალუტო პორტფელთან მიმართებაში:

\* \* \*

1) თავდაპირველად გავეცნოთ სავალუტო პორტფელში  $(V_t^{GL})$  მოსალოდნელ ცვლილებებს ჯერ ექსპანსიური, ხოლო შემდეგ რესტრიქციული მონეტარული პოლიტიკის შემთხვევაში, როდესაც, სავალუტო პორტფელის უცხოური კომპონენტების  $(dF_t^{US} = 0; dQ_t^{US} = 0)$  უცვლელობის პირობებში, მონეტარული პოლიტიკის განხორციელება მიმართულია ეროვნული ბანკის მხრიდან ეროვნული კაპიტალის შეძენაზე (*The expansive monetary Policy:  $dM_t^{GL} = dB_t^{GL}$* ) ან გაყიდვაზე (*The restrictive monetary Policy:  $-dM_t^{GL} = dB_t^{GL}$* ):

1.1) ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკა

$$(dM_t^{GL} = dB_t^{GL}; dM_t^{GL} > 0; dB_t^{GL} < 0; dF_t^{US} = 0; dQ_t^{US} = 0):$$

- ეროვნულ ვალუტაში სარგებლის განაკვეთი  $(R_t^{GL})$  მცირდება:

$$(1.1.1) \quad dR_t^{GL} = \frac{\Phi(R_t^{GL})}{\Phi} = \frac{dM_t^{GL} \cdot (Q_t^{US} \cdot b_3 \cdot f_4 - F_t^{US} \cdot m_3 \cdot q_4)}{\Phi} < 0$$

- სავალუტო სუბსტიტუცია  $(\Omega_t)$  არ იცვლება:

$$(1.1.2) \quad d\Omega_t = \frac{\Phi(\Omega_t)}{\Phi} = \frac{dM_t^{GL} [Q_t^{US} \cdot (m_1 \cdot f_4 - m_4 \cdot f_1) + F_t^{US} \cdot (b_4 \cdot q_1 - b_1 \cdot q_4)]}{\Phi} \equiv 0$$

- სავალუტო პორტფელის  $(V_t^{GL})$  ზრდა ნაკლებად ელასტიურია:

$$(1.1.3) \quad dV_t^{GL} = \frac{\Phi(V_t^{GL})}{\Phi} = \frac{dM_t^{GL} \cdot (F_t^{US} \cdot m_3 \cdot q_1 - Q_t^{US} \cdot b_3 \cdot f_1)}{\Phi} \geq 0$$

- ნომინალური სავალუტო კურსი  $(S_t)$  იზრდება, ე.ი. ეროვნული ვალუტა განიცდის დევალვაციას:

$$(1.1.4) \quad dS_t = \frac{\Phi(S_t)}{\Phi} = \frac{dM_t^{GL} [f_3 \cdot (b_1 \cdot q_4 - q_1 \cdot b_4) + q_3 \cdot (m_4 \cdot f_1 - m_1 \cdot f_4)]}{\Phi} > 0$$

## 1.2) რესტრიქციული მონეტარული პოლიტიკა

$$\left( -dM_t^{GL} = dB_t^{GL}; dM_t^{GL} < 0; dB_t^{GL} > 0; dF_t^{US} = 0; dQ_t^{US} = 0 \right);$$

- ეროვნულ ვალუტაში სარგებლის განაკვეთი  $(R_t^{GL})$  გაიზრდება:

$$(1.2.1) \quad dR_t^{GL} = \frac{\Phi(R_t^{GL})}{\Phi} = \frac{dM_t^{GL} \cdot (Q_t^{US} \cdot b_3 \cdot f_4 + F_t^{US} \cdot m_3 \cdot q_4)}{\Phi} > 0$$

- სავალუტო სუბსტიტუცია  $(\Omega_t)$  ძრ იცვლება:

$$(1.2.2) \quad d\Omega_t = \frac{\Phi(\Omega_t)}{\Phi} = \frac{dM_t^{GL} \cdot [F_t^{US} \cdot (b_4 \cdot q_1 - b_1 \cdot q_4) - Q_t^{US} \cdot (m_1 \cdot f_4 - m_4 \cdot f_1)]}{\Phi} \equiv 0$$

- სავალუტო პორტფელის  $(V_t^{GL})$  ზრდა ნაკლებად ელასტიურია:

$$(1.2.3) \quad dV_t^{GL} = \frac{\Phi(V_t^{GL})}{\Phi} = \frac{-dM_t^{GL} \cdot (Q_t^{US} \cdot b_3 \cdot f_1 + F_t^{US} \cdot m_3 \cdot q_1)}{\Phi} \geq 0$$

- ნომინალური სავალუტო კურსი  $(S_t)$  იზრდება, ე.ი. ეროვნული ვალუტა განიცდის რევალვაციას:

$$(1.2.4) \quad dS_t = \frac{\Phi(S_t)}{\Phi} = \frac{dM_t^{GL} \cdot [f_3 \cdot (b_1 \cdot q_4 - q_1 \cdot b_4) - q_3 \cdot (m_4 \cdot f_1 - m_1 \cdot f_4)]}{\Phi} < 0.$$

\* \* \*

**2) ახლა გავეცნოთ სავალუტო პორტფელში  $(V_t^{GL})$  მოსალოდნელ ცვლილებებს ჯერ ექსპანსიური ხოლო შემდეგ რესტრიქციული მონეტარული პოლიტიკის შემთხვევაში, როდესაც, სავალუტო პორტფელის კომპონენტების ურთიერთჩანაცვლების პირობებში, მონეტარული პოლიტიკის განხორციელება მიმართულია ეროვნული ბანკის მხრიდან უცხოური კაპიტალის შემცნაზე**

$(The expansive monetary Policy: dM_t^{GL} = S_t \cdot dQ_t^{US})$  ან, პირიქით, მათ გაყიდვაზე  
 $(The restrictive monetary Policy: -dM_t^{GL} = S \cdot dQ_t^{US})$ :

### 2.1) ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკა

$$(dM_t^{GL} = S_t \cdot dQ_t^{US}; dM_t^{GL} > 0; dQ_t^{US} < 0; dF_t^{US} = 0; dB_t^{GL} = 0):$$

- ეროვნულ გადატანის სარგებლის განაკვეთი  $(R_t^{GL})$  შემცირება ნაკლებად ელასტიურია:

$$(2.1.1) \quad dR_t^{GL} = \frac{\Phi(R_t^{GL})}{\Phi} = \frac{dM_t^{GL} \cdot (Q_t^{US} \cdot b_3 \cdot f_4 - F_t^{US} \cdot m_3 \cdot q_4)}{\Phi} \leq 0$$

- სავალუტო სუბსტიტუცია  $(\Omega_t)$  გაირდება:

$$(2.1.2) \quad d\Omega_t = \frac{\Phi(\Omega_t)}{\Phi} = \frac{dB_t^{GL} \cdot [Q_t^{US} \cdot (m_1 \cdot f_4 - m_4 \cdot f_1) + (m_4 \cdot f_4 - m_1 \cdot f_1)]}{\Phi} < 0$$

- სავალუტო პორტფელის  $(V_t^{GL})$  ზრდა ნაკლებად ელასტიურია:

$$(2.1.3) \quad dV_t^{GL} = \frac{\Phi(V_t^{GL})}{\Phi} = \frac{-dM_t^{GL} \cdot (Q_t^{US} \cdot b_3 \cdot f_1 + F_t^{US} \cdot m_3 \cdot b_1)}{\Phi} \geq 0$$

- ნომინალური სავალუტო კურსი  $(S_t)$  იზრდება და ეროვნული გალუბა განიცდის დევლავაციას:

$$(2.1.4) \quad dS_t = \frac{\Phi(S_t)}{\Phi} = \frac{dM_t^{GL} \cdot [f_3 \cdot (b_1 \cdot q_4 - q_1 \cdot b_4) + b_3 \cdot (m_1 \cdot f_4 - f_1 \cdot m_4)]}{\Phi} > 0$$

### 2.2) რესტრიქტიული მონეტარული პოლიტიკა

$$(-dM_t^{GL} = S_t \cdot dQ_t^{US}; dM_t^{GL} < 0; dQ_t^{US} > 0; dF_t^{US} = 0; dB_t^{GL} = 0):$$

- ეროვნულ გადატანის სარგებლის განაკვეთი  $(R_t^{GL})$  ზრდა ნაკლებად ელასტიურია:

$$(2.2.1) \quad dR_t^{GL} = \frac{\Phi(R_t^{GL})}{\Phi} = \frac{dM_t^{GL} \cdot (Q_t^{US} \cdot b_3 \cdot f_4 - F_t^{US} \cdot m_3 \cdot b_4)}{\Phi} \geq 0.$$

- სავალუტო სუბსტიტუცია  $(\Omega_t)$  გაირდება:

$$(2.2.2) \quad d\Omega_t = \frac{\Phi(\Omega_t)}{\Phi} = \frac{dM_t^{GL} \cdot [F_t^{US} \cdot (b_4 \cdot q_1 - b_1 \cdot q_4) - (m_4 \cdot f_4 - m_1 \cdot f_1)]}{\Phi} > 0$$

- სავალუტო პორტფელის  $(V_t^{GL})$  ზრდა ნაკლებად ელასტიურია

$$(2.2.3) \quad dV_t^{GL} = \frac{\Phi(V_t^{GL})}{\Phi} = \frac{dM_t^{GL}(F_t^{US} \cdot m_3 \cdot b_1 - Q_t^{US} \cdot b_3 \cdot f_1)}{\Phi} \geq 0$$

- ნომინალური სავალუტო კურსი  $(S_t)$  მცირდება და ეროვნული გალუტი განიცდის რეგალვაციას:

$$(2.2.4) \quad dS_t = \frac{\Phi(S_t)}{\Phi} = \frac{dM_t^{GL} \cdot [f_3 \cdot (b_1 \cdot q_4 - q_1 \cdot b_4) - b_3 \cdot (m_1 \cdot f_4 - f_1 \cdot m_4)]}{\Phi} < 0$$

\* \* \*

**3) ბოლოს გავეცნოთ სავალუტო პორტფელში  $(V_t^{GL})$  მოსალოდნელ ცვლილებებს, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს ეროვნული ბანკის მიერ დია ბაზრებზე სტერილიზაციის ოპერაციებმა, რაც გულისხმობს ეროვნულ და უცხოურ გალუტებს შორის კაპიტალის აქტივების ურთიერთჩანაცვლებას სავალუტო პორტფელში:**

**3.1) სტერილიზაცია (ეროვნული კაპიტალის შეძენა, უცხოური კაპიტალის გაყიდვა)**

$$\left( -dB_t^{GL} = S_t \cdot dQ_t^{US}; dB_t^{GL} < 0; dQ_t^{US} > 0; dM_t^{US} = 0; dB_t^{GL} = 0 \right).$$

- ეროვნულ გალუტაში სარგებლის განაკვეთი  $(R_t^{GL})$  მცირდება:

$$(3.1.1) \quad dR_t^{GL} = \frac{\Phi(R_t^{GL})}{\Phi} = \frac{-dB_t^{GL} \cdot F_t^{US} \cdot m_3 \cdot (b_4 + q_4)}{\Phi} < 0$$

- სავალუტო სუბსტიტუციის  $(\Omega_t)$  ცვლილება:

$$(3.1.2) \quad d\Omega_t = \frac{\Phi(\Omega_t)}{\Phi} = \frac{dB_t^{GL} \cdot [Q_t^{US} \cdot (m_1 \cdot f_4 - m_4 \cdot f_1) - (m_4 \cdot f_4 - m_1 \cdot f_1)]}{\Phi} > 0$$

- სავალუტო პორტფელის  $(V_t^{GL})$  ზრდა ნაკლებად ელასტიურია:

$$(3.1.3) \quad dV_t^{GL} = \frac{\Phi(V_t^{GL})}{\Phi} = \frac{dB_t^{GL} \cdot F_t^{US} \cdot m_3 \cdot (q_1 + b_1)}{\Phi} \geq 0$$

- ნომინალური სავალუტო კურსის  $(S_t)$  ზრდა ნაკლებად ელასტიურია და ეროვნულმა გალუტამ შეიძლება განიცადოს უმნიშვნელო დევალვაცია:

$$(3.1.4) \quad dS_t = \frac{\Phi(S_t)}{\Phi} = \frac{dB_t^{GL} \cdot (q_3 + b_3) \cdot (m_4 \cdot f_1 - m_1 \cdot f_4)}{\Phi} \geq 0$$

**3.2) სტერილუზაცია** (ეროვნული კაპიტალის გაყიდვა, უცხოური კაპიტალის შეძენა)

$$(dB_t^{GL} = -S_t \cdot dQ_t^{US}; dB_t^{GL} > 0; dQ_t^{US} < 0; dM_t^{US} = 0; dB_t^{GL} = 0):$$

- ეროვნულ ვალუტაში სარგებლის განაკვეთი  $(R_t^{GL})$  იზრდება:

$$(3.2.1) \quad dR_t^{GL} = \frac{\Phi(R_t^{GL})}{\Phi} = \frac{S_t \cdot dQ_t^{US} \cdot F_t^{US} \cdot m_3 \cdot (b_4 + q_4)}{\Phi} > 0$$

- სავალუტო სუბსტიტუცია  $(\Omega_t)$  მცირდება:

$$(3.2.2) \quad d\Omega_t = \frac{\Phi(\Omega_t)}{\Phi} = \frac{S_t \cdot dQ_t^{US} \cdot [(m_4 \cdot f_4 - m_1 \cdot f_1) - Q_t^{US} \cdot (m_1 \cdot f_4 - m_4 \cdot f_1)]}{\Phi} < 0$$

- სავალუტო პორტფელის  $(V_t^{GL})$  ზრდა ნაკლებად ელასტიურია:

$$(3.2.3) \quad dV_t^{GL} = \frac{\Phi(V_t^{GL})}{\Phi} = \frac{-S_t \cdot dQ_t^{US} \cdot F_t^{US} \cdot m_3 \cdot (q_1 + b_1)}{\Phi} \geq 0.$$

- ნომინალური სავალუტო კურსის  $(S_t)$  შემცირება ნაკლებად ელასტიურია და ეროვნული ვალუტა განიცდის უმნიშვნელო რევალგაციას:

$$(3.3.4) \quad dS_t = \frac{\Phi(S_t)}{\Phi} = \frac{S_t \cdot dQ_t^{US} \cdot [b_3 \cdot (m_1 \cdot f_4 - f_1 \cdot m_4) - f_3 \cdot (b_1 \cdot q_4 - q_1 \cdot b_4)]}{\Phi} \leq 0$$

\* \* \*

**შემაჯამებლად:**


Monetary Policy	: formal	:	$dR_t^{GL}$	$: d\Omega_t$	$: dS_t^L$	$: dV_t^{GL}$
Expansive	$dM_t^{GL} = dB_t^{GL}$		$< 0$	$\equiv 0$	$> 0$	$\geq 0$
Re strictive	$-dM_t^{GL} = dB_t^{GL}$		$> 0$	$\equiv 0$	$< 0$	$\geq 0$
Expansive	$dM_t^{GL} = S_t \cdot dQ_t^{US}$		$\leq 0$	$< 0$	$> 0$	$\geq 0$
Re strictive	$-dM_t^{GL} = S_t \cdot dQ_t^{US}$		$\geq 0$	$> 0$	$< 0$	$\geq 0$
Sterilization	$-dB_t^{GL} = S_t \cdot dQ_t^{US}$		$< 0$	$> 0$	$\geq 0$	$\geq 0$
Sterilization	$dB_t^{GL} = -S_t \cdot dQ_t^{US}$		$> 0$	$< 0$	$\leq 0$	$\geq 0$

\* \* \*

საქართველოს ეროვნული ბანკი 2008 წლამდე ანტიინფლაციური მონეტარული პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებდა ფულის მასის  $(M2)$  რაოდენობრივ თარგეთირებას. ბუნებრივია, ამ დროს ინფლაციის განაკვეთი  $(\pi_t^{GL})$  წარმოადგენს

ფულის მასის ზრდის კოეფიციენტს ( $\Delta M2$ ), რომლის დანიშნულებას წარმოადგენდა ფულის მასის ( $M2$ ) მიზნობრივი მაჩვენებლის განსაზღვრა.

**სურათი. 4-2-1 :** ფულის მასის ცვლილება და ინფლაცია




**წერტილი:** ცხრილი 4-2-1

აღნიშნული მოდელი წარმოადგენდა წმინდა მონეტარისტულ მოდელს, რომელიც ეკონომიკის რეალური სექტორის მოთხოვნებს საერთოდ არ ითვალისწინებდა (ცხრილი. 4-2-1 : ფულადი მასა  $M2$ ). ამასთან მოდელი მოკლებული იყო დოლარიზაციის არა თუ მაკროეკონომიკურ, არამედ მონეტარისტულ მხარეებსაც კი, რაც საბოლოო ჯამში მოდელის (შედეგები იხილეთ სურათი 4-2-2) არასრულყოფილებაზე მიუთითებდა.

როგორც სტატისტიკური ანალიზის შედეგებიდან (იხ. სურათი 4-2-2) გამომდინარეობს, ფულის მასის ზრდასა ( $\Delta M2_t^{GL}$ ) და ფაქტობრივ ინფლაციას ( $\pi_t^{GL}$ ) შორის ნაკლები კორელაციაა. მოდელის არასრულყოფილობა განსაკუთრებით გამოვლინდა 2007 წელს, როცა ფულის მასის ზრდის კოეფიციენტი და საშუალო-წლიური ინფლაციის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. 2008 წლიდან ეროვნულმა ბანკმა შეწყვიტა

მონეტარული თარგეთირება და გადავიდა უშუალოდ ინფლაციის თარგეთირებაზე, რომლის მეთოდოლოგიური ხარგვზები და მათი გაუმჯობესების შესაძლებლობები წინა თავში იქნა განხილული.

**სურათი 4-2-2 :** ინფლაციის თარგეთირება (რეგრესიული ანალიზი Excel-ში)



**წერტილი:** ცხრილი 4-2-1

\* \* \*

მოდელის დახვეწის მიზნით მიზანშეწონილი იქნებოდა ე.წ. “პოტენციალური ფულის” კონცეფციის დანერგვა. ეროვნული ბანკების პრაქტიკაში “პოტენციალური ფულის” მოდელი <sup>819</sup> წარმოადგენს რაოდენობრივი მონეტარული პოლიტიკის ყველაზე მოქნილ ინსტრუმენტს, რომელიც პირველად 1970-იან წლებში გერმანიის ბუნდესბანკმა განავითარა, ხოლო შემდეგ დაინერგა ევროპის სხვა ეროვნულ ბანკებშიც (პოლანდია, შვედეთი და ა.შ.).

1980-იან წლებში მონეტარულმა თარგეთირებამ დაკარგა მნიშვნელობა და ეროვნული ბანკების მიერ მისი ჩანაცვლება მოხდა “ლიკვიდობის მართვის” კონცეფციით. 1990-იან წლებში “პოტენციალური ფულის” კონცეფციამ განიცადა რენესანსი, როცა ის გამოყენებულ იქნა თავდაპირველად ევროპის მონეტარული ინსტიტუტებს მიერ ე.წ. ECU-ს მასის თარგეთირებისათვის, ხოლო 2003 წლიდან მემკვიდრეობით, მთელი დატვირთვით და დღემდე საკმაოდ დიდი წარმატებით გამოყენება ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ ფულის მასის კონტროლის მიზნით.

“პოტენციალური ფულის” კონცეფციის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ფულის მიწოდების რაოდენობრივი თეორია:

$$(4.1) \quad M_t \cdot V_t = Y_t \cdot P_t \quad \Leftrightarrow \quad \Delta M_t + \Delta V_t = \Delta Y_t + \Delta P_t .$$

საქართველოს შემთხვევაში სავალუტო სუბსტიტუციის ( $\Omega_t$ ) გათვალისწინებით მიზანშეწონილი იქნებოდა მიზნობრივი მაჩვენებლის განსაზღვრა ფართო ფულის ( $M3$ ) მონაცემისათვის, რამდენადაც ის უცხო ვალუტის კომპონენტსაც მოიცავს. ამასთან, მოდელის ეგზოგენურ სიდიდეებს წარმოადგენენ ეროვნული შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი და ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი. თითოეული მათგანის გათვალისწინებით (იხ. რეგრესიული ანალიზი – სურათი 52-2) მოდელი მიიღებს შემდეგ ფორმას:

$$(5.1) \quad E(\Delta M3_t^{GL}) = \varepsilon_1 \cdot E(\Delta Y_t^{GL}) + \varepsilon_2 \cdot E(\Delta P_t^{GL}) - \varepsilon_3 \cdot \Delta V_t + \varepsilon_4 \cdot \Delta \Omega(M3)_t ; \quad \text{სადაც} \\ E(\Delta M3_t^{GL}) - \text{ფართო ფულის მიზნობრივი მაჩვენებელი;} \\ E(\Delta Y_t^{GL}) - \text{მოსალოდნელი ეროვნული შემოსავალი (ნომინალური);} \\ E(\Delta P_t^{GL}) - \text{ინფლაციის ადაპტირებული მოლოდინის მაჩვენებელი.}$$

$\Delta V_t$  - ეროვნული ვალუტის ბრუნვის სიხშირის ცვლილების ისტორიული მაჩვენებელი;

$\Delta\Omega(M3)_t$  - სავალუტო სუბსტიტუციის ცვლილების ისტორიული მაჩვენებელი.

**სურათი.** 4-2-3 : ფართო ფენების მიზნობრივი მაჩვენებელი (რეგრესიული ანალიზი Excel-ში)

SUMMARY OUTPUT						
Regression Statistics		ANOVA				
Multiple R	0.988902952	df	SS	MS	F	Significance F
R Square	0.97792049	Regression	4	0.33111721	0.082779302	99.69395386
Adjusted R Square	0.968119738	Residual	9	0.00747301	0.000830334	
Standard Error	0.028815521	Total	13	0.33859022		
Observations	14					


	E	Coefficients	Standard Error	t Stat	P-value	Lower 95%	Upper 95%
Intercept	-	-0.012897555	0.019771075	-0.65234464	0.530485392	-0.057622833	0.031827724
X Variable 1 ( $\Delta Y$ )	E1	1.054418167	0.113414231	9.29705345	6.54119E-06	0.797857353	1.310978981
X Variable 2 ( $\Delta \pi$ )	E2	-0.004768522	0.006506358	-0.7329019	0.482269498	-0.019486928	0.009949883
X Variable 3 ( $\Delta V$ )	E3	1.409807396	0.083717423	16.8400715	4.11391E-08	1.509189364	1.220425429
X Variable 4 ( $\Delta \Omega$ )	E4	0.076215771	0.047494534	1.60472719	0.143016858	-0.03122433	0.183655872

PROBABILITY OUTPUT

Percentile	Y (ΔM3)
3.571428571	-0.014828626
10.71428571	0.068940905
17.85714286	0.081681376
25.00000000	0.179178272
32.14285714	0.195571198
39.28571429	0.21440491
46.42857143	0.228250035
53.57142857	0.265084309
60.71428571	0.391907625
67.85714286	0.397402788
75.00000000	0.42356061
82.14285714	0.428291581
89.28571429	0.448171511
96.42857143	0.497263307

**Normal Probability Plot**



The plot shows the relationship between the Sample Percentile (X-axis, ranging from 0 to 120) and the Y value (Y-axis, ranging from 0 to 0.6). The data points form a strong positive linear trend, suggesting that the residuals are approximately normally distributed.

	M3 (Mln GL)	ΔM3	Y (Mln GL)	ΔY	π (% p.a.)	Δπ	V (M3)	ΔV	Ω (M3)	ΔΩ
1995	179.06	-	3,722.92		94.60	-	19.65	-	10.78	-
1996	255.74	0.43	3,868.48	0.04	39.43	-0.58	15.13	-0.23	13.59	0.27
1997	370.36	0.15	4,551.93	0.18	7.09	-0.82	12.30	-0.19	20.39	0.49
1998	364.87	-0.01	5,022.10	0.10	3.56	-0.50	13.76	0.12	28.80	0.41
1999	436.59	0.20	5,668.70	0.13	19.15	4.36	12.98	-0.06	35.27	0.22
2000	507.70	0.39	6,043.06	0.07	4.04	-0.79	9.94	-0.23	37.52	0.06
2001	737.99	0.21	6,674.00	0.10	4.69	0.16	9.04	-0.09	45.26	0.21
2002	870.22	0.18	7,456.03	0.12	5.58	0.19	8.68	-0.04	46.86	0.04
2003	1,068.85	0.23	8,564.09	0.15	4.79	-0.14	8.01	-0.08	50.54	0.08
2004	1,521.57	0.42	9,824.30	0.15	5.50	0.15	6.46	-0.19	44.32	-0.12
2005	1,924.92	0.27	11,620.94	0.18	8.24	0.50	6.04	-0.06	44.36	0.00
2006	2,689.89	0.40	13,789.91	0.19	9.16	0.11	5.12	-0.15	48.22	0.09
2007	4,027.47	0.50	16,993.78	0.23	9.24	0.01	4.22	-0.18	46.53	-0.03
2008	4,305.13	0.07	19,074.85	0.12	10.00	0.08	4.43	0.05	5b.74	0.22
2009	4,656.77	0.08	17,948.59	-0.06	1.73	-0.83	3.85	-0.13	54.06	-0.05

წყარო: ცხრილი 4-2-1

სტატისტიკური მოდელის შედეგები, რომელთაც მოიცავს რეგრესიული ანალიზი, ადასტურებს, რომ მონეტარული თარგეთირება ანტინფლაციური პოლიტიკის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, რომელიც, მათ შორის, სავალუტო სუბსტიტუციის ისტორიული მონაცემების გათვალისწინებით ხელს უწყობს ფართო ფულის მიზნობრივი მონაცემის განსაზღვრას, რაც მნიშვნელოვანია მონეტარული პოლიტიკის გასატარებლად.

მიუხედავად თეორიული უპირატესობებისა, საქართველოს შემთხვევაში მონეტარული თარგეთირების სრულყოფა გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული, რაც უპირველესად ჭარბი ლიკვიდობის მოლოდინს გულისხმობს, რომლის განეიტრალებისთვის აუცილებელი საბაზრო მექანიზმების არარსებობის შემთხვევაში, მოდელი ქმედუნარიანობას კარგავს.

უპირველესად პრობლემა დაკავშირებულია სავალუტო სუბსტიტუციის მაღალ მაჩვენებელთან. მაღალი დოლარიზაციის გამო შეუძლებელი ხდება ინტერვენციებზე უარის თქმა და სავალუტო კურსის სრული თავისუფლების მიზნად დასახვა. მეტიც, სავალუტო კურსის მიზნობრივი მაჩვენებლის განსაზღვრა წარმოადგენს უცხოურ გალუტაზე მოთხოვნისა და სავალუტო პორტფელში უცხოური გალუტის წილის რეგულირების ერთადერთ ინსტრუმენტს. სავალუტო კურსის მართვის შემთხვევაში კი შეუძლებელი ხდება სტერილიზაციის ოპერაციების სრულყოფილად განხორციელება, რაც ეფექტური შესაძლებლობა იქნებოდა ჭარბი ფულის მიმოქცევიდან ამოღებისათვის ეროვნული ბანკის მიერ უცხოურ გალუტაში დენომინირებული კაპიტალის აქტივების გაყიდვის გზით.

ჭარბი ფულის განეიტრალებისათვის დია ბაზრის ოპერაციებით მნიშვნელოვანია კაპიტალის ბაზრის განვითარების უფრო მაღალი დონე, ვიდრე დღეს არსებობს საქართველოს ეკონომიკაში. 2007-2009 წლებში ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული დია ბაზრის ოპერაციების მთლიანმა მოცულობამ 130 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2009 წლის მონაცემებით ფართო ფულის ( $M3 = GL 4.656 M \text{ln}$ ) მხოლოდ 2,8% შეადგენს და რომელიც მხოლოდ მოკლე- და საშუალოვადიან სახაზინო ვალდებულებებზე მოდის. დია ბაზრის განაკვეთების მრუდის უფრო მეტი მოქნილობა, როგორც კაპიტალის ბაზრის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორი, ეროვნულ ბანკს დაეხმარებოდა ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული კაპიტალის აქტივებით უფრო აქტიურ ვაჭრობაში და ამ გზით მონეტარული აგრეგატების შემცირებაში.

#### 4-3. ლიკვიდობის მართვა გალუტათშორისი კონკურენციის პირობებში

" Transparency , Predicability , Credibility " <sup>B20</sup>

„გამჭირვალობა, პროგნოზირებადობა, სანდოობა,“ - სამი ძირითადი პრინციპი, რომელიც 1933 ჯონ-მეინარდ კეინსმა <sup>B20</sup> ინგლისის ცენტრალურ ბანკს დაუსახა, დღესაც მონეტარული სტაბილიზაციის მნიშვნელოვან პოსტულატებს წარმოადგენს. სწორედ ამ კრიტერიუმების მიხედვით არის ეკონომიკური სუბიექტებისთვის ყველაზე ახლოს შესაძლებელი ეროვნული ბანკების საქმიანობის შეფასება. ეკონომიკური სუბიექტებისთვის ნაკლებად ინფორმაციულია ფულის რაოდენობისა და ბრუნვის სიხშირის მონაცემები, ინფლაციისა და საგალუტო კურსის პროგნოზიც მხოლოდ პირობითი მოვლენაა მათვის, რადგან ისინი სუბიექტური მოლოდინიდან გამომდინარეობს, და, შესაბამისად, მნიშვნელოვან ცდომილებებს შეიძლება შეიცავდეს.

ეკონომიკური სუბიექტებისთვის მნიშვნელოვანია ფულად რესურსებზე ხელმისაწვდომობა და კრედიტების მიღებასა და მასზე მომსახურებასთან დაკავშირებით მოსალოდნელი ხარჯების წინასწარ ცოდნა, რათა მათ შეეძლოთ მოკლე და საშუალოვადიან ეკონომიკურ დოკუმენტი როგორც სამომხმარებლო, ისე ქონებრივი მოტივების მონეტარიზაცია. რამდენადაც მათ მფლობელობაში არსებული საგალუტო პორტფელი მათივე ეკონომიკური მიზნების ფულადი უზრუნველყოფისთვის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც ეროვნული ვალუტა კონკურენციაში იმყოფება უცხოურ ვალუტასთან, ეროვნულ ბანკს უხდება ისეთი პოლიტიკური მექანიზმების ამოქმედება, რომელთა მიზანია არა მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში, არამედ დროის სხვადასხვა მონაკვეთებისათვის, ე.ი. ციკლურად, ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის ისეთ დონეზე დაკმაყოფილება, რომლის პირობებშიც დამატებითი ინფლაციური იმპულსები მაქსიმალურად იქნება განეიტრალებული. ე.ი. ეროვნული ბანკი თვითონ გვევლინება საგალუტო ბაზრის ერთადერთ მონაწილედ, რომელსაც შესაბამისი ინსტრუმენტებით ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის მართვა შეუძლია.

ციკლურობის გამო მონეტარული თარგეთირება ნაკლებად პროდუქტიულ დონისძიებას წარმოადგენს ლიკვიდობის მართვის პროცესში <sup>B21</sup>. ამ შემთხვევაში მონეტარული სტაბილიზაციის ობიექტად უფრო ეროვნული ვალუტის „ხარისხი“ იგულისხმება, მაშინ როცა ფართო ფულის რაოდენობის პროგნოზი გათვლილია

უფრო გრძელვადიან პერსპექტივაზე წლიური ინფლაციის თარგეთირებისა და მასზე მონიტორინგის მიზნით. შესაბამისად, ცენტრალური ბანკების პრაქტიკაში ციკლური პოლიტიკის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს რეფინანსირების ოპერაციები, რომლებიც, საქართველოს ეროვნული ბანკის შემთხვევაში ეფუძნება მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ რეფინანსირების განაკვეთის, როგორც ეროვნული ვალუტაში ოფიციალური განაკვეთის განსაზღვრას.

მონეტარული სტაბილიზაციის სქემა განიხილავს რეფინანსირების ოპერაციებს როგორც დია ბაზრის ოპერაციების ალტერნატივას. ციკლური მონეტარული პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც ეპონომიკური დროის უფრო მოკლე მონაკვეთებზე (1 დღე, 1 კვირა, 1 თვე, 1 კვარტალი) ორიენტირებული, ეროვნული ბანკი რეფინანსირების ოპერაციებით ცდილობს ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნასთან დაკავშირებით მოსალოდნელი დისბალანსის განეიტრალებას, რის გამოც ლიკვიდობის მართვა მხოლოდ შევსებით ხასიათს ატარებს.

2008 წლიდან ეროვნული ვალუტის ბაზარზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შემოიღო რეფინანსირების ოპერაციები, როგორც დისკონტური (კომერციული ბანკების ანაბრები ეროვნულ ბანკში) და ლომბარდული (ეროვნული ბანკის სესხები კომერციულ ბანკებზე) ოპერაციების კომბინაცია, ისე რომ დისკონტურ ( $DR_t^{GL}$ ) და ლომბარდულ ( $LR_t^{GL}$ ) განაკვეთებს შორის მარტა მოიცავს იმავე ვადიანობის რეფინანსირების ( $RR_t^{GL}$ ) განაკვეთს:

$$(1.1) \quad DR_t^{GL} < RR_t^{GL} < LR_t^{GL}.$$


თბილისის ბანკთშორის (*TIBR – Tbilisi Interbanks Rate*) ფულად (ე.ო. ქართული ლარის) ბაზარზე განასხვავებენ ერთდღიან "TIBR1" და ერთკვირიან "TIBR7" რეფინანსირებებს, თუმცა ოფიციალური განაკვეთის ვადიანობა პოლიტიკური ორიენტაციის მაჩვენებელია მხოლოდ ერთკვირიანი რეფინანსირებისათვის. ამის გამო ბანკთშორის ვაჭრობაში "TIBR7"-სესხები განიხილება როგორც მონეტარული პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტი. ეროვნული ბანკი რეფინანსირების ოპერაციებს ახორციელებს აუქციონის წესით, კვირაში ერთხელ – ხუთშაბათობით. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომები იმართება – ოთხშაბათობით, რაც ემთხვევა კომერციული ბანკებისათვის სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნების დასაცავი პერიოდის დაწყებას. ამით შესაძლებელი ხდება ლიკვიდობის მოცულობისა და შესაბამისად ეროვნულ ვალუტაზე მოსალოდნელი მოთხოვნის

რაოდენობრივად განსაზღვრა, რომლის განხომილებაც შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი.

ამრიგად, რეფინანსირების ოფიციალური განაკვეთის ცვლილების შემთხვევაში რეფინანსირების უახლოები მომდევნო აუქციონი უკვე ახალი განაკვეთის პირობებში იწყება. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი აუქციონისათვის აწესებს მინიმალურ განაკვეთს. აღნიშნული განაკვეთი აგრეთვე საოპერაციო მიზნობრივ განაკვეთს წარმოადგენს. შესაბამისად, რეფინანსირების საბაზრო განაკვეთმა უნდა იმოძრაოს აღნიშნული საოპერაციო მიზნობრივი განაკვეთის მიღამოებში.

**სურათი. 4-3-1:** რეფინანსირების განაკვეთების მრუდი

### TBIBR1WK



წყარო: [www.bloomberg.net](http://www.bloomberg.net)

რამდენადაც ბაზრის მონაწილენი არიან მხოლოდ კომერციული ბანკები, ისინი ახორციელებენ ფირმებზე, მომხმარებლებსა და სხვა ეკონომიკურ სუბიექტებზე (სახელმწიფო, უცხოეთი) *TIBR* – შედეგების გადაცემას.

საბოლოო ჯამში როგორც ანაბრებისთვის, ისე კრედიტებისთვის, ვადების (1-10 წელი) ტრანსფორმაციის გათვალისწინებით, სწორედ ეკონომიკური სუბიექტები წარმოადგენენ უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორებსა (მეანაბრები) და დებიტორებს (სესხის ამდებნი). იმავდროულად ამ ეკონომიკურ სუბიექტებს, ანაბრებისა და კრედიტების შესახებ გადაწყვეტილების მიღება უხდებათ გალუბათშორისი კონკურენციის პირობებში, რადგან თავად არიან საგალუბო პორტფელის მფლობელნი.

შესაბამისად, რეფინანსირების ოპერაციების პოლიტიკური ანალიზი მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად აღექვატური და სრულოფილი პოლიტიკური ინსტრუმენტია რეფინანსირების ოფიციალური განაკვეთი ლიკვიდობის ციკლური მართვის პროცესში და სავალუტო სუბსტიუციის პირობებში.

ეროვნული ბანკის მიერ ლიკვიდობის პროგნოზის გაპეთებისას ყველაზე დიდი უურადღება ეთმობა ინფლაციის მოსალოდნელ უფექტს ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ხოლო რეფინანსირების განაკვეთის ოპტიმიზაცია წარმოადგენს არაპირდაპირი გზით ინფლაციის განეიტრალიზების შესაძლებლობას.

ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთის ოპტიმალურობის შემოწმება შესაძლებელია ტეილორის განტოლების მიხედვით <sup>B32:B13</sup>, რომელიც ემსახურება პოლიტიკური განაკვეთის ოპერატიული მიზნის განსაზღრას მოცემული ეგზოგენური სიდიდეების  $(R_t^{GL}; \pi_t; \bar{\pi}; Y_t^{GL})$  პირობებში:

$$(2.1) \quad RR_t^{GL} = R_t^{GL} + \lambda_1 \cdot \pi_t - \lambda_2 \cdot \bar{\pi} + \lambda_3 \cdot \Delta Y_t^{GL}, \quad \text{სადაც}$$

$\lambda_n$  – რეგრესიის კოეფიციენტები;  $n = 1; 2; 3$ .

$RR_t^{GL}$  – რეფინანსირების ოფიციალური განაკვეთი, როგორც პოლიტიკური განაკვეთის ოფიციალური მიზანი (ე.წ. ტეილორის განაკვეთი);

$R_t^{GL}$  – რეფინანსირების საბაზო განაკვეთი – (TIBR 7) – რეფინანსირების ოფიციალური განაკვეთის ვადიანობის შესაბამისად;

$\pi_t$  – ფაქტიური ინფლაცია;

$\bar{\pi}$  – მიზნობრივი ინფლაცია;

$Y_t^{GL}$  – ფაქტიური ნომინალური ეროვნული შემოსავალი.

ტეილორის განტოლება აღწერს ეროვნული ბანკის მხრიდან ოპერატიული რეაქციისათვის ტეილორის კოეფიციენტებით  $(\bar{\lambda}_n)$  ოპტიმალურ სცენარს, მოკლევადიან ეკონომიკურ დროში თუ როგორ მოახდინოს გავლენა ეროვნულ ვალუტაში განაკვეთების მრუდზე.


**ტეილორის წესი:** <sup>B13</sup> ეკონომიკური ბუმის (რეცესიის) ფაზაში იზრდება (მცირდება) ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნა, რის გამოც ტეილორის განაკვეთი (ე.ი. პოლიტიკის ოპერატიული მიზნობრივი განაკვეთი) აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს შესაბამის საბაზო განაკვეთთან შედარებით უფრო მაღალ

(დაბალ) დონეზე, ისე რომ ინფლაციის მიზნობრივ და ფაქტიურ მაჩვენებლებს შორის განსვავება დაემთხვევს ეროვნული შემოსავლის საპროგნოზო და ფაქტიურ მაჩვენებლებს შორის განსხვავებას:

$$(3.1) \quad Y_t^{GL} = f(\pi_t) \quad \text{და}$$

$$(3.2) \quad \bar{Y} = f(\bar{\pi}).$$

**სურათი 4-3-1:** რეფინანსირება (რეგრესიული ანალიზი Excel-ში)



**წერტილი:** (3) ხოდი 4-3-1

ტეილორის განტოლებაში ოპტიმიზაცია შესაძლებელია, ე.წ. ტეილორის კოფიციენტებით:

$$(4.1) \quad \bar{\lambda}_1 = 1,5; \quad \bar{\lambda}_2 = 0,5; \quad \bar{\lambda}_3 = 0,5; \quad \text{ე.ი. როცა} \quad (4.2) \quad Y_t^{GL} = (\bar{Y}) \quad \text{და} \quad (4.3) \quad \pi = (\bar{\pi}).$$

(2.1)-ში (4.1)-ს გათვალისწინებით შესაძლებელია ტეილორის წესისათვის შემდეგი განმარტების<sup>B13</sup> მიცემა მოეტარული სტაბილიზაციისათვის:

- რეფინანსირების ოფიციალური განაკვეთი უნდა გაიზარდოს (შემცირდეს) 1,5%-ით, თუ ინფლაცია გაიზრდება (შემცირდება) 1%-ით;
- რეფინანსირების ოფიციალური განაკვეთი უნდა შემცირდეს (გაიზარდოს) 0,5%-ით, თუ ეროვნული შემოსავლის ფაქტიურ და საპროგნოზო მაჩვენებლებს შორის განსხვავება გაიზრდება (შემცირდება) 1%-ით.

რეგრესიის ანალიზმა (იხ. სურათი 4-3-2) აჩვენა მნიშვნელოვანი გადახრები ტეილორის განაკვეთებსა  $(TR_t^{GL})$  და ეროვნული ბანკის ოფიციალურ განაკვეთებს  $(RR_t^{GL})$  შორის:

**სურათი 4-3-2:** ტეილორის განაკვეთი vs ოფიციალური განაკვეთი (რეგრესიული ანალიზი Excel-ში)

(MoM)	NBGB	Market	$\lambda_1=1,5$	$\lambda_2=0,5$	$\lambda_3=0,5$	Taylor Rate (TR):	Difference
Date	RR	TIBR1W	$\pi$ % (p.a.)	$\pi$ -target	$\Delta Y$ (p.a. mom)	$RR_t^{GL}=R_t^{GL}+\lambda_1 \cdot \pi_t - \lambda_2 \cdot \pi + \lambda_3 \cdot \Delta Y_t^{GL}$	RR-TR
Feb-08	11.00	12.76	9.28	10.00	22.91	33.14	-22.14
Mar-08	11.00	13.85	9.50	10.00	22.91	34.56	-23.56
Apr-08	12.00	11.72	9.85	10.00	21.11	32.04	-20.04
May-08	12.00	19.60	10.17	10.00	21.11	40.42	-28.42
Jun-08	12.00	19.32	10.51	10.00	21.11	40.64	-28.64
Jul-08	12.00	16.00	10.76	10.00	4.85	29.57	-17.57
Aug-08	11.00	13.00	11.18	10.00	4.85	27.20	-16.20
Sep-08	10.00	5.00	11.31	10.00	4.85	19.39	-9.39
Oct-08	10.00	11.00	10.94	10.00	4.37	24.59	-14.59
Nov-08	9.00	11.68	10.47	10.00	4.37	24.57	-15.57
Dec-08	8.00	14.00	10.00	10.00	4.37	26.18	-18.18
Jan-09	8.00	12.25	9.45	8.00	-7.29	18.78	-10.78
Feb-09	7.00	12.00	8.67	8.00	-7.29	17.37	-10.37
Mar-09	6.50	11.23	7.77	8.00	-7.29	15.23	-8.73
Apr-09	6.00	8.65	6.89	8.00	-14.11	7.93	-1.93
May-09	6.00	8.17	6.14	8.00	-14.11	6.33	-0.33
Jun-09	6.00	9.75	5.41	8.00	-14.11	6.81	-0.81
Jul-09	6.00	7.00	4.62	8.00	-11.69	4.09	1.91
Aug-09	6.00	6.82	3.32	8.00	-11.69	1.95	4.05
Sep-09	6.00	7.94	2.51	8.00	-11.69	1.86	4.14
Oct-09	6.00	5.90	2.21	8.00	0.92	5.67	0.33
Nov-09	5.00	6.00	1.93	8.00	0.92	5.35	-0.35
Dec-09	5.00	7.06	1.73	8.00	0.92	6.11	-1.11
Jan-10	5.00	6.00	1.59	6.00	8.36	9.56	-4.56
Feb-10	5.00	5.84	1.89	6.00	8.36	9.85	-4.85
Mar-10	5.00	6.00	2.24	6.00	8.36	10.54	-5.54
Apr-10	5.00	6.00	2.55	6.00	9.33	11.50	-6.50
May-10	5.00	4.50	2.70	6.00	9.33	10.21	-5.21
Jun-10	6.25	6.50	2.81	6.00	9.33	12.38	-6.13

წყარო: ცხრილი 4-3-1

რეგრესიული ანალიზის შედეგები ცხადყოფს მკვეთრ განსხვავებას ტეილორის კოფიციენტების ოპტიმალურ დონეებთან შედარებით ( $\bar{\lambda}_n \neq \lambda_t$ ). ასეთი შედეგები აშკარად მიუთითებს ოპტიმიზაციის წესის დარღვევაზე, რაც ძირითადში საქართველოს მონეტარულ სისტემაში დოლარიზაციის მაღალი დონით არის გამოწვეული.

ცდომილების მინიმალურ დონემდე შემცირებისათვის მიზანშეწონილია უცხოური ვალუტის შესაბამისი განაკვეთების (და არა დოლარიზაციის კოფიციენტების !) გათვალისწინება რეგრესიულ ანალიზში.

ამასთან, მოდელის გამარტივების მიზნით დაგუშვათ, რომ ეროვნული შემოსავლის საპროგნოზო და ფაქტიური დონეები ემთხვევა ერთმანეთს და ინფლაციის მიზნობრივ და ფაქტიურ მაჩვენებლებს შორის განსხვავება გამოწვეულია სავალუტო სუბსტიტუციით და მხოლოდ მონეტარული ხასიათისაა.

რეგრესიული ანალიზის ჩატარებამდე აქ მეთოდოლოგიურად ყველაზე პრობლემატურია ინტერპოლაციის წესის გამოყენება, რადგან ემპირიულად გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული მოკლევადიან ეკონომიკურ დროში, კერძოდ, ერთკვირიანი სეგმენტისათვის, შესაბამისი სარგებლის განაკვეთის უცხოურ ვალუტაში განსაზღვრა. აქ იგულისხმება ეროვნულ ბაზარზე და არა საერთაშორისო ბაზარზე უცხოური ვალუტაში სარგებლის განაკვეთი, თუმცა ინტერპოლაციის პროცესში მიზანშეწონილი იქნებოდა მისი გამოყენება.

აღნიშნული მიზეზით გვიხდება რეგრესიის კოფიციენტების დასადგენად შედეგი სიდიდეების გათვალისწინება (იხ. სურათი 4-3-3):

*TIBR7* – ერთკვირიანი სესხის განაკვეთი ეროვნულ ვალუტაში;

*TIBR1* – ერთდღიანი სესხის განაკვეთი ეროვნულ ვალუტაში;


$R_t^{GL}$  – ერთწლიანი სესხის განაკვეთი ეროვნულ ვალუტაში;

$R_t^{US}$  – ერთწლიანი სესხის განაკვეთი უცხოურ ვალუტაში;

$\pi_t$  – ფაქტიური ინფლაცია;

$\bar{\pi}$  – მიზნობრივი ინფლაცია;

სურათი 4-3-3: რეგისტრაციული დოკუმენტის პირობებში (რეგრესიული ანალიზი Excel-ში)



წყარო: (გხრიდი. 4-3-1

როგორც რეგრესიის ანალიზი გვიჩვენებს, სავალუტო სუბსტიტუციის შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნებოდა ტეილორის განტოლების გამოყენება შემდეგი ფორმით:

$$(5.1) \quad RR_t^{GL} = \lambda_0 \cdot TIBR7 + \lambda_1 \cdot TIBR1 + \lambda_2 \cdot R_t^{GL} + \lambda_3 \cdot R_t^{US} + \lambda_4 \cdot \pi_t - \lambda_5 \cdot \bar{\pi},$$

რომელშიც რეგრესიის ანალიზიდან გამომდინარე:

$$\lambda_0 = 1,27; \quad \lambda_1 = 0,10; \quad \lambda_2 = -2,06; \quad \lambda_3 = -1,51; \quad \lambda_4 = 2,31; \quad \lambda_5 = -0,86.$$

რეგრესიული მოდელის შედეგები ცხადყოფს, რომ ოფიციალური განაკვეთის განსაზღვრისას აუცილებელია უცხოურ ვალუტაში სარგებლის განაკვეთის შეწონვა, რადგან სავალუტო სუბსტიტუცია მნიშვნელოვნად ხელს უშლის რეფინანსირების ოფიციალური განაკვეთის, როგორც ეროვნული ბანკის ოპერატიული ინსტრუმეტის მყისიერ ტრანსმისიას საბაზრო განაკვეთების მრუდზე და უცხოურ ვალუტაში სარგებლის განაკვეთის გაუთვალისწინებლად შეუძლებელი იქნებოდა ლიკვიდობის ფუნქციის სრულად წარმოსახვა.

ვალუტათშორისი კონკურენციის პირობებში ეკონომიკურ სუბიექტებს გააჩნიათ სპეციალისტის შესაძლებლობა და საბოლოოდ ეროვნულ და უცხოურ ვალუტებს შორის სარგებლის განაკვეთების განსხვავება ასრულებს მათოვის გადამწყვეტ როლს, თუ რომელი ვალუტის სასარგებლოდ გააკეთონ ქონებრივი მოტივის ლიკვიდობით უზრუნველყოფა – ე.ი. რომელ ვალუტაში განათავსონ ანაბრები, ან შეიძინონ ფასიანი ქაღალდები.

დოლარიზაციის გათვალისწინებით პოლიტიკური ინსტრუმენტების მეტ ეფექტიანობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეკონომიკური სუბიექტების გადაწყვეტილება ეროვნული ვალუტის სასარგებლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში ლიკვიდობის მართვა, როგორც მონეტარული სტაბილიზაციის ერთ-ერთი მიმართულება, იქცევა უშედეგო დონისძიებად ინფლაციური რისკების ზრდის გამო, რომელთა განეიტრალება მონეტარული სტაბილიზაციის სხვა ინსტრუმენტების გამოყენების მიუხედავად არაპროგნოზირებად სირთულეებთან იქნება დაკავშირებული.

## **44. ფისკალური პოლიტიკის მიზნების ქოორდინაცია საგალუტო სუბსტიტუციის პირობებში**

როგორც დოლარიზაციის მაკროეკონომიკური ასპექტების განხილვისას უმავარი აღინიშნა, საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლებში მნიშვნელოვანია უცხოური ვალუტის როლი. უცხოური ვალუტის შემოდინება, გარდა უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისა და ემიგრანტთა გადმორიცხვებისა, გამოწვეულია აგრეთვე საერთაშორისო გრანტებით, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არა მხოლოდ საგადამხდელო ბალანსის დაფინანსებაში, არამედ აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებაში. ამასთან არაპირდაპირი გადასახადების (დღგ, აქციზი) მოკრება იმპორტირებულ პროდუქტებსა თუ მომსახურებაზე, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალუტიზაციას.

თეორიულად ბიუჯეტის ვალუტიზაცია სრულ თანხვედრაშია ე.წ. ლაფერის პიპოთეზასთან <sup>218</sup>, რომლის მიხედვითაც დეფიციტის მონეტარიზაცია ერთ-ერთ შესაძლებლობას წარმოადგენს საბიუჯეტო დისბალანსის აღმოსაფხვრელად. ლაფერის პიპოთეზა ემყარება იმ ლოგიკურ დაშვებას, რომ თავად სახელმწიფოს ხელთ არის ის პოლიტიკური ბერკეტები და ინსტრუმენტები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია როგორც სარეზერვო, ისე საბაზისო, ისე უცხოური ვალუტის შემცველი - ფართო ფულის (*M3*) - რაოდენობის რეგულირება. საბოლოოდ, სახელმწიფოს კონტროლი მიმართულია სენიორაჟზე  $(SG_t^{GL})$ , როგორც დაბეგვრის ობიექტზე ინფლაციური გადასახადის  $(IT_t^{GL})$  გენერირებისათვის.

ზოგადად, განვითარებადი ეკონომიკებისათვის დამახასიათებელია ბიუჯეტის შევსება ინფლაციის ხარჯზე, <sup>219</sup> განსაკუთრებით იქ, სადაც კონვენციონალური გადასახადების სისტემა არ არის ეფექტური, ხოლო კაპიტალის ბაზარი და მისი ინფრასტრუქტურა იმდენად დაბალ დონეზეა, რომ მას სახაზინო ვალდებულებების განთავსება არ შეუძლია, ხოლო საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე ევრობონდების მოსაზიდად საკმარისი რეპუტაცია არ გააჩნიათ.

როგორც საქართველოს შემთხვევაში ემპირიული მონაცემები ადასტურებს, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და დოლარიზაციას შორის დადგებითი კორელაციაა, რაც მიუთითებს იმაზე რომ სწორედ უცხოური ვალუტა

წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას სახელმწიფო ბიუჯეტში (2002-2009: იხ. სრულად: ცხრილი 44-1: საბიუჯეტო შემოსავლები) მოსალოდნელი დეფიციტის შესამცირებლად, - ე.ი. სავალუტო სუბსტიტუციის შემთხვევაში დეფიციტის მონეტარიზაცია უცხოური ვალუტით (ვალუტიზაცია).

იმის გამო, რომ ინფლაცია სავალუტო სუბსტიტუციის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს, ხოლო პ.წ. ინფლაციური გადასახადი  $(IT_t^{GL})$  საბიუჯეტო შემოსავლების ერთ-ერთ წყაროს, ბუნებრივია პოლიტიკის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შერჩეულ იქნას ინფლაციური გადასახადის ის ოპტიმალური დონე, რომლის პირობებშიც ვალუტათშორისი კონკურენცია უარყოფით გავლენას ვეღარ მოახდენს მონეტარული სტაბილიზაციის პროცესზე.

დეფიციტის მონეტარიზაცია ერთ-ერთია იმ სამი შესაძლებლობიდან (გოლობის მარცხენა მხარის კომპონენტები), რომლებიც სახელმწიფოს ხელო აქვს ბიუჯეტის შევსების მიზნით:<sup>A44</sup>

$$(1.1) \quad \underbrace{\Delta M_t^{GL} + S_t \cdot \Delta F_t^{US}}_{=\Delta M3} + \Delta B_t^{GL} = \Delta P_t \cdot \Delta G_t^{GL} + R_t^{GL} \cdot B_t^{GL},$$

### სადაც

$\Delta M_t^{GL}$  – ეროვნული ვალუტის ცვლილება;

$S_t \cdot \Delta F_t^{US}$  – უცხოური ვალუტა (გრანტებით; იმპორტის დაბეგვრით);

$\Delta B_t^{GL}$  – დამატებითი სახაზინო ვალდებულებები;

$\Delta G_t^{GL}$  – პოტენციური დეფიციტი;

$\Delta P_t$  – ინფლაცია  $\pi_t$ ;

$R_t^{GL} \cdot B_t^{GL}$  – ადრე გამოშვებულ სახაზინო ვალდებულებებზე მომსახურება.

(1.1)-ში პირველი შესაკრების - ფართო ფულის ცვლილების რეალური განხომილება გამოხატავს მის მსყიდველობითუნარიანობას და წარმოადგენს ინფლაციური გადასახადი წყაროს – სენიორაჟს:<sup>A37</sup>

$$\begin{aligned}
SG_t^{GL} &= \frac{\Delta M_t^{GL} + S_t \cdot \Delta F_t^{US}}{P_t}; \\
(2.1) \quad &= \frac{\Delta M_t^{GL} + S_t \cdot \Delta F_t^{US}}{M_t^{GL} + S_t \cdot F_t^{US}} \cdot \frac{\Delta P_t}{P_t} \cdot \frac{M_t^{GL} + S_t \cdot F_t^{US}}{\Delta P_t}; \quad \Leftrightarrow \\
&= \frac{S_t \cdot \Delta F_t^{US}}{\Delta \Omega_t} \cdot \frac{\Omega_t}{S_t \cdot F_t^{US}} \cdot \frac{\Delta P_t}{P_t} \cdot \frac{S_t \cdot F_t^{US}}{\Omega_t \cdot P_t};
\end{aligned}$$

$$(2.2) \quad \Omega_t \cdot \underbrace{SG_t^{GL} \cdot P_t}_{IT_t^{GL}} = S_t \cdot \Delta F_t^{US} \cdot \underbrace{\frac{\Delta P_t}{\Delta \Omega_t} \cdot \frac{\Omega_t}{P_t}}_{1/\varepsilon}.$$

ე.ო. ინფლაციური გადასახადის  $(\Delta IT_t^{GL} > 0)$  გაზრდა პირდაპირ კავშირშია უცხოური ვალუტის შემოდინებასა  $(\Delta F_t^{US} > 0)$  და სავალუტო ქურსის  $(\Delta S_t > 0)$  ზრდასთან:

$$(2.3) \quad \varepsilon \cdot \Omega_t \cdot IT_t^{GL} = S_t \cdot \Delta F_t^{US}.$$

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უცხოური ვალუტის ნაკადების ის ნაწილი, რომელიც გამოწვეულია საერთაშორისო გრანტებით და იმპორტის დაბეგვრით, წარმოადგენს საბიუჯეტო შემოსავლების საფუძველს.

ინფლაციის ზრდა  $(\Delta P_t > 0)$  იწვევს სავალუტო სუბსტიტუციის ზრდას  $(\Delta \Omega_t > 0)$ , და სწორედ ამ კავშირს გამოხატავს ელასტიურობა ( $\varepsilon$ ). თავის მხრივ სავალუტო სუბსტიტუციის  $(\Delta \Omega_t > 0)$  გაზრდა აისახება ფართო ფულის  $(\Delta M3_t > 0)$  რაოდენობრივ გაზრდაში, რაც ინფლაციური გადასახადის  $(\Delta IT_t > 0)$  ობიექტს წარმოადგენს.

როგორც რეგრესიული ანალიზის შედეგები (იხ. სურათი 54-1) ცხადყოფს, ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის შემთხვევაში, და, საქართველოსთვის 2005-2010 წლები სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ზრდით გამოირჩევა, ადგილი აქვს ბიუჯეტის შევსებას დოლარიზაციის ზრდის ხარჯზე, ნაწილობრივ მაინც. სავსებით გასაგებია, რომ საერთაშორისო გრანტებისა და იმპორტის დაბეგვრის სახით საკმაოდ ობიექტური მიზეზი არსებობს ბიუჯეტის ვალუტიზაციისათვის და არც ემპირიული გამოკვლევები შეიცავს ამ კავშირის მიზანმიმართულობის შესახებ რაიმე კონკრეტულ მტკიცებულებას, თუმცა პრევენციული დონისძიებების

მცდელობაც არ შეინიშნება იმისათვის, რომ ბიუჯეტის მოტივით არ მოხდეს სავალუტო სუბსტიტუციის გაზრდა იმ დონეზე, რომ საბიუჯეტო ექსპანსიამ მონეტარული დესტაბილიზაცია გამოიწვიოს.

**სურათი 4-4-1:** ინფლაციური გადასახადი და დოლარიზაცია (რეგრესიული ანალიზი Excel-ზი)

SUMMARY OUTPUT		REGRESSION INPUT			
<i>Regression Statistics</i>					
Multiple R	0.685712233		$\Delta IT$	$\Delta \Omega (M3)$	$\Delta S (US/GL)$
R Square	0.470201266	2003	0.03	0.08	-0.02
Adjusted R Square	0.205301899	2004	0.55	-0.12	-0.11
Standard Error	0.300802352	2005	0.86	0.00	-0.05
Observations	7	2006	0.34	0.09	-0.02
		2007	0.28	-0.03	-0.06
		2008	0.08	0.22	-0.11
		2009	-0.13	-0.05	0.12
ANOVA					
	<i>df</i>	<i>SS</i>	<i>MS</i>	<i>F</i>	<i>Significance F</i>
Regression	2	0.321214636	0.160607318	1.775018459	0.280686698
Residual	4	0.361928221	0.090482055		
Total	6	0.683142857			
	<i>Variables</i>	<i>Coefficients</i>	<i>Standard Error</i>	<i>t Stat</i>	<i>P-value</i>
Intercept		0.226398719	0.128040314	1.768183102	0.151760857
X Variable 1	$\Delta \Omega (M3)$	1.365907328	1.121409153	1.218027626	0.290145104
X Variable 2	$\Delta S (US/GL)$	1.687512882	1.618019297	1.660989388	0.172051999
PROBABILITY OUTPUT					
Normal Probability Plot					
<i>Percentile</i>	$Y(\Delta IT)$				
7.142857143	-0.13				
21.42857143	0.03				
35.71428571	0.08				
50.00000000	0.28				
64.28571429	0.34				
78.57142857	0.55				
92.85714286	0.86				

**შეართ:** ცხრილი. 4-4-1

1990-იანი წლების საერთაშორისო სავალუტო კრიზისებიდან მრავალი ქვეყნის (1991: არგენტინა; 1994: მექსიკა; 1995: თურქეთი; 1999: ბრაზილია) მაგალითის დასახელება შეიძლება, რომელთათვისაც სწორედ სახელმწიფო ბიუჯეტის ვალუტიზაციამ მნიშვნელოვნად შეარყია მონეტარული სისტემის სტაბილურობა და ახალი წონასწორობის მიღწევა მხოლოდ ეროვნული ვალუტის ხელოვნური დევალვაციით გახდა შესაძლებელი.

\* \* \*

ახლა განვიხილოთ ფისკალური პოლიტიკის ზემოქმედება სავალუტო პორტფელის მოცულობაზე და მის ძირითად დეტერმინანტებზე, როგორებიცაა სავალუტო კურსი ( $S_t$ ) და სარგებლის განაკვეთი ( $R_t^{GL}$ ) ეროვნულ ვალუტაში.

ძირითადი მაკროეკონომიკური მოდელის შედეგები შესაძლებელს ხდის ფორმალურად გამოვავლინოთ ის ძირითადი კანონზომიერებანი, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ პროცეკლური (ე.ი. ხარჯების გაზრდა და ზრდადი ხარჯებისათვის ალტერნატიული დაფინანსების წყაროები: გადასახადების გაზრდა; ინფლაციური პროცესების ტოლერირება; ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში კრედიტის აღება სახაზინო ვალდებულებების გამოშვების გზით) ან ანტიციკლური (ე.ი. რესტრიქციული) ფისკალური პოლიტიკის გატარებასთან.

- ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა  $(dB_t^{GL} > 0; dM_t^{GL} = 0; dF_t^{US} = 0; dQ_t^{US} = 0)$ :
- ეროვნულ ვალუტაში სარგებლის განაკვეთი ( $R_t^{GL}$ ) იზრდება:

$$(3.1.) dR_t^{GL} = \frac{\Phi(R_t^{GL})}{\Phi} = \frac{-dB_t^{GL} \cdot F_t^{US} \cdot m_3 \cdot q_4}{\Phi} > 0 ;$$

- სავალუტო სუბსტიტუცია ( $\Omega_t$ ) შემცირება ნაკლებად ელასტიურია:

$$(3.2) d\Omega_t = \frac{\Phi(\Omega_t)}{\Phi} = \frac{Q_t^{US} \cdot dB_t^{GL} \cdot (m_1 \cdot f_4 - m_4 \cdot f_1)}{\Phi} \leq 0 ;$$

- სავალუტო პორტფელი ( $V_t^{GL}$ ) იზრდება:

$$(3.3) dV_t^{GL} = \frac{\Phi(V_t^{GL})}{\Phi} = \frac{dB_t^{GL} \cdot F_t^{US} \cdot m_3 \cdot q_1}{\Phi} > 0 ;$$

- ნომინალური სავალუტო კურსის ( $S_t$ ) ზრდა ნაკლებად ელასტიურია და ეროვნულმა ვალუტამ შეიძლება განიცადოს უმნიშვნელო დევალვაცია:

$$(3.4) \quad dS_t = \frac{\Phi(S_t)}{\Phi} = \frac{dB_t^{GL} \cdot q_3 \cdot (m_4 \cdot f_1 - m_1 \cdot f_4)}{\Phi} \geq 0.$$

• რესტრიქციული ფისკალური პოლიტიკა ( $dB_t^{GL} < 0$ ,  $dM_t^{GL} = 0$ ,  $dF_t^{US} = 0$ ,  $dQ_t^{US} = 0$ ):

- ეროვნულ ვალუტაში სარგებლის განაკვეთის  $(R_t^{GL})$  ცვლილება:

$$(4.1) \quad dR_t^{GL} = \frac{\Phi(R_t^{GL})}{\Phi} = \frac{-dB_t^{GL} \cdot F_t^{US} \cdot m_3 \cdot q_4}{\Phi} < 0;$$

- სავალუტო სუბსტიტუციის  $(\Omega_t)$  ზრდა ნაკლებად ელასტიურია:

$$(4.2) \quad d\Omega_t = \frac{\Phi(\Omega_t)}{\Phi} = \frac{\underline{Q}_t^{US} \cdot dB_t^{GL} \cdot (m_1 \cdot f_4 - m_4 \cdot f_1)}{\Phi} \geq 0;$$

- სავალუტო პორტფელი  $(V_t^{GL})$  მცირდება:

$$(4.3) \quad dV_t^{GL} = \frac{\Phi(V_t^{GL})}{\Phi} = \frac{dB_t^{GL} \cdot F_t^{US} \cdot m_3 \cdot q_1}{\Phi} < 0;$$

- ნომინალური სავალუტო კურსის  $(S_t)$  კლება ნაკლებად ელასტიურია და ეროვნულმა ვალუტამ შეიძლება განიცადოს უმნიშვნელო რევალვაცია:

$$(4.4) \quad dS_t = \frac{\Phi(S_t)}{\Phi} = \frac{dB_t^{GL} \cdot q_3 \cdot (m_4 \cdot f_1 - m_1 \cdot f_4)}{\Phi} \leq 0.$$

\* \* \*

უცხოურ ვალუტაში ინფლაციური გადასახადის ოპტიმალური დონის იდეა<sup>A44</sup>, ე.ი. ბიუჯეტის დოლარიზაციის ის დამაკმაყოფილებელი დონე, რომლის ფარგლებშიც საბიუჯეტო ინფლაციის ეფექტი ნულოვანია ინფლაციის მთლიან ჯამში, განხილულია ე.წ. ლაფერ-კაგანის მოდელში (1988). ამ მოდელის თანახმად, უცხოური ვალუტა არ უნდა წარმოადგენდეს საბიუჯეტო შემოსავლების წყაროს 10%-ზე მეტს:  $(IT/TR \leq 10\%)$ .

2003-2009 საქართველოს ბიუჯეტის ანალოგიური მაჩვენებელი (ცხრილი 44-1: საბიუჯეტო შემოსავლები) წლებისთვის მერყეობს 30% ირგვლივ, რაც 20%-თ აღემატება ლაფერ-კაგანის თეორიიდან გამომდინარე დასაშვებ ნორმას.

## 4-5. სავალუტო პოლიტიკის გამოწვევა

საერთაშორისო მონეტარული ეკონომიკის თეორიიდან ცნობილია, რომ ფიქსირებული სავალუტო კურსების პირობებში მონეტარული დამოუკიდებლობა შეუძლებელია,<sup>823</sup> რამდენადაც სავალუტო კურსის დაწესების გამო უცხოური ვალუტა ავტომატურად ხდება ეროვნული ვალუტის სრულყოფილ ჩამნაცვლებლად და მასთან მიმართებაში გაცვლითი კურსი ეროვნული ვალუტის მიწოდების ერთ-ერთი დეტარმინანტია. იმ შემთხვევაში, თუკი ეროვნული ბანკი ფიქსირებული გაცვლითი კურსის გაუთვალისწინებლად ერთხელ მაინც შეეცდება ეროვნულ ვალუტაში ფულადი მასის გაზრდას (ე.ი. განახორციელებს მონეტარულ ექსპანსიას), ბაზარზე წარმოქმნილი ზემოწოდება - განსაზღვრული სავალუტო კურსის მიხედვით - უკეთეს შემთხვევაში (ნეტ-ექსპორტიორი ეკონომიკისათვის) ეროვნული ვალუტის გადინებას გამოიწვევს, ე.ი. ექსპორტის მიმღებ უცხოეთის ეკონომიკაში ექსპორტიორი ეკონომიკის ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის გაზრდას (ე.წ. საგადამხდელო ბალანსის ეფექტი), და - უარეს შემთხვევაში (ნეტ-იმპორტიორი ეკონომიკისათვის) - ინფლაციურ პროცესებს და მიმღინარე ანგარიშის დეფიციტის გაზრდას. საგადამხდელო ბალანსის კრიზისი წარმოადგენს მიმღინარე ანგარიშის დეფიციტის უკიდურესად გაზრდას, რაც გამოიხატება ეროვნული ეკონომიკის გადახდისუუნარობაში დანარჩენი მსოფლიოს წინაშე, თუ ის საერთაშორისო ვალდებულებებთან დაკავშირებულ ფინანსურ მომსახურებას ვეღარ ეწვე სავალუტო რეზერვის განულების გამო.

საერთაშორისო მონეტარული ეკონომიკიდან ცნობილია აგრეთვე, რომ მონეტარული ექსპანსიის პარალელური პროცესები (n)-რაოდენობის ეროვნულ ეკონომიკებში აუცილებლად გამოიწვევს მათ შორის როგორც ინფლაციის ტრანსმისიას, ისე რეცესიის შემთხვევაში სტაგნაციის ტრანსმისიას, ან უველაზე უარეს შემთხვევაში სტაგფლაციის ტრანსმისიას,<sup>824</sup> თუკი ინფლაციასა და რეცესიას ერთდროულად ექნება ადგილი.

აქედან გამომდინარე სავალუტო რეჟიმების შესახებ მიმღინარე დებატებში ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტი თავისუფალი სავალუტო კურსის სასარგებლოდ მდგომარეობს მონეტარული ურთიერთდამოკიდებულების შემცირებაში. კერძოდ, დამოუკიდებელი მონეტარული სისტემის პირობებში შესაძლებელია მიღწეულ იქნეს ნაკლები დამოკიდებულება ეროვნული ვალუტის

მიწოდებისა უცხოეთის ეკონომიკებში მიმდინარე მონეტარულ პროცესებზე. თავისუფლად ცვალებადი სავალუტო კურსების პირობებში საგადამხდელო ბალანსი ყოველთვის ნულოვანია და მიმდინარე ანგარიშის დისბალანსი განეიტრალებულია კაპიტალის ანგარიშის დახმარებით. ეროვნულ ბანკებს გააჩნიათ ნაკლები საფუძველი სავალუტო ბაზრებზე ინტერვენციისთვის და მცირდება უცხოური ვალუტით ეროვნული ვალუტის ჩანაცვლების ხარისხი.

თუმცა ინტერვენციებზე უარის თქმა ნიშნავს სუბსტიტუციის შემცირებას მხოლოდ მიწოდებასთან მიმართებაში ეროვნული ვალუტის ბაზარზე. რამდენადაც ამ ბაზარს აქვს მეორე მხარე – მოთხოვნის მხარე – რომელზეც ეროვნულ ბანკს ნაკლები გავლენა გააჩნია და ძირითადში დამოკიდებულია იმ პრეფერენციებზე, რომლითაც განსაზღვრულია ფირმებისა და მომხმარებლების სავალუტო პორტფელების სტრუქტურა.

შესაბამისად, შეუძლებელია იმის ერთმნიშვნელოვნად მტკიცება, რომ სრულად თავისუფალი სავალუტო კურსების პირობებშიც ვალუტების კონკურენციას საერთოდ არ ექნება ადგილი. ლიკვიდობა, ფართო გაგებით მონეტარული მოთხოვნა, დაკავშირებულია როგორც ტრანსაქციის, ისე ქონებრივი მოტივით ეკონომიკური სუბიექტების საბაზრო ფუნქციასთან მონეტარულ სექტორში და აბსურდული იქნებოდა იმის დაშვება, რომ უცხოურ ვალუტაზე ქონებრივი მოტივით მოთხოვნა არ იარსებებს, როგორც ამას მხოლოდ გამარტივების მიზნით ადგილი აქვს ტრადიციულ სავალუტო თეორიებში.

ტრადიციულად სავალუტო პოლიტიკის ქვეშ იგულისხმება სავალუტო ბაზართან მიმართებაში პოლიტიკური ინსტრუმენტების ერთობლიობა, <sup>B14</sup> რომელთა გამოყენება მიმართულია გაცვლითი კურსის მართვაზე წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკური მიზნების მიხედვით. აღნიშნული პოლიტიკური მიზნები დაკავშირებულია უპირველესად ფასების დინამიკასთან, როგორც მონეტარული სტაბილიზაციის უმთავრეს მიზანთან. მონეტარული სქემის მიხედვით იმპორტირებული ინფლაცია ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს სამომხმარებლო ფასების ინდექსში და სწორედ გაცვლითი კურსის მართვით არის ინფლაციის საგარეო ეფექტის განეიტრალება შესაძლებელი.

სავალუტო პოლიტიკის მიზნებთან <sup>B14</sup> უშუალოდ არის დაკავშირებული აგრეთვე საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაზრდა, საერთაშორისო კაპიტალის

ბაზრებზე წვდომის გამარტივება ფინანსური რესურსებისა და პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის მიზნით.

აქ დასახელებულ მიზნებთან ერთად სავალუტო სუბსტიტუციის პირობებში სავალუტო პოლიტიკის ამოსავალ პუნქტს წარმოადგენს გაცვლით კურსსა ( $S_t$ ) და სავალუტო სუბსტიტუციას ( $\Omega_t$ ) შორის ისეთი კომბინაციის შერჩევა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მონეტარული სტაბილიზაციის ძირითადი პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელება.<sup>A75</sup>


საქართველოს მონეტარულ სიტემაში სავალუტო პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ეროვნული ბანკი. მისი ამოცანაა სავალუტო ბაზარზე კომერციული ბანკების თანამონაწილეობით გაცვლითი კურსის ( $S_t$ ) თავისუფალი მექანიზმის დაცვა და ამისთვის, მხოლოდ პერიოდული (და არა პერმანენტული) ინტერვენციებით ბაზარზე უწონასწორობის აღმოფხვრა.

2009 წლიდან ეროვნული ბანკი ინტერვენციებს ახორციელებს სავალუტო აუქციონების გზით, რის გამოც ინტერვენციის წინა ფორმასთან - ბანკოშორის სავალუტო ბირჟასთან (1995-2009) - შედარებით, მთლიანობაში გაიზარდა ეკონომიკური სუბიექტების, და უპირველესად კომერციული ბანკების, მონაწილეობის ხარისხი სავალუტო კურსის ( $S_t$ ) ფორმირებაში.

ე.ი. დღევანდელი სავალუტო კურსების რეჟიმი განიხილება როგორც მართვადი (*Managed Floating*), რომელიც არ ექვემდებარება რაიმე კანონით განსაზღვრულ პოლიტიკურ მიზნებს, მაგრამ იმავდროულად ზღუდავს სპეციალური შეტევებისა და მონეტარული დესტაბილიზაციის შესაძლებლობებს. სავალუტო სუბსტიტუციის პირობებში სამი შესაძლო თეორიული ალტერნატივიდან (თავისუფლად ცვლაებადი, მართვადი ან ფიქსირებული სავალუტო კურსების რეჟიმი მოქმედი სავალუტო სისტემა შეიძლება მიჩნეულ იქნეს საქართველოს მონეტარული სისტემისათვის როგორც ყველაზე ოპტიმალური).

მიუხედავად ზოგადი შეფასებისა, სავალუტო ბაზრის უახლეს ისტორიაში არსებობს ემპირიული ფაქტებიც, რომელთა მიხედვით, მოქმედმა სავალუტო პოლიტიკამ ვერ გაუძლო სპეციალურ შეტევებს (იხ. სურათი 4-5-1) და განსაკუთრებით საერთაშორისო ბაზრების ზეგავლენით საქართველოშიც სავალუტო კურსის დესტაბილიზაცია გამოიწვია.

სურათი. 4-5-1: USD/GEL სპეციალური შეტევა (03-07/ივნისი/2010)



წყარო: [www.bloomberg.net](http://www.bloomberg.net)

პრევენციის ხარისხის ამაღლების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა საგალუტო სუბსტიტუციის თარგეთირების მოდელის განვითარება. ამ მოდელის მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა დოლარიზაციის კოეფიციენტისა ( $\Omega_t$ ) და საგალუტო კურსის რყევების ( $\Delta S_t$ ) ურთიერთდაკავშირება და ამ კავშირის საფუძველზე პროგნოზირების მეთოდების სრულყოფა. 1990-იანი წლების საგალუტო კრიზისების შემდეგ რიგი ქვეყნების (თურქეთი, მექსიკა, ეგვიპტე, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) ეროვნული ბანკები დღემდე წარმატებით ახორციელებენ დოლარიზაციის თარგეთირებას.<sup>A60;A61</sup>

საგალუტო სუბსტიტუციის თარგეთირების  $(\Omega_t^T)$  თეორიულ საფუძვლებს წარმოადგენს ე.წ. კალვო-პულის (*Calvo – Pool Framework, 1977*) წესი, <sup>A26;A57</sup> რომელიც მრავალპერიოდიან მოდელში დამოუკიდებლად განიხილავს ეროვნულ და უცხოურ ვალუტებზე მოთხოვნის ფუნქციებს და თავს უყრის სარგებლის განაკვეთების დისპარიტებს ( $\Delta R_t^{US-GL}$ ), როგორც ვალუტათშორისი სპეციალური სირითად მოტივს დოლარიზაციის პროგნოზირებისათვის:


$$(1.1) \quad \Omega_t^T = \omega(S_t; \Delta R_t^{US-GL}) \stackrel{\text{ln}}{=} \omega_0 + \omega_1 \cdot S_t + \omega_2 \cdot \Delta R_t^{US-GL},$$

$$\text{საღისი } \omega_1 = \frac{\Delta\Omega_t^T}{\Delta S_t}; \quad \omega_2 = \frac{\Delta\Omega_t^T}{\Delta^2(R_t^{US-GL})}.$$

**სურათი 4-5-2:** დოლარიზაციის თარგეთირება (რეგრესიული ანალიზი Excel-ში)

SUMMARY OUTPUT		ANOVA							
Regression Statistics			df	SS	MS	F	Significance F		
Multiple R		0.952535739							
R Square		0.907324333							
Adjusted R Square		0.783756778							
Standard Error		6.800194001							
Observations		15							
	Variables	$\omega$	Coefficients	Stand. Error	t Stat	P-value	Lower 95%	Upper 95%	
Intercept		$\omega_0$	29.63784093	20.9771295	1.41286447	0.20740886	-21.6913457	80.96702757	
X Variable 1	$\Omega_{t-1}$	$\omega_1$	0.672140713	0.40521366	1.658731633	0.14821188	0.31938139	1.663662814	
X Variable 2	$\Omega_{t-2}$	$\omega_2$	0.33105997	0.51854377	0.638441708	0.54676688	-0.93777092	1.599890664	
X Variable 3	$S_t$	$\omega_3$	5.537990315	17.5275251	0.315959628	0.76273538	-37.3503185	48.42629916	
X Variable 4	$S_{t-1}$	$\omega_4$	-22.9444329	17.3482531	-1.32257887	0.23415021	-65.3940789	19.50521297	
X Variable 5	$\Delta R_t(\text{US-GL})$	$\omega_5$	34.67019403	135.777953	0.255344799	0.80698452	-297.566487	366.9068746	
X Variable 6	$\Delta R_{t-1}(\text{US-GL})$	$\omega_6$	102.9759645	143.132804	0.719443491	0.49891896	-247.25739	453.2093193	
X Variable 7	$\Delta R_{t-1}(\text{US-WW})$	$\omega_7$	-11.2207749	145.513233	-0.07711171	0.9410418	-367.278829	344.8372798	
X Variable 8	$\Delta R_{t-1}(\text{GL-WW})$	$\omega_8$	-19.8539306	179.847826	-0.11039294	0.9156977	-459.925707	420.2178458	
PROBABILITY OUTPUT									
Percentile	$Y(\Omega_z)$								
3.33	35.55123459								
10.00	44.29734512								
16.67	57.11199483								
23.33	65.31817085								
30.00	68.81384616								
36.67	69.63852679								
43.33	71.83706551								
50.00	73.44832325								
56.67	74.4720495								
63.33	75.79746861								
70.00	77.93718601								
76.67	79.95068298								
83.33	85.06429977								
90.00	85.83198804								
96.67	86.28702955								
INPUT									
	$\Omega_t$	$\Omega_{t-1}$	$\Omega_{t-2}$	$S_t$	$S_{t-1}$	$\Delta R_t(\text{US-GL})$	$\Delta R_{t-1}(\text{US-GL})$	$\Delta R_{t-1}(\text{US-WW})$	$\Delta R_{t-1}(\text{GL-WW})$
1995	35.55	33.17	32.19	1.25	1.31	0.05	0.04	0.18	0.16
1996	44.30	35.55	33.17	1.25	1.25	0.08	0.03	0.17	0.14
1997	57.78	44.30	35.55	1.30	1.26	0.06	0.08	0.18	0.10
1998	68.81	57.78	44.30	1.38	1.30	0.06	0.05	0.15	0.09
1999	79.95	68.01	57.76	2.01	1.38	0.09	0.06	0.09	0.03
2000	77.94	79.95	68.81	1.98	2.01	0.07	0.09	0.08	0.02
2001	85.84	77.94	79.95	2.07	1.93	0.05	0.07	0.05	0.03
2002	85.06	85.84	77.94	2.19	2.07	0.09	0.05	0.07	0.07
2003	86.29	85.06	85.84	2.15	2.19	0.04	0.03	0.09	0.05
2004	74.47	86.29	85.06	1.92	2.15	0.03	0.04	0.07	0.03
2005	71.84	74.47	86.29	1.81	1.92	0.01	0.03	0.05	0.02
2006	69.64	71.84	74.47	1.78	1.81	0.00	0.01	0.03	0.03
2007	65.32	69.64	71.84	1.67	1.78	0.01	0.00	0.02	0.02
2008	75.80	65.32	69.64	1.49	1.67	0.00	0.01	0.03	0.03
2009	73.45	75.80	65.32	1.67	1.49	0.01	0.00	0.07	0.07

წყარო: ტენიანი 3-3-1



მრავალპერიოდიან მოდელში შესაძლებელია (1.1) ტრანსფორმაცია და ამ გზით სავალუტო სუბსტიტუციის პროგნოზირება. ამასთან მიზანშეწონილი იქნებოდა მსოფლიოს სარგებლის განაკვეთებისგან  $(R_t^W)$  განსხვავების გათვალისწინება:

$$(2.1) \quad \begin{aligned} \Omega_t^T = & \omega_{10} + \omega_{11} \cdot \Omega_{t-1} + \omega_{12} \cdot \Omega_{t-2} + \omega_{20} \cdot S_t + \omega_{21} \cdot S_{t-1} \\ & + \omega_{30} \cdot \Delta R_t^{US-GL} + \omega_{31} \cdot \Delta R_{t-1}^{US-GL} + \omega_{41} \cdot \Delta R_{t-1}^{US-WW} + \omega_{42} \cdot \Delta R_{t-1}^{GL-WW} \end{aligned},$$

მოდელის შედეგების მიხედვით (იხ. სურათი 4-5-2), რომელიც რეგრესიული ანალიზიდან გამომდინარეობს, ეროვნულ და უცხოურ ვალუტას შორის სარგებლის განაკვეთების დისპარტეტი იწვევს მომდევნო პერიოდში სავალუტო კურსის ცვლილებას, რაც მყისიერად აისახება სავალუტო სუბსტიტუციის ცვლილებაში. ამასთან, სარგებლის განაკვეთების დისპარტეტი, როგორც ვალუტათშორისი სპეციალაციების უმთავრესი მიზეზი, დამოკიდებულია განაკვეთების საერთაშორისო მრუდის ცვლილებაზე.

სავალუტო პოლიტიკის ფარგლებში მეორე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სავალუტო კურსის ანტიინფლაციურ ინსტრუმენტად გამოყენება. საკითხის ამგვარად დასმის საფუძველს წარმოადგენს მონეტარული სტაბილიზაციის სქემა, რომლის მიხედვითაც იმპორტირებადი ინფლაცია მთლიანი ინფლაციის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

ეროვნული ბანკების მიერ ინფლაციის თარგეთირების შემთხვევაში, საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, სავალუტო კურსის დამოუკიდებლად თარგეთირება, როგორც პრევენციული ღონისძიება, გამართლებული იქნებოდა მსოლოდ პიპერინფლაციის პირობებში.<sup>27</sup> სავალუტო კურსის მიზნობრივი მაჩვენებლის დაცვა როგორც მართვადი (*CurrencyBoard Crawling Peg Rigid Fixing*), ისე უპირველესად ფიქსირებული სავალუტო კურსების რეჟიმის პირობებში მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სავალუტო რეზერვების მდგომარეობაზე, რაც კრიტიკულ საკითხს წარმოადგენს ნეტ-იმპორტიორი ეკონომიკებისათვის.

შესაბამისად, მონეტარული თარგეთირების სრულყოფის შემთხვევაში, რაც უპირველესად გულისხმობს სავალუტო სუბსტიტუციის ფაქტორის გათვალისწინებას, სავსებით შესაძლებელია სრულად თავისუფალი ან მართვადი სავალუტო კურსების რეჟიმის შენარჩუნება.

# დასკვნები და რეკომენდაციები

სავალუტო სუბსტიტუცია წარმოადგენს როგორც განვითარებადი, ისე განვითარებული ეკონომიკების ფენომენს, რომლის წარმოშობა 1970-იანი წლებიდან სავალუტო კრიზისის შედეგად თავისუფლად ცვალებად სავალუტო კურსებზე გადასვლასთან არის დაკავშირებული.

1990-იან წლებში სავალუტო კრიზისების მეორე ტალღის თეორიულმა შესწავლამ განამტკიცა მანძადე დამკვიდრებული მეცნიერული მიდგომა იმასთან დაკავშირებით, რომ შეუძლებელია სავალუტო სუბსტიტუციის ერთმნიშვნელოვნად შეფასება. ყოველივე ეს უპირველესად გამოწვეულია იმ განსხვავებული გამოცდილებებით, რომლებიც ცალკეულ ეკონომიკებსა და ეკონომიკურ სუბიექტებს დაუგროვდათ სავალუტო სუბსტიტუციასთან მიმართებაში. დოლარიზაციის შემოქმედნი არიან თავად ეკონომიკური სუბიექტები (მომხმარებელი, ფირმა, სახელმწიფო), თუმცა განსხვავებული მოტივებით.

განვითარებად ეკონომიკებში მოხმარების უსაფრთხოება წარმოადგენს მომხმარებლების უმთავრეს გამოწვევას, რის გამოც სავალუტო სუბსტიტუცია უკავშირდება ტრანსაქციის მოტივს და განიხილება როგორც გამოსავალი ინფლაციური და სავალუტო რისკების გასანეიტრალებლად.

განვითარებულ ეკონომიკებში სავალუტო სუბსტიტუცია დაკავშირებულია ეკონომიკური სუბიექტების ქონებრივ მოტივთან, რადგან მათ მიერ სავალუტო პორტფელის დივერსიფიკაცია და შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კაპიტალური აქტივები (ფასიანი ქაღალდები, უძრავი ქონება) განიხილება როგორც შემოსავლიანობის გაზრდის შესაძლებლობა.

1) დოლარიზაციის ტესტი განასხვავებს სავალუტო სუბსტიტუციის სამსხვილის განვითარებას საქართველოს მონეტარულ სისტემაში. მიუხედავად განსხვავებული მეთოდოლოგიისა, სამივე მაჩვენებლის დინამიკა არის დადგებითი და მიუთითებს დოლარიზაციის ზრდასა და ეროვნული ვალუტისათვის კონკურენტული გარემოს შექმნაზე.

უპირველესად, დოლარიზაციის კოეფიციენტი წარმადგენს უცხოური ვალუტის წილს ( $\Omega M3$ )ფართო ფულში, რომელიც 2009 წლის მდგომარეობით შეადგენდა 54 %, კ.ი. მონეტარული აგრეგატების ნახევარზე მეტი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული.

დოლარიზაციის მეორე მაჩვენებელია უცხოური ვალუტის წილი ( $\Omega FD$ ) ანაბრების პორტფელში, რომელიც მოიცავს კერძო სექტორის ვადიან შენატანებს კომერციულ ბანკებში. 2009 წლის მდგომარეობით ეს მაჩვენებელი შეადგენდა 74%, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეროვნული კუნომიკის განპარგულებაში არსებული ლიკვიდობის 3/4 უცხოურ ვალუტაშია.

დოლარიზაციის მესამე მაჩვენებელია უცხოური ვალუტის წილი ( $\Omega FC$ ) საკრედიტო პორტფელში, რომელიც ასახავს ფულად რესურსებზე მომსახურების უნარის მქონე მოთხოვნას ეკონომიკური სუბიექტების მხრიდან. 2009 წლის მდგომარეობით ეს მაჩვენებელი შეადგენდა 77%, რაც ნიშნავს, რომ ეროვნული ეკონომიკის დაკრედიტება 3/4-ით უცხოურ ვალუტაში ხორციელდება.

პოლიტიკური ასპექტების განხილვისას უფრო სრულყოფილია ( $\Omega M3$ ) – კოეფიციენტის გამოყენება, ხოლო მონეტარული ასპექტების განხილვისას ( $\Omega FD$ ) – და ( $\Omega FC$ ) – კოეფიციენტებს გააჩნიათ მეთოდოლოგიური უპირატესობა.

მიუხედავად ამისა, დოლარიზაციის კოეფიციენტის ვერცერთი განზომილება სრულად ვერ ასახავს სავალუტო სუბსტიტუციის დონეს. სავალუტო პორტფელით ხორციელდება როგორც სამომხმარებლო კალათის დაფინანსება, ისე ქონების მონეტარიზაცია. მაშინ როდესაც ქონებრივი მოტივისათვის (ანაბრების პორტფელი) დოლარიზაციის რაოდენობრიობა მეტ-ნაკლებად განსაზღვრულია, აბსოლიტურად გაურკვეველია დოლარიზაციის მაჩვენებელი სამომხმარებლო კალათთან დაკავშირებული ტრანსაქციებისათვის.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით აკრძალულია უცხოური ვალუტის საშუალებით გადახდის ფუნქციის შესრულება. ოუმცა, როგორც უკვე არაერთხელ აღნიშნეთ, განსაკუთრებით ხანგრძლივი მოხმარების პროდუქტების შემთხვევაში აღგილი აქვს საკანონმდებლო შეზღუდვის უგულებელყოფას, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით დოლარიზაციის შესახებ რაიმე ხელშესახები სტატისტიკური მონაცემი არ არსებობს (იხ. თავი 1, გვ. 13–41).

\* \* \*

**2) სავალუტო სუბსტიტუციის მეცნიერული საფუძვლები მრავალფეროვანია და მოიცავს თეორიულ მოდელებს განსხვავებული სტრუქტურებითა (დაშვებები, კვლევის ობიექტი, კვლევის მიზანი) და მეთოდოლოგიით. ტრადიციულ სავალუტო თეორიებთან (მანდელ-ფლემინგი; ფრიდმანი; ბრანსონი; დორნბუში) შედარებით ცალკეული მოდელი ემპირიული ანალიზის საფუძველზე გვაწვდის**

მნიშვნელოვან ინფორმაციებს გადატათშორის კონკურენციაზე და იძლევა ძირითადი კანონზომიერებების გამოვლენის შესაძლებლობას საგადატო კურსის განსაზღვრის, საგადატო სუბსტიტუციის მიზეზებისა და შედეგების სისტემატიზაციისათვის (იხ. თავი 2, გვ. 42–87).

**სქემა 1:** საგადატო სუბსტიტუციის თეორიული მოდელების სისტემატიზაცია

სავალუტო ხუბსტიტუციის მოდელი	სავალუტო კურსის განსაზღვრის საფუძველი
<b>"უპირატესი ვალუტის მოდელი"</b>	მსყიდველობითურნარიანობის პარიტეტი
<b>ჯოვანინი</b>	$e_t = s_t - p_t + p_t^* - PPP$ (Purchase in Power Parity)
<b>"ლიკვიდურობის მოდელი"</b>	მსყიდველობითურნარიანობის პარიტეტი; სარგებლის განაკვეთების დაუფარავი პარიტეტი
<b>ტურტელბომი</b>	$e_t = s_t - p_t + p_t^* - PPP$ (Purchase in Power Parity) $R_t - R_t^* = E(s_t^{t+1} - s_t) - UIP$ (Uncovered Interest Parity)
<b>"ეკონომიკური მოდელი"</b>	მსყიდველობითურნარიანობის პარიტეტი
<b>ვალვა</b>	$e_t = s_t - p_t + p_t^* - PPP$ (Purchase in Power Parity)
<b>"ფინანსური მოდელი"</b>	სარგებლის განაკვეთების დაუფარავი პარიტეტი
<b>გირტონი</b>	$R_t - R_t^* = E(s_t^{t+1} - s_t) - UIP$ (Uncovered Interest Parity)
<b>"საინვესტიციო მოდელი"</b>	მსყიდველობითურნარიანობის პარიტეტი; სარგებლის განაკვეთების დაფარული პარიტეტი
<b>კუდინგტონი</b>	$e_t = s_t - p_t + p_t^* - PPP$ (Purchase in Power Parity) $R_t - R_t^* - f_t^{t+1} - s_t - CIP$ (Covered Interest Parity)
<b>"პოლიტიკური მოდელი"</b>	მსყიდველობითურნარიანობის პარიტეტი; სარგებლის განაკვეთების დაუფარავი პარიტეტი
<b>მაილსი</b>	$e_t = s_t - p_t + p_t^* - PPP$ (Purchase in Power Parity) $R_t - R_t^* - E(s_t^{t+1} - s_t) - UIP$ (Uncovered Interest Parity)

\* \* \*

3) საგადატო სუბსტიტუციის წამყვანი თეორიების განხილვის შედეგად გამოიკვეთა მიზეზების ორი ძირითადი ჯგუფი, მონეტარული და მაკროეკონომიკური, რომლებთანაც დაკავშირებულია საგადატო პორტფელის დივერსიფიკაცია ეროვნულ და უცხოურ ვალუტებს შორის. საქართველოს მონეტარულ სისტემაში დოლარიზაციის პროცესის მიზეზებიც ანალოგიურად

არის წარმოჩენილი და ემპირიული მონაცემები თაგსებადია თეორიულ პოსტულატებთან (იხ. თავი 3, გვ. 88-135).

**3-1-1) სავალუტო კურსისა და ინფლაციის რისკები** წარმოადგენს სავალუტო სუბსტიტუციის ძირითად მონეტარულ მიზეზებს და იმავდროულად ადასტურებენ თეორიულ პიპოთეზას სავალუტო სუბსტიტუციის როგორც უპირველესად მონეტარული ფენომენის შესახებ.

უპირველესად სავალუტო სუბსტიტუცია უკავშირდება ტრანსაქციის მოტივს ეკონომიკური სუბიექტების მხრიდან: მომხმარებლები - მოხმარების უსაფრთხოების მიზნით, ხოლო ფირმები - ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებით სავალუტო რეეგების ზემოქმედების განეიტრალების მიზნით - მიმართავენ სავალუტო პორტფელის დივერსიფიკაციას და ამგვარად ეროვნულ ვალუტას უქმნიან კონკურენტულ გარემოს უცხოური ვალუტის საშუალებით.

შესაბამისად, უცხოური ვალუტის “შემოჭრა” ეროვნულ ეკონომიკაში არა საგარეო-ეკონომიკურ (ე.ი. გარედან შემოსულ) მოვლენას წარმოადგენს, არამედ, თავად ეროვნული ეკონომიკის შიგნით, ბაზრის მონაწილეების მიერ მიღებული მონეტარული გადაწყვეტილებების შედეგია.

**3-1-2) განაკვეთების განსხვავება ვალუტებს შორის მიეკუთვნება აგრეთვე მონეტარულ მიზეზებს და ქმნის კიდევ ერთ დამატებით საფუძველს, მაგრამ უკვე ქონებრივი მოტივით, სავალუტო პორტფელის დივერსიფიკაციისათვის. კომერციული ბანკების მიერ ანაბრებისათვის ვალუტების მიხედვით შემოთავაზებული განაკვეთების განსხვავებული სტრუქტურა, აგრეთვე სარგებლის განსხვავებული მოლოდინი უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ კაპიტალურ აქტივებზე (ფასიანი ქაღალდები, უძრავი ქონება) სავალუტო პორტფელის დივერსიფიკაციას ეკონომიკურად უფრო მიმზიდველს ხდის. სპეციულაციური გარიგებები გამოხატავს ბაზრის მონაწილეების მზადყოფნას დამატებითი რისკებისათვის მრავალვალუტიანი პორტფელის შესაქმნელად.**

**3-2) მაკროეკონომიკური კუთხით სავალუტო სუბსტიტუციის ძირითად მიზეზს წარმოადგენს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი საგადამხდელო ბალანსში. თავისუფლად ცვალებადი სავალუტო კურსების პირობებში საგადამხდელო ბალანსის წონასწორობა (ე.ი. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის განეიტრალება) დამოკიდებულია უცხოური ვალუტის შემოდინებაზე კაპიტალის იმპორტის (ე.ი. კაპიტალის ანგარიშის დაღებითი საღდო), აგრეთვე ერთჯერადი ტრანსფერებისა (მაგალითად: საერთაშორისო გრანტების), და ცალმხრივი ტრანსფერების**

(მაგალითად: ემიგრანტთა ფულადი გზავნილების) ფორმით, რაც საბოლოო ჯამში იწვევს უცხოური ვალუტის წილის გაზრდას სავალუტო პორტფელში.

საერთაშორისო გრანტების მნიშვნელოვანი ნაწილი განკუთვნილია სახელმწიფო პროექტებისა ან შესყიდვების დასაფინანსებლად (ე.ი. ბიუჯეტის ვალუტიზაცია). რაც შეეხება ემიგრანტთა გადმორიცხვებს, მათი განთავსება ხდება ქერძო სექტორში, სადაც უცხოური ვალუტა გამოიყენება ან სამომხმარებლო კალათის დასაფინანსებლად, ან საინვესტიციო პორტფელის (საბანკო ანაბრები, ფასიანი ქაღალდები) გაზრდისათვის.

უცხოური ვალუტის არასაქმარისი შემოდინება, ე.ი. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის არასრულად დაფარვა, გამოიწვევს ეროვნული ვალუტის დევალვაციას, რაც კიდევ უფრო მეტად შეუეწყობს ხელს უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის გაზრდას.

**3-3) მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი ძირითადი კანონზომიერებანი საერთოა სავალუტო სუბსტიტუციის მოდელებისათვის და ეს კანონზომირებანი მდგრამარეობს შემდგომში:**

სავალუტო სებსტიობუციის აუცილებელი წინაპირობა: თავისუფლად გვალებადი ან მართვადი სავალუტო პურსების რეგიმი;

სავალუტო სუბსტიტუციის საქმარისი წინაპირობა: მიმდინარე ანგარიშის  
დაფიციტი საგადამხდელო ბაზანსში;

**სქემა 2:** საგალიერო სუბსტიტიტუცია (მიზეზ-შედეგების სქემა)

შორეტარული:	მაკროეკონომიკური:	პოლიტიკური:	
მიზეზები:	1. გარავეთების განსაზღვრება 2. ინფლაცია  3. დეპალვაცია	1. მიმდინარე ანგარიშის დაფიქტი  *** ****	***
შემთხვევა:	1. გალიურიათშორისი სპეციალისტები  ***  ***  ***  ***  ***	1. საგარეო პალანსის კრიზისი  ***  ***  ***	1. შორეტარული დესტაბილიზაცია 2. სახ. შორეტარის ვალუტის აციფრები 3. საგალიშო სპეციალისტები

ე.ი. ნეტო-ექსპორტიორ ეკონომიკებში (მაგალითად, ინდოეთი, ჩინეთი, ყაზახეთი, რუსეთი, საუდის არაბეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) სავალუტო

სუბსტიტუცია მოსალოდნელია მხოლოდ მონეტარული მიზეზებით და შესაბამისად, მხოლოდ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებით (რეფინანსირება; ფულის რაოდენობის რეგულირება) არის შესაძლებელი სავალუტო სუბსტიტუციის მიზეზით მოსალოდნელი მონეტარული დესტაბილიზაციის უგულებელყოფა.

**3-4) მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი** განსაზღვრავს სამომხმარებლო პროდუქტსა და მომსახურებასთან დაკავშირებით ეროვნული ეკონომიკის დამოკიდებულების ხარისხს უცხოელ მომწოდებლებზე. 1991-2009 წლებისთვის აღნიშნულმა მაჩვენებელმა ჯამში 19 მლრდ ლარი შეადგინა, რაც მიუთითებს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის დაბალ დონეზე და ეკონომიკური სუბიექტების მხრიდან უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის მოცულობაზე.

დროის იმავე პერიოდისათვის საქართველოს ეკონომიკაში უცხოური ვალუტის ნაკადის მოცულობამ შეადგინა 36 მლრდ ლარი (23 მლრდ ლარი – კაპიტალის იმპორტი, 8 მლრდ ლარი – ცალმხრივი ტრანსფერები, 5 მლრდ ლარი – ერთჯერადი ტრანსფერები).

თუ გავითვალისწინებთ, რომ კაპიტალის იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი ( $\approx 70\%$ ; 16 მლრდ ლარი) წარმოადგენს საერთაშორისო კრედიტებს. საგარეო ვალებზე ზრდადი მომსახურებისათვის ლოგიკურად მოსალოდნელია უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის ზრდა, რის შედეგადაც დოლარიზაციის შემცირების მოლოდინი ნაკლებად შესაძლებელია 2011-2020.

რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს საინვესტიციო მდგრმარეობას, იგი უარყოფითია და 1991-2009 წლებისათვის ჯამში 20 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ინვესტიციების ძირითად ნაწილს ( $\approx 93\%$ ) წარმოადგენს პირდაპირი ინვესტიციები, ხოლო პორტფელური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში უმნიშვნელოა.

პორტფელური ინვესტიციები ძირითადში მოდის ისეთ კაპიტალურ აქტივებზე, რომელთა ემიტენტები არიან ქართული კომპანიები და საქართველოს სახელმწიფო, მაგრამ დენომინირებულია არა ეროვნულ, არამედ უცხოურ ვალუტაში. რამდენადაც მათი უმრავლესობა სასესხო ვალდებულებას (ე.წ. ევრობონდები) წარმოადგენს, რომლებზე მომსახურებაც უცხოურ ვალუტაში უნდა განხორციელდეს, უავე მათ გამო 2011-2020 უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის შემდგომი ზრდა არის მოსალოდნელი.

\* \* \*

4) მონეტარული სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება როლების განაწილებას ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას ასეუხისმგებელ დაწესებულებებს (ეროვნული ბანკი; ფინანსთა სამინისტრო) შორის (იხ. თავი 4, გვ. 136-179).

სავალუტო სუბსტიტუციისგან დამოუკიდებლად, მონეტარული სექტორის მდგრადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სახელმწიფოს საბიუჯეტო პოლიტიკაზე. ამ ობიექტური მიზეზით არალოგიკური იქნებოდა ფინანსთა სამინისტროს როლის იგნორირება მონეტარული პოლიტიკის გატარებისას და, შესაბამისად, ეროვნულ ბანკსა და ფინანსთა სამინისტროს შორის როლების განაწილების პრინციპი მოქმედებს სავალუტო სუბსტიტუციის პირობებშიც.

ფასების დინამიკასა და სავალუტო კურსზე განსხვავებული წარმოდგენები პოლიტიკური როლების განაწილების პროცესში ეფუძნება ე.წ. ინტერესთა კონფლიქტებს. ტრადიციულად, ეროვნული ბანკი ორიენტირებულია ეროვნული ვალუტის როგორც საშინაო, ისე საგარეო ღირებულების სიმყარეზე, მაშინ როცა ფინანსთა სამინისტრო ფისკალური მოტივით უფრო მეტ “ტოლერანტობას” იჩენს როგორც ინფლაციის, ისე დევალვაციის მიმართ.

ინტერესთა კონფლიქტის განეიტრალებისა და როლების ოპტიმალური განაწილების შესაძლებლობას წარმოადგენს ინფლაციის თარგეთირება, რომლის მიხედვითაც შეეძლებათ როგორც ეროვნულ ბანკს, ისე ფინანსთა სამინისტროს განსაზღვრონ მაქსიმალური ზღვარი, შესაბამისად, ფულის მასისთვის და ე.წ. ბიუჯეტის ვალუტიზაციისათვის (უცხოურ ვალუტაში ინფლაციური გადასახადი).

ინფლაციის თარგეთირების პრაქტიკა საქართველოში დაინერგა 2008 წლიდან. მართალია, 2009-2010 ფაქტიური ინფლაციის მაჩვენებლები არ აღემატებოდა პოლიტიკის გამტარებლების მიერ წინასწარ განსაზღვრულ მიზნობრივ მაჩვენებელს (2008: 10%; 2009: 8%; 2010: 6%), მაგრამ, 2010 წლის მეორე ნახევარში დაფიქსირდა დიდი ცდომილება თარგეთირების ფარგლებში წინასწარ გაკეთებულ პროგნოზსა და ინფლაციის ფაქტიურ მაჩვენებლებს შორის.

ინფლაციის პროგნოზირების სრულყოფისათვის მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს როგორც სავალუტო სუბსტიტუციის, ისე საბიუჯეტო  $(\Delta G_{T-1}^{GL})$  და საგარეო კომპონენტი ( $\Delta(\pi-w)_{T-1}$  - ე.წ. მსოფლიო ინფლაცია წინა

პერიოდისათვის). ინფლაციის პროგნოზირების პროცესში დოლარიზაციის ფაქტორის გათვალისწინება შესაძლებელია ( $M2$ )–ს ( $M3$ )–თ ჩანაცვლებით.

**4-1)** ინფლაციის თარგეთირების ფარგლებში, რომელიც ემსახურება მონეტარული სტაბილიზაციის მიზანს, მიზანშეწონილია რაოდენობრივი მონეტარული პოლიტიკის განხორციელება ე.წ. “პოტენციალური ფულის” პონცფციის საფუძველზე. “პოტენციალური ფულის” კონცეფცია წარმოადგენს მონეტარული თარგეთირების თანამედროვე ვერსიას, რომელიც უკანასკნელი 15-20 წელიწადია წარმატებით ხორციელდება ევროპის ცენტრალური ბანკისა და ევროზონის მომავალი კანდიდატი ქვეყნების (ჩეხეთი, დანია), მათ შორის აღმოსავლეთ ევროპის ცენტრალური ბანკების მიერ, რომელთა ეკონომიკებმა და შესაბამისად მონეტარულმა სისტემებმა სულ რაღაც ერთი ათწლეულის განმავლობაში განვლეს ტრანსფორმაციის პროცესი.

“პოტენციალური ფულის” კონცეფცია მიზნად ისახავს ფულის მასის კონტროლს რეგრესიული ანალიზის საფუძველზე პროგნოზირების მოდელში როგორც რეალური სექტორის, ისე მონეტარული პარამეტრების გათვალისწინებით.

ეროვნული შემოსავალის ცვლილების  $\left(E\left(\Delta Y_t^{GL}\right)\right)$  მოლოდინი, როგორც რეალური სექტორის საპროგნოზო მაჩვენებელი, ასახავს წარმოების ფაქტორების ოპტიმალური ურთიერთჩანაცვლების პირობებში ეროვნული შემოსავლის მოსალოდნელ შედეგს დასაქმების დონის, კაპიტალინტენსიურობისა და ტექნოლოგიების არსებული დონის გათვალისწინებით.

მონეტარული პარამეტრებიდან მნიშვნელოვანია ინფლაციის ადაპტირებული მოლოდინის მაჩვენებლისა  $\left(E\left(\Delta P_t^{GL}\right)\right)$  და ეროვნული ვალუტის ბრუნვის სიხშირის ცვლილების  $(\Delta V_t)$  ისტორიული მაჩვენებლის გათვალისწინება ფართო ფულის პროგნოზირების მოდელში.

ფართო ფულისათვის  $\left(E\left(\Delta M3_t^{GL}\right)\right)$  პროგნოზირების მაჩვენებლის განსაზღვრა მნიშვნელოვანია სავალუტო სუბსტიტუციის გამო. ( $M3$ ) წარმოადგენს ფაქტიურად ეროვნული ეკონომიკის სავალუტო პორტფელს, თუ არ ჩავთვლით იმ გარეოებას, რომ მხოლოდ წმინდა ტექნიკური მიზეზით არ არსებობს სამომხმარებლო კალათისათვის დოლარიზაციის სტატისტიკური მონაცემი.

“პოტენციალური ფულის” შეფასებაში საგალუტო სუბსტიტუციის ფაქტორის გასათვალისწინებლად მიზანშეწონილია დოლარიზაციის კოეფიციენტის ისტორიული მაჩვენებლის ( $\Delta\Omega(M3)_t$ ) გათვალისწინება, რაც მონეტარული თარგეთირების პროცესს უფრო დაახლოვებდა რეალურ სიტუაციასთან.

**4-2)** დღემდე ეროვნული ბანკი ლიკვიდობის მართვას ახორციელებს როგორც ერთ-ერთი ქვემიმართულება რაოდენობრივი პოლიტიკის ფარგლებში, რის გამოც ლიკვიდობის პროგნოზირება დამოკიდებულია მხოლოდ ეროვნული ბანკის საბალანსო მაჩვენებლებზე<sup>A77-80</sup> (ლიკვიდობის ავტონომიური პოზიციები, მთავრობის წმინდა პოზიცია, წმინდა უცხოური აქტივები, ნადდი ფული მიმოქცევაში) და საერთოდ არ ითვალისწინებს არც დოლარიზაციის ფაქტორს და არც საბაზრო ელემენტებს. აღნიშნულის გამო, ლიკვიდობის მართვა წარმოადგენს ყველაზე ნაკლებად განვითარებულ მიმართულებას მონეტარულ პოლიტიკაში.

